


ვერის გვირგვინი



პატარა
მეზარეულა

„ნაკადული“
თბილისი, 1988

ინგლისელი მწერლას ჭეიმს გრანვეუდის ეს შესანიშნავი ნოთხრობა ჩვენი კლასიკური საბავშვო ლიტერატურის ფონდშია შესული. იგი რუსულ ენაზე მრავალჯერ გამოცა.

„პატარა მაწანწალა“ ერთი ობოლი ბიჭუნას ბედ-სუკუდმართ ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ექვსი წლის ჭიმი უკეთურ ღედინაცვალს გამოეჭყა და მარტოდმარტო, ბედის ანაბარა შეუდგა სიღუბნით სავსე ცხოვრების გზა-შარას. იმავე ღამეს უსახლკარო ბიჭებს გადაეყრება და უნებურად ამ პატარა მაწანწალების ბედის მოზიარე ხდება. აქედან იწყება მისი ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება... ბუნებით პატიოსანი ბიჭუნა ცდილობს, როგორმე თავი დააღწიოს ცხოვრების წუშმეს და კეთილ გზას დაადგეს. და აი, პატარა ჭიმი ხელიდან უსხლტება თაღლითებს და კეთილი იღამიანების დახმარებით ახალ ცხოვრებას იწყებს.

დამუშავებულია ბ. გობღანოვიჩისა და
კ. ჩუკოვსკის მიერ

თარგმნა ნათელა გუჯაბიძემ

მეორე გამოცემა

© „ნაკადული“, 1988

70803 — 13
M—603(08)—88 81 -- 83

ISBN 5-525-00002-4

ჯეიმს გრინვეული და მისი „პატარა მანანალა“

1

ნათქვამია, წიგნსაც თავისი ბედი აქვსო. ამ აზრს ადასტურებს ინგლისელი მწერლის ჯეიმს გრინვეულის თქვენ წინ მდებარე წიგნის ისტორია.

„პატარა მანანალა“ პირველად 1866 წელს ლონდონში განათქვევედა. ორი წლის შემდეგ იგი რუსულ ენაზე თარგმნა მარკო ვოვროვმა (ცნობილი უკრაინელი და რუსი მწერალი ქალის ნარია ვოვროვის ფსევდონინი).

პატარა ლონდონელი მანანალას მწარე ბავშვობასა და ხილავით სავსე ცხოვრებაზე დაწერილ ამ მოთხრობას დიდი ინტერესით შეხვდნენ რუსი მკითხველი. სულ მალე რუსეთში ერთიმეორის ნიჟოლებით იწყეს გამოსვლა „პატარა მანანალას“ საჯანგებოდ ბავშვებისათვის გალაპარაკებულმა და შემოკლებულმა თარგმანებმა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გრინვეულის „პატარა მანანალამ“ საერთო ოდენობით ორმოცზე მეტ გამოცემას გაუბლო. იგი დიდი ხანია, რაც ჩვენში დამსახურებულად არის აღიარებული საბავშვო ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებად.

ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ეს წიგნი ინგლისში, გრინვეულის სანაშობლოში ისევე ფართოდაა აღიარებული, როგორც ჩვენთან, საბჭოთა კავშირში. მაგრამ არა, სინამდვილეში ასე არ არის.

„პატარა მანანალა“ ინგლისში მხოლოდ ორჯერ გამოსცეს და ისიც დიდი ხანია, რაც დავიწყებას მიეცა (მეორე და უკანასკნელ გამოცემა 1884 წელს გამოვიდა). ინგლისში „პატარა მანანალა“ ბავშვებისათვის არ აღედგინა გამოკვეთილი. სამწუხაროდ, იგი არ წაუკითხავთ ინგლისელ

მოსწავლეებს. პატარა მაწანწალას ეს ნამდვილი, სევდიანი ანბანი მათ ბევრ სასარგებლო ჭეშმარიტებას დაანახებდა. და უცვლელი, ბუნებრივად განსწავლული გულისწყობის გაუღვიძრებდა იმ უსანართლო წყობილების წინააღმდეგ, რომელიც ათასობით და ათი ათასობით ინგლისელი მშრომელთა შვილებს ნახარვენი სიკვდილი, შინაშილი და სიღატაკე მოუტანა...

ინებ ინგლისელმა პედაგოგებმა და წიგნის გამომცემლებმა განზრახ არ ინდოქს, ეს წიგნი ნორჩ მკითხველებამდე მიიტანათ, თუნდაც იმიტომ, რომ ინგლისელი ღარიბების საშინელ და ბერად ცხოვრებაზე მოგვითხრობს?

ინებ გრინფილდის ნიჭიერად დაწერილ ამ წიგნს ამგვარი ბედი ეწოლოდ ინგლისში ეწია?

არა, ეტყობა, მარტო ინგლისში არა. რუსულის გარდა „პატარა მაწანწალა“ არც ერთ სხვა უფრო ენაზე არ უთარგმნიათ.

ყველა ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწინებს, თუ რაოდენ სისხეთუთი და გულისხმიერებით ეკიდება რუსი მკითხველი ყველაფერ ახალსა და მოწინავეს, რაც კი საზღვარგარეთის ქვეყნების ლიტერატურაში შექმნილა. ჩვენთან დიდი ხანია, რაც ასე დაჰყვიდრდა: უცხოელი ავტორის ყველა ახალი ნაწარმოები, რომელიც კი ინტერესს იწვევს, მაშინვე რუსულ თარგმანებში ანეიტყველებულა და ფართო აღიარებაც მოუპოვე-

ტყუილად როდი იყვნენ აღტაცებული ჩვენი დიდი მწერლები პუშკინიდან მოყოლებული გორაკანდე, რუსული ლიტერატურისა და რუსი მკითხველის „მსოფლიო განთავსებით“.

მაგრამ დროთა განმავლობაში ასობით და ათასობით თარგმნილი წიგნი დავიწყებას მისცემია, შეიძლება ითქვას, წყობიდან გამოსულა. მხოლოდ ზოგიერთს, უკეთესთა შორის საუკეთესოს უწერია ხანგრძლივი სიცოცხლე და ჭეშმარიტი აღიარება. ასეთ საუკეთესო წიგნთა რაობის ეკუთვნის გრინფილდის „პატარა მაწანწალა“. მან არათუ გაუძლო დროის განცდას, არამედ ახლაც, მისი პირველი გამოცემიდან ორმოცი წლის შემდეგაც იგი საბჭოთა მოსწავლეების ერთ-ერთი საყვარელი წიგნია.

რაკი წიგნი ყურადღებას იპყრობს, ბუნებრივია, მისი ავტორითაც დაინტერესდეთ. მაინც რა ვიცი რვენ გრინფილდის შესახებ? რას წარმოადგენდა იგი, როგორც ადამიანი და როგორც მწერალი? კიდევ რა ნაწარმოები აქვს შექმნილი?

ამ კითხვებზე პასუხას გაცემა არც ისე ადვილია. ჩვენლისში ჯერმის გრინვუდის სახელი ისევე საგულდაგულოდაა დავიწყებული, როგორც მისი „პატარა მაწანწალა“.

ესაზე არც ერთი სტატია არ არის დაწერილი. ყველაზე დაწვრილებით ცნობარებში, ბიოგრაფიულ საძიებლებსა და ბრიტანეთის ენციკლოპედიაშიც კი არ არის ნახსენები, რომ არ გვეთხროდა ჯერმის გრინვუდის „პატარა მაწანწალა“, ალბათ არც გვევლინებოდა, რომ ასეთი მიწრაფი არსებობს. მაგრამ საკმარისია ჩავიხედოთ „წიგნის მატრიანეში“,^{*} რომ ნაშინვე დავრწმუნდეთ, ასეთი მიწრაფი არსებობდა. არამედ ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში სცემდა წიგნებს. მე-19 საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მიწურულიდან მე-20 საუკუნეშიც ჯერმის გრინვუდს ორმოცზე მეტი წიგნი აქვს გამოცემული. გარდა „პატარა მაწანწალასი“ თავის დროზე რუსულ ენაზე ითარგმნა მისი ზოგიერთი ნაწარმოებიც.

გრინვუდი სხვადასხვა თემებზე წერდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდობისათვის დაწერილი მისი მოთხრობები და რომანები, რომლებშიც ინგლისელი ნებდაურების ტროპიკულ ქვეყნებში, უფრო კი აფრიკაში მოგზაურობა და თავგადასავალია აღწერილი.

გრინვუდის განიერებს ეღუპებათ გენი, ზღვებზეაბან უდაბნოებსა და ჯუნგლებში, ტყვედ უვარდებიან ელურებს, მათთან ერთად მტაცებელ ცხოველებზე ნადირობენ და ბოლოს, მრავალი თავგადასავლის შედეგად, სანშობლოში მშვიდობით ბრუნდებიან.

ტროპიკული ქვეყნების ბუნებას, მის ბიბადრთა ყოფას, ზნე-ჩვეულებას ისე ხატონად და დაწვრილებით აგვიწერს, თითქოს ამ ქვეყნებში თვითონ ემოგზაუროს.

გრინვუდის ამ ჯგუფის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია სანიტორესო რომანი — „რობინ დევიჯერი“ თავგადასავალი, რომელმაც უცნაულ ბორნილზე დაიკების ტყვეობაში გაატარა ჩვილიტი წელი და ოთხი თვე“ (1869). ეს წიგნი ბევრი რამით დანიველ დეტოს „რობინსონ კრუსოს“ თავგადასავალს“ ნოვავაგონებს.

გრინვუდის ნაწარმოებთა მეორე ჯგუფს განეკუთვნება მოთხრობები ცხოველებზე. ამ წიგნიდან ჩანს, რომ მიწრაფი ზღვნიწენით კარგად იცნობდა გარეული ცხოველების ინსტინქტებსა და ქვეყებს, შეეძლო არაჩვეულებრივი სიზუსტით გადმოცევა თავისი დაუვირევები.

* „წიგნის მატრიანე“ — ყოველთვიური ან ყოველწლიური ცნობარი, რომელშიც გარკვეულ პერიოდში გამოცემული ყველა წიგნია ჩამოთვლილი. „წიგნის მატრიანე“ ყველა ქვეყანაში გამოდის.

აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ საინტერესო წიგნი — „ტყის შვიდი ოთხეუბას თავგადასავალი, მათ მიერვე მოყოლილი“ (1865). ისევე, როგორც ტოლსტოი თავის „ხოლსტომერში“ ან ჩეხოვი ნოთხრომაში „კაშტანკა“, გრინვუდიც ცხოველებს განსჯისა და ფიქრის უნარს ანიჭებს. სხვადასხვა ნბეუები — ლომი, ვეფხვი, დათვი, მგელი, ბეჰემოთი, ნაბიუნი და სპილო—უყვებიან ზოოლოგიური პარკის მსახურს, რომელსაც ცხოველების ენა ესმის, თუ როგორ თავისუფლად ცხოვრობდნენ ტყეში, მერე როგორ ღაიჭირეს და მიიყვანეს ზოოპარკში. ამგვარი ლიტერატურული ბერხის წყალობით ავტორი დაწვრილებით და საინტერესოდ მოგვითხრობს ცხოველების ამბებს.

გრინვუდის ნაწარმოებთა მესამე, ყველაზე დიდ ჯგუფში გაერთიანებულია ლონდონის „ფსკერის“ ცხოვრების ამსახველი ნარკვევები, მოთხრობები და რომანები. მათში მწერალი აღწერს ლონდონის ჯურადულების მკვიდრთა მძიმე, უსიხარულო ყოფის სურათებს, ნობეტიადე, უპატრონო ბავშვების, წვრილი ხელოსნების, თერბების, ფაბრიკაში მომუშავე ქალების ცხოვრებას, ღარიბთა თავშესაფრებს, საავადყოფოებს, საპატიმროებს, ღამისსათვე სახლებს, დუქნებს, ქურდების თავშესაფარ ადგილებს.

ამ ყველაზე მნიშვნელოვანი, მძაფრად მამზილებელი ნაწარმოებების ჯგუფს მიეკუთვნება გრინვუდის „პატარა მაწანწალა“.

სწორედ ეს წიგნები, რომელშიც მწერალი მოუხრიდებლად აშიშვლებს კაპიტალისტური ქალაქის ყველაზე საზიზღარ იარებს, ნათლად ნეტყვებლებენ, თუ რა კარგად იცნობდა გრინვუდი უბრალო ხალხის ცხოვრებას და რა ღრნად თანაუგრძნობდა მათ ტანჯვას და მწუხარებაში.

3

იმ წლებში, როდესაც გრინვუდი თავის ნაწარმოებებს ქმნიდა, მწვლინი ჯერ კიდევ მსოფლიოში ყველაზე ძლიერ კაპიტალისტურ სახელმწიფოდ ითვლებოდა. მისი კოლონიური სამფლობელოები, რომლებიც სისხლისმღვრელი ომების ფასად და თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის უნოწყალო განადგურების შედეგად იქნა მოპოვებული, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მდებარეობდა და მილიონობით კვადრატულ კილომეტრზე იყო გადაჭიწული. ინგლისელი საქმოსნები და აზნაურები კოლონიალური ხალხების ძარცვით გაუგონარ სიმდიდრეს ინგებუნენ. მაშინ ინგლისი ჯერ ისევე მძლავრი მრეწველობის, დიდძალი სამხედრო

და საჯარო ფლოტის მფლობელი იყო. ინგლისელი მეჭანბრიკეები და ვაჭრები. სარფიანად ასაღებდნენ თავიანთ საქონელს ყველა საბელაჩი-ფოსა და ქვეყანაში. ისინი კვებნით ინგლისს „მსოფლიოს საბელოს-საც“ უწოდებდნენ.

მაგრამ რაც უფრო მეტად იკრებდა ძალას გაბატონებული კლასი და მეტ სინდიკატს იხვეჭდა, მით უფრო უარესდებოდა ინგლისის წმინდა-მელთა მდგომარეობა. არც ერთ სხვა ქვეყანაში მუშები ისე ნიბიე პირობებში არ ჩავარდნილან, როგორც ინგლისში. არც ერთ სხვა ქვეყანაში არ ყოფილა ისეთი შეუწყნარებელი სიდატაკე, თვითმკვლელობისა და სისხლის სამართლის დანაშაულებათა ისეთი სინრაველე, როგორც ინგლისში, იმდენი მშვიერ-მწყურვალე და უმუშევარი ხალხი, რამდენიც ინგლისში. არც ერთ სხვა ქვეყანაში არ ყოფილა არსებობის ისეთი შემაძრწუნებელი პირობები, როგორც საბელაჩანთმეზულ ლონდონის ჯურღმულებში.

ლონდონის ჯურღმულების საშინელებებს მხოლოდ მუშათა საბლები თუ გაუწევდნენ ნეტოქეობას. ეს სახლები ინგლისში 1834 წელს დაარსდა, მას შვიდეუ, რაც მთავრობამ ღარიბებისთვის დახმარების გაწევაზე უარი თქვა, მუშათა სახლებში მოხვედრილი საწყალი ხალხი ნამდვილ კატორღელებად იქცეოდნენ ხოლმე. ქმრებს ცოლებს ამორებდნენ, ნშობლებს ართმევდნენ შვილებს. მუშათა სახლიდან წასლის ნებართვას ნხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ აძლევდნენ, ისიც მხოლოდ უფროსების თანხმობით. ნუშათა სახლში მცხოვრებთ აიბულებდნენ ყოველგვარი საფასურის გარეშე შეესრულებინათ ყველაზე მძიმე, ქანვის-გამწყვეტი სამუშაო. მანაკაცებს ევალებოდათ ქვა ეჭტვრიათ, ეალეებს და ხავშეებს—ძველი ბავირებო ექენძათ და ა. შ. ნუშათა სახლებში უფრო ვუდაჯ კვებავდნენ, ვიდრე საპატომრობებში. ამიტომ ბეჯრი „ქველმოქმედების“ მსხვერპლი ცდილობდა ზედაშხედელებისათვის თავი დანაშავდედ მოეჩვენებინა, რომ იგი ჩვეულებრივ საპრობილტში მოგთავსებინათ, სადაც ნაკლებად მკაცრი რეჟიმი იყო.

მუშათა სახლების დაარსებას არანერთი აჯანყება მოჰყვა. ნხოლოდ 1909 წელს ხალხთა მასების სულ უფრო და უფრო დიდი უკმაყოფილების შედეგად ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა ნუშათა სახლები გაეუქმებინა.

იმავე წლებში მდიდარსა და ძლევამოსილ ინგლისის სამეჯოში ათობით და ასი ათასობით მცირეწლოვანი ბავშვი მოწყდა ოჯახს, სკოლას, დარჩა ქუჩაში ან არადა, ხარბი მენარმეების ზელში ჩავარდა.

ზნობილია, რომ არც ერთ ქვეყანაში ბავშვთა შრომა ისეთ დიდ მო-
გვბას არ იძლეოდა, როგორც XIX საუკუნის ინგლისში. პატარა მუ-
შებს აიძულებდნენ დიდიდან დაღაპებამდე წელში მოხრილებს ემუშა-
ვათ. ვასანჯელოდ კი რაღაც გროშებს აძლევდნენ, რაც მხოლოდ იმა-
ზე ჰყოფნიდათ, რომ შინშილისაგან სული არ ანობდომოდათ.

ინგლისის მოწინავე ადამიანები მრავალი წლის წინამდინე დაჟი-
ნებთ განავრძობდნენ ბრძოლას ბავშვთა სასტიკი ექსპლოატაციის
წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს დადგა დრო, როცა ინგლისის მთავრობა
იძულებული გახდა ახალი კანონები შემოეღო, რომელიც საწუშაოზე
ციკირწლოვან ბავშვთა მიღებას და მათ გვიან დამედვე შრომას კრბა-
ლაგდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისში შენონედებიით მუ-
შაობა გაშალა რანდენიმე დივანა მწერალმა. მათ მიზნად დაიხბეს
ფარდა ატბადათ ინგლისელი კაპიტალისტების სასწაულებრივი პორტ-
მოწინედებისათვის, მსოფლიოსათვის დაენახვედინათ ინგლისელ დარბ-
დატაკთა ცხოვრების მყავრი სინამდვილე, ემზილებინათ, თუ როგორ
ცხოვრობდა და იღუპებოდა ათასობით ადამიანი ემუშათა სახლებში, სა-
პატარორობაში, ნესტიან სარდაფებში და ცივ სხვენებში. ამასთანავე გუ-
ლისწყრომით ასახადდნენ მდიდრული სახლების ბინადართა უნრუნველ
და უქმ ცხოვრებას, ქვეყნის დანარჩენი საპაროსაგან ქვის მაღალი კედ-
ლით რომ იყვნენ გამოყოფილნი.

ინგლისის გაბატონებული კლასების მაშხილებელ ასეთ რეალისტ
მწერალთა რიცხვს მიეკუთვნებიან ჩარლზ დიკენსი, უილიამ თვეერეი,
შარლოტა ბრონტე, ელიზაბეტ გასკელი და სხვა დანარჩენი ინგლისელი
მწერლები, რომელთა შემოქმედებასაც მაღალ შეფასებას აძლევდნენ მარ-
ქსი და ენგელსი.

გისაც წაუკითხავს დიკენსის რომანი „ოლივერ ტვისტი“, „ნიკოლას
ნიკლი“, „დავით კოპერფილდი“, „პატარა დორათი“, ალბათ ბევრ სა-
ერთოს იშოვის, როგორც თენის, ასევე ავტორის თავის გნირებისაღმი
დამოკიდებულები მხრივ, მათში და გრინვუდის „პატარა მაწანწალაში“.
ეს შემთხვევითი როდია. გრინვუდი უდავოდ მიეკუთვნება XIX საუკუ-
ნის იმ რეალისტ მწერალთა რიცხვს, რომელთაც სამოციან წლებში ჟერ-
კიდევ სათავეში ედგა ჩარლზ დიკენსი.

როგორც ვიცით, გრინუელს დაუმსახურებელი ბედი ზედა წილად. ნი-
სი გვარი ფაქტიურად ინგლისის ლიტერატურრიქან პოეტიკლია; ნი-
სი წიგნები—დავიწყებული, მათზე თითქმის არანაირი უნებები არ მოიპო-
ნება. და თუ ხანგრძლივი ძიების შემდეგ ჩვენ ვინც ნივანდით ნის
კვალს, ესეც მხოლოდ იმის წყალობით, რომ ერთმა ინგლისელმა ისტო-
რიკოსმა, გვარად რომერტსონ სკოტმა, რამდენიმე წლის წინ
მოსვა წიგნი ნის ძმა ფრედერიკზე.

ფრედერიკ გრინუელი თავის დროზე უნებელი უნებელი და
გაღვიანიანი გაზენის „მელ-მელ გაზენის“ რედაქტორი იყო. ავტორი
ფრედერიკ გრინუელზე დაწერილი წიგნის სამ გვერდზე გასვლის პრეტუ
ისე ადვილად მოპოვებულ უნებებს ნის უპრობს ძმანზე—ჯეიმს გრინუელ-
ზე.

ჯეიმს გრინუელი ღიბადა 1833 წელს წერილი ნიანსახურის ოჯახ-
ში. ჯეიმსის გარდა ოჯახში თერთმეტი ბავშვი იზრდებოდა, მისი ღა-
ძნები, რომლებმაც შემდეგში ცხოვრებაში სხვადასხვა გზები აირჩიეს.
სამი ძმა—ფრედერიკი, ჯეიმსი და უოლტერი დანოვდილებელ ცხოვრებას
შეუდგნენ, მათ სტამბაში ასოთამწყობად დაიწყეს მუშაობა. რამდენიმე
წლის შემდეგ ფრედერიკმა და ჯეიმსმა თანამშრომლობა დაიწყეს გა-
ზეთში. უოლტერი კი ტუბერკულოზით დაავადდა და თავისი სიცოცხლე
საანწყობო კანასთან დაასრულა.

ფრედერიკმა, მუღან „სოლიდური“ უზრუნველყოფილი ცხოვრება
რომ იზრდებდა, ბოლოს და ბოლოს საკნოვ დიდი თანხა დააგროვა და
ერთ-ერთი დიდი გაზეთის რედაქტორი გახდა. ჯეიმსი კი, პირიქით, ნი-
ილტვოდა, რაც შეიძლება დროად ჩასწავდომოდა ცხოვრებას. მან არ ისუ-
ვა თავისი თავისუფლება რედაქციაში კარგ შემოსავლიან თანამშრო-
ბაზე გადავალა, ფრედერიკმა არანერბელ რომ შესთავაზა.

ჯეიმსმა თავისი გზა აირჩია, იგი ნიჭიერი უნებელი და ლიტერა-
ტორი გახდა. წერდა სტატიებს, ნარკვევებსა და რომანებს ყველაზე
საჭირობოროტო თენებზე. სამოციანი და სამოცდაათიანი წლების ინ-
გლისში ჯეიმს გრინუელის სახელი კარგად იყო ცნობილი. ინგლისის და-
ნისსათვე სახლებზე დაუნდობელი სიძარბოთი დაწერილია ნისმა ნარ-
კვევებმა ყურადღება მიიქცია:

ერთხელ მაწანწალასავით გადაცმული შემოღვონის ავღრიან დანეს
ქურაში რამდენიმე საათი სიცივეში იდგა და ელოდა, ეიღრე დანისსა-
თვეში ავღილს იმტვიდა. აქ მან ისეთი საშინელი სიბინძურე, სიღატაკე

და ადამიანთა ისეთი წარმოუდგენელი ტანჯვა ნახა, ლონდონის ჯურღმულეების საშინელებებზე მის ყველაზე პირქუმ წარმოდგენასაც ბევრად რომ აღემატებოდა.

გრინვუღმა ნანახი ნარკვევებში გადაიტანა, მაგრამ ცენზურამ ისინი სავრძინოლად შეარბილა. მიუხედავად ამისა, ისეთი დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ განუთის ტირაჟი, როგორც ეს ნარკვევები იბეჭდებოდა, სავრძინოლად გაიზარდა. შედეგად გრინვუღის ეს ნარკვევები სხვა განუთებშიც დაიბეჭდა და ფართო გამომხაურება შეიძინა. ასე მაგალითად, ერთ რეცენზიაში ეწერა: „ის სურათი, რომელიც გრინვუღმა დაგვიბატა, შემადრწუნებელია და მით უფრო სავალალო, რომ ავტორს ამ პირობებში მხოლოდ ერთი დამე გაუტარებია, ათასობით ჩვენი თანამემართულე კი იბულებულია მთელი თავისი სიცოცხლე ასეთ პირობებში იყოს...“

ჯეიმს გრინვუღის ყველაზე საუკეთესო წიგნები სამოციან წლებშია დაწერილი. მერე კი სულ უფრო და უფრო იშვიათად იბეჭდებოდა. და ბოლოს მისი სახელი საერთოდ გაქრა ლიტერატურრიდან. როდესაც 1905 წელს მან თავისი უკანასკნელი წიგნი გამოსცა, ახალი თაობის მკითხველებისათვის იგი უკვე უცნობი ავტორი იყო, რადგანაც მისი სახელი, ისევე, როგორც მისი სამოციანი-სამოცდაათიანი წლების მრავალი ნაწარმოები, დღეი ხანია, დავიწყებას მიცემოდა.

ჯეიმს გრინვუღი 1929 წელს, თავისი სიცოცხლის ოთხმოცდაცხვირდმეტე წელს გარდაიცვალა.

5

ჯეიმს გრინვუღის საზოგადოებრივ თემებზე დაწერილი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი ნარკვევების წიგნი „ლონდონის შინჯი მანკიერება“ (1869). ნარკვევები ავტორმა ლონდონის ჯურღმულეების ხანგრძლივი და გულდახმითი შესწავლის შედეგად დაწერა. ისინი ბევრად ავსებენ და გასაგებს ხდიან „პატარა მაწანწალას“.

ლონდონის ყველაზე საშინელ საზოგადოებრივ მანკიერებად გრინვუღს მიაჩნდა ბავშვთა უპატრონობა, სიღარიბე, მაწანწალობა, ალკოჰოლიზმი, სისხლის სამართლის დანაშაულობანი, ყველაზე მდებალთა ბინა-ბუნავების არსებობა და ა. შ.

საგანთა მკვეთრი, ყოველგვარი შელამაზების გარეშე აღწერისას გრინვუღი მინეც გამოთქვამს რწმენას, რომ ლონდონის წულულების

განკურნება შესაძლებელია, თუ მთავრობა, ბოლოს და ბოლოს მას ყურადღებას მიაქცევსო. მაგრამ მწერალმა არ იცოდა, რომ სინდერსონს და სიღარიბეს შორის არსებული გადაულახავი წინააღმდეგობაა. კაპიტალიზმისტური დიდი ქალაქის საშინელი ჯურღმულები მანამდე არ გაქრება, ვიდრე არსებობს კაპიტალიზმისტური წყობილება, რომელიც გარდაუვალად წარმოშობს ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას, ფულის ტომარის ვაჭარსა და ჯიშვარს უფლებას.

„პატარა მაწანწალა“ თვითნებურად მწიფროდა დაკავშირებული ნარკვევ „უპატრონო ბავშვებთან“. გრინფუდი წერს: „დანამდვილებით არ ვიცი, საიდან არის ნოდებულნი ეს უნობები, მაგრამ დღესდღეობით აღიარებული ფაქტია, რომ უზარმაზარი აყვავებული ლონდონის ქუჩებში ზამთარ-ზაფხულს, ყოველდღიურად ასი ათასი გოგონა და ბიჭი უპატრონოდ დაეხეტება. ნათ არც საკვები აქვთ, არც ჩასაცმელი და არც რაღაცეა საქნინანობას ეწევიან. ესენი კატორღასა და მუშათა სახლებში და ბოლოს პორტლენდსა* და გადასახლებაში მობვედრის საუკეთესო კანდიდატები არიან!“

„პატარა მაწანწალაში“ გრინფუდი დახედავით აგვიწერს, თუ სიღატაკე და მაწანწალობა როგორ უბიძგებს ადამიანს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩასადენად.

ბუნებით თანდაყოლილი პატიოსნება და წესიერება ჯიშის არსებაში გაპუღებით ებრძვის იმ საშინელი პირობების ზემოქმედებას, რომელიც მას უხდება ცხოვრება. ბოლოს ჯიშის მოლიპულ გზაზე მიღწანება და ქურდობას იწყებს.

მაგრამ ამაში განა მართლ ჯიშის მიუძღვის ბრალი? მთელი მოთხრობის მანძილზე ავტორი გვიჩვენებს, რომ დანაშაულები მარტო ის არ არის, მაშინ გამოუვალად ზიდატაკე, გაუთავებელი უთანხმოებანი ოჯახში, ერთ-თაგანზე მთავარი დეზინავაციისგან ცემა-ტყემა, ყველაფერი ეს აიძულებს ჯიშის სახლიდან გაიქცეს და მაწანწალას ცხოვრება დაიწყოს.

მართალია, ინგლისის მთავრობამ ღარიბ-ღატაკებზე იზრუნა: დააარსა უპატრონო ბავშვთა და დაგრძობილთა თავშესაფრები, დამისსათევი და მუშათა სახლები, მაგრამ „ქველმოქმედების“ ამ დაწესებუ-

* პორტლენდი — კატორღაში გადასახლებული საპატიმრო ინგლისში.

ლებებში ისეთი საშინელი პირობები იყო, რომ პატარა ჯიში დია ცის ქვეშ ყოფნას ამჯობინებს მუშათა სახლის კატორღულ ცხოვრებას.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ თვით ბურჟუაზიული სახელმწიფოს განონები, ცხოვრების ყოველგვარ სახსარს მოკლებული უამრავი ადამიანის საარსებო პირობები, უდავოდ იწვევს მაწანწალობას, ნათხოვრობასა და ქურდობას. როდესაც წიგნის დასასრულს პატარა ჯიში თავს დაადრწევს თაღლით ჰამპინისს და სხვა გარემოში ხვდება, იგი სანუგეშოდ ხელს იღებს ქურდობაზე და საწაშაოდ მიდის ფაბრიკაში.

თუ რამდენად ცხოვრებისეული და ნამდვილია პატარა მაწანწალობის თავდადასავალი, ამას გრინფულის სხვა დანარჩენი დაკვირვებებიც აძტვიცებენ, უმატრონო ბავშვებზე დაწერილ იანგე ნარკვევში რომ ვხვდებით.

„ლონდონში, — წერს იგი, — ორგვარი უმატრონო ბავშვები ღატტილობენ: ისინი, რომლებსაც „საბლ• აქვთ“ და „უპატრონი“. ესენი ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც შინაუზი ძაღლი — ქუჩის მაწანწალა ძაღლისაგან, რომელსაც წყალობითი დარის გარდა სხვა ბუნადი არ ივისი“.

უმატრონო ჯიში სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვარდება: ხან თავის ორ ამხანაგთან ერთად კატაკომბებში ათევს დანებს, ხან ფურცლებში, ხან კი უსაძინებლად ნესტიან მიწაზე მიეძვლება. დღისათ კოლეცტორების ბაზარშია, ქურდობს, რაც ხელში მოხვდება, ყველაფერს იპარავს, ანუა ნაყარნუყართ იკვებება.

„მათი ძირითადი საკვება, — განაგრძობს თხრობას ავტორი თავის ნარკვევში, — ნარჩენებია. გევონება, ან დაშალ, აშეორებულ ნარჩენებს მოწიპამლეული თვისებები დაუყარავთ და საღ საკვებად გადამეწეულან“.

მაგრამ ეს ნხოლოდ მოჩვენებითია. სინამდვილეში უმატრონოდ დარჩენილ ბავშვთა უმეტესი ნაწილი საშინელი ცხოვრების პირობებს ვერ უბეღებს და იღუპება. მიუხედავად ამისა, მათი რიცხვი ლონდონში მანევ არ კლებულობს. გარდაცვლილთა ადგილებს გაჭირვებისაგან გუჩინი განორიყული ახალ-ახალი პატარა მაწანწალები იკვებენ.

„დღეს დღლით სიკვდილს სულ ერთიანად რომ მოეპარა ეს ტუჟუნიანი მაწანწალები, ბაზარში დაყრილი ნარჩენებით რომ სარგდობენ, ხვალ აქაურობა ისევ გაიჭედებოდა, როგორც ყოველთვის“ — მიუბარებთ აღნიშნავს გრინფული.

გრინდვუღმა ბევრი მკაცრი სინამდვილე მოგვიტარო ინგლისელ მშრომელთა შვილების გაჭირვებულ ნაგომარცხთაზე. ეს წიგნი მრავალ ნაღვლიან ფიქრს მოჰყვრის მკითხველს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, გრინდვუღის მოთხრობა მძინე ნთანდვლელებს ნაინც არ ტოვებს. იგი უბრალო ხალხისაა, იმ ადამიანებისაა, ცხოვრებისეულ გაჭირვებაში სულიერ სიმბნევეს და უკეთესი მონაგლის რწინებას რომ არ კარგავენ, მზურდალე სიყვარულითაა განთბარი.

უანასკნელ ფურცლამდე გატაცებით მიხვედებით პატარა მაწანწალას შავბნელ თავდასახალს, მასთან ერთად ვნარობთ, როცა პურის ქერქს ან სადმე ღამის გასათევს იშოვის.

უკიდურესად მძინე წუთებშიც კი პატარა ჯინი გულს არ იტეპს და არ კარგავს მხნეობას. მისი სიცოცხლით სავსე, გულღია ხასიათი, მისთვის ღამინახათებელი სანარტლიანობა და ადამიანებისადმი კეთილი დაპოვილებულება ეხმარება მას გულითადი მეგობრებისა და ანანსების შოვნაში, რომლებიც განსაცდელიდან არაერთბელ დაიბნინან. წიგნის ბოლო გვერდამდე გვჯერა, რომ პატარა მაწანწალა ყოველგვარ განსაცდელს და უბედურებას გაუბლებს და სიცოცხლისათვის მძობლადი გამარჯვებული გამოვა.

მაქსიმ გორკი თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობა „ხალხში“ იგონებს, თუ რა ღრვი შთაბეჭდილება მოაბდინა მასზე სიყვარულიან გრინდვუღის „პატარა მაწანწალამ“. ლონდონელი უპატრონო ბავშვის ტრავიკულ ბელში აღიარა პეშკოვმა, ყოველი ფენის ნაბიჯზე რომ ხვედრება ძველი მსოფლიოს ცუტყესა და უანასობას, თავის საკუთარ ცხოვრებასთან ბევრი საერთო რაი დინახა. მაგრამ გრინდვუღის წიგნს მისთვის სევედა არ მოუვცრია. პირიქით! მან შვიპატა სულიერი სიმტკიცე და რწმენა ადამიანებისადმი, რომელთაც შესწევთ უნარი ნებისპირი განსაცდელი და გაჭირვება გაუბიტანონ.

მოთხრობა „ხალხში“ გორკი იგონებს, როგორ ანარაგებდა სხვადასხვა საინტერესო წიგნებით მას ერთი ნაცნობი გამომჭრელი ქალი. და აი, ამ წიგნებმა თვალწინ გადაუშალა ღრვი და ვრცელი სამყარო.

„რამდენიმე დღის შვიდეც, — წერს გორკი, — მან გრინდვუღის „პატარა მაწანწალას ცხოვრების ნამდვილი ამბავი“ მომცა. სათაურმა ცოტა არ იყოს გულში უსიამოვნოდ გამკრა, მაგრამ პირველსაცე გვერდიდან


ბლტაყების ღიწილი მომგვარა და ასეთივე ღიწილით წავიკითხე მთელი ეს წიგნი ბოლომდე, ზოგიერთი გვერდი კი ორ-ორჯერ და სამჯერაც გადავიკითხე...

გრინვუდმა მე საოცარი სიმზნევე შემიძაბა...“

დიდი ხანია, რაც გრინვუდმა ეს წიგნი დაწერა და იგი შორეული წარსულის ამბავს მოვითხრობს, მაგრამ ყველა ის ცხოვრებისეული მანკიერი მოვლენები, მწერალი თავისი პატარა გმირის პირით რომ გადმოგვცემს, დღემდე თუშვა რამდენადმე სახეშეცვლილი, კაპიტალიზტურ ქვეყნებში და ნაწილობრივ ინგლისშიაც ისევ განაგრძობენ არსებობას.

ამგვარი საზოგადოებრივი უბედურებანი, როგორცაა უმუშევრობა, შრომისათვის სიღატაკე, ბავშვების უპატრონობა და უმეტესაყურეობა, სანერწველო დაწესებულებებში ბავშვთა უმძიმესი შრომა, საბოლოოდ მხოლოდ მაშინ მოიპოება, როცა მთელს მსოფლიოში გაიშარჯვებს სოციალისტური წყობილება.

მ. ბრანდისი



I

დედონაცვალი

ექვსი წლის ვიყავი, დედა რომ გარდამეცვალა. მამამ სხვა ცოლი შეირთო. დედონაცვალი ბოროტი, ზარმაცი და ეშმაკი ქალი იყო. მთელი დღე მუშაობით სულს მხდიდა. ბავშვს მე მავლევინებდა, ჭიდან წყალს მაზიდინებდა, სახლს მალაგებინებდა და საყიდლებზეც დუქან-დუქან მე დამარბენინებდა. საკმელი კი არ ემეტებოდა ჩემთვის. ყოველ დილით მამა სახარჯო ფულს უტოვებდა. ის კი არაყს ყიდულობდა. ლოთი იყო და უსასმელოდ ერთ დღესაც ვერ ძლებდა. მამაჩემის თვალის ასახვევად დუქანში ნარჩენი, უვარგისი ძვლების საყიდლად მგზავნიდა, მამას კი ატყუებდა, სადილიდან ეს გადაგვრჩაო.

შინ მამა შებინდებისას ბრუნდებოდა. ბაზარში ერთ მდიდარ მემწვანილეს ედგა გამყიდველად. მთელი დღის შრომით შოქანცულს შინ მუდამ ცხელი კერძი ხვდებოდა და, რადგან მე ძალიან ხშირად დილიდან სალამომდე პურის ქერქის ანაბარა ვიყავი, ხორციის დანახვაზე პირწყალი მომდიოდა. საკმარისი იყო დედონაცვალს თვალი შეესწრო, როცა მამაჩემი თავისი თეფშიდან რაიმეს მიწილადებდა, რომ მაშინვე ტყუილებს მოჰყვებოდა:

— ჯეიმს, გენაცვალე, ბავშვს ამდენს ნუ აკმევ, თორემ მგეტი მო-
უვა და ავად გახდება! საოცრად ხარბი ბიჭია. დღეს სადილზე საქ-
ჯერ იმდენი მოხარშული ცხვრის ხორცი გადმოვუღე, ორ კაცს
ეყოფოდა.

— უყურე ამ საძაგვლს! დამდგარა და პირში ისე მომჩერებია,
თითქოს ერთი თვეა არაფერი ეჭამოს, მსუნაგო შენა! გასწი, ახლა-
ვე დაიძინე, ვიღრე არ გამიწეკებლიხარ! — მიყვიროდა ხოლმე მამა-
რენი.

ცარიელი კუჭით საწოლს ისე მივაშურებდი, რომ თავის გასა-
მართლებლად სიტყვასაც ვერ ვამბობდი.

ერთხელ დედინაცვალმა საზინლარი ოინი მიყო. მასთან სტუმ-
რად ვილაც ქალი მოვიდა და მთელი ფული, მამამ სადილისა და ვახ-
შმისათვის რომ დაუტოვა, სასმელში გაფლანგა. როცა სტუმარი
წავიდა და დედინაცვალი ცოტათი გამთფხიზლდა, მაშინვე მიშმა
აიტანა: იცოდა, მამაჩემი ძალიან გაჯავრდებოდა, როცა გაიგებდა,
რომ მან ოჯახი უსადილოდ დატოვა. მეტი გზა არ იყო, ვახშმისათ-
ვის ფული როგორმე უნდა ეშოვნა. მაგრამ საიდან? როგორ?

იგი ტიროდა და საცოდავი ხმით მოთქვამდა:

— რა ვქნა მე უბედურმა? სადაცაა მამაშენი მოვა, ჯემ, საყვა-
რელო, გესმის? მე კი ვახშამს ვერ დავახვედრებ! ცემით მომკლავს!
მისმა ცრემლებმა ამაღელვა. ხოლო, როცა ალერსიანად მთხრა:
ჩი. საყვარელო, გული მთლიანად მომიღბა. დედინაცვალთან მი-
ვედი და დამშვიდება დავუწყე, ვეკითხებოდი, იქნებ რაიმეში გა-
მოგაღგე-მეთქი.

— ჩემ, ამას მხოლოდ სიტყვით მეუბნები. გულში კი სულ სხვას
ფიქრობ. მართალიცა ხარ. აბა, როგორ შეგებრალე: მე ხომ მუ-
დამ ცუდად გექცეოდი! ოჰ, ნეტავ ახლა გადავრჩებოდე და ამი-
ერიდან თითსაც არ დაგაქარებ!

დედინაცვლის სინანულით ნათქვამმა სიტყვებმა კიდევ უფრო
მეტად ამიჩლქა გული.

— მითხარით ოღონდ, რით დაგეხმაროთ და ყველაფერს გავა-
კეთებ, — ვარწმუნებდი აღგზნებული.

— დახმარება, რა თქმა უნდა, შეგიძლია, მაგრამ მიჭირს თხოვ-
ნა. აი. შემოგველე, ეს პენსნახევარი გქონდეს და რაშიც გინდა, და-
ხარჯე.

მისის ბერკის ხელგაშლილობამ გამოაცა და წინანდელზე უფ-
რო მეტად დავუწყე ხვეწნა, მითხარით, რით დაგეხმაროთ-მეთქი.

— აი, რა, ჩემო ძვირფასო, — როგორც იქნა ხმა ამოიღო მი-
სის ბერკმა. — შეგეძლო მამაშენისათვის გეთქვა, რომ მე ფული
მოგეცი და შენი დაიკოს წამლის საყიდლად აფთიაქში გაგზავნე,

ზოდა, ვითომ გზაში ეს ფული დაკარგე. ჯიმ, საყვარელო, ამის თქმა-
ხომ არ არის ძნელი?

— მერე, მამამ რომ მცემოს?

— რას ამბობ, გენაცვალე, ეგ როგორ მოხდება? მე ხომ აქ ვიქ-
ნები! მამაშენს ვეტყვი, გზაში ერთი ახმახი ვილაც დასჯახებია, ხე-
ლი გაუქრავს, ფული გამოუტაცია და გაქცეულა-მეთქი. ასე რომ,
შენ ბრალი არაფერში დაგედება. მამაშენი არა გცემს, დარწმუნე-
შული იყავი! ახლა წადი და გაისეირნე, მაგ პენსნახევრითაც რაცა
მოგეწონოს, ის იყიდე.

წავედი, მაგრამ გულში მაინც მოუსვენრობას ვგრძნობდი. შინ
მისვლას განგებ არ ვჩქარობდი, რომ დედინაცვალს მამაჩემისთვის
ჭურჭლის დაკარგვის ამბის თქმა მოესწრო.

შინ რომ დაებრუნდი, მამა კარებში ტყავის ქამარმომარჯვებული
დამიხედა.

— აქეთ მობრძანდი, არამზადავ! — დამიყვირა და ყურში ხელი
ჩამავლო. — ჩემი ფული სად არის, რა უყავი? ახლავე თქვი!

— დაკარგე, მამა! — შეშინებულმა ჩავილაპარაკე და მისას-
ბერკის მუდარით შევხედე. მისგან გამოსარჩლებას ველოდი.

— დაკარგე? მაინც სად დაკარგე?

— პოლისთვის წამლის საყიდლად მივდიოდი, უცებ ვილაც დი-
დი ბიჭი მეცა, ფული ხელიდან გამომგლიჯა და გაიქცა.

— ხომ არ გგონია, მაგ შენი ზღაპრებისა მჯერა! — დამიღრიალა-
ბრაზისაგან გაფითრებულმა მამამ.

მის უნდობლობას დიდად არ გავუკვირებებოვარ, მაგრამ თავზა-
რი დამეცა, როცა დედინაცვალმა დამცინავად ჩაილაპარაკა:

— ჰო, მეც ეგეთი ტყუილი მითხრა. ერთი ისიც ჰკითხე, ჯიმს,
აქამდე სად დაეხეტებოდა, ან წინსაფარზე ცხიმის ლაქები რამ
გაუჩინა?

წინსაფარზე იმ მსუყე ღვეზელის ლაქები მართლა მაჩნდა, მი-
სის ბერკის მოცემული პენსნახევრით რომ ვიყიდე.

— უჰ, შე გაიძვერა ქურდო! — დამიღრიალა მამაჩემმა. — ფუ-
ლი მომპარე და შენს ნებაზე დახარჯე კიდევ, არა?

— ჰო, ჯიმს, მეც ასე ვფიქრობ, — თქვა იმ ცბიერმა ქალმა, —
ჭირჩევი, ერთი კარგად გაწეკებლო.

ვიდრე მამაჩემი სქელი ტყავის ქამრით მანამდე მცემდა, სანამ
ზისხლმა არ გამოჟონა, ისიც იქვე იდგა. რამდენადაც შემეძლო მო-
ხუყვედი ფულის ამბავი, მაგრამ მამა ყურს არ მიგდებდა და მანამ-
დე მცემდა, ვიდრე ხელი არ დაეღალა. შემდეგ ერთ ზნელ ოთახში
შემავდეს და ღამემდე იქ მამყოფეს დედინაცვალმა რალაციის წა-

ღება მოიმიზეზა, ოთახში შემობრუნდა და მამაჩემის გასაგონად ხმა-
მალლა თქვა:

— აბა, ყმაწვილო, იმედია, ახლა მაინც ისწავლი ჰკუას. იცო-
დე, არ დავავიწყდეს, ძილის წინ ღმერთს შენდობა სთხოვე.

ო, რა საშინლად მძულდა ჩემი დედინაცვალი! სიბრაზისაგან-
სისხლიანი იარების ტკივილსაც ვერ ვგრძნობდი.

მამას ამ ცბიერი ქალისა ბრმად სჯეროდა და ჩემგანაც მოით-
ხოვდა მშობელ დედასავით მყვარებოდა. ერთ საღამოს მამამ შინ
ვიღაც ახალგაზრდა კაცი მოიყოლა. მე ერთი ბოთლი რომის სა-
ყიდლად გამგზავნა. რომი რომ მოვიტანე, სტუმარმა სასმისები
შეავსო და მამისა და დედინაცვლის სადღეგრძელო შესვა, ორივეს
ბედნიერება უსურვა. მათი სადღეგრძელოები მე სრულებითაც არ
მაინტერესებდა. ჰოდა, ის იყო წასასვლელად მოვემზადე, რომ მა-
მამ შემაჩერა.

— ჯიმ, აქ მოდი, — მითხრა მან. — ხედავ, სკამზე ვინა ზის?

— რა თქმა უნდა, ვხედავ. ჩემი დედინაცვალი მისის ბერკი, —
მივუხე მე.

— დედინაცვლის დაძახება არ გაბედო. ის შენი დედინაცვალი-
არ არის! — დამიყვირა მამამ.

— მაშ ვინ არის!

— ვინა და, შენი დედა. ჰოდა, ასეც უნდა დაუძახო! მშობელ
დედასავით უნდა გიყვარდეს. მიდი და ახლავე აყოცე.

მამის სიტყვებში მაინცდამაინც სამწუხარო არაფერი არ იყო,
მაგრამ ეს რომ მითხრა, მწარედ ავტირდი.

— ერთი ჰკითხეთ ამ საძაგელს, რას იწირპლებათ? — იყვირა მა-
მამ.

— თავი დაანებე, ჩემო კარგო, ძალიან ჯიუტი ბიჭია... თუმცა
შენც კარგად იცი, რა უვარგისია!

მე უფრო მწარედ ავტირდი, რადგან განსვენებული დედა ძა-
ლიან მიყვარდა და გული მტკიოდა, რომ ამ საზიზღარი ცბიერი
ქალისათვის დედა უნდა დამეძახნა.

მამა გაბრაზდა და მაგიდაზე მუშტი დაჰკრა.

— კმარა, ამ პატარა ბიჭს თავი დაანებეთ, — თქვა სტუმარმა. —
რამდენი წლისაა, ჯეიმს? — ჰკითხა მან მამას.

— მეშვიდე წელშია.

— ჰოო, მაშ ლუქმაპურის შოვნას მალე თვითონვე შეძლებს.

— ეჰ, როგორ არა! რა ხანია, დრო არის! შეხედეთ, რამოდენა
ბიჭია! დროა, ფული იშოვოს. უსაქმურობა ეყოფა. — აყბედდა დე-
დინაცვალი.

— რატომ, ბიჭი არც ისე უსაქმოდაა, — უკმაყოფილოდ თქვა მამამ. — მთელი დღე პოლის უელის.

— ვითომ ეგეც საქმეა! ზის თავისთვის, ხელში მშვენიერი ბაღლი უჭირავს, ან სულაც სადმე მიაგდებს და ბავშვებთან თამაშობს.

— მე კი ერთ რამეს გეტყვით, — ბავშვის მოვლაზე ძნელი საქმე არ მეგულებათ! — მტკიცედ თქვა სტუმარმა. — ამ მშვენიერი საქმის გაკეთებას მეც მაიძულებდნენ, მაგრამ პირველი შესაძლებლობისთანავე მივატოვე, თუმცა ამის შემდეგ, უბრალოდ, ყეფა დავიწყე.

ეს რომ თქვა, კეთილმა სტუმარმა ხელში პენი ჩამიდო. ძალიან მეჩქარებოდა, მალე გავპარულიყავი და ამ ფულით რაიმე მეყიდა. უფროსების ლაპარაკს ყურს აღარ ვუგდებდი. მხოლოდ ის ააღგაზრდა კაცი, ყეფა დავიწყეო, რომ თქვა, გონებაში ჩასრჩა. ბავშვის მოვლას ძალღივით ყეფა მერჩინა. მაგრამ ჩემი ყეფა ვის რაში სჭირდებოდა? ზოგჯერ მინახავს, მწყემსი ჭარას მიერეკება. ბიჭები ცხვრის მოვროვებაში შევლიან, თან ყეფენ და ძაღლებივით წკმუიან. მაგრამ ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი საქმისათვის ფულს იძლეოდნენ. ნეტავ მეცხვარეს ყეფისთვის ბიჭების დაჭირავენა რად სჭირდება? ნამდვილი ძაღლის შენახვა უფრო იაფი არა ღირს? — ვფიქრობდი გულში. მერე, სტუმარმა რომ თქვა; ყეფა ბავშვის მოვლაზე უკეთესიაო, მან კიდევ არ იცის, რა ცუდად ვცხოვრობ, რა ცოტას ზრუნავს ჩემზე მამა და როგორ მტანჯავს ბოროტი დედინაცვალი მას ბავშვის მოვლა თურმე არ სიამოვნებდა, ჩემთვის კი ნამდვილი წამებაა.

II

ახალი გასაქირი. — გაქცევა

პატარა პოლი ღამითაც არ მასვენებდა. საღამოთი პოლის ჩემს ლოგინში აღრიხანად აძინებდნენ და დასაძინებლად რომ ვწევებოდი, ვცდილობდი, არ გამეღვიძებინა. თუ მოვახერხებდი, მაშინ შეშვებოდა სამი-ოთხი საათი მშვიდად მძინებოდა. მაგრამ ღამის ორი საათისათვის გოგონა იღვიძებდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰყვიროდა. აუცილებლად საკმელი ან რაიმე დასალევი უნდა მიმეცა, ისე ვერაფრით ვერ დააწყნარებდი. ამიტომ საწოლთან მუდამ კარაქიან პურს დებდნენ და რძით სავსე დოქს შეშოლგამდნენ ხოლმე. ვიდრე საკმელი ჰქონდა, გოგონა ჩუმად იყო, მაგ-

რამ ღამით განსაკუთრებული ქამის მაღა ეძლეოდა, მთელ მარაგს ერთბაშად ანადგურებდა და მერე ისევ გაჰყვიროდა. არავითარი მოფერება, სიმღერა და დაყვავება მასზე არ ჰქრიდა.

— დედა! დედა! დედა! — ისე ღრიალებდა, რომ მისი ხმა ქუჩის ბოლოს ისმოდა.

ოღონდ კი გამეჩუმებიან და რაღას არ ვაკეთებდი.

— პოლი, არ გინდა, ჯიმომ სასეირნოდ წაგიყვანოს? — ვეკითხებოდი მე. ზოგჯერ, განსაკუთრებით ნათელ, მთვარიან ღამეში მთანხმდებოდა: ჩვენ, რა თქმა უნდა, სასეირნოდ ვერ წავიდოდით, მაგრამ პოლი ამას ვერ ხედავდა. ორივენი ვიცმევდით, თითქოს მართლაც ქუჩაში გასასვლელად ვემზადებოდით, თავზე დედინაცვლის შლაპას ვახურაჯდი, მხრებზე ჩემს კურტაკს შემოვაცმევდი, ჩემი სასეირნო კოსტიუმი ლეიბის ქვეშ ამოდებული მამაჩემის ძველი ბეწვის ქუდი იყო. როცა ორივენი გამოვეწყობოდით, მე დედინაცვლის ხმით ვამბობდი:

— ჯიმ, შენ და პოლიმ გაისეირნეთ, შაქარყინულის ღუქანი აჩვენე!

მერე ჩემი ხმით ვუპასუხებდი:

— ჩვენც მზადა ვართ, აი, უკვე მივდივართ!

ამის შემდეგ სასეირნოდ მივდიოდით, მაგრამ კარებს ვერაფრით ვერ ვაგნებდით. მთელი ოინიც ამაში იყო. შაქარყინულის საყიდლად ქუჩაში უნდა გავსულიყავით, ჩვენ კი კარებს ვერა და ვერ ვპოულობდით. ამ შემთხვევაში ის დიდი შლაპა, პოლის თავზე რომ ეხურა, ძალიან მშველოდა. ხშირად პოლი ნახევარი საათის სეირნობის შემდეგ ჩემს ხელში იძინებდა და ლოგინზე ფრთხილად ვაწვევინდი. ზოგჯერ ისიც ხდებოდა, — და ეს ყველაზე უარესი იყო, — რომ პოლის სასეირნოდ წასვლა სულაც არ ეწადა. ტყუილად ვპირდებოდი შაქარყინულს, ძალღივითაც ტყუილად ვყეფდი, კატასავით ვკნაოდი, ინდაურებს, გოჭებსა და წიწილებს ვაჭაგრებდი. მას კი არაფრის გაგონება და არც არაფრის მოსმენა არ სურდა. „პული, პულიო“, ხმამაღლა მოითხოვდა. „პულს“ კარაქწასმულ პურს ეძახდა და ყველა ჩემს დარიგებაზე მხოლოდ ამას გაიძახოდა. ამ დროს კედლის მეორე მხრიდან კაკუნი ატყდებოდა. დედინაცვალი კედელს იატაკის საწმენდ ჯოხს უბაგუნებდა.

— შე ბოროტო, რას უშვრები საწყალ ბავშვს?

— „პულს“ მოხოვს.

1 — მერე, შე ზარმაცო, არ შეგიძლია, ადგე და მისცე?

— რა მივცე, სულ გაათავა!

— როგორ თუ სულ გაათავა, ოპ, შე მატყუარავ! გეტყობა, შენი

საზიზღარა ჩვეულება კიდევ არ მოიშალე, საბრალო ბავშვს ყველაფერი შეუხანსლე! მოთმინებიდან არ გამომიყვანო, ეხლავე გააჩუბე, თორემ მოგხვდება!

იცოდი, მართლა მომხვდებოდა, და აცრემლებული პოლის ვევედრებოდი, გაჩუბდი-მეთქი. მაგრამ ამაოდ! როგორც კი დედინაცვლის ხმა შემოესმებოდა, კიდევ უფრო ხმამალა აღრიალდებოდა. შიშისაგან აცახცახებულს მეზობელი ოთახიდან ნაბაჯების ხმა, კარის სახელურის ჭრიალი მესმოდა და აი, განრისხებული დედინაცვალი ღამის პერანგის ამარა ოთახში შემოიჭრებოდა, უსიტყვოდ მომეარდებოდა და შიშველ ტანზე უმოწყალოდ მირტყამდა. ბალიშზე თავით ისე ღონიერად მიმაკრავდა, რომ დაყვირებასაც ვერ ვახერხებდი.

მამამ არ იცოდა, რა დღეში მაგდებდა დედინაცვალი: ხმამალა ერთთავად იმას მეუბნებოდა, ბავშვის საქმელისთვის თუ კიდევ ხელი გიხლია, იცოდე, გცემო.

— ტყუილად რას ემუქრები მაგ საძაგელ ღორმუცელას, ერთი კარგად მიბეგვე, თორემ ხომ ხელავ, არაფრად აღარ გავდებს! — ყვიროდა მამა მეორე ოთახიდან.

— მალე მოთმინება აღარც მე მეყოფა მიფრთხილდი, არამზადავ! — მეუბნებოდა დედინაცვალი.

მერე თავის ოთახში ბრუნდებოდა და მამას ეუბნებოდა:

— ჯეიმს, სჯობს ცემას მოვერიდოთ, ცემით ბავშვი კარგს ვერაფერს ისწავლის.

საოცარი ამბავი იყო, ცემის მერე პოლი ბურთოვით დამრგვალდებოდა და ისე გემრიელად ჩაიძინებდა, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო. სწორედ ამიტომ ეგონა მამას, რომ თუ მოვინდომებდი, მისი გაჩუბება ყოველთვის შემეძლო. ერთხელაც იყო ვერ მოვითმინე და მამასთან დედინაცვალზე დავიჩიველ.

— სრულებით არ მეცოდები! — მიპასუხა მამამ. — შენნაირ ჩიუტ და საძაგელ ბიჭს უფრო მეტი ჭკუის სწავლება სჭირდება.

— არა, მალე ვეღარ ამიგდებს მასხრად: დიდი გავიზრდები და ვუჩვენებ სეირს! — ვთქვი მე.

მამამ შემომხედა და გაიცინა.

— დიდი რომ ვიყო, — განვაგრძობდი მისი სიცილით გამხნევებული, — ცხვირს გაუტეხავდი, ფეხებს გადავუმტვრევდი, ჭირივითა მძულს!

— გეყოფა სისულელეების როშვა, — გამაჩერა მამამ.

— სულ ერთთავად გატყუილებს. ერთი წუთიც არა მაქვს მოცლა, სულ პოლის ვეთამაშები.

— რა დიდი საქმეა ბავშვის ყურისგდება! შენოდენა ბიჭები ფულს შოულობენ!

— მამა, მეც მინდა ვიმუშაო.

— მუშაობა გინდა? სამუშაოს მოძებნა უნდა, თავისით არ მოვა! მე რომ დილის ოთხ საათზე ბაზარში მივდივარ, შენ გძინავს, შენზე უფრო პატარა ბიჭები კი ამ დროს უკვე იქ არიან. თუ გამოიმუშაებენ ორიოდ პენს, საკმელსაც ჭამენ, არადა, მშვიერები სხედან.

— მამა, მე ხომ რიგიანი არც შარვალი მაქვს, არც წინდები და არც ფეხსაცმელები. სამუშაოს საძებნელად როგორ წავიდე?

— აი, შე სულელი! ხომ არ გგონია, სამუშაოზე მორთულმა უნდა იარო? ბიჭებს, წელან რომ გელაპარაკებოდი, პერანგის გარდა, არაფერი აბადიათ, მაგრამ საქმეს სხვაზე ნაკლებ არ აკეთებენ: თევზეულს ეზიდებიან, კალათებით კარტოფილი გადააქვთ, საქონლით დატვირთულ ნაგებსა და საზიდრებს სდარაჯობენ. შენ კი სამუშაოზე ქათქათა გულისპირითა და ლაიკის ხელთათმანებით გინდა წახვიდე? კარგი ვინმე ხარ!

მამამ ზიზღით შემაქცია ზურგი და გამშორდა.

დედინაცვალი, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ცუდად მექცეოდა. ჩემი მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაუარესდა, რაც მამამ იგი ერთხელ მთვრალი ნახა და სცემა. ვინ იცის, რამდენჯერ მშვიერი დავრჩებოდი, მოხუც მრეცხავს, მისის უინკშიპს რომ არ შევბრალებოდი. მისის უინკშიპი დიდი ხანია იცნობდა დედას და მას ყოველთვის კარგად იგონებდა. „იგი მამაშენისათვის ზედმეტად კარგი იყო, მამაშენი კი ამ გაიძვერა, ბოროტი ქალისთვისაა ზედმეტად კარგიო“, — მეტყოდა ხოლმე. ჩემს ყველა გულისტკივილს მისის უინკშიპს ვუზიარებდი. ის სამზარეულოში დამიძახებდა ხოლმე და თავისი სადილის ნარჩენებს მაჭმევდა. ზოგჯერ მოვიდოდა, პოლის გამომართმევდა და ერთი-ორი საათით ბიჭებთან სათამაშოდ მიშვებდა. მისის უინკშიპს ვკითხე, „მყეფავი“ რას ნიშნავს-მეთქი. მან ავიხსნა, ასე პატარა ბიჭებს ეძახიან, მათ დამტარებელი ქირაობს, რათა ტვირთიანი ურიკა აზიდვინოს და ყურადღებით იყოს, ვიდრე მეპატრონე საქონელს ყიდულობს, ამას გარდა, მუშტარიც მიიზიდოს.

— თუ გახსოვთ, ყველაზე პატარა „მყეფავი“ რა ხნისა იქნებოდა? — დავინტერესდი მე.

— მე რომ მინახავს, ისინი მხრებამდე თუ მოგწვდებოდნენ. თუმცა სიმალღეს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, მუსიკალური ხმა გქონდეს.

მისის უინკშიპი დიდხანს მიხსნიდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გამყიდველისათვის საქონლის მაღალი, სასიამოვნო ხმით შექების უნარს. იგი მიხსნიდა, რომ ყველა საქონელს სხვადასხვა ზმით სჭირდებოდა შექება. მენახშირეები ასე გაჰყვირიან, რძის გამყიდველები კი ასეო.

ამის შემდეგ სულ იმის ფიქრი მაწამებდა, მქონდა თუ არა მუსიკალური ხმა. ჩემი დედინაცვალი კარგ მომღერლად ითვლებოდა. მე მისგან რამდენიმე სიმღერა ვისწავლე და, ჩემი აზრით, ცუდადაც არ ვმღეროდი. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ჩემი ხმა სასიმღეროდ კარგი იყო, თევზის ან რომელიმე ხილეულის სახელის დასაძახებლად კი არ გამომდგარიყო. რაღაც არ უნდა დამჯდომოდა, დედინაცვლის მუშტებისაგან თავი უნდა დამეღწია. მე კი „ყეფის“ გარდა სხვა ვერაფერი მომეფიქრებინა. რამდენიმეჯერ ვცადე დაჰყვირა ხან ერთი და ხან მეორე დამტარებლის მსგავსად, მაგრამ შინც ვერ მივხვდი, კარგად ვევიროდი თუ ცუდად.

ერთხელ, კიბეზე რომ ვიჯექი და ხელში პატარა პოლი მექირა, ფიქრებში წავედი. უცაბედად ბავშვი ხელიდან გამივარდა და საფეხურებზე დაგორდა. მისის ბერკს ბავშვის წივილი რომ შემოესმა, ელვის სისწრაფით მომვარდა. ჩემს თავის მართლებას ყუროც არ უგდო, ძირს დაგდებული ბავშვიც კი არ აიყვანა, თმებში შწვდა და თავი კედელზე მიმანარცხებინა. უნდოდა ყურში მწვდომოდა, მაგრამ მე უცაბედად დავუსხლტი და ყურის ნაცვლად ფრჩხილებით ლოყა დამაკაწრა. შემდეგ მუშტებით დამიწყო ცემა. ჩემი ცხვირი თითებს შუა მოიმწყვდია და მომიჭირა. სიმწრისაგან კინალამ გავეციდი. გაგიყებას ალბათ მართლაც ცოტა მაკლდა, რადგან ვეცი, მისი ცერა თითი კბილებშუა მოვიგდე და ვუკბინე. დედინაცვალმა სიმწრისაგან ერთი კი შეჰყვირა და ხელი მიშვა. ამით ვისარგებლე, დავუსხლტი და ჩვენს მოსახვევში რაც ძალი და ღონე მქონდა მოვეკურცხლე.

III

სალამო სმიტფილდის ბაზარზე. სერიოზული საფრთხე მემუქრება

არ ვიცი, მომდევნა თუ არა მისის ბერკი, ჩვენს შესახვევში ისე გაერბოდი, უკან ერთხელაც არ მომიხედავს. მრეცხავმა მისის უინკშიპმა დამინახა, შეშინებულ სახეზე შემატყო, რომ დიდ საფრთხეს გავურბოდი, და დამიყვირა:

— ჩქარა, ჯიმ, გაიქეცი, არ დაგეწიონ!

ჩვენი შესახვევიდან ტერნზილის ქუჩაზე გავედი და სმიტფილდის ბაზრისკენ მოვეკურცხლე. ვიცოდი, მისის ბერკი გაშლილ ადგილას უფრო ადვილად დამეწეოდა, ბაზრის ვიწრო გასასვლელებსა და კუთხე-კუნჭულებში კი ძნელად მიპოვიდა.

იმ დღეს ბაზრობა არ იყო და მოედანზე კაცი არ ჰქაპანებდა. ამ ადგილებს კარგად ვიცნობდი. მე და ჩემი ამხანაგები აქ ხშირად სათამაშოდ დავდიოდით. მომაგონდა, ბიჭებს „ლორების რიგისკენ“ სიარული არ უყვარდათ და სწორედ იქითკენ წავედი. ყველაზე მაღალ დახლზე ავძვერი და ირგვლივ მიმოვიხედე. მისის ბერკი არ ჩანდა. ბევრი სირბილისაგან სული მეხუთებოდა. ტკივილისა და ბოლმისაგან ვტიროდი. ჩემი ცრემლები მისის ბერკის ფრჩხილებით დაკაწრულ ლოყებზე გამონაყონ სისხლს ერთვოდა. თმააბურღნილს, უქუდოს, შიშველი ფეხებზე ტალახით მქონდა მოსერილი, ტანზე დაძენილი, საკერებლებით აჭრელებული კურტაკი მეცვაო, ასეთი ვიჭექი დახლზე მაიხის იმ თბილ საღამოს.

ნახევარ საათს მხოლოდ იმახ ვფიქრობდი. ემანდ მისის ბერკე სადმე კუთხეში არ იყოს მიმალული და უცებ არ მომგვარდეს მეთქი. გაფაციცებული აქეთ-იქით ვიყურებოდი და უმნიშვნელო ფაჩუნებდაც სმენად ვიყავი გადაქცეული. დრო გადიოდა, მაგრამ მტერი არსად ჩანდა. თანდათან დავმშვიდდი. ეკლესიის ზარმა ოთხი საათისა დარეკა. მაშინდა გამოვერკვიე და სერიოზულად ჩავფიქრდი: რა მექნა, შინ დაბრუნებულაყავი? არა, ეს შეუძლებელი იყო! დედინაცვალი ცემით მომქლავედა. ახლა შეეძლოსე მომქცეოდა, როგორც მოესურვებოდა. მამას ნაკბენ თოთს უჩვენებდა და ისიც ეტყოდა: ახია მაგაზე, ეგრე მოუხდებარო. მერით ვიმართლებდი თავს? ხომ მართლა ვუკბინე, საძაგლად მოვიქეცი! ბავშვიც დამივიარდა. ნაბრძანები კი მქონდა, წყნარად ვმჯდარიყავი და ბავშვი ხელში ფრთხილად მქეროდა. საწყალი პოლიცენის იცის, როგორ ძალიან დაშავდა! ისეთი წიოკობით დაგორდა, ალბათ ძვალიც არ შერჩენია მთელი. ამიტომაც არ დამედევნა დედინაცვალი. არა, შინ დაბრუნებაზე ფიქრი ზედმეტი იყო.

მაშ, სად წავსულიყავი? ამასობაში დაბინდდა კიდევ. ქუჩებში ფარნები აანთეს. ლორების რიგში ჯდომა ძალიან არასასიამოვნო იყო. სხვა რიგში გადავინაცვლე და ისევ ჩავფიქრდი, მინდობარაიმე მომეფიქრებინა. უკვე ბნელდებოდა. შიმშილიც სულ უფრო მეტად მაწუხებდა. ვფიქრობდი: რა მოხდება, შინ რომ დაგ-

ბრუნდე-მეთქი? ვიგონებდი ყველაზე უმკაცრეს დასჯას, რაც დედინაცვლისგან მიგემნია. ვცდილობდი, წარმომედგინა, ამგვარ დასჯას თუ გავუძლებდი. მოულოდნელად ვილაც შემეხო ხელზე! რომ ავიხედე, ჩემ წინ უცნობი კაცი იდგა, ხელში ორი პენსი ეჭირა.

— აჰა, თხუპნია, გამომართვი და პური იყიდე! — მითხრა მან თანავგრძნობით.

ვიდრე გონს მოვიდოდი, გამკლელი სიბნელეში გაუჩინარდა, მადლობაც არ მითქვამს, არ ვიცოდი, ამ ფულის მიღება გამხარებოდა თუ არა. რატომ უბრალოდ არ მითხრა: „აი შენ, ორი პენსიო!“ თხუპნიას სხვებიც მეძახდნენ, მაგრამ არასდროს არ მწყინდა. რატომ მითხრა, პური იყიდეო, თითქოს მე მათხოვარი ვიყო! საკუთარი თავის ღირსება რომ დამეცვა, ხმამალა რიხიანად გავძახე იმ მხარეს, საითაც ჩემი გულშემატკივარი გაუჩინარდა:

— სულაც არ მინდა პური! რაც მომესურვება, იმას ვიყიდი!

მტკიცედ გადავწყვიტე, იმ კაცის ჯიბრზე სხვაგვარად მოვქცეულიყავი. განგებ გვერდს ვუვლიდი სანთუნთუშეებს და მხოლოდ ტბილეულობაზე ვფიქრობდი. ამასობაში ერთ პატარა ღუქანს მივაღდექი, სადაც მურაბა იყიდებოდა. ყველა ქილას ფასის აღმნიშვნელი წარწერა ჰქონდა. განსაკუთრებით ნერწყვი ქლიავის მურაბის ქილის დანახვაზე მომივიდა. ქილაზე ეწერა: „ერთი ფუნტი-თვრამეტი პენსი“. თითებზე თვლას მოვეყევი და გამოვიანგარიშე, რომ ორი უნცია მურაბა ორი პენსი და ერთი ფარტინგი ეღირებოდა. მართალია, ერთი ფარტინგი არ მყოფნიდა, მაგრამ არა უშავდა რა, უბრალოდ, ორი პენსის მურაბას ვთხოვდი. ორი პენსი კარგი ფული იყო, ნახევარ პენსზე უფრო მეტი.

— თუ შეიძლება, ორი პენსის ქლიავის მურაბა მომეცით! — გავიმეორე ჩემთვის და ღუქნის კარებიზაყენ მტკიცე ნაბიჯებით გავწიე. ის იყო ზღურბლს გადავაბიჯე, რომ ვილაცამ ისეთი სილა მტკიცა, უნებლიეთ დაეზარბაცდი.

— დაიკარგე აქედან! — დამიყვირა ღუქნის პატრონმა დედაბერმა. — აგერ უკვე ათი წუთია გითვალთვალე, შე საძაგელო ქურდბაცაცავ, შენა!

ამ სიტყვებით მან კარები მომიჯახუნა.

საშინლად მეწყინა. მრცხვენია კიდევ ამას რომ ვიგონებ, ქუჩაში ქვებს დაფუწყე ძებნა, მინდოდა იმ საზიზლარი ღუქნისათვის ფანჯრის მინებში ჩამემსხვრია. მაგრამ სწორედ ამ დროს ისეთი მადისაღმძვრელი სუნი მეცა, რომ ჩემი გულისწყრომა მაშინვე გაქრა.

ეს საამური სუნი სასაუზმიდან გამოდიოდა. ალბათ ის-ის იყო ღუმელიდან მწვანე ბარდის პულინგი და ქონიანი ღვეზელი გამოიღეს. რა ცუდ დღეში ჩავვარდებოდი, ჩემი ორი პენსი იმ ერთი ბეწო მურაბაში რომ დამეხარჯა! ერთი წუთითაც არ შევყოყმანებულვარ, სასაუზმეში შევედი და ვახშამი გამოვართვი: ერთი ქონის ღვეზელი, ნახევარი პენსის ბარდის პულინგი და შემწვარი კარტოფილი. მინდოდა ჩემს ვახშამს მაშინვე შევდგომოდი, მაგრამ გამიგონია, ქვეყნად ბევრი ბოროტი ადამიანი ცხოვრობს, ისინი უმწეო ბავშვებს უთვალთვალებენ და ძარცვავენო. ამიტომ ვახშამი კომბოსტოს ფოთოლში გავახვიე, კურტაქის ილიაში ამოვიდე და ისევ ღორების რიგში დავბრუნდი. ერთი ნამცეციც არ დამრჩენია, ისე გემრიელად შევჭამე.

მადლარი ვიყავი-ქეთქი, ვერ ვიტყვი, ამაზე სამჯერ მეტსაც შევჭამდი, მაგრამ ვახშამმა შიმშილი ცოტათი მაინც დამიოკა. ფიქრმა ისევ პატარა პოლისთან წამიღო. ნეტავ ახლა როგორ არის? თუმცა ლაპარაკი არ იცოდა, მაგრამ ვგრძნობდი, როცა ვტიროდი, ძალიან წუხდა. თუ მისის ბერკი მცემდა, პოლი თავის პაწაწინა ხელებს ყელზე შემომხვევდა და ნაზად მკოცნიდა.

ისეთი დარდი შემომაწვა, გადავწყვიტე, შინ წავსულიყავი ან ჩვენი შესახვევის ახლოს მანამდე მებოროილა, ვიდრე რომელიმე მეზობელი ჩვენი სახლის ამბებს მეტყუოდა.

უკვე ბნელოდა და სმიტფილდის ბაზრისკენ მიმავალ გზაზე თანდათან უფრო ნაკლები მგზავრები მხედებოდნენ. ძალიან ფრთხილად მივდიოდი, აქეთ-იქით ვიყურებოდი და როცა მამაჩემის ან მისის ბერკის მსგავს ვინმეს დავინახავდი, კიშკარს ავეკვრებოდი. მაგრამ ჩემი შიში ზედმეტი გამოდგა და ტერნმლის ქუჩის ნახევარი უვნებლად გავიარე. უცებ ჩვენი შესახვევიდან ოცი საუენის მანძილზე ერთ ჩემს მეგობარს, ჩემზე სამი თუ ოთხი წლით უფროს ბიჭს ჯერი პეიას შევეჩხე. თუმცა, მე კი არა, თვითონ შემეჩხა. მან ქუჩა პირდაპირ გადმოჭრა და ორივე ხელით ისე ჩამბლუჯა, თითქოს ჩემმა ნახვამ ძალიან გაახარა.

— ჯიმ! მეგობარო! საით გაგიწევია? — შეჰყვირა მან.

— თვითონაც არ ვიცი, ჯერი. მინდოდა შინ მავსულიყავი და მენახა.

— როგორ, შინ არ ყოფილხარ? დილიდან რაც გაიქეცი, მას შემდეგ არ ყოფილხარ?

— პო, მთელი დღე ქუჩაში გავატარე. ჩვენთან რა ხდება, ჯერი, სადილობის შემდეგ პატარა პოლისთვის თვალი ხომ არ მოგიკრავს? ბეიპი პასუხს აყოვნებდა.

— მაშ, თუ მართლა არ ყოფილხარ შინ, ახლავე წადი! — მით-

ხრა მან, საყულოში ხელი ჩამავლო და ჩვენი შესასვევისაკენ მი-
ბიძგა. — წამოდი, წავიდეთ!

ჯერის საქციელმა დამაეჭვა.

— როცა მინდა, შინ მაშინ წავალ, ჩემს წაყვანას არაფერს გკითხ-
ავს. — ვთქვი მე და ქვაფენილზე ჩამოვჯექი.

— მე შენ მიმყავხარ? მოიგონა, რაღა! მაინც თქვი, რატომ უნ-
და მიმყავდე! შენ თვითონ არა თქვი, შინ მივდივარო! ღირსი ხარ,
რომ ვინმემ გაგიწიოს სამსახური!

— რა სამსახურზე მელაპარაკები, ჯერი?

— რაზე და, ძალიან ჩვეულებრივზე! იქ. ჩვენთან, შესახვევში,
ყველანი ტირიან! მამაშენიც, შენი დედინაცვალიც და პატარა პო-
ლიც, იმათი საცოდობით აღარა ვართ! უშენოდ ვახშმადაც არ
სხდებიან. მერედა, ვახშმად რა აქვთ, არ იკითხავ? უზარმაზარი
ხორცის პუდინგი თავის კარტოფილებიანად. ვიფიქრე, ესენი აქ
თავეებს იხოცავენ, საყვარელ ჯიშს ელიან, ჯიში კი ქუჩა-ქუჩა და-
წანწალებს და შინ მისვლისა ეშინია, წავალ და ვეტყვი, საშიში
არაფერია-მეთქი. და აი, წამოვედი. შენ კი ქვაფენილზე გორაობ
და გგონია, რომ გატყუე!

ჯერის სახეში ჯიქურ შევხედე. გაზის ფარნის შუქზე მისი სახე
ისეთი პატიოსანი მეჩვენა, რომ მეტად აღარ დავეჭვებულვარ.
თუმცა, რაც თქვა, თითქმის დაუჯერებელი ამბავი იყო. ყველანი
ჩემზე ტირიან? სიყვარულით მიგონებენ? ხორცის პუდინგიც ჩემი
გულისათვის ცივდება? სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. თვალეზე
ცრემლებიც კი მომადგა.

— მართალს ამბობ, ჯერი? — შეეყვირე და წამოვხტი. — დარ-
წმუნებული ხარ, რომ მართალს მეუბნები? თორემ, ხომ იცი, რა
დღეც დამადგება, როგორ მცემს და თმებით მათრევს დედინაც-
ვალი.

— ტყუილს რატომ უნდა გეუბნებოდე? ყველანი ისე ზმუიან,
თითქოს მთელ სახლს ცეცხლი ედებოდეს. მამაშენი ხომ ყველაზე
მეტს მოთქვამს! თუ ჩემი არა გჯერა, წამო, ჩვენს შესახვევთან და-
დექი: მამაშენის ხმა უინკშიპის სახლამდე აღწევს. დარდისაგან ლა-
მის თავი ჩამოიხრჩოს!

— პოლი? პოლი როგორღა არის? არაფერი დაშავებია? კიბეზე
რომ დაგორდა, რამე ზომ არ მოსტეხია? ცხვირიდან სისხლი ხომ
არ წავარდა, ან თავზე კოპი ხომ არ აზის?

— აი, თურმე რისა გშინებია! — მხიარულად თქვა ჯერი. —
დამშვიდდი, სავსებით ჩანმრთელადაა. ხელში რომ აიყვანეს, გიყი-
ვით იცინოდა. დასტაცეს ხელი და ექიმთან გააქანეს...

— როგორი ექიმთან რაღაზე წაიყვანეს, ჯერი? განა შენ თვითონ არა თქვი, არაფერი დაშავებიაო?!

— ნუთუ ისა ვთქვი, ექიმთან წაიყვანეს-მეთქი? — ჩაილაპარაკა ჯერიმ და დაბნეული იქით მიბრუნდა.

— ჰო, პეიპ, როგორ არა, ექიმთან წაიყვანესო, ასე მითხარი!

— მაგრამ ის ხომ არ მითქვამს, რისთვის წაიყვანეს. მე მხოლოდ იმას ვამბობდი, როცა აიყვანეს, იცინოდა-მეთქი. ისე ძალიან იცინოდა, რომ შეშინდნენ კიდეცა, ავად ხომ არ არისო, და ექიმთან წაიყვანეს.

ამგვარი განმარტებით გულდაარხენიებულმა ჩვენი შესახვევისაკენ მხიარული ხტუნვა-ხტუნვით გაეწიე. ჯერიც მასლაათით გვერდით მომყვებოდა. შესახვევამდე რამდენიმე ნაბიჯი გვექონდა დარჩენილი, რომ უცებ ჩვენკენ ერთმა ბიჭმა ისკუპა (იმასთან ერთად რამდენიმეჯერ მეც მითამაშია) და ხელი მტაცა.

— დავიჭირეთ! დავიჭირეთ! — შეჰყვირა მან. — შუაზე გავიყოფთ, არა, ჯერი? თქვი, ხომ შუაზე გავიყოფთ?

— არაფერიც! — დაუყვირა ჯერიმ და იმან მეორე მკლავზე მტაცა ხელი. — არაფერსაც არ გაგიყოფ! რაც მამამისი შინ მოვიდა, მას შემდეგ ამას დაედევ! პირველად მე დავიჭირე!

— მე გეუბნები, შუაზე-მეთქი! — თქვა მეორე ბიჭმა და ხელი წინანდელზე მეტად მომიჭირა: — მას მერე, რაც თქვენ ერთმანეთს შეხვდით, გითვალთვალებთ, უჩემოდ სახლამდე მაინც ვერ მიიყვანდი. გეყოფა სისულელები, წაიყვანოთ!

— თავიდან მომწყდი! ხომ გაიგე, რა თქვა ჯერის ბალიხეტმა? ვინც პირველად დაიჭერს და შინ მოიყვანს, შილინგს მიეცემო, მეორეზე კი მას არაფერი უთქვამს!

— აბა, ბევრს ნუ ლაპარაკობ! — უთხრა მეორე ბიჭმა. იგი ჯერიზე ღონიერი ჩანდა.

— წამოდი, რაღა, წამოდი! — ახლა მე მომმართა. — შენთან კი არაფერი მაქვს გასაყოფი. როგორც კი ხელში ჩაუვარდები, მამაშენი ცემით სიკვდილის პირზე მიგიყვანს.

შისისაგან აღარაფერი მახსოვდა, ხელიდან დავუსხლტი და ქვაფენილზე დავეცი, თან რაც ძალი და ღონე მქონდა, გავყვიროდი, მოვკვდები და ჩვენი შესახვევისკენ ნაბიჯს არ გადავდგამ-მეთქი. მართალია, ფეხზე არაფერი მეცვა და წიხლებსაც ისე ღონიერად ვერ ვუტრყამდი, მაგრამ მტრებს მაინც მარჯვედ ვიგერიებდი.

ორივენი სასოწარკვეთილებაში ჩაცვივდნენ, სულმდაბალი მოლაღატე ჯერი ბოლმისაგან გამწყვანდა. მას ყველანი მშიშარად იცნობდნენ. მაგრამ ახლა ერთბაშად გამბედაობა მიეცა, მოწინააღ-

მდეგეს მიუბრუნდა და მთელი ძალით მუშტი სახეში ჩასცხო. დარტყმისაგან გაბრუებული ბიჭი ერთხანს გაუნძრევლად იდგა და დაჟინებით მისჩერებოდა ჭერის, თან დაეყვილ ცხვირზე ხელს ის-ვამდა. უცებ ერთი ნახტომით ჭერისთან გაჩნდა, მიწაზე გააგორა და მუშტები დაუშინა.

ჩემი მტერი ამგვარ უბედურებაში ჩავარდნილი რომ ვნახე, ისე ძალიან მესიამოვნა, რომ შოსალოდნელი საფრთხეც დამავიწყდა და რამდენიმე წუთს ამ სცენის ცქერით ეტკებოდი. უცებ გონს მოვეგე: ვიდრე ესენი ჩხუბობენ, თავს უნდა ეუშველო-მეთქი. იმწამსვე ფეხზე წამოვხტი და ვიდრე ჩემი მოწინააღმდეგეები შუა ქუჩაში ტალახში გორაობდნენ, მე ელვისებური სისწრაფით მოვწყდი იმ ადგილს.

IV

„უეფას“ ვსწავლობ. — ახალი ნაცნობები

ისევ იქითკენ გავიქეცი, საიდანაც მოვედი, და ისევ სმიტფილდის ბაზრის იმ ნაწილში ამოვყავი თავი, სადაც თითქმის მთელი დღე გაეატარე. არავინ არ მომდევდა, ბაზარშიც უფრო მეტი სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა, ვიდრე ამ ნახევარი საათის წინ. ახლა უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ შინ დაბრუნება სისულელე იყო. ჭერი პეიპისა და მისი ამხანაგის ლაპარაკის შემდეგ ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ მამაჩემიცა და დედინაცვალიც საშინლად განრისხებულნი იყვნენ. მამას ჩემი დასჯა იმდენად ეჩქარებოდა, რომ ვინც შემიაპრობდა, მთელ შილინგს ჰპირდებოდა, მისთვის ეს დიდი ფული იყო. ერთი შილინგით სამ კათხა ლუდს იყიდდა. არ დაებრუნებულეყავი და, რა უნდა მექნა, ღამე სად გამეთენებინა?

აქამდე საწოლზე ვიძინებდი. კარგი იყო თუ ცუდი, მაინც საწოლი იყო. ახლა კი... ნუთუ აქ უნდა გამეთენებინა ღამე? თუმცაღა რა უშავდა? კარგად ნაეახშმევი ვიყავი, ღამითაც ჭერ ძალიან არა ციოდა. ერთი ღამის გათენება შეიძლებოდა. საღმე კუთხეში მოვიკუნტებოდი და დავიძინებდი. გათენებითაც მალე გათენდებოდა, და მერე...

მერე... ჰო, მერე რას ვიზამდი? ვიდრე დავიძინებდი, უნდა მომეფიქრებინა, რა სამუშაოსათვის მომეკიდა ხელი და დილიდანვე

ჩემი საქმის ძებნა დამეწყო. მაინც რა სამუშაოს უნდა შევდგომა-
დი? რა თქმა უნდა, „ყეფას“. ვიფიქრე, ხეალ ბაზარში გავალ, რო-
მელიმე კეთილ დამტარებელს შევარჩევ და ჩემს სამსახურს შევ-
თავაზებ-მეთქი. მაგრამ ვაითუ საკმარისად რიხიანი ხმა არ აღმომა-
ჩნდა? უნდა ახლავე მოვსინჯო!

ჯერ კიდევ გვიან არ იყო. ათი საათი სრულდებოდა. ღორების
რიგის შუაგულში განვმარტოვდი, რომ ხმა გამეყარა? ყვაილებიდან

რომელი ყვაილი ან რა ხილი უნდა გამეყიდა? ყვაილებიდან
ალბათ უფრო ებო იქნებოდა, ასლა ამას ბევრნი ყიდულობენ.

— ებოები, ახალი, სურნელოვანი ებოები!

საკმაოდ მაღალი ხმა აღმომაჩნდა, მაგრამ ნამდვილი ყვაილების
გამყიდველივით მაინც ვერ ვიძახდი. საჭირო იყო უფრო მეტად გა-
მეგრძელებინა: „ე-ბო-ე-ბიი! აბა, კარგი ე-ბო-ე-ბიი!“.

ასე გაცილებით უკეთესი იყო. მთელი თხუთმეტი წუთი გავდი-
ოდი და გამოვდიოდი ჩაბნელებულ ღორების რიგში და ებოთა
ვეპკობდი. გონებაში წარმოდგენილ სახედარს, რომლითაც ყვაი-
ლებით დატვირთული კალათები გადაქონდა, „აეე, აეეე“ დავძა-
ხოდი, თან ყვაილების პატრონს ხურდა ფულის გამოსართმევად
მოწიწებით მივმართავდი. როცა ებოების გაყიდვაში გავიწაფე,
გადავწყვიტე, მარწყვის დაძახება შემესწავლა. ეს შედარებით ძნე-
ლი გამოდგა.

— აბა, მარწყვი! გემრიელი, ტკბილი მარწყვი! — გავყვიროდი
სხვადასხვა ხმაზე, მაგრამ, როგორც საჭირო იყო, ისე მაინც არ გა-
მოდინდა. ბოლოს, ვინ იცის, რამდენი გამეორების შემდეგ, მარ-
წყვის დაძახებაშიც საკმაოდ კარგად გავიწაფე. მოულოდნელად
საწყობის კუთხეში მიმალული ორი ბიჭი შევამჩნიე. მაშინვე ის
ვიფიქრე, ნამდვილად ჯერი პეიბი და მისი მეტოქე იქნებიან, ალბათ
ჩხუბს მორჩნენ და მოითათბირეს, ორივემ ჩემს წინააღმდეგ იმოქ-
მედოს-მეთქი. ის იყო მათკენ მოვიხედე, რომ ერთ-ერთი მათგანი
გადმოხტა და თმებში მტაცა ხელი.

— კარგი მარწყვი! გემრიელი მარწყვი! — დამიყვირა მან. მაჯავ-
რებდა და თან ყოველი სიტყვის დაძახებაზე თმით მაჯანჯლარებ-
და. — რა გაღრიალებს! როგორ ბედავ ბაზარში ასეთი ხმაურის
ატეხას, რა ზანია ლოგინში უნდა იწვე და გეძინოს.

იგი ხელის მოძრაობითა და ხმით განრისხებულ პოლიციელს ბა-
ძავდა. თუმცა თმებზე საშინლად მეწეოდა, მაგრამ როცა მისკენ
მივბრუნდი, სიხარულისაგან კინალამ შევეყვირე. ეს არც ჯერი პეიბი
იყო და არც მისი მეტოქე, ჩემს წინ სრულიად უცხო ბიჭები იდ-
გნენ! ესე იგი, შინ ძალით არავინ წამათრევდა.

— იცი, რა გითხრა, ბიჭო? — განაგრძობდა ხუმრობით ჩემი „პოლიციელი“. — ახლავე შინ წადი, თორემ პოლიციაში მიგიყვან!

— შინ თქვენ თვითონ წადით! — ვუპასუხე მე და ხელიდან გავუსხლტი. — რატომ თქვენ არ მიდიხართ შინ, მე რას გადამეკიდეთ?

— ჩვენ მივდივართ, აბა, რა! — მითხრა მეორე ბიჭმა და თან შეგობრის ეშმაკობაზე გულიანად ხარხარებდა. — თეატრში ვიყავით და ახლა შინ ვბრუნდებით.

შემდეგ თავის თანამგზავრს მიუბრუნდა:

— მართალს გვეუბნება, მოულდი, წავიდეთ, თორემ ვესტმინსტერში შუალამემდე ვერ მივალწევთ.

კოვენტგარდენის ბაზარში მამას რამდენიმეჯერ ვხვდებივარ და ვიცოდი, რომ ბაზარი შიგ ვესტმინსტერში ან სადღაც მის ახლომახლო მდებარეობდა, მაგრამ გზა არ ვიცოდი და გადავწყვიტე, ბიჭებისათვის მეკითხა.

— ვესტმინსტერის რომელ უბანში ცხოვრობთ? — ვკითხე იმ ბიჭს, ბოლოს რომ გამომელაპარაკა.

— რა თქმა უნდა, ყველაზე საუკეთესო უბანში, — მიპასუხა მან.

— კოვენტგარდენი აქვენთან ახლოსაა?

— კოვენტგარდენის თეატრი? — მკითხა მოულდომ. — მომიტევეთ და, ჩვენი ეტლით სულ ორი წუთის სავალზეა, მე და რიპსტონი მუდამ ლოჯაში ვსხდებით! ასე არ არის, რიპსტონ?

— გეყოფა ტყუილების ჩმახვა! — შეაწყვეტინა რიპსტონმა. — ის კი მართალია, რომ კოვენტგარდენის ბაზართანაც ახლოს ვართ და თეატრთანაც. ჩვენ „დელფებში“ ვცხოვრობთ. შენ, პატარა ბიჭო?

„სულ ერთი არ არის, სადღაც ვცხოვრობ? — გავიფიქრე მე. — კოვენტგარდენში ისეთსავე კარგ ღამის გასათევს ვიშოვი, როგორც სმიტფილდშია. ამ ბიჭებს რომ გავყვე, გზას მიმასწავლიან და ხვალ დილით ადგილზე ვიქნები“.

— წავიდეთ, უკვე გვიანაა, — ეთქვი მე.

— შენ საით? — გაკვირვებით მკითხა მოულდომ.

— მეც იქითა მაქვს გზა.

— როგორ, შენ „თალებში“ ცხოვრობ?

— რომელ „თალებში“, აკი თქვით, „დელფებში“?

— ჰო, „დელფებში“. „თალები“ და „დელფები“ ერთი და იგივეა.

— ოჰ, არ ვიცოდი! ან კი საიდან მეცოდინებოდა, მე იქ არასოდეს არა ვყოფილვარ.

— არასოდეს არ ყოფილხარ?! განა შენ თვითონ არა თქვი, იმ ვცხოვრობო?

— არა, მე არსად არ ვცხოვრობ, სახლი არა მაქვს.

— ეგ არაფერია! — თქვა მოუღლიმ. — სახლი ყველა ადამიანს აქვს. ადრე სად ცხოვრობდი?

— სად ვცხოვრობდი?

არ მინდოდა უცნობი ბიჭებისთვის ჩემი ამბავი დაწერილებით მომეყოლა, მაგრამ დაყინებული შეკითხვებით თავი რომ მომაბეზრეს, ველარ დავეუძალე და ეუთხარი, მე უსახლკარო მაწანწალა ვარ-მეთქი. მათთან განდობა საშიში არ უნდა ყოფილიყო, ეტყობოდა ბიჭები თვითონაც მარტონი ცხოვრობდნენ და იქნებ სამუშაოს მოძებნაში მომხმარებოდნენ.

— პირობას მაძლევთ, რომ არ გამეცემთ, თუ ყველაფერს მოგიყვებით? — ვკითხე მე.

მათ დიდის ამბით შემომფიცეს, რომ ამგვარ სიმდაბლეს ჩვეულნი არ იყვნენ.

— მაშ, მომისმინეთ. მე სახლი მქონდა, მამასთან ერთად ვცხოვრობდი და დღევანდლამდე შინ ვიძინებდი.

— ჰოდა, გამოიქეცი და აღარ აპირებ შინ დაბრუნებას, არა?

— და არც არასოდეს დავბრუნდები! არც შეიძლება ჩემი დაბრუნება! — მტკიცედ ვთქვი მე.

— გასაგებია! — მიპასუხა მოუღლიმ. — ასეთი მაინც რა აწაპნე?

— როგორ თუ რა ავწაპნე?

— ჰო, რა მოიპარე, წაგასწრეს? თუ მშრალად გამოძვეერი?!

— როგორ თუ წამასწრეს? მე არაფერი მომიპარავს, მე მხოლოდ იმიტომ გამოვიქეცი, რომ მცემდნენ.

ბიჭებმა ერთმანეთს უნდობლად გადახედეს.

— ნუთუ მხოლოდ იმიტომ გამოიქეცი, რომ გცემდნენ? — ჰკითხა რიპსტონმა.

— მხოლოდ ამიტომ! თქვენ რომ ამგვარ ცემა-ტყეპაში ყოფილიყავით, „მხოლოდ ამიტომო“ არ მკითხავდით!

— სადილსაც გაკმევდნენ და სხვა რამეებსაც?

— კი, მაკმევდნენ.

— და ნამდვილი ზეწარი, საბანი და ბალიში გქონდა?

— რა თქმა უნდა.

— შეხედეთ! კიდეც იმას ამბობს, „რა თქმა უნდაო“ — შეჰყვირა რიპსტონმა.

— შენა გგონია, დავიჯერებთ, რომ ყველაფერი გქონდა: სასმელ-საქმელიც, ლოგინიც და სახლიდან მხოლოდ იმიტომ გამოიქეცი, რომ გცემდნენ, კარგი ტყუილების გულა ბრძანებულხარ.

— ან სულ მთლად უტვინო! — დაბეჭითებით თქვა მოუღლიმ.

— თუ გინდათ, ნუ დამიჭერებთ, — ჩავილაპარაკე მე. — მე კი სრული სიმართლე გითხარით!

— ვინ იცის, შეიძლება მართალიც იყოს! — თქვა რიპსტონმა. — ქვეყანაზე ბევრი უცნაური ამბავი ხდება! ოლონდ, იი, რას გეტყვი, ბიჭო, ვინც კარგ სახლს და კარგ საკმელს მხოლოდ იმიტომ მიატოვებს, რომ სცემდნენ, იგი ღირსია, უსახლკაროდ და ულუქმპუროდ დარჩეს, ვიდრე კეუას არ ისწავლის!

— თუნდაც დილიდან დადამებამდე მცემონ, ოლონდ წესიერი საცხოვრებელი ადგილი მომცენ, — თქვა მოუღლიძე.

— რას იზამ, მოუღლიძე, ამისათვის ეს არ არის ხელსაყრელი. — სიცილით უპასუხა ამხანაგმა. — არა, მე მაინც არ მჯერა, რომ ეს ბიჭი ცემისთვის გამოიქცა სახლიდან. ალბათ ვინმე გაქურდა, ან ცეცხლი გაუჩინა და არ უნდა გამოტყდეს, ეშინია, არ გავცეთ. გასაგებიც არის: ჩვენ ხომ არ გვიცნობს!

ამგვარი საუბრით გამალებით მივიჩქაროდით. თუმცა ხშირად ვჩერდებოდით — მოუღლის სრული ფეხსაცმელი წამდაუწუმ ძვრებოდა. ისეთი ბნელი, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით მივდიოდით, რომლის მსგავსი არასოდეს მენახა. ამ ვიწრო, პირქუშ შესახვევებში სიარული დღისითაც არ იქნებოდა სასიამოვნო, ახლა კი ღამე იყო, შავი, კუნაპეტი ღამე და ვგრძნობდი, თითოეული ნაბიჯი სახლს მაშორებდა. ძალიან მწარე ცხოვრება მქონდა, მაგრამ, ჩემი თანამგზავრების თქმისა არ იყოს, სულელი ვიყავი, რომ ასეთი ცხოვრება მივატოვე. სინანული შემომაწვა და თვალები ცრემლით ამევსო. ჩვენ კი მივდიოდით და მივდიოდით. ვიდრე ბოლოს ერთ ფართო, გაზის შუქით გაჩირალდნებულ ქუჩაში არ გავედით.

V

„თ ა დ ე ბ ი“

შუკვე გვიანი იყო, თერთმეტი სრულდებოდა, მაგრამ ქუჩაში აუარება ხალხი ირეოდა. ყოველი ფეხის გადადგმაზე გვეჭახებოდნენ და წინ ძლიერდობით მივიკვლევდით გზას.

— ჩქარა ვიაროთ! — მომბრუნდა რიპსტონი. — აქედან შორს აღარ არის.

ძალიან გამიხარდა. ფართო, ნათელ ქუჩაზე რომ გავედით, 3. ჯეიმს გრინუღი

გავიფიქრე: „რა მშვენიერ ადგილას უცხოვრიათ ჩემს ძანამგზავ-
რებს, აქ შეც სიამოვნებით ვიცხოვრებდი-მეთქი“, მაგრამ მერე სა-
გოაგებელში ჩავეარდი. თქვეს, შინ, ჩვენს საცხოვრებელ ბინაში მიე-
დივართო, მე კი არავინ მეპატიებოდა. ისინი თავიანთ სახლში წეგ-
ლენ, მე კი შუა ქუჩაში დამტოვებენ. რიბსტონის სიტყვებმა:
„ჩქარა ვიაროთ, აქედან შორს აღარ არისო“, — გამააარა. ვიფიქრე,
ესე იგი, თავისთან მეპატიებთან-მეთქი.

ერთბაშად ორივე ჩემი თანამგზავრი თვალსა და ხელს შუა გა-
მიქრა. ნეტავ, სად წავიდნენ? იქნებ შეუმჩნევლად კიდევ გავუსწა-
რი? თუმცა ეს ნაკლებად დასაჯერებელი იყო, მაგრამ მაინც უკან
მივბრუნდი და ხმაშალა დავეუწყე ძახილი. არავინ მეპასუხებოდა.
ისევ წინ გავიქეცი და მთელი ძალ-ღონით დავიყვირე: „რიბსტონ!“
ხმას არავინ მკემდა.

ისევ სასოწარკვეთილებაში ჩავეარდი. იქნებ ბიჭებმა გასგებ
მიყვეს ასეთი უხეირო ოინი. ჩემთან სიარული არ უნდოდათ და შუა
ქუჩაში მიმატოვეს? იქნებ სულაც კოვენტგარდენის ძხარეს არ წა-
მიყვანეს და ამ ადგილისაგან ახლა უფრო მეტი მანძილით ვიყავი
დაშორებული, ვიდრე მათთან შეხვედრამდე? ამის გაფიქრებამ გუ-
ლი ისე დამიმძიმა, რომ დარდს ვეღარ გავუძელი, ფარნის ბოძს მი-
ვეყრდენი და ხმამალაღი ტირილი ამოვუშვი. უცებ ნაცნობი ხმა
მომესმა:

— სადა ხარ, სმიტფილდ?

მართალია, ჩემი სახელი სმიტფილდი არ იყო, მაგრამ ასე იმ
ადგილს ერქვა, სადაც პირველად ამ ბიჭებს შევხვდი და რადგანაც
მათ ჩემი ნაშდვილი სახელი არ იცოდნენ, სმიტფილდი შემარქვეს.
ეს მოუღლის ხმა იყო, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა.

— აქა ვარ! — გაუძახე მე. — თქვენ სადა ხართ?

— ჩვენც აქ ვართ. ნუთუ ვერა გვხედავ?

მე ვერავის ვერ ვხედავდი. ხმა თითქოს მიწიდან ამოდიოდა. იმ
დღუქნების გაყოლებასე, რომელთა წინაც ვიდექი, დაბალი კედელი
იყო. კედელში, ზედ მიწის პირას, რამდენიმე მრგვალი ხვრელი მო-
ჩანდა, თომელიც სადღაც სიღრმეში იკარგებოდა. ხმა იქიდან
ხოს არ ამოდიოდა?

უცაბედად ვილაყამ მკლავზე ხელი მტაცა.

— მოუღლი, ეს შენა ხარ?! — ვკითხე მე.

— რა თქმა უნდა, მე ვარ, — მოუთმენლად მიპასუხა მან. — რას
დგასარ, თუ მოდიხარ, წამოდი!

ამ სიტყვებით მოუღლიმ ერთ-ერთ იმ მრგვალ გამოჭვაპულში
შემიყვანა. სახეში ცივი, ნოტიო ჰაერი მეცა. გარშემო ისე ბნელო-

და, ორ ნაბიჯზედაც არაფერი ჩანდა. ამ საზარელ შესასვლელიდან, რომელიც ნადირის სოროსავით სიღრმეში იკარგებოდა, რამდენიმე ნაბიჯი რომ გავიარეთ, ისეთმა შიშმა ამიტანა, იძულებული გავხდით, შეეჩერებულიყავით.

— მოუღლი, თქვენ აქ ცხოვრობთ? — ვკითხე მე.

— ჰო, დაბლა, კიდევ ცოტა ქვემოთ უნდა ჩავიდეთ, რისა გეშინია, წამოდი, — მითხრა მან.

— მოუღლი, აქ ისე ბნელა...

— შენ, გეტყობა, მართლაც ბუმბულის ლეიბზე წოლას ხარ შეჩვეული. ჩვენ ასე განებივრებული როდი ვართ. წავიდეთ, თუ არადა, ხელი გამიშვი, ნუ მაჩერებ!

მე, რაც ძალი და ღონე მქონდა, მის ხელს დავებლაუქე. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავით. ალბათ იგრძნო, ხელი როგორ მიკანკალებდა.

— შენც ერთი, რა არის აქ საშიში! — თითქმის ალერსით მითხრა მან. — ჩქარა წავიდეთ, იქ ფურგონი ან ოთხთვალა და ცოტა ჩალა იქნება, დაწოლას მოვახერხებთ.

მოუღლისთან ერთად ისევე ბნელ, ნესტიან ხვრელს გავუყევი. იგი ისე ციკაბოდ ეშვებოდა ძირს და ისეთი სრიალა იყო, ალბათ ფეხსაცმელი რომ მცმოდა, ათჯერ მაინც დავეცემოდი. ვცდილობდი, თავი გამემხნევებინა და მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რა კარგი იქნება, გასასვლელის ბოლოში ის ჩალიანი ოთხთვალა დაგვხვდებოდეს და დასაძინებლად მივწვებოდეთ. მაინც როგორი კეთილი ბიჭი იყო მოუღლი, რომ ასე სტუმართმოყვრულად იქცეოდა და თავისი საწოლის მოზიარედ მხდიდა! თანდათან უფრო ქვევით და ქვევით ვეშვებოდით. სახეშიც თანდათან უფრო ცივი ქარი გვეცემდა. ბოლოს რიპსტონსაც დავეწიეთ. მან ბუზღუნის დაგვიწყო, რატომ შეგაგვიანდათ, ახლა ვერც ერთ თავისუფალ ფურგონს ვერ მივუსწრებთო.

— სად მივლივართ? — ვიკითხე გაუბედავად, — ამ გზას საით მივყავართ?

— მდინარეზე, თუ პირდაპირ ვივლით, — სიცილით მითხრა რიპსტონმა.

— რატომ აშინებ? — გულკეთილად ჩაერია მოუღლი. — ჰო, სნიტფილდ, თუ სულ პირდაპირ ვივლით, ეს გზა მდინარეზე ვაკვიყვანს, მაგრამ ჩვენ პირდაპირ არ წავალთ, გვერდით გავუხვევით.

შიშისაგან თავი არ მახსოვდა, წინ მხოლოდ იმეტომ მივდიოდი, რომ უკან დაბრუნება კიდევაც რომ მდომებოდა, იქიდან გზას ვერ გამოვიგნებდი. ირგვლივ ისევე წინანდებურად ბნელოდა. მოუღლის

ხელიხელ ჩაკიდებული მივყავდი, რიპსტონი კი უკან მოგვდევდა და რომელიღაც მხიარულ სიმღერას ღიღინებდა. გვერდზე გაუხვებით და კიბებებზე დავეშვიტ. სულ ბოლო საფეხურს რომ მივალწიეთ, მოუღლიმ თქვა:

— აი, მოვედით კიდევ! მეორე ხელში შენ მოჰკიდე ხელი, თორემ რაიმეს დაეჭახება და თავს გაიტეხს!

— სმიტფილდ, ფეხები ასწიე! — მირჩია რიპსტონმა. — თუ ვინიციობაა ფეხი თბილ, ფაფუკ რამეს დაადგი, მუფთა არ გეგონოს და ხელი არ მოჰკიდო, თორემ იცოდე, გიკბენს!

— რა მიკბენს? — ვკითხე შეშინებულმა და გულში ვინანე, ღორების რიგში რატომ არ დავრჩი-მეთქი.

— რა და, ვირთხა! — მომიგო რიპსტონმა, ეტყობოდა, ჩემი შეშინება სიამოვნებას გვრიდა. — აქ ვეებერთელა, კატისოდენა ვირთხები დარბიან.

— გეყოფა სისულელეების ლაქლაქი! — შეაწყვეტინა ამხანაგს მოუღლიმ.

საზარელ ადგილას მოვხვდით. იქაურობა ჩაბნელებული იყო აქა-იქ ქონის სანთლის ნამწვები ბეუტავდა, აგურის კედლებს ორთქლი ასდიოდა. ერთი ნამწვი კიბიდან ოცი ნაბიჯის მოშორებით, კედელთან, ძველ წატეხილ დანის პირზე დამემაგრებინათ. დანა კორპსაძრობით კედელში იყო ჩაქედილი: მისი შუქი ქუქუყიან, ტანსაცმელჩამოფლეთილ მოხუცს სცემდა. იგი წალებს აკერებდა. მოხუცი თევზის კალათის სახურავზე იჯდა. მის სამუშაო ხელსაწყოებს სასადილო ჩანგალი და კანაფის ნაგლეჯი შეადგენდა. მოხუცი ჩანგლის წვერით წალას ხვრეტდა, ტუჩებით კანაფის ბოლოს ამახვილებდა და დარღვეული წალა ნამწვის შუქთან რაც შეიძლება ახლოს მიჰქონდა, რომ უკეთესად დაენახა, სად გაეყარა კანაფი. ცხვირზე სათვალე, უფრო სწორად, სპილენძის ჩარჩო ჰქონდა ჩამოდებული, რომელსაც ერთი შუშალა შერჩენოდა. ხელები ისე უკანკალებდა, კიდევაც რომ ეპოვა ნახვრეტი, კანაფის გაყრას მაინც ვერ მოახერხებდა. ნამწვი მოხუცის გარდა ოთხთვალას წინა ნაწილსაც ანათებდა, სადაც რამდენიმე ბიჭი იჯდა და ბებერი მეწალის სანთელს ტალახის გუნდებს ესროდა. აი, ერთი გუნდა მოხუცს შუბლში მოხვდა.

— ჰა, ჰა, ჰაა! შეხედე, სმიტფილდ! — გაეცინა მოუღლის. — დიდებული ხუმრობაა, მაგ ბებერს ეგრე მოუხდება.

— ვითომ რატომ? რა დაუშავათ? — ვკითხე მე.

— ოოო, ეგ ისეთი ძუნწია! ამბობენ, ამ ლოდების ქვეშ უამრავ-

ვი ფული, ოქრო და ძვირფასი ქვები აქვს დამალულიო. ეჰ, რა კარგი იქნება, რომ ვიპოვოთ! — მითხრა მოუღლიმ.

ამ დროს ზუსტად ნასროლმა ტალახის გუნდამ მოხუცს წაღა ხელიდან გააგდებინა, როცა ის-ის იყო კანაფის გაყრა მოახერხა. ახლა ოთხით დაცოცავდა მიწაზე და დაგდებულ წაღას დაეძებდა. ოთხთვალაში მსხდომმა ბიჭებმა ხარხარი ატეხეს.

— ბალებო, გეთაყვათ, სამუშაოს დამთავრება მაცალეთ! — სთხოვდა მოხუცი. — ექვსი თუ შვიდი ამოხვევალა დამრჩა, მერე სანთელი თქვენი იყოს. გინდა ბანქო ითამაშეთ და გინდა სხვა რამე.

— მაშინ, ძია, რამე გვიმღერე და ხელსაც არ გახლებთ! — მოისმა ოთხთვალადან.

მოხუცმა აკანკალებული ხმით დაიწყო სიძლერა, თან ცდილობდა დროებითი ზავით ესარგებლა და საქმე დამთავრებინა. როცა პირველი სტროფი შეასრულა და მისამღერზე მივიდა, ბიჭებიც აპყენენ. სწორედ ამ დროს მარჯვედ ნასროლმა ტალახის გუნდამ მოხუცს სათვალის ის ერთი შუშაც ამოუგლისა. მერე მეორე გუნდამ სანთელი ჩააქრო და ძირს ჩამოაგდო. ოთხთვალაში წინანდელზე ხმამალალი ხარხარი ატყდა.

— წაივდეთ, — მითხრა მოუღლიმ. — აქ არაფერი გვესაქმება. ჩვენი ოთხთვალა სულ ბოლოშია.

მოუღლის მაგრად ჩავკიდე ხელი და უკან გავყევი. ეტყობოდათ, ორიენი ამ ადგილებში სიარულს შეჩვეულნი იყვნენ, ადვილად მიიკვლევდნენ გზას. მე კი სულ ერთთავად ოთხთვალეებს ვეჯახებოდა, რადგან სიბნელეში კარგად ვერ ვხედავდი. იქაურობას ცოტაოდენ მხოლოდ საწყალი მოხუცის სანთელი ანათებდა. დანარჩენ ნამწვებს კი პატარა თუ მოზრდილი ბიჭები ჭკროდ წემოხვეოდნენ და ნოტიო მიწაზე თუ ჩალაბულაზე მიმსხდარნი ბანქოს თამაშობდნენ, ჩიბუხს აბოლებდნენ და უწმაწური სიტყვებით ილანძლებოდნენ.

ბოლოს გავჩერდი.

— სმიტფილდ, აი, ეს არის ჩვენი ფურგონი! — მითხრა მოუღლიმ.

თუმცა ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ შესმოდა, მოუღლი თვლების მანებზე რომ მიძვრებოდა.

— აბა, როგორია მანდ? — ჰკითხა რიპსტონმა.

— მშვენიერია! — გადმოსძახა მოუღლიმ ფურგონიდან...

— მაშ, აძვერი, — მითხრა რიპსტონმა. — ბორბალზე ფეხი დადგი და მე შეგსვამ.

მან მართლაც ისე ღონივრად ამსვა, რომ თავი ველარ შევიმაგრე და ფურგონის ძარაზე დავეცი.

— შენა თქვი, მშვენიერიო, აქ კი ჩალა არ ყოფილა! — აბუზღუნდა რიპსტონი, როცა ფურგონზე ისიც ამოძვრა.

— ერთი ღერიც არ არის! — დაუმოწმა მოუღლიმ.

— ასეც ვიცოდი, — განაგრძობდა ბუზღუნს რიპსტონი. — როგორც კი თვალზე ფეხი შემოვდგი, მაშინვე მივხვდი, რომ ღღეს ამ ფურგონით ნახშირს ეზიდებოდნენ.

— შენც ამდგარიყავი და მზიდავისთვის მიგეწერა: ნახშირის გადაზიდვას თავი დაანებე, ავეჯის გადატანას მოჰკიდე ხელი და ყოველ საღამოს ერთი ილღია ჩალა დაგვიტოვე, თორემ აქედან გადავსახლდებით-თქო.

— ეგ კიდევ არაფერი, ჩალა რომ არ არის, — ჩაილაპარაკა რიპსტონმა, — მთავარი უბედურება ისაა, რომ ეს წყეული ნახშირის მტვერი სულ ერთთავად ცხვირსა და პირში ჩამდის.

— აბა, სმიტფილდ, როგორ მოგწონს აქაურობა?

— ჩვენ აქ დავიძინებთ?

— აი, ჩვენ აქ ვცხოვრობთ. უმორჩილესად გთხოვთ, თავი ისე იგრძნოთ, როგორც საკუთარ სახლში, — თავაზიანად მითხრა მოუღლიმ.

— ჰო, მაგრამ, ქვეშაგებელი სად არის? ლოგინი ხომ გაქვთ?

— გვაქვს, და მერე როგორი! სულ დარჩეული ბუმბულისა, ბალიშები და ზეწრები ხომ ბლომ-ბლომად გვიწყვია! ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს, ოღონდ მთელი უბედურება ისაა, არ ვიცით, სად გაქრა! — და მოუღლიმ ოთხთვალაში ისე დაიწყო ძებნა, თითქოს რაიმე დაჰკარგოდა და ეძებდა.

— ეჰ! — თქვა ცოტა ხნის შემდეგ. — რომელ ლოგინზე გველაპარაკებენ? აი ჩვენი ლოგინი! — და მან ქუსლი ფურგონის კიდეს დაჰკრა. — თუ მაგარი გეჩვენება, მაშინ ქვემოთ ჩადი, იქ ბლომდაა რბილი ტალახი!

— სმიტფილდ, მაგას ყურს ნუ უგდებ! ღღეს აქ უფრო უარესია, ვიდრე სხვა დროს არის ხოლმე, იმიტომ, რომ ჩალა არ დაგვხვდა, მაგრამ, როცა ჩალა არის, აქ ყოფნა ძალიან კარგია. მოდიხარ ცივ, ყინვიან ღამეში და ფიქრობ: ეჰ, მე უბედურმა ისევე ცარიელ ფიცრებზე უნდა დავიძინო, და უცებ ზედავ, ფურგონში მშვენიერი, მშრალი ჩალა დევს ბლომად, თუგინდ კისრამდე ჩაიმალები.

ამ ფუფუნების წარმოდგენაზე რიპსტონმა პირი ისე გააწყლა-პუნა, თითქოს ყოველთვის გემრიელ, ცხელ კერძს ხვრებდა.

— არ გცივათ, როცა ტანსაცმელს იხდით? — ვკითხე მე.

— არ ვიცი, — მოკლედ მიპასუხა რიპსტონმა, — არასოდეს მიცლია.

— უქანასკნელად გასული წლის აგვისტოში გავიხსადე, — თქვა მოუღლიმ. — ახლა კი დროა, დაეწვეთ. ბალიში ვინ იქნება? სპიტფილდ, გინდა, შენ იყავი?

თავს იმდენად უბედურად ეგრძნობდი, რომ ჩემთვის სულ ეოთო იყო, რაც ვიქნებოდი და დაეთანხმდი.

— იქნებ არ გინდა? მაშინ თქვი, ნუ მოგერიდება, — მიიხრა რიპსტონმა. — ეს იმაზეა დამოკიდებული, ვის რა უყვარს: ზოგს თბილად წოლა, ზოგს კი რბილად. შენ რომელი გირჩევნია?

— მე მიყვარს, როცა თბილადაც ვწვევარ და რბილადაც! — მიკეუბე თვალცრემლიანმა.

— დახეთ! ერთიც ჰყვარებია და მეორეც! — ჩაიციხა მოუღლიმ. — მაშ, ყური მიგდე, თუ ბალიში გინდა იყო, აქეთ გამოცოცდი და ნუ სლუკუნებ! ჩვენ მტირალეები არა გვჭირდება, ტყუილად წამოგიყვანეთ.

შევეცადე მოუღლი სასწრაფოდ დამერწმუნებინა — იმიტომ ვტირი, რომ ცრემლებს ვერ ვიკავებ, თორემ მზადა ვარ, ბალაშობა გავწიო, ოღონდ მიჩვენეთ, როგორ მოვიქცე-მეთქი.

— აქ საჩვენებელი არაფერია, — მიპასუხა ცოტა არ იყოს გულმომბლაღმა მოუღლიმ. — ბალიში ის არის, ვინც დაბლა წვება, დანარჩენებს რბილად სძინავთ. ასე ადვილიცაა და მოსახერხებელიც.

— გზიდან მომეცალე, მე ვიქნები ბალიში! — იყვირა რიპსტონმა და ფურგონის კიდეში დაწვა. — დამადეთ თავი!

— სპიტფილდ, მოდი, ჩემსავით დაწევი, — მიიხრა მოუღლიმ და დასაძინებლად მოეწყო.

მაგრამ მისი მიბაძვა საკმაოდ ძნელი იყო: მან რიპსტონის ტანი მთლიანად დაიკავა, მე კი მხოლოდ ფეხები დამიტოვა. ზედმეტი ბუზღუნნი უსარგებლო იყო და შევეცადე, როგორმე მოვწყობილიყავი.

— რიპ, გეძინება? — ჰკითხა მოუღლიმ რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ.

— ჰო, მეძინება, შენა?

— ასეთ ბრძოლას რომ ვნახავ, შემდეგ ველარ ვიძინებ. წარმოიდგინე, გემზე სამი ყაჩაღი თავს გესხმის, შენ კი პერანგისა და შარკლის ამარა ზარ და ორად ორი დანის მეტი სხვა იარაღი არ გაგაჩნია!

— ჰო, თეატრში კარგ ოინებს უჩვენებენ! — მძინარე ხმით ჩაილაპარაკა რიპსტონმა. — ღამე ნებისა!

ხელახლა ჩამოვარდა სიჩუმე, მაგრამ ისევ შემომესმა მოუღლის ხმა:

— გძინავს, რიპ? ჰა, რიპ! გძინავს?

— იცოდე, სხვა დროს ველარ მომატყუებ, ბალიშად აღარ დაგიდგები, თუ ამდენს იყბელებ! — გაუჭავრდა რიპსტონი. — თქვი, რა გინდა?

— უცნაური ადამიანი ხარ! დაწოლილს არ გიყვარს ლაპარაკი იმაზე, რაც ნახე.

— ასეთი სისულელისთვის გამომალვიძე?

— მე მხოლოდ იმის კითხვა მინდოდა, როგორ გგონია, ყაჩაღები ჰაში ნამდვილ სხეულს ჩააგლებდნენ?

— რასაკვირველია! ტომრის ჭუჭრუტანიდან ხელები მოჩანდა, — დაცინებით მიუგო რიპსტონმა.

— შენ ფიქრობ, რომ ნამდვილი, ღრმა ჰა იქნებოდა?

— რა თქმა უნდა! მერე როგორი ღრმა!..

— მე კი წყლის ჭყაპუნი რაღაც ვერ გავიგონე, — არ ისვენებდა მოუღლი.

— კარგად არ უსმენდი და იმიტომ. ჰა ხომ ღრმა არის, ამიტომ ხმას მაშინვე ვერ გაიგონებ, მეც მხოლოდ სამი წუთის შემდეგ შემომესმა.

მოუღლი გაჩუმდა, მაგრამ ძალიან მძიმედ სუნთქავდა. ეტყობოდა, ლაპარაკი უნდოდა. რამდენიმეჯერ კიდევ დაეხმალა რიპსტონს, მაგრამ იმან პასუხის ნაცვლად ხმამალალი ზვრინვა ამოუშვა. მერე მე დამიძახა. ლაპარაკი არც მე მეხალისებოდა და თავი მოვიმძინარე.

სინამდვილეში ძილი არ მეკარებოდა. ცრემლიანი ლოყით რიპსტონის მუხლებს ვეკვროდი და ვფიქრობდი ჩემს წარსულზე, სახლიდან გამოქცევასა და იმაზე, თუ მომავალში რა მელოდა. განა უმჯობესი არ იყო, მისის ბერკის ცემა-ტყეპისათვის გამეძლო! ან მაშინვე დავბრუნებუდი იყავი, როცა ჭერი პეიპმა დამიჭირა! ვიცი, მამა ქაპრით მცემდა, მაგრამ ახლა ყველაფერი ჩავლილი იქნებოდა, თბილ ლოგინში ვიწვებოდი და პატარა პოლის ნანას ვუმღერებდი. თუმცა ნაცემები ჭერ ისევ მეტყიებოდა, მაგრამ ახლა მზად ვიყავი, ყოველნაირი წამება ამეტანა, ოღონდ ჩვენს შესახებეში, № 19 სახლში გავჩენილიყავი და ყველა ჩემი დანაშაული ეპატრებინათ.

საბრალო პატარა პოლი! მისი მოგონება უცრემლოდ არ შემეძლო. მასზე ფიქრი არ მშორდებოდა.

იქნებ კიბის ქვის საფეხურებზე სული დალია და ახლა წევს ოთახში მარტოდმარტო, უმოძრაოდ, მკვდარი. ამის გაფიქრება ისეთი საზარელი იყო, რომ ცრემლი გამიშრა. მოძაგონდა დედაჩემი, ის საღამო, როდესაც იგი გარდაიცვალა და ის დღე, რომელ დღესაც დაასაფლავეს.

უცებ მძიმე ნაბიჯების ხმა მოისმა. ბანქოს შოთამაშე ბიჭებმა დაიძახეს:

— სანთლები ჩააქრეთ! ანკესები მოდიან! — და ფურგონებს მი-
აშურეს.

ვიციდი, ანკესებს პოლიციელებს ეძახდნენ და შიშმა ამიტანა: ალბათ მისის ბერკმა პოლიციას შეატყობინა და მე დამეძებენ-მეთქი. რატომ ბალიშად არ დაეწეკი! ქვემოდან არ გამოვჩნდებოდი. ნაბიჯების ხმა ახლოვდებოდა. ჩვენს ფურგონს სამი პოლიციელა მოადგა. კანკალმა ამიტანა, შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა. ერთ-ერთი პოლიციელი ფურგონის თვალზე შემოდგა და ფარნის კაშ-კაშა შუქი მოგვანათა.

მაგრამ მალე ისევ ძირს ჩახტა და მეც შუვებით ამოვისუნთქე. სამივენი გაგვშორდნენ. ისინი თავიანთ საქმეებზე ბაასობდნენ. ხმა თანდათან მინელდა. ნელ-ნელა ყოველგვარი ხმაური მიწყწნარდა, მხოლოდ მძინარე ადამიანების ხერხინვა და ვირთხების წრაპინილა ისმოდა. მეც ჩამეძინა.

VI

ამხანაგობა: „რიპსტონი, მოუღლი და მე“

ჯერ ისევ ღრმა ძილში ვიყავი, რომ „ბალიში“ გადაბრუნდა და თავი ფურგონის ფიცარს დავარტყი. თვალები მოვიფშენიტე და დავინახე, მოუღლი უკვე ამდგარიყო. თითქმის ისევ ბნელოდა. ასე მეგონა, ამ ხუთი წუთის წინ იყო, პოლიციელმა ფარანი რომ მოგვანათა. ისეთი დაღლილი და განაწამები ვიყავი, თითქოს სრულე-ბით არ მძინებოდა; ამიტომ ბევრი არ მიფიქრია, თავივე ამოვიღე ხელი და ისევ კუთხეში მივიკუნევე.

— რას შვრები, სმიტფილდ? — დამიყვირა რიპსტონმა. — აქეთ გადმობრუნდი! ნუთუ მთელი დღე აქ ჯდომას აპირებ?

— ჯერ ხომ არ გათენებულა, — ჩაეიბუზღუნე მე. — რა დროს გათენებაა, როცა ასე ბნელა!

— რა სისულელეებს ამბობ! ადექი და შეხედე, როგორი სინათ-
ლეა! მზე უკვე ამოვიდა. აქეთ მოიწი, შენი თვალით ნახე!

ირველი სიბნელე იყო, მაგრამ იმ მხარეს, საითაც რიპსტონმა
გამახედა, ბრჭყვიალა ვერცხლისფერი ბურთის მსგავსი რაღაც მარ-
თლა მოჩანდა. უფრო მეტად რომ დაეაკვირდი, მივხვდი, რომ ეს
მრგვალი ხვრელი იყო, რომელშიც მზის სხივები იჭრებოდა. ამ ნა-
თელ ხვრელში წვრილკაველდაყრილი, მზის სხივებით გაბრწყინებუ-
ლი მდინარის წყალი და ლურჯი ცის ნაგლეჯი მოჩანდა. დინების
მიმართულებით თივით დაზნინული ორჩხომელი მიცურავდა.

— წავიდეთ, — ვთქვი მე და ფეხი ფურგონიდან გადმოვყავი. —
წავიდეთ, სადაც მზე არის. ამ სიბნელეში რა გვინდა.

— ყველა თავის გზაზე მიდის, — ბუნღუნით მიპასუხა მოულ-
დომ. — შენ თუ ვნებავს, იქით წადი!

— შენ და რიპსტონი არ წამოხვალთ?

— ჩვენც იქით წავალი, სადაც ყოველთვის დავდივართ ხოლმე —
კოვენტგარდენში. მდინარის პირას რა გვინდა?

— იქნებ ძვლების მოგროვებას აპირებ? — თქვა რიპსტონმა.

— კარგი საქმეა! ერთ გირვანქა ძვლებში სპილენძის გროშს მოგ-
ცემენ. იმ ერთ გირვანქასაც, ვინ იცის, როდის მოაგროვებ? ორჩხო-
მელების პატრონებიც მიგბერტყავენ. იმათ ჰგონიათ, ნაპირზე
ყველა ნახშირის მოსაპარავად დაიარება. სპიტტილდ, შენ მართლა
ძვლების შესაგროვებლად მიდიხარ?

— არა, მე მაგ საქმისა არაფერი გამეგება.

— მაშ რას აპირებ?

— სულ ერთია. მე მხოლოდ პურის ფული მინდა ვიშოვო. მინ-
და „ყეფა“ დავიწყო. რას იტყვით, ხომ კარგი საქმეა?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი აუვარდათ.

— ეგ რაღამ მოგაგონა. განა ვინმესთან გიყუფნია?

— არა, მე ისე, ჩემთვის მიცდია. ვსწავლობდი. გახსოვთ, გუ-
შინ სალამოს ბაზარში?..

— მართალს ამბობ! შესანიშნავი ხმა გაქვს!

შექება ძალზე მესიამოვნა.

— როგორ ფიქრობ, პატრონს გამოვადგები, პურის ფულს ვი-
შოვი? — ვკითხე მოულდის.

— პატრონს შეიძლება გამოადგე, — მიპასუხა მოულდომ, — მაგ-
რამ პურის ფულს კი... — და ხელი ჩაიქნია. — ეგ საქმე ჩვენც გვიც-
დია და ბევრ ჩვენს ნაცნობ ბიჭსაც, მაგაში არაფერი ყრია. ასე არ
არის, რიპ?

— აბა რა, — დაემოწმა რიპსტონი. — ეგ რა ცხოვრებაა? დილა-

უთენია უნდა ადგე, როცა ჯერ ისევ ბნელა, ურიკა ბაზარში მიიყვანო და უღარაჯო, სანამ პატრონი სხვადასხვა რამეებს იყიდის. თუ ბოსტნეულით ვაჭრობს, ყველაფერი უნდა გარეცხო, ურიკაზე კობტად ჯაჯო, მთელი დღე ქუჩა-ქუჩა ინეტილო და ხმამაღლა იყვირო.

— საღამოს, — მხარი აუბა მოუღლიმ, — მთელ საქონელს ერთ კალათში ჩააწყობენ და ისევ უნდა სდიო და იქამდე იძახო, ვიდრე ყველა სახლში სინათლე არ ჩაქრება. ყველაფერ ამაში კი გასამრჯელოდ იცი, რას მიიღებ? მხოლოდ საქმელს გაქმევენ!

— და იმასაც ყოველთვის არ გაქმევენ, — დაუმატა რიპსტონმა.

მათი ლაპარაკიდან სანუგეშო არაფერი ჩანდა. როგორ იმედი მქონდა, „ყეფას“ დავიწყებ-მეთქი, ამ იმედით გამოვიქეცი მამისეული სახლიდან და რიპსტონსა და მოუღლისაც იმიტომ გამოვეყევა კოვენტგარდენში. ასლა კი რა აღმოჩნდა — ამ ბიჭებს „ყეფა“ უცდიათ, მაგრამ უსარგებლო გამომდგარა და თავი მიუნებებიათ.

— მაშ, პურის ფულს როგორ შოულობთ? — ვკითხე ამხანაგებს.

— როგორ ვშოულობთ და, ათასნაირი ხერხით, — მომიგო მოუღლიმ.

ამ ლაპარაკით სამივენი იმ ვიწრო გასასვლელს მივუყვებოდით, რომლითაც გუშინ ღამით მოვედი.

— თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებთ და რაც მოგვხვდება, ხელიდან არაფერს ვუშვებთ, — ამიხსნა რიპსტონმა.

— ესე იგი, თქვენ ერთი რაიმე სამუშაო არა გაქვთ?

— ეჰ, ჩვენ არც არაფერს ვთავაობთ, — მითხრა მოუღლიმ. — ზოგჯერ ისე კარგად წაგვივა საქმე, ვზივართ და შებრაწულ ღორის ხორცს მივირთმევთ, ხან კი ლუქმაპურიც გვენატრება. ბედის საქმეა.

— წინასწარ არასოდეს არ ვიცი, როდის გავვიღიებ ბელი. აი, თუნდაც გუშინ საღამოს. მთელი დღე ვერაფერი ვიშოვეთ. არც საუზმე გქონია, არც სადილი, — ნამცეცი არ ჩავსვლია პირში. ნაგვის გროვაში კომბოსტოს რამოდენიმე ხიკვი ვიპოვეთ და ეს იყო მთელი ჩვენი საქმელი. მოუღლიმ ხელი ჩაიქნია, მითხრა: წამოდი, თაღებქვეშ დავიძინოთ, ტყუილად ხეტილს თავი დავანებოთო. ესა ვთქვით თუ არა, უცებ გვესმის, ვილაც ჯენტლმენი გვიყვირის: „ჰეი, ჰეიო“, ვხედავთ, უცნობი ჯენტლმენი კარეტის დასაქირაველად გვიხმობს. მოუღლიც გაიქცა და კარეტა მოუყვანა. იმ ჯენტლმენმა ექვსი პენსი მისცა, ერთიც მეეტლემ დაუმატა და უცებ გაემდიდრდით. ხუთი პენსი საქმელში დავამღერეთ, ორით თეატრში

გახლდით. თეატრში ჩვენ ხშირად დავდივართ. სმიტფილდ, შენ როდისმე გინახავს წარმოდგენა?

— მხოლოდ ბალაგანში.

— ოო, ეს სულ სხვაა! ჩვენ ნამდვილ თეატრში დავდივართ, სადაც დიდებულ წარმოდგენებს მართავენ: „კაპიტანი—ვამპირი“, „ბოროტმოქმედის სიკვდილი“, „უღაბნოს შეკობრე“, „სისხლიანი ბანდიტი“...

ამ ლაპარაკში სანაპიროზე გავედით. იქ სიჩუმე იდგა. საათმა ხუთჯერ დაჰკრა.

მოულოდნეო გაგვაჩერა.

— ყური მიგდე, — მითხრა მან, — აქვე უნდა გადაწყვიტო, მდინარის პირას გახვალ, თუ მე და რიპსტონს გამოგვყვები კოვენტგარდენში?

— თუ ნებას მომცემთ, თქვენთან წამოსვლა მირჩევნია.

— რა ნებართვის მოცემა გინდა, ყველას აქვს იმის უფლება, საითაც მოესურვება, იქით წავიდეს! მთავარია მოიფიქრო, რა საქმეზე გინდა იმუშაო.

— მე მარტო ვარ და არ ვიცი, როგორ მოვიქცე. თქვენთან წამოვალ, რომ რაიმე მასწავლოთ. — მივუგე მე.

— შენ როგორ აპირებ, საკუთრივ შენთვის იმუშავებ, თუ ჩვენთან შემოხვალ წილში? — მკითხა რიპსტონმა.

— თქვენთან წილში შემოსვლა მირჩევნია, — სიხარულით ჩავეჭიდე ჩემთვის ხელსაყრელ წინადადებას.

— მაშ კარგი, იცოდე, ჩვენთან ერთად გაინაწილებ ყველაფერს, — მითხრა რიპსტონმა. — ერთად ვიმუშავებთ, ერთად ვჭამთ და ერთად ვიცხოვრებთ.

— დიახ, რა თქმა უნდა.

— ესე იგი, ჩვენთან ერთად წამოხვალ და იმასვე გააკეთებ, რასაც ჩვენ, — თქვა მოულოდნეო.

— რასაც იპოვი და რასაც მიიღებ, ყველაფერს ჩვენ მოგვცემ, უჩვენოდ არაფერს დახარჯავ?

— არასოდეს! მე ვიცი, რომ ეს ცუდი საქციელია.

— თუ პოლიციამ დაგიპირა, ხომ არ გაგვცემ, რომ ამით საკუთარი თავი გადაიარაღინო?

— კარგი, არ გაგვცემთ.

მე ყველაფერზე ვეთანხმებოდი, თუმცა კარგად არც მესმოდა, რას მოითხოვდნენ ჩემგან.

— იქნები ერთგული ამხანაგი? არასოდეს არ შეგეშინდება და არ გვიღალატებ?

— არასოდეს!

— მაშ, მოგვეცი ხელი! ჩვენ ამხანაგები ვართ. წავიდეთ და ახლავე საქმეს შევეუდგეთ.

ჩემი ბედი გადაწყვეტილი იყო. ერთი დღე და ღამე სახლში არ ვყოფილვარ, ახლა შინ დაბრუნებაზე ფიქრსაც ვერ ვბედავდი. ესეც რომ არა, ჩემი ახალი ამხანაგების ცხოვრება გაცილებით სასიამოვნო მეჩვენებოდა, ვიდრე ის, სახლში რომ მქონდა: არავინ სცემდათ, რაც მოესურვებოდათ, მხოლოდ იმას აკეთებდნენ, ზოგჯერ ღორის ხორცსაც კამდნენ, რაც მისის ბერკს ზემთვის არასოდეს გამოუმეტებია. თეატრშიაც დადიოდნენ. ამ ფიქრებში ვიყავი გართული, ვიდრე კოვენტგარდენში მივიდოდით.

ბაზრის დახურულ ნაწილში არ გაგვივლია, ნაპირ-ნაპირ ვუვლიდით, სადაც ურიკებსა და საზიდრებს ტვირთავდნენ. დიდხანს ვიარეთ ასე. ის იყო შეკითხვას ვაპირებდი, მუშაობას როდისღა დაიწყებთ-მეთქი, რომ უეცრად რიპსტონი გაგვეცალა და იმ კაცისკენ გაიქცა, სალათის გროვასთან თითაწეული რომ იდგა.

— სად წავიდა? — ვიკითხე მე.

— სამუშაოდ, — ამიხსნა მოუღლიმ. — ის კაცი დაინახე, თითო რომ პქონდა აწეული? ერთი თითის აწევა იმას ნიშნავს, რომ მას ბიჭი სჭირდება, ორი რომ აეწია, — მაშინ მოზრდილისთვის ექნებოდა საქმე. რიპსტონის სამუშაო ჩვენ ყავას დაგვაღვევინებს. მე და შენ თუ რამე ვიშოვეთ, ფუნთუშებს ვიყიდით, თორემ ყავა უფუნთუშოდ ცუდი საუზმეა. აბა, სმიტფილდ, ასი თვალი გქონდეს.

გაფაციცებული აქეთ-იქით ვიყურებოდი, მაგრამ თითს არავინ სწევდა. ოცი წუთის შემდეგ ბაზართან ახლოს, ყავასანაში შევედი, რიპსტონიც იქ მოვიდა. მან პენსნახევარი გამოიჩუმავა და გადავწყვიტეთ, პურის ფულის შოვნას აღარ დავლოდებოდით და ახლავე დაგველია ყავა. ყავახანაში თითო ფინჯანი ცხელი ყავა მოგვეცეს. დავლიეთ და თავი უფრო მხნედ ვიგრძენით. მერე ისევ სამუშაოს საქებნელად გავწიეთ.

ამჯერად ჩვენმა ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. ბოსტნეულის ბაზარი მთლიანად შემოვიარეთ, არც ხილის ბაზრის კუთხე-კუნძუელი დაგვიტოვებია, მაგრამ საქმე ვერსად ვერ ვიშოვეთ. გულს არ ვიტეხდი, რადგან ვხედავდი, რიპსტონი და მოუღლი მშვიდად და მხიარულად გადი-გამოდრიოდნენ და ჩვენი იმდღევანდელი უიღბლობა სულაც არ აღარღებდათ. დილის ათ საათზე ბაზარი დავტოვეთ და მიყრუებული ქუჩითა და ეზოებით ღრიური-ლეინისაკენ გავწიეთ.

— რას იტყვი, სმიტფილდ, მოგწონს ჩვენთან წილში შემოსვლა? — მკითხა მოუღლიმ.

— ჰო, მომწონს, მაგრამ დასანანია, რომ დღეს ასე ცოტა ხეი-
რი ვნახეთ. — მივუგე მე.

— რატომ, არც ისე ცოტა. შენ, მგონი, კარგად გრძნობდი თავს.
რიპსტონის ნათქვამი ხუმრობად მივიღე და სიცილით ვუთხარი:

— რა თქმა უნდა, მე თავს ყველგან კარგად ვგრძნობ, ისევე,
როგორც თქვენს!

მხიარულად და უდარდელად მივაბიჯებდით. ბოლოს ერთ ჭუჭ-
ყიან შესახვევთან გაჩერდით.

— აბა, სმიტფილდ, ამოალაგე! — მითხრა მოუღღმ.

— რა უნდა ამოვალაგო? — გაუიკვირვე მე.

— ყველაფერი, რაც იშოვე. — მითხრა რიპსტონმა. — ის მოხუ-
ცი, ვისთანაც საქმე გვაქვს, აქ ცხოვრობს.

არაფერი მესკოდა, რას მოითხოვდნენ ჩემგან ანსანაგები.

მოუღღმ ჩხრეკა დაძინყო და ყველა ჯიბე სათითაოდ მომიხინ-
ჯა. როდესაც დარწმუნდა, რომ ყველა ცარიელი იყო, სახეზე საშინ-
ელი მძვინვარება გამოეხატა.

— აი, თურმე როგორი ამხანაგი გვყავს, დიდებული ვინმეა, ვე-
რაფერს იტყვი, — ყვირილით მიუბრუნდა რიპსტონს.

— რა მოხდა? — ჰკითხა რიპსტონმა.

— არაფერი არა აქვს, სრულიად არაფერი. ერთი თავი დამპალი
ხახვიც არ უგდია ჯიბეში!

— ამას ეძახი ამხანაგობას? კარგი ვინმე ზრძანებულხარ! — სა-
ყვედურით მითხრა რიპსტონმა.

— რა უნდა მექნა, თუკი სამუშაო ვერსად ვნახე? ხომ იცოდით,
მე ფული არ მქონდა. კიდევ რომ მქონოდა, პურს ვიყიდდი და არა
ხახვს! — თავს ვიშართლებდი მე.

ჩემს დღეში არ მენახა ისეთი გაბრაზებული სახე, როგორც
მოუღღმს მქონდა იმ წუთებში. ისე იყო აღელვებული, სიტყვას ვერ
სძრავდა.

რიპსტონს გაეცინა.

— გეყოფა, მოუღღმ, ასე ნუ ცხარობ. სმიტფილდი ჯერ ვაშო-
უცდელია. აბა, შემოხმედე! — მითხრა მან და კერტაკას ჯიბიდან
შეიღი ლოყაწითელა ვაშლი ამოაძვრინა, შემდეგ შარვლის ჯიბე-
ბიც მიჩვენა, თხილით მქონდა გატენილი.

ანდენი ვაშლი და თხილი რად გინდოდა? — ვკითხე მე.

— გასაყიდად. მე ხომ ამეებით ვვაჭრობ.

— კი მაგრამ, როდის იყიდე, რომ არ დაძინაბავს?

— არც იმ გამყიდველს დაუნახავს, ვისგანაც ეყიდე: ის ამ დროს
სხვა მუშტარს ელაპარაკებოდა და არ მინდოდა მომეცდინა. გიიგე?

თანდათანობით ვხვდებოდი და ამაზე ფიქრიც მზარავდა. ისიც ვერ მეთქვა, მივხვდი-მეთქი, რომ რაიმე გაუგებრობა არ მომხდარიყო.

— ერთი წენც, უსსნი რაღა! შენი გადაკრული სიტყვებისა მაგას არ ესმის! — შეუყვირა მოუღლიმ. — მიყურე, სმიტფილდ, ამ ვაშლებსა და თხილს ხედავ, რიპსტონმა რომ იშოვა? ეს მან ჩუშად აიღო, მოიპარა, გესმის? ახლა აქეთ მოიხედე! ეს კი მე მოვიპარე და ძალიან მწყდება გული, რომ მეტის აცლა ვერ მოვასწარო. ჩვენ ახლა ამ შესახვევში იმიტომ მოვედით, რომ რაც მოვიპარეთ, გავყიდოთ. ფულს მივიღებთ და რაიმე გემრიელ საჭმელს ვიყიდით.

მოუღლის უხეშმა აღიარებამ განმაკვიფრა.

— რა იყო, რას ქსუტუნებ? შენ გეგოა, ჩვენ კეთილშობილი, წესიერი ბიჭები ვიყავით? — დამცინავად დამიყვირა მან.

— შენ ოჯახი გაქვს, როცა მოგესურვება, შეგიძლია წინ დაბრუნდე. — მითხრა რიპსტონმა. — ჩვენ ნაყიდ პუდინგს თუ გინდა, ნუ შექამ. ეს პუდინგი ჩვენ უპატიოსნო გზით გვაქვს ნაშოვნია. წადი და, როგორც შეგიძლია, ისე იცხოვრე!

ამ სიტყვებით პირი იბრუნეს და შესახვევში შევიდნენ. მე მართლად დამტოვეს.

VII

მუშაობას ვიწყებ

ქუჩაში ვიდექი და, როგორც რიპსტონმა მითხრა, ამერიკელან ლუკმა-პური თვითონვე უნდა მეშოვა. შემეძლო წინ გავმეცნოყავი. მართალია, გზა არ ვიცოდი, მაგრამ კითხვა-კითხვით ნავაგუდოდი. პატიოსანი ბიჭი არავითარ სიძნელეს არ შეუშინდება. ჯა ვინა მე პატიოსანი არ ვიყავი? მთელი ღამე ქურდებთან გავაჯიღო. ლითაც მათთან ერთად ვიყავი, ერთად ვისაუბმეთ, ეს ფუნქციონირებდა და ამის მოგონებაზე სახეზე აღმზრდი ამდროინდელი რაღაც ლოდებოდი, წინ რატომ არ მივდიოდი? ეს მხოლოდ ღია იკითხოს, ვისაც უმშინო არ გამოუცდია. შილო, საშინელი, მტანჯველი უიმშილი პატარა მელსაც წინააღმდეგობა რაღაც უქამია ჯა იღო. ღამე შემდეგ წყალწყალა, ცარიელი ყავის მატა პიკა ჩასვლია, შიმშილისაგან მთელ ტანში ყრუანტალა. ღამე ხელ-ფეხი უშეშდება. იმის გაფიქრებაც კა. რომ თანაგრძობა ჯა

ულდი ქურდები იყვნენ, მზარავდა, მაგრამ არც შიმშილი იყო უფრო ადვილად ასატანი. რიპსტონმა მითხრა: თუ არ გინდა, შეგიძლია ჩვენი პუდინგი არ ჰკამოო, ესე იგი, თუ მენდომება, მაქმევენი კიდეც. ალბათ რა საუცხოო პუდინგი იქნება! ვიცი, ასეთი პუდინგი თითქმის ყველა სასაუზმეში იყიდება. მას ფქვილით, თირკმლის ქონით და კიდეც ძალზე ნოყიერი რაღაცისაგან ამზადებენ. ისეთი ცხელია, სულ თითებს გწვავს, ვიდრე უკანასკნელ ლუკმას არ გაათავებ. მას, ჩვეულებრივ, ვეებერთელა ნაჭრებად ჰკრიან, თითო აგურისოდენა მაინც იქნება.

თვალწინ პუდინგის ვეებერთელა, ცხელი და გემრიელი ნაჭერი მიტრიალებდა, როცა რიპსტონი და მოუღლი დავინახე. ისინი შესახვევიდან უკან ბრუნდებოდნენ. მე ტომრებს ამოვეფარე და იქიდან დავუწყე თვალთვალი.

— ესეც ასე. ახლა შეგიძლია ვისაუზმოთ. — თქვა გამხიარულებულმა რიპსტონმა.

— ჰო, ბებერმა იმ ვაშლებსა და თხილში კარგი ფული მოგვცა. — მიუგო მოუღლიმ. თან ჰაერში მხიარულად ისროდა და ისევ იჭერდა ხუთ თუ ექვსპენსიან მონეტას.

— ნეტავ სად დაიკარგა სმიფი? უნდა დავუძახოთ!
და რიპსტონმა დაუსტვინა.

საზიდრის თვალს მივეყარი. გვერდით ისე ჩამიარეს, ვერ შემამჩნიეს. მე გზის მეორე მხარეზე გადავედი და თვალყურის დევნება დავუწყე.

— ესეც ბლინკინისი ღუქანი. რიპ, მოდი შევიდეთ და ორი ულუფა პუდინგი ვიყიდოთ. იმ სულელმა სმიფმა კი, თუ ასე მოსწონს, იშიმშილოს.

მოუღლი ღუქანში შევიდა და რამოდენიმე წუთის შემდეგ კომბოსტოს ფოთოლზე დახვავებული სწორედ ის პუდინგი გამოიტანა, მე რომ ვოცნებობდი.

— რა საუცხოო სუნი აქვს, — თქვა რიპსტონმა და ჰაერში უხვად დაფრქვეული სურნელოვანი ორთქლი შეისუნთქა.

მე ქუჩის იმ მხარეს გადავედი, საითაც ისინი მიდიოდნენ და უკან ავედევნე.

თუმცა მათგან საკმაოდ შორს ვიყავი, მაგრამ მაინც კარგად დავინახე, რიპსტონმა ერთი დიდი ნაჭერი რომ აიღო, პირთან მიიტანა და მოკბიჩა. ოჰ, რამხელა ლუკმა იყო! თანდათან ვუახლოვდებოდი მათ, ბოლოს იმდენად ახლოს მივედი, რომ ჰამის ხმაც მესმოდა. რიპსტონი პირით ჰაერს ისრუტავდა, რომ როგორმე ცხელი

ლუკმა გაეგრილებინა. თავს რომ მოაბრუნებდა, იმასაც კი ვხედავდი, თვალები კმაყოფილებით როგორ უბრწყინავდა.

ჭამას რომ იწყებდნენ, კომბოსტოს ფოთოლზე სუთი ნაჭერი იდო: ახლა თითოეული მეორე ნაჭერს ათავებდა.

— რაც მართალია, მართალია, მიყვარს ბლინკინსის პუდინგები, ქონი ბლომად აქვს. — თქვა რიპსტონმა.

— მართალს ამბობ, სწორედ ისეთია, როგორც ხორცისა. — თითების ლოკვით მიუგო მოუღლიმ.

— მე მგონი, მეყოფა, ძალიან ნოყიერი პუდინგია. — თქვა რიპსტონმა.

— რასაკვირველია, ძალით ნუ შეჭამ. ამ ბოლო ნაჭერს მეც კარგად მოუველი. — სიცილით უთხრა მოუღლიმ.

მეტის მოთმენა აღარ შემეძლო.

— მოუღლი! — ვიყვირე მე და მხარზე ხელი დავადე. — ერთი ლუკმა მვც მომეცით!

— აჰა, ეს შენა ხარ? — შესძახა მოუღლიმ ჩემს დანახვაზე. — თქვი მართალი, შინ გაიქეცი და ნახე, მიგიღებდნენ თუ არა, იმათ კი გამოგადღეს, ხომ?

— თუ ბაზარში იყავი და დაგვაბეზღე? — მკითხა რიპსტონმა.

— მე არსადაც არ ვყოფილვარ, ფეხდაფეხ მოგდევდით უკან. ერთი ლუკმა მომეცით, თუ შეიძლება. რომ იცოდეთ, როგორ მშია!

— წუთუ არ იცი, რომ ქურდობა კარგი არ არის? მოპარული საქმელი გინდა მოგკე? მერე, რომ დაგაბრჩოს? — დამცინოდა შეუზრალგბელი მოუღლი და თან მეორე პუდინგის უკანასკნელ ლუკმას პირში იტენიდა.

— ხომ შეეთანხმდით, რომ ყველაფერს გავიყოფდით, — ვთქვი მე, როცა შევატყვე, მოუღლის თხოვნით გულს ვერ მოუვლობდით.

— ჰო, რა თქმა უნდა, შეეთანხმდით. მე არც ახლა ვარ წინააღმდეგი. — შემეპასუხა იგი. — შენ ჩვენთან ერთად მარტო პუდინგის ჭამა გინდა, ქურდობა კი არა. ასე არ შეიძლება. ხომ მართალი ვარ, რიპ?

— იქნებ კარგად ვერ გაიგო, რაშია საქმე, — თქვა რიპსტონმა, რომელსაც თავის ამხანაგთან შედარებით უფრო კეთილი გული ჰქონდა. — კარგად რომ აგვეხსნა, იქნებ არც ედებლა. ხომ მართალია, სმიტფილდ?

და რიპსტონმა თავისი წილი პუდინგის უკანასკნელი ლუკმა მე მომცა. ო, რა გემრიელი იყო ის ლუკმა! მისი მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მიჭამია, ისეთი თბილი იყო, ისეთი გემრიელი! მოუღლის კი ამ დროს ხელისგულზე დაფენილ შეორთქლილ კომბოს-

ტოს ფოთოლზე იმოდენა პუდინგის ნაჭერი ედო, სულ ცოტა ათი ჩემი ლუკმისოდენა მაინც გამოვიდოდა.

— ასე არ არის, სმიტფილდ?

მოუღლიმ უქანასკნელი ნაჭერიც პირისაკენ წაიღო, მაგრამ რიპსტონმა ანიშნა, ვაიერდო. ვის უნდა რგებოდა ეს ნაჭერი? ყველაფერი ჩემს პასუხზე იყო დამოკიდებული. მე კი გუშინდელი საუბრის შემდეგ მცირეოდენს კანშის გარდა არაფერი მეტყაბა.

— ჰო, რასაკვირველია, — თამბამდ მივუგე მე.

— ესე იგი, ასლა, რაიკა იცო, რაშია საქმე, აღარ შეგეშინდება?

— არა, ასე აღარ მოვიქცევი.

— მაშ, ძალიან კარგი. მოუღლი, მიეცი ეგ ნაჭერი. ეტყობა, ძალიან მშვიერია.

— მოიცა, ჯერ არა, ამ ნაჭერს მე არ შეეჭამ, — შეაჩერა მოუღლიმ და პუდინგის ნაჭერი კურტაკის ჭიბეში ჩაიღო, — სმიტფილდმა ჯერ დაიმსახუროს და დავგიმტკიცოს, რომ მართალს გვეუბნება. წავიდეთ.

ჩვენ ისევ კოვენტგარდენისაკენ წავედით. მე მოუღლის იმ ჭიბეს, რომელშიც პუდინგი ედო, რაც შეიძლება ასლოს მივდევი და ამხანაგებს უკან არ ვრჩებოდი.

— ავერ იქ, ბოძებს შუა, ფარდულს ხედავ?... ლურჯწინსაფრიანი კაცი რომ დგას, იქ თბილით სავსე კალათები აწყვიან.

— ეხედავ.

— პირველ კალათში ნუშია. წადი, ჩვენ აქ დაგიცდით.

მივხვდი, რასაც მოითხოვდა ჩემგან მოუღლი. მას უნდოდა წავსულიყავი და კალათიდან ნუში მომეპარა. მტკიცედ გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, პუდინგის ნაჭერი მომეპოვებინა. თუმცა აღარ ვუოყმანობდი, მაგრამ ვიღრე ფარდულს მივუახლოვდებოდი, გული გამალეებით მიცემდა. აქეთა მხრიდან ფარდული ყუავილოვანი კომბოსტოთი და მწვანელებით იყო ჩაბურგული. ახლოს რომ მივედი, მივხვდი, ფარდულისთვის გარშემო უნდა შემომეგლო და ნუშიდან ისე მივსულიყავი. მე კომბოსტოს გროვას ამოვეფარე. ნუშის გამყიდველი მუშტარს ელაპარაკებოდა და ჩემკენ ზურგით იდგა.

კომბოსტოს გამყიდველი ქალიც ზურგით იყო შებრუნებული. მათლაფა მუხლებზე დაედო და სადილობდა. კალათა ნუშით იყო თავადგმული. მე ხელი ვტუცე და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი, ჭიბეები ნუშით გავივსე. შემდეგ რიპსტონისა და მოუღლისაკენ გავწიე, რომლებიც ბოძს ამოფარებულები მიყურებდნენ.

— ყოჩად, სმიტფილდ! — შესძახა მოუღლიმ. — ყველაფერს ვხე-
დავდი. ტყუილად გვარწმუნებ, რომ ეს საქმე არ იცი. ყოჩად, აიღე
შენი პულინგი!

— მე ასე სუფთად ვერასოდეს ვერ ვიმუშაეებ! — თქვა რიჰს-
ტონმა.

— შენა? — ამირიზა მოუღლი, — თუ გკონია, იმის ქუს შედს მოი-
პარაე, რასაც სმიტფილდი ახერხებს, დიდი ტრაბახა ვაჰმე ყოფილ-
ხარ. ასე მარჯვედ ვერც მე მოვასერხებდი ნუშის მოპარვას. ისე
კი, რა თქმა უნდა, სხვა რამეებში მე ვერ შექედრება. — დაუმატა
მან, ეტყობოდა, შიშობდა, ძალიან არ გაამაყდესო.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვიდრე დღე იყო, მაგრამ, როცა
დადამდა და მე ისევე ბნელ ფურგონში აღმოვჩნდი, სინდისმა სა-
შინლად დამიწყო ქენჯნა. ახლა ბალიში მოუღლი იყო და მე ყვე-
ლაზე კარგი ადგილი შემომთავაზეს. თავი მოუღლის გულზე მედო,
მაგრამ დაძინებას მაინც ვერ ვახერხებდი. მე ქურდი გავხდი! ნუში
მოვიპარე, მათთან ერთად გავიქეცი, ნაქურდული გავყიდე და აღე-
ბული ფული დაეხარჯე! ძარღვები დამებერა და ფეთქვა დამიწყო,
სულ ერთთავად საშინელ სიტყვას „ქურდს“ იმეორებდა. „ქურდო,
ქურდო, ქურდო!“ — უმოწმებდა გულიც და მოხვეწებდა ველარ ვპო-
ულობდი.

— ქურდი! — აღმომსდა ჩურჩულით.

მოუღლის ჯერ არ ეძინა.

— ვინ არის ქურდი?

— მე ვარ, მოუღლი, — ვუპასუხე მე.

— მერედა, ვინ გეუბნება, არა ხარო? — დაცინვით მითხრა მოუღ-
ლიმ.

— მე ხომ წინათ არასოდეს ქურდი არა ვყოფილვარ, გეფიცე-
ბით, არასოდეს, ახლა ამიტომაც ვწუხებარ.

— ტყუი, — მითხრა რიჰსტონმა, ჯერ თურმე მასაც არ ძინავდა.

— არა, მართლა, მოკვდე, თუ მართალს არ ვამბობდე, — ვარ-
წმუნებდი მე.

— ჰმ, ახლა იმასაც იტყვი, მოკვდე, თუ ქურდი ვიყო.

— არა, არ ვიტყვი, თორემ მართლა მოკვდელები. მე ხომ ახლა
ქურდი ვარ.

— სისულელეა, შენ რა ქურდი ხან, განა იმას, რაც შენ დღეს
გააკეთე, შეიძლება ქურდობა ეწოდოს? არა, ეგ ქურდობა სულაც
არ არის.

— მაშ, რა არის? მე ყოველთვის იმას მასწავლიდნენ, სხვისი
რამის აღება ქურდობა არისო.

— ამას ისეთი ხალხი ამბობს, ვისაც თვითონ არ უცდია და ამიტომ არც იცის, — მითხრა მოუღლიმ და იდაყვზე წამოიწია, რომ ეს საინტერესო საკითხი უფრო მოხერხებულად გაერჩია. — ვთქვათ, რომელიმე ბიჭი ღუქანში შევიდა, ფულის უჭრაში ხელი ჩაყო და ამ დროს დაიპყრეს. აი, ეს იქნება ქურდობა. თუ მყიდველებს ჯიბეებში ხელის ფათურს დაუწყებს, ესეც ქურდობაა. ამისთვის გასამართლებენ და მოსამართლეს იმასვე იტყვის, ეს ქურდობააო. მაგრამ თუ ვინმე პატარა ბიჭი შეეცდება ნაწევარი პენსი იშოვოს, ან მას სხვის თხილს და ვაშლს უპოვნიან, გასა ამისთვის სასამართლოში მისცემენ? არასოდეს! ვაჭარი მას კინწისკვრით თუ გააგდებს, ან დიდი-დიდი დარაჯს დაუძახოს. ის კიდევ ჯობით სცემს და გამოუშვებს. განა ნამდვილ ქურდებს დასასჯელად დარაჯს გადასცემენ? არავითარ შემთხვევაში!

— თუ ნუშისა და სხვა რამეების აღება ქურდობა არ არის, მაშ, რა ჰქვია? — ვკითხე მოუღლის.

— ცოტა სახელებია? მაგალითად, აღება, აწაპვნა, აცოცება, მოტაცება, მითფსება. მაგრამ განა სულ ერთი არ არის, რასაც დაუძახებ?

— პოლიციელისთვის რომ გვეკითხა, ის რას დაარქმევდა?

— თქვა, რაღა! პოლიციელს ვინ დაუწყებს კითხვას, არ იცი, რა მატყუარებიც არიან? — თქვა რიპსტონმა.

— გამოტყდი, სმიტფილდ, რომ გეშინია, — მითხრა მოუღლიმ.

— კი არ მეშინია, ვფიქრობდი, რომ ეს ქურდობა იყო, მაგრამ რაღი ქურდობა არ ყოფილა, ძალიან კარგი.

— საქმეც ეგ არის, — თქვა მოუღლიმ. — როცა პატარა ვიყავი და სახლში ვცხოვრობდი, ბევრჯერ მომისმენია, მამაჩემი დედას გაზეთს რომ უკითხავდა, იქ ბშირად წერდნენ: ისეთი ეშმაკი ხალხიც კი, როგორც მოსამართლეები არიან, ფრთხილად უნდა იყვნენ და არ შეეცდნენ, ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი უნდა უწოდონო. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, „მიითვისა“, „გაიტაცა“ ან „ითალითაო“. გატაცება კი დიდი არაფერია. აი, ერთხელ რიპსტონმა ჩაის კოვზები მოიტაცა, ჰოდა, ამისთვის ციხეში ორი კვირა ამყოფეს. ასე არ არის, რიპსტონ?

— მაგ ჩაის კოვზებს რა წამდაუწუმ მიხსენებ, — ბრაზიანად უთხრა რიპსტონმა. — მე ისეთ ბიჭებსაც ვიცნობ, ციხეში ორ კვირაზე მეტხანსაც რომ მჭდარან, მაგრამ ყველაფერს როდი ვამბობ. — ეს გადაკრული სიტყვები, ეტყობა, მოუღლის ეკუთვნოდა, რადგან იგი გაცხარდა და რიპსტონს მაწანწალა ხარო, უთხრა. თუმ-

ცა მალევე შერიგდნენ, ერთხანს კიდევ იმასლაათეს და მერე ორ-თავეს მშვიდად დაეძინა.

მე კი წინაღობინდელივით დიდხანს ვეღარ დავიძინე. ჩემი ამხანაგების მსგელობამ მაისც ვერ დამამშვიდა. შესაძლოა, ნუშის მოტაცებას ქურდობა არ ერქვა, მაგრამ მე მსგავსა არაფერი მინდოდა. გადავწყვიტე. რიუსტონისა და მ. ელდისიის, დილითვე მეთქვა, პატიოსან ბიჭად მიიღა დავრჩე. საბრძოლო რამდენე ვიძუშავებ-მეთქი. თუ ჩემთან ამხანაგობას აღარ ისურვებდნენ, მე თავად გავეცლებოდი. როგორც კი ეს გადაწყვეტილება მივიღე, მაიხივე დაბეჯანა.

დილით, როცა გამეღვიძა, თავი ძალზე უბედურად ვიგრძენი. მციოდა, კბილს კბილზე მაცემინებდა. მზად ვიყავი, ყვილაფერი, რაც მეცვა, ერთ ყლუბ ცხელ ყავაზე გამეცვალა.

მოუღლის ჰქონდა ყავის ფული. გეშინ საღამოს ერთ ბატონს, რესტორანში ხამანწყების საქმელად რომ შევიდა, ცხენი დაუჭირა და სამაგიეროდ მისგან გასამრჩელოდ ექვსი პენსი მიიღო. ოთხი პენსი ეახშამზე დავხარჩეთ, დანარჩენი ორი საუზმისთვის გადავიინახეთ.

სიცივისაგან აკანკალებულები ქუჩაში გავედით. ქვაფენილზე სისველე და ტალახი იყო. ყავახანასთან ჩერ მისულებიც არ ვიყავით, რომ პერანგი და შარვალი სულ მთლად დამისველდა და ტანზე მიმეწევა. წუხანდელი ჩემი გადაწყვეტილება — ამ ქურდბაცაებს გავეცლოდი, — არ დამეიწყებოდა და ახლა გამბედაობას ვიკრებდი, რომ ყველაფერი მეთქვა. მაგრამ გამბედაობას რა მომაკრებინებდა, მშიერი, თავით ფეხამდე გაღუმპული კარგად ვგრძნობდი, თუ ჩემს ამხანაგებს წავეჩხუბებოდი, სრულიად მართო და უმწეოდ დავრჩებოდი.

— ორი პენსისა სამი ფინჯანი ყავა მომეცით, — სთხოვა მოუღლიმ მებუფეტეს.

ყველაფერი დამთავრებული იყო. ეს ყავა ვინმე სხვას რომ ეყიდა, ალბათ ვეტყოდი, ვერ დავლევ, უნდა წავიდე-მეთქი. მაგრამ რაკი მოუღლიმ შემომთავაზა, უკვე არ შემეძლო მის ბნელ საქმეზე საყვედური გამომეთქვა.

— აბა, ნულა ზოზინობთ! დღეს ჩვენ ბევრი საქმე გვექნება. ხომ იცი, სმიტფილდ, კარგ ამინდში თავის საქმეზე ყველა თვითონ დიდის, ცუდ ამინდში კი ყველა ცდილობს გასაქცეე-გამოსაქცევად სხვა დაიჭიროს.

მართალიც იყო. მთელი დღია გადაუღებლად წვიმდა და სამუშაოც ზლომად გვექონდა. მე თერთმეტი პენსი გამოვიმუშავე, რიპ-

სტონმა ერთი შილინგი და პენსნანეგარი, მოუღდიმ ცხრანანეგარი პენსი. ძალან მიხაროდა, რომ მე მოუღდიზე მეტი ფული ვიშოვე. თუმცა მთლად დავსველდი და შიშველი ფეხის თითიც ბოთლის ნამსხვრევეზე გავიჭერი, თავს მაინც ბედნიერად ვთვლიდი, პატიოსანი შრომით მოპოვებულ ფულს რომ ვუყურებდი. რიპსტონმაცა და მოუღდიმაც ამჯერად საკმაო ფული გამოიმუშავეს, ისე რომ ბაზარში ერთი ვაშლიც არ მოუპარავთ.

— ახლა კი შეიძლება ითქვას, მთელი დილა პატიოსნად ვიშრომეთ, — თქვა მოუღდიმ, ჩვენგან ფულს რომ ეღებდა. ის ჩვენი მუღმივი ხაზინადარი იყო.

— რალა-რალაცების ცუდი გზით შოვნას და მერე გაყიდვას, ასე სჯობია, — გავბედე და ვთქვი.

— კი, რალა თქმა უნდა, ასე უფრო მეტს ვიშოვით!

— მე მირჩევნია მამუშაონ, ვიდრე სხვა რამ მაკეთებინონ...

— მერედა, ვინ გაძალებს? უბედურებაც იმაშია, რომ სულ ერთსა და იმავე საქმეს ვერ გააკეთებ. ზოგჯერ ლამის შიმშილისაგანაც დავიხოცოთ. ჩემი აზრით, რაც ხელში მოგხვდება, არაფერი არ უნდა დაიწუნო.

რიპსტონიც მეგობრის აზრს სავსებით იზიარებდა.

ჩვენ სასაუზმისკენ გავწიეთ, მხიარულად ვისადილეთ, ვახშმისთვის ფულიც გადავინახეთ და ექვსი პენსი კიდევ დავგვრჩა. ამ ექვსი პენსით ამხანაგებმა გადაწყვიტეს, ჩემთვის ფესსაცმელი ეყიდათ. ფართლულობის რიგისაკენ გავწიეთ და ცოტათი განიერი. მაგრამ ძალზე მოხერხებული ფესსაცმელი შევიძინეთ.

VIII

ფინია. — მე მითვალთვალებენ.

არასახიამოვნო ღამე

უმეტესად ერთფეროვნად ვცხოვრობდით. ყოველდღე ადრიანად ვღვებოდით, ერთი და იმავე ქუჩებითა და შესახვევებით დავდიოდით და ერთსა და იმავე სამუშაოს ვასრულებდით. როცა მუშაობით საქმლის ფულს ვერ ვიშოვიდით, ერთი და იმავე კალათებიდან სხვადასხვა წვრილმანს ვიპარავდით, ისევე იმ მოხუცს მიყვიდით და შემდეგ ვსადილობდით. ზოგჯერ ღორის ხორცსაც მივირთმევ-

დით, ზოგჯერ კი შავი პურის ამარა ვრჩებოდით. ფურგონშიც ზოგჯერ დაგვხვდებოდა ჩალა, ზოგჯერ კი ცარბელ ფიცრებზე ვიძინებდით.

სახლადან რომ გამოვიქეცე, ერთი შარვალი, ერთი პერანგი და ძველი, დახეული კურტაკი მქონდა. ასლა უკვე ახალთახალი შარვალი და პერანგი მეცვა, ძველი კურტაკის ნაცვლად კი — სერთუკის მსგავსი რაღაც ჩასაცველი. ჩემი ექვამენსიანი წაღები ძალიან ნაადრევად დამეხა და მე ისევ ფესშიშველა დაედლივდი, რადგანაც ახლის საყიდლად ფული არ გვეყოფნიდა.

რიპსტონი და მოუღლი შუა მაისის თვეში გავიცანი, ასლა უკვე ოქტომბრის ნახევარი იყო. შემოდგომაზე შეიძქერ თუ რვჯერ ვიყავი თეატრში და ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას ვღებულობდი. ერთი დამე კი პოლიციის უბანში გავატარე.

აი, ეს ამბავი როგორ მოხდა. დასაქინებლად თაღებქვეშ ვბრუნდებოდით, რომ პატარა ფინია დავინახეთ, ფეხდაფეხ მოგვდევდა.

— აქედან დაიკარგე! — დაუყვირა მოუღლიმ, — შენი თავი არა ვეაქვს!

მან ქვა აიღო და ძაღლს ესროლა.

— მოუღლი, როგორ არა გრცხვენია, გაუშვი, გვდიოს, — გამოექომბა რიპსტონი.

— რიპ, წავიყვანოთ ჩვენთან, ფურგონში გვეყოლება, საკმელსაც ვაქმევთ. ეტყობა, სახლი არა აქვს, — ვთქვი მე.

ღამით ფარნის მკვეთრმა შუქმა გამომალვიდა, პირდაპირ სახეში მანათებდა. ჩვენს ფურგონს პოლიციელი მოსდგომოდა. ხელში ძაღლი ეჭირა.

— აი, შე არამზადავ, ეს ფინია შენ მოიპარე? — დამიყვირა პოლიციელმა და ხელში უხეშად მწვდა.

— არა, სერ, თვითონ აგვედენა, — მივუგე შიშისაგან აცახცახებულმა.

— ვიცი, როგორც „აგედენა“, — გამომაჯავრა პოლიციელმა, საყელოში ჩამავლო ხელი და ფურგონიდან გადმოძრაობდა.

ცხარე ცრემლით ვტიროდი.

— ნუ წუხხარ, სმიფ, არაფერია, მე დაგიხსნი, — მამშვილებდა რიპსტონი.

და მართლაც დამიხსნა. მიიკითხ-მოიკითხა, ვასი იყო ძაღლი, პირდაპირ მის პატრონთან წავიდა და ყველაფერი უამბო, რაც მოხდა. ძაღლი ქალაქის ექიმის ავადმყოფი გოგონასი გამოდგა.

მეორე დღეს, შუადღისას, უბნის მისაღებ ოთახში გამომიძახეს. ახალგაზრდა დაღვრემილი სახის ქალმა, იქვე სკამზე რომ იჯდა, თავისთან მიმიხმო და მკითხა:

— შენ ის ბიჭი ხარ, წუხელ პატარა ძალი რომ შეიფარე?

— დიას, მილედი, — მიუხედავად მე. არ ვიცოდი, მწყენოდა თუ გამხარებოდა.

— ახლავე გაგანთავისუფლებენ. მე შენს გამოსახსნელად მოვედი და თანაც მინდა ჩემი პატარა გოგონას მაგიერ მადლობა გადაგიხადო. იგი ავად არის და ვეღარ იძინებდა: სულ თავის ფინიაზე დარდობდა. ახლა შექდარებით უკეთაა. მადლობელი ვართ შენი. ნუ გვიწყენ, რომ ჩვენი მიზეზით ეს ღამე საპატიმროში გაატარე.

მან თავზე ალერსიანად გადამისვა ხელი.

უბნიდან რომ გამოვედი, სიხარულით მივხტოდი, მალიმალ ჭიბეში ხელს ვიყოფდი და იმ ქალის ნაჩუქარ ხუთშილინგიან მონეტას ვისინჯავდი.

ხუთი შილინგი! ამოდენა სიმდიდრე ჩვენს პატარა კომპანიის ერთად არასოდეს ენახა. გადავწყვიტეთ, ხელგამლილად მოგველხინა. კარგ სასაღილოში ვისადილეთ. თითო კათხა ლუდი დავლიეთ. ისე გავმხიარულდით, რომ თავს უფლება მივეცი, თეატრში ომნიბუსით წაესულიყავით და თითო ადგილში ორი პენსი გადაგვეხადა. ლუდიმ რიპსტონსა და მოულოდნელად იმოქმედა. საშივენი შუა წარმოდგენიდან გამოგვიყვანეს. იძულებული გავხდით ასეთ წვიმაში შინ ფეხით დავბრუნებულიყავით, რადგან ჭიბეში არც ერთი პენსი არ გვედო.

ერთ დილას, მაშინ სახლიდან ხუთი კვირის გამოქვეული ვიყავი, ბაზარში მეზობელს შევხვდი.

— ესეც შენ! ხომ გაები, არამზადავ, ახლავე მამაშენთან წაგყვან! — შეჰყვირა მან.

უნდოდა დავეჭიროე, მაგრამ ხელიდან დავუსხლტი. ამის შემდეგ უფრო ვფრთხილობდი, მეშინოდა, საღმე მამაჩემს არ შეეფეთებოდი. ამხანაგებს დაწვრილებით ავუწერე მამაჩემის გარეგნობა და ისინიც გულმოდგინედ მენხარებოდნენ.

მეორე დღით, შვიდ საათზე, მოულოდნელად ორი მამაკაცი დამანახვა, ისინი ხილის რიგს მოჰყვებოდნენ. იმწამსვე ვიცანი: ერთი მათგანი ის კაცი იყო, გუშინ კინალამ რომ დამიჭირა, მეორე კი — მამაჩემი... მამა ძალიან გაფითრებული იყო, ეტყობოდა, დეღავდა, ხელში მათრახი ეჭირა, ალბათ ვინმეს ხაგანგებოდ სთხოვდა. მის შეხედვაზე მუხლები ამიკანკალდა და ტუჩებმა თრთოლა დამიწყო.

— რიბ, მიშველე, შენი ჭირამე, — ძლივსგასაგონად ამოვიღულ-

ლულე და მეგობრის ზურგს ამოვეფარე. — ხედავ, როგორი გაბრა-
ზებულია და რამსიგრძე მაარახნი უჭირავს!

რიპსტონი ცარიელი დასვავებული კალათებისკენ უჯან-უჯან წა-
ვიდა და შიგ დაძალა, თვითონ ერთ გადმობრუნებულ ხოკერზე
დაჯდა და ვითომც არაფერიყო, სტაფილოს ფხეკასა და ხრამუნს
მოჰყვა. რამდენიმე წუთის შემდეგ მამაჩემიც მოვიდა.

— შენ ეი, პატარავ, აქ ბაზარში აველკურტაკიანი ბიჭი ხომ არ
დაგინახავს? აი, ამ სიმაღლე იქნება. — ჰკითხა მან რიპსტონს.

კალათის ჰუჭურუტანიდარ შვესედე, მამაჩემმა ჩემი სიმაღლე
უჩვენა.

— რა ჰქვია იმ ბიჭს? — ჰკითხა რიპსტონმა მამაჩემს, თან სტა-
ფილოს არხეინად შეეჭკოლა.

— ჯიმი.

— ჯიმი როგორ არ ვიცნობ. მაგარი, ღონიერი ბიჭია. ისეთი
მძიმე მუშტი აქვს, ნებისმიერ კაცს წააქცევს.

— ეჰ, შენც ერთი, მე პატარა ბიჭზე გეკითხებო, ასე, რვა წლის
იქნება, — მოუთმენლად შეუყვირა მამაჩემმა.

— რვისა?.. ნამდვილად იცი, რომ ჯიმი ჰქვია? — მძიმედ გაი-
მეორა რიპსტონმა.

— რა თქმა უნდა, ვიცი, ჯიმ ბელიზეტი.

— ჯიმ ბელიზეტი! — შეჰყვირა რიპსტონმა, თითქოს უცებ გაახ-
სენდაო. — ვიცი, ვიცი, ჩვენ მას რაუზერს ვეძახით. ამიტომაც ერთ-
ბაშად ვერ მოვიგონე. სადღაც ჭაუკროსთან ცხოვრობდა. მამამისი
მგონი, დამტარებელია, არა?

— ჰო, სწორედ ეგაა. ახლა სად არის?

— აი ის, ავი მამა რომ ჰყავს და წამდაუწუმ ტყავის ქამრით სცემ-
და?

— თვითონ გაიგებოთ, არა? დახეთ, რა უმადური ბიჭია!

— იმას კიდევ დედინაცვალის ჰყავს, ერთი საზიზლარი, მაპეზ-
ლარა ქალი, არაყს წყალივით სვამს...

— აღარ იტყვი, სად არის? — იღრიალა მოთმინებადაკარგულმა
მამაჩემმა, რიპსტონს მივარდა, ქეჩოში ჩაავლო ხელი და ისე ღო-
ნიერად შეაჯანჯლარა, რომ კალათები აქეთ-იქით გადაცვივდა.

— თუ გამიშვებთ, გეტყვი, ისე კრინტსაც არ დავძრავ! — ისეთი
ხმით შეჰყვირა რიპსტონმა, რომ მეგონა, ჩემს გაცემას მართლა
აპირებდა.

— აბა, თქვი! — დაუყვირა მამაჩემმა.

— თუ გინდათ სიმართლე გითხრათ, მტვირთავად დაიწყო მუ-
შაობა.

— როდის? სად?

— ეს აღარ ვიცი. გუშინ საღამოს ერთ ჩემს ნაცნობს ვესტმინსტერის ხიდზე შეხვედრია და უკითხავს: „რაუზერ, აქ რას აკეთებ, განა ბაზარში სამუშაო აღარ არისო?“ ამაზე რაუზერს უპასუხნია: „მეტს ბაზარში აღარ ვივლი, მამაჩემმა ჩემს კვალს მოაგნო, ერთ ნაცნობ ორჩხომელის პატრონთან მივალ, უინსეორთის გზაზე ცხოვრობს, და მტვირთავად დაეუღღებებიო“. აი, ეს არის. მეტი არაფერი ვიცი. — მკვახედ უთხრა რიპსტონმა.

— წყეული ბიჭი! — დაიყვირა მამაჩემმა. — ხომ არ უთქვამს, შინ დაბრუნებას როდის აპირებს?

— ეგ არ ვიცი. ისე კი, არა მგონია, რომ დაბრუნდეს! სულ ერთთავად იმას გაიძახოდა, ზღვაზე უნდა წავიდეო. მდინარეზე გავა, იქ გემებს ნახავს და მერე, მოგვამა ჭირი!

— ეგ მართალია, — მწყრალად თქვა მამაჩემმა და თავის ნაცნობს მიუბრუნდა, — წავიდეო, ჭეკ, ნეტავ რას დავდეოთ იმ არამზადას? ისემც უქნია, ზღვაში დამხრჩვალა!

მამაჩემმა მათრახი ილიაში ამოიჩარა და თავის მეგობარ კაცთან ერთად გაგვშორდა.

ამის შემდეგ არც ერთხელ აღარ შეხვედრევარ მამას და არც სხვა ვინმე ძველ ნაცნობს.

მალე ავად გაეხდი.

მართალია, ისევ ფეხზე დავდიოდი და არც არაფერზე ვჩიოდი, მაგრამ დიდი ხანია ვგრძნობდი, რომ შეუძლოდ ვიყავი. ან რა გასაკვირი იყო. მთელი შემოდგომა გადაუღებლად წვიმდა. სველი ტანსაცმელი მთელი დღეები ზედ მეცვა, ის კი არადა, ღამეც არ ვიხდიდი. რამდენიმეჯერ ყელი და ბეჭებშუა ზურგი საშინლად ამტკივდა. მთელი ორი კვირა კბილის ტკივილი მკლავდა. ო, რა მწარე იყო! პურს ვერ ვჭამდი, თუ წინასწარ წყლით არ დავალბობდი. არც თალგამისა და კომბოსტოს ხიკვის დაღეჭვა შემეძლო, რაც ხშირად ჩვენს ერთადერთ საკვებს შეადგენდა. იძულებული ვიყავი მეშიმშილა, ვიდრე რაიმე ბედნიერი შემთხვევა მომეცემოდა და საფუნთუშეში ან სააადილოში რბილი საკმლის ყიდვას შევძლებდი. ღამდამობით ფურგონის ერთ კუთხეში მივიკუნჭებოდი და ტკივილისაგან თვალის მოხუჭვასაც ვერ ვახერხებდი. სულ ერთთავად ვირწეოდი. ჩემს ამხანაგებს კი ჭავრი მოსდიოდათ.

— რას ფშრუკუნებ, სმიფ, ძილს ნუ გვიფრთხობ! — ბუზღუნებდა რიპსტონი.

— ჰო, სმიფ, მართალს ამბობს, რა აუტანელი ხარ. დღისით ხომ საკმლის შოვნაში არ გვეხმარები და ლამითაც თავს გვაბეზრებ: აპყვებოდა მოუღლიც.

— მითხარით, რიპ, რა ექნა, — ვტიროდი მე. — ოქვენც რომ ჩემსავეთ გტკიოდეთ, უფრო შეგეცოდებოდით.

— მოუღლი, როგორმე დაეხმაროთ, — უთხრა ჩემი ცრემლებით გულაჩუყებულმა რიპსტონმა. — მოდი, ჩვენს მეზობლად ფურგონში რომ იძინებს, იმ ბებერ მევიოლინეს დაუძახოთ. ამბობენ, კბილის ამოღება იცისო. მე მგონია, ერთ დიდ ტკივილს გაუძლოს, ის აჯობებს, ვიდრე მთელი კვირები ერთმა უხეირო კბილმა გააწვალოს.

— ჰო, აი, ეს მესმის, — თქვა მოუღლიმ და მევიოლინეს მოსაყვანად წავიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ორივენი მოვიდნენ. მევიოლინეს ხელში გრძელი დაყანგული სიმი ეჭირა.

— აბა, საბრალო ბიჭუნავ, დაჩქეი და პირი რაც შეგეძლოს დიდზე გააღე. თქვენ კი, ბიჭებო, ორივე ხელი მაგრად დაუჭირეთ, რომ მუშაობაში ხელი არ შემიშალოს. — თქვა მევიოლინემ.

მე დავემორჩილე, თუმცა შიშისაგან გული გამალებით მიცემდა. მოხუცმა მტკივან კბილს სიმი შემოახვია და... და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოსწია.

— ა-ა-ა — ვიყვირე და უკან გადავევარდი.

პირიდან სისხლი მდიოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, კბილი აღარ მტკიოდა.

კოვენტგარდენში ჩვენი საქმეები თანდათან ცუდად მიდიოდა. შეგვაძინიეს. ეს კი ხელს არ გვაძლევდა. ყველამ იცოდა, რომ ქურდბაცაცები ვიყავით და თვალი ფხიზლად ეჭირათ. თითქმის დღე ისე არ გავიღოდა, ვინმე ვაქარს ან ბაზრის დარაჯს არ ვეცემეთ.

რიპსტონმა ერთ სარდაფს მიაგნო, სადაც ზამთრისთვის სტაფილო ჰქონდათ შენახული. შიგ შევიპარეთ და მთელი კვირა მხოლოდ სტაფილოთი ვიკვებებოდით. პირველად ეს დიდ ბედნიერებად მიგვაჩნდა, მაგრამ მალე მივხვდით, რომ მხოლოდ სტაფილოს ჰამა ძალიან საზიანო იყო. ალბათ ჩემი ავადმყოფობა ნაწილობრივ ამანაც გამოიწვია.

კვირაობით, თუ ცუდი ამინდი არ იდგა, მდინარის სანაპიროზე დიდხანს დავსეირნობდით, შემდეგ ჩვენს ფურგონში ეწვებოდით და ერთმანეთს სხვადასხვა ამბებს ვუყვებოდით. იმ დღეს, როცა მე, ავად გავხდი, რიპსტონი და მოუღლი სასეირნოდ წავიდნენ, მე კი ფურგონში დავრჩი. გუშინდელიდან რამდენიმე პენსი კიდევ ჰქონდათ შემორჩენილი და პურითა და ყურძნის წვენიც ისადი-

ლეს. მე კი წინა დღის შემდეგ არაფერი მექამა. ერთიანად ვიწვოდი და მაკანკალებდა. ენა გამიშრა, თვალები მტკიოდა და თავიც ისე მტეხდა, თითქოს ვინმე ჩაქუჩს მიტყავდა. ჩემდა ბედად, ფურგონში ცოტაოდენი ჩალა კიდევ იყო და ამხანაგებმა მთლიანად მე დამითმეს. მაგრამ მაინც ვერა და ვერ მოვეწყვე: ჩალის ბალიში რამდენჯერაც არ ავაბულულე, ჩემი დამძიმებული თავისთვის მაინც დაბალი მეჩვენებოდა.

ლამით უფრო ცუდად გავხდი. ამჯერად ბალიშობა მე უნდა გამეწია, მაგრამ რიპსტონმა დიღსულოვნად დააკავა ჩემი ადგილი. მოუღლიმ კი კარგი ადგილი შემომთავაზა, თუმცა არჩევის უფლება მას ჰქონდა, რადგან წინაღობით „ბალიში“ ის იყო. დასაძინებლად ჩვეულებრივზე ადრე მოეწყვენენ, რომ მე დროზე დავწოლილიყავი. მაგრამ ამაოდ ზრუნავდნენ.

მალე რიპსტონმა იგრძნო, რომ ჩემი თავის სიმხურვალე მის კურტაკშიაც ატანდა. ჩვეულებრივ მშვიდი ხასიათის მოუღლიმ ძილის დროს გაბოროტება იცოდა. მან უცებ რიპსტონს ფეხში ჩასცხო.

— რა მოგივიდა? — წყენით ჰკითხა რიპსტონმა.

— წყნარად ვერ დაწეები? ფეხებს ისე იქნევ, გეგონება, ცეკვავსო!

— მერე, მე ვარ რო?! სმიტფილდია! — შეუყვირა რიპსტონმა.

— სმიფ, რას ძაგძაგებ?

— საშინლად მცივა, მოუღლი. მთლად გაყინული ვარ.

— ჰო, კარგი გაყინული ხარ, ლუმელივით ვარგარებ. მოუღლი, აბა, შენც ნახე ერთი. — უთხრა რიპსტონმა.

მოუღლიმ ლოყაზე ხელი დამადო, მერე ფეხზე წამოიკრა და ღონივრად გამაწნა სილა. — ესეც შენ! ტყუილის თქმას რომ ბედავ. ატირდები და მეორესაც მიიღებ!

ვცდილობდი თავი დამეძლია და არ მეტირა, მაგრამ ეს ჩემს ძალას აღემატებოდა. მთელი საღამო ცრემლებს ვიკავებდი, მოუღლის საქციელმა კი დაგუბებულ ცრემლებს გზა მისცა. გულამომჯდარი ვტიროდი, ცრემლები ისე დაპალუპით მცვიოდა, თვალების მოწმენდასაც ვერ ვასწრებდი. თითქოს სიმწარე დამიგუბდა და ახლა გზა უნდა მიმეცა. ფურგონის ძარაზე დამხობილი ჩუმად ვტიროდი. ამხანაგები ჩემს ტირილს მაშინ ამჩნევდნენ, როცა წამოვისლუკუნებდი ხოლმე. მას მერე, რაც მამაჩემი კოვენტგარდენის ბაზარში მათრახით ხელში ვნახე, მტკიცედ გადავწყვიტე, შინ აღარასოდეს დავბრუნებულყავი. იმ დღიდან არც პატარა პოლი და არც ჩვენი ოჯახური ცხოვრება არ მომგონებია, გული ჩამიკვ-

და და გამიქვავდა. ახლა კი ვიგრძენი, რომ გული ისევ ღვლებო-
და, მიჩვილდებოდა და, ამასთან, ისეთი სიმძიმე აწევებოდა, რომ-
ლის ატანაც მე არ შემეძლო.

ეტყობოდა, არც მოუღლის შეეძლო ჩემა ტირილის ატანა.
მან დანაბრები შემისრულა — ერთხელ კიდევ მომიქნია ხელი და
წინანდელზე მაგარი სილა მტკიცა.

— აი, შე უაჩალო! — მივარდა მას რიპსტონი. — პატარა ბიჭს
სცემ, შენზე უმცროსს, თანაც ავადმყოფს! სმიტფილდ, ადექი, გე-
ნაცვალე, მომეხმარე, მაგას ვუჩვენოთ სერიი!

ესა თქვა თუ არა, რიპსტონი არც დაშელოდა, ხელები დაიკა-
პიწა და მოუღლის ცემა დაუწყო. არ მინდოდა, მათ ეჩხუბათ და
ვცდილობდი, შემერიგებინა, ორთავეს ვარწმუნებდი, არაფერი არა
მტენია, ავად რომ ვარ, იმიტომ ვიტირუ-მეთქი.

როდესაც მოუღლი კარგად გამოფხიზლდა, ძალიან ინანა. ნამ-
დვილ არამზადნავეით მოვიქეციო, აღიარა და ჩემს დასამშვიდებ-
ლად შემომთავაზა, რაც ძალი და ღონე გქონდეს, ცხვირში გამარ-
ტყი, მე ხელები ზურგს უკან შექნება დაწყობილიო. რიპსტონი ჩამ-
ძახოდა, გაარტყიო, მაგრამ მე ვიუარე. მაშინ მოუღლიმ თავისი
ბეწვის ქუდი თავქვეშ დამიდო და კურტაკი ტანზე დამაფარა. თავის
ტანსაცმელს რიპსტონიც ხალისით მომეცქცა, მაგრამ მას ცის-
ფერი სათბურას მეტი არაფერი ებადა, ისიც პერანგისა და კურ-
ტაკის მაგივრობას უწყევდა. ქუდი კი წინაღლით დაკარგა, ბაზრის
ღარაჯს რომ გაუბოდა, მაშინ.

თუმცა ამხანაგები თავგამოდებით ცდილობდნენ. როგორმე მშვი-
დად ეწოლილიყავი კარგად ჩათბუნებული, მაგრამ უკეთესობა მა-
ინც არ მეტყობოდა. წინანდებურად ვიწვოდი, თანაც სიცოცხისაგან
მაკანკალებდა. ენა გამიშრა და მძიმედ, სვენებ-სვენებით ვსუნთ-
ქავდი, თუმცა ტირილის შემდეგ ერთგვარი შვება ვიგრძენი და
ძნად ვიყავი ყველაფერი ამეტანა.

IX

მე მუშათა სახლში მოცხვდი

ჩემმა ავადმყოფობამ ამხანაგები ძალიან შეაშინა. კურტაკი და-
მაფარეს და რაც შეიძლება მშვიდად დამაწვინეს, თვითონ კი ფურ-
გონის ბოლოში მიიკუნკნენ და ჩურჩული დაიწყეს:

— ალბათ გაცივდა, — თქვა რიპსტონმა. — უბედურებაა, ალა-
მიანი რომ გაცივდება. მოუღლი, ეტყობა, გაციებულა, არა?

—ჰო, რაღაც მაგდაგვარია, — უფრო ჩუმი სმით უპასუხა მოულდი.

—კარგი იქნებოდა მდოგვის საფეხები დაგვედო... მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, მიკეთებდნენ... რას იტყვი, მოულდი, მდოგვის მოსატანად აფთიაქში რომ წავედღე?

—სად უნდა წასვიდე, დღეს კვირაა და ყველა სავაჭრო დაკეტილია. მხოლოდ აფთიაქები იქნება ღია, აფთიაქში კი მდოგვი არ იყიდება.

—იქნებ მდოგვზე მეტად აბებმა არგოს. მაგრამ იმ აბებს ისეთი უცნაური სახელები ჰქვიათ, არ იცი, როგორ იკითხო.

—ადექი და შენც უთხარი, ოთხი პენსის მომეცი-თქო.

—მეაფთიაქემ რომ მკითხოს, რომელი აბი გნებაეთო?

—უთხარი, სასაქმებელი-თქო, — გულგრილად უთხრა მოულდი.

მოულდი საერთოდ უხალისოდ ლაპარაკობდა, ეტყობოდა, სხვა რამეზე ფიქრობდა.

—მაშ, შევთანხმდეთ, ხვალ დილით პირველივე პენსით სმიტფილდს აბებს ვუყიდით, — თქვა ისევ რიპსტონმა.

მოულდი ხმას არ იღებდა. წუთით ორივენი გაჩუმდნენ. მე გაუხმრევლად ვიწევი და იმათ ჩურჩულს ყურს ვუვადებდი. მოულდის თავშეკავებამ რიპსტონს ეჭვი გაუღვიძა.

—მოულდი, ვთქვათ და გაციებული არ არის, მაშინ რა უნდა სჭირდეს სმიტფილდს? — ჰკითხა მან.

—არ ვიცი, — უგუნებოდ უპასუხა მოულდი.

—შენ ხომ ერთხელ საავადმყოფოში იწევი, იქ ბევრ ავადმყოფს ნახავდი. ასეთი რამ არავის სჭირდა?

—ჩუმად, მგონი, არ სძინავს. გესმის, რა თანაბრად სუნთქავს?

—ჰო, მაგრამ გესმის, ჩალას როგორ ამრიალებს? ალბათ კიდევ შეამცინა.

ესა თქვა და უფრო ხმადაბლა წასჩურჩულა: — რიპ, აფსუს, რომ ჩემი კურტაკი მივეცი. ქუდი კიდევ ჭანდაბას, მაგრამ კურტაკი მენანება.

—აი, შე ძუნწო, პირუტყვო! — შეუტია რიპსტონმა. — რომ დაგჭირებოდა, ალბათ ესეც საკუთარ კურტაკს გაიხდიდა და მოგცემდა!

—დაიკარგა და დაიკარგოს, ახლა მაინც სულ ერთია. — ამოიხრა მოულდი.

—რატომ უნდა დაიკარგოს, ხვალ ხომ ისევ გამოართმევ?

— აბა, რას ამბობ, კურტაკს იქნებ ისეთი რამეც გამოჰყვეს, რისი შექმნის სურვილი სულაც არა მაქვს.

— რას ამბობ, გამაგებინე!

— ჩუმად, ჩუმად, რომ გაიგონოს, შეეშინდება.

ორივენი ფრთხილად ადგნენ და ფურგონიდან თავები გადაყვეს. თუშკ ძლივგასაგონად ჩურჩულებდნენ, მაგრამ მე ყველაფერი გარკვევით მესმოდა.

— რიპ, ყვაილი თუ გაქვს აცრილი? — ჰკითხა მას მოუღლიმ.

— კი. და ამის მოწმობაცა მაქვს.

— ჰოდა, ძალიან კარგი. ესე იგი, საშიში არაფერი გაქვს. მე კი არა ვარ აცრილი და ციებ-ცხელება სწორედ მე შემეყრება.

— ნუთუ სმიტფილდს ციება აქვს? მოუღლი, მაშ მოკვდება? — შეშინებული ხმით ჰკითხა რიპსტონმა.

— ალბათ მოკვდება.

— ასე უცებ მოკვდება, მოუღლი, ასე უცებ მოკვდება?

— არა, უცებ არ მოკვდება. — ჩასჩურჩულა მოუღლიმ. — მანამდე იქ თმასა პარსავენ და ათას რამეს უკეთებენ.

— მოუღლი, ეგ რისთვისღა სჭირდებათ? — ძალზე შეშინებულმა ჰკითხა რიპსტონმა.

— იმიტომ, რომ სულ მთლად გაგიყლებიან ხოლმე და რომ არ გადაპარსონ, თმას სათითაოდ დაიგლეჯენ, — მიუგო მოუღლიმ.

— ოჰ, რა უბედურებაა! საწყალი სმიტფილდი მოკვდება, საბრალო სმიტფილდი!

რიპსტონმა ტირილი დაიწყო. მე თვალებს არ ვუჭერებდი, მაგრამ ეს სინამდვილე იყო. რიპსტონი ტიროდა.

არ შეშინებია და არც გამკვირვებია, როცა მოუღლისაგან გავიგე, რომ მე ციებ-ცხელება შემეყროდა. ეს კი ყველა იმ ავადმყოფობაზე უფრო საშინელი იყო, რომელიც კი ვიცოდი. ცუდად, ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. ვიცოდი, ციებისაგან აღამიანი კვდებოდა, მაგრამ ვერც ამან შემაშინა. მე ერთი რამ მსურდა მხოლოდ: ოღონდ ჩემთვის თავი დაენებებინათ, არც არავინ შემხებოდნ და არც არავინ დამლაპარაკებოდა.

რიპსტონი და მოუღლი ფურგონის კუთხეში კვლავ ჩურჩულებდნენ. მესმოდა იმათი ხმადებალი ლაპარაკი, ბანქოს თამაშში გართული ბიჭების ხორხოცი, ლანძღვა-გინება, ფეხების ბრაგუნის და სხვადასხვა ხმები. თანდათანობით ყველაფერი მიწყნარდა, მხოლოდ ჩემი ამხანაგების ჩურჩულიღა ისმოდა. გულში მიხაროდა,

რომ არ ეძინათ. ძალიან მომწყურდა და მოუღლის ვახოვე, ერთი უღუპი წყალი მოეტანა.

— კარგი ერთი, ძმობილო, — აღერსიანი ხმით მიხზრა მოუღლიმ, — აბა, როგორ მოგიტანო წყალი? შენც კარვად იცი, არავითარი ჭურჭელი არა გვაქვს. მოითმინე, მშვიდად იწექი დილის ხუთ საათამდე, მერე კი მებორნეები მოვლენ და რამდენიც გინდა, სვი.

— არა, დილის ხუთ საათამდე მოცდა არ შემიძლია, მოუღლი, მართალს ვამბობ, არ შემიძლია, ჭკუაზე შევიშლემეჭი. ეგ აღარ მიტხრა, დილის ხუთ საათამდე მოითმინეო!

— ჰო, კარგი, აღარ გეტყვი, მაგრამ ეს ხომ სიმართლეა? ამიტომაც გითხარი.

— ახლა რომელი საათია?

— ალბათ პირველი იქნება.

საშინელი წყურვილი მტანჯავდა, მდინარის ტალღები კი ამ დროს განუწყვეტლივ ეხეთქებოდნენ კედლის ქვედა ნაწილს, რომლის ახლოსაც ჩვენი ფურგონი იდგა. თვალწინ დამიდგა მდინარე, თაღებქვეშ გატარებული პირველი ღამის გათენებისას რომ ვახილე, მზის სხივებით გაბრწყინებულ, აქავლებულ მდინარეზე ზანტად მიცურავდა თივით დატვირთული ორჩხომელი. დაუოკებელმა სურვილმა შემიპყრო, სანაპიროზე ჩავსულიყავი და წყურვილი მომეკლა. ჭურჭელი არც მჭირდებოდა, შემეძლო თავი დამეხარა და პირდაპირ წყალს დაეწაფებოდი. წამოვიწიე, მინდოდა ფურგონის კიდეზე გადავსულიყავი. ისე ბნელოდა, რომ ამხანაგები ვერ მხედავდნენ, მაგრამ, ეტყობა, ჩალის შრიალი შემოესმათ. ის იყო ფურგონიდან ცალი ფეხი გადაეყავი, რომ რიპსტონი მეორე ფეხში მწვდა.

— რას შერები, სმიტფილდ, სად მიდიხარ, გენაცვალე! — შეშინებული ხმით, თითქმის ტარილით წაჰიძახა მან.

— წყლის დასაღევად.

— აქ წყალს რა უნდა. მოუღლი, მოდი, მომეხმარე! — განწირული ხმით იყვირა საბრალო რიპსტონმა. — სმიფ, აქ წყალი არ არის.

— წყალი როგორ არ არის. ჩავალ მდინარეზე და რამდენსაც მინდა, იმდენს დავლევ, — ვუთხარი მე.

— არა, შენ წყლის დასაღევად არ მიდიხარ. გინდა თავი დაიხრჩო, შენ ხომ ახლა ჭკუაზე შეშლილივითა ხარ! — სასოწარკვეთილი ყვიროდა რიპსტონი. — მოუღლი, გეყოფა ამდენი შიში, მოჰკიდე ხელი და მომეხმარე, როგორმე დავიპიროთ.

მაგრამ მოუღლი ასლოს მოსვლას ვერ ბედავდა: ეშინოდა, მას ხომ აცრილი არ ქონდა. გარდა ამისა, ეგონა, რომ ამ გამწარებულ გულზე ვუკბენდი, და თავისი კუთხიდან არ განოსულა, ისე დამიწყო ლაპარაკი.

— რა იყო, სმიფ, რატომ წამოხტი? — დამამშვიდებელი ხმით შელაპარაკებოდა იგი. — ასე ხომ მთელ „თალებს“ ფეხსე დააყენებ. იწევი წყნარად და წყალს ახლავე გავასენ.

— რატომ იტყუები, წყალს მოვიტანო, გინდა თავს უშველო და სმიტფილდი მე შემატოვო, არა?

მეც ასე მეგონა, მაგრამ ორივენი შეეცდით, მოუღლის ამას ტყუილად ეწამებდით. მან თავქვეშ დადებული თავისი ქუდი გამომაძრო, ფურგონიდან ჩახტა და რამდენიმე წუთის შემდეგ იმ ქუდით მდინარის წყალი მომირბენინა. სიბნელეში მდინარისკენ გზის გაგნება არც ისე ადვილი იყო. მაგრამ მოუღლის ბედმა გაუღიმა და უვნებლად დაბრუნდა. თუმცა ეს ქუდი ძველი იყო, მაგრამ ისეთი გამძლე და გაქონილი აღმოჩნდა, რომ წვეთი წყალი არ გასვლოდა. ხუთჯერ ხარბად მოვსეი და დაიცალა კიდევ. ენით გამოუთქმელი სიამოვნება ვიგრძენი. იმ ღამით ჩემმა პატარა კონკია ამხანაგებმა სიცოცხლე შემინარჩუნეს. მდინარის ნაპირზე რომ გავეშვი, ცივი, გამჭოლი ქარი ალბათ მომკლავდა, ან კიდევ ადვილი შესაძლებელი იყო, სიბნელეში ფეხი დამცურებოდა და მდინარეში ჩავევარდნილიყავი.

წყურვილი რომ მოვიკალი, დავწევი და მაშინვე დამეძინა. სულ რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტ, უცნაურ და უსიამოვნო სიზმრებს ვხედავდი, ვიდრე რიპსტონმა მხარში ხელი არ წამავლო და არ ვაძლიოდა: ადექი, დროა, ფურგონი დავცალოთ, მეფურგონე უკვე ცხენების მოსაყვანად წავიდაო. წამოდგომა ვცადე. მაგრამ ვერ შევძელი. როგორც კი ფეხზე აღვმას დავაპირებდი, მუხლები კანკლს მიწყებდა და ვეცემოდი.

— აბა, ბიჭებო, — თქვა ფურგონის პატრონმა, როცა მოგვიახლოვდა, — გადმობრძანდით, მე თქვენი ლოლიაობისთვის არა მცალია.

— ჩვენ კი გადმოვბრძანდებით, მაგრამ აქ ერთი ბიჭი გვიწევს და გადმოვბრძანება არ შეუძლია, — უთხრა მოუღლიმ და ფურგონიდან ჩამოხტა.

— როგორ თუ არ შეუძლია?

— კი გადმოვბრძანდებოდა, მაგრამ ფურგონიდან ვერ გადმოღის, ფეხები წამერთვია, ამბობს, თუ შეიძლება, მოგვეხმარეთ და გადმოგვაყვანინეთ.

— დამაცადოს ერთი, ისე გადმოვიყვანო, მგონი, თავის დღეში არ დააეიწყედეს. — თქვა მეფურგონემ და ფარანმომარჯვებულ ფურგონზე ამოხტა.

— აეთრიე, შე ზარმაცო! — დაძვინჯა მან.

მაგრამ ამ დროს ფარანის შუქი სახეზე დამეცა და მან საუბრის კილო სასწრაფოდ შეცვალა.

— საბრალო ბიჭუნა! — წამოიყვირა. — დიდი ხანია, ავად არის?

— გუშინ საღამოს მერე ასეა, — მიუგო რიპსტონმა, — არ გვეგონა, თუ ასე ცუდად იყო.

— კი მაგრამ, სად ცხოვრობს, შინ წაყვანაა საჭირო, — თქვა მეფურგონემ.

მამაჩემის განრისხებული სახე მომაგონდა, უკანასკნელად ბაზარში კალათების ჭუჭქრუტანებიდან რომ დავინახე. მისი მათრახისა კარგად მყოფსაც მეშინოდა, ახლა კი, მით უმეტეს, მასთან დაბრუნება ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნდა.

— სად ცხოვრობ, ბიჭო, შენი სახლი სად არის? — მეკითხებოდა ფურგონის პატრონი.

მე პასუხს არ ვაძლევდი, თავს ვიკატუნებდი, ვითომ არაფერი მესმოდა.

— როგორ, ბიჭებო, განა არ იცით, სად ცხოვრობს? — მიუბრუნდა იგი ამხანაგებს.

ბიჭებმა ყველაფერი ძალიან კარგად იცოდნენ, მაგრამ ჩვენ ხომ ერთმანეთს ფიცი მივეციით, არავისთვის გაგვემხილა, ვინ სად ვცხოვრობდით და მათაც არ გამცეს.

— სახლი არა აქვს, აქ ცხოვრობს, — უთხრა მოუღლიმ.

— და არც დედ-მამა ჰყავს, ობოლია, — დაუმატა რიპსტონმა.

— როგორი უბედური ყოფილა! აქ რომ დავტოვოთ, ალბათ, მოკვდება. მუშათა სახლში მაინც მივიყვან. ბიჭიკო, გინდა მუშათა სახლში წაგიყვანო? — მკითხა მეფურგონემ.

ოღონდ ჩემს სახლში ნუ წამიყვანდნენ და სულ ერთი იყო. ისე ძალიან ვიყავი დასუსტებული, ლაპარაკიც არ შემეძლო. მეფურგონეს კითხვაზე მხოლოდ თავი დავუქნიე. კეთილმა კაცმა თავისი ცხენის ჩულოში მზრუნველობით გამახვია, ცხენს აღვირი მოსდო და „თაღებიდან“ გამოიყვანა. რიპსტონი არ მომშორებია, მთელი გზა ფურგონში ჩემს გვერდით იჯდა.

მოუღლი, თუმცა ციებ-ცხელებისა ძალიან ეშინოდა, გამოუშვინდობებლად მაინც ვერ დამშორდა. გავიგონე, ფურგონის ძარას ხელებით რომ ებლაუჭებოდა, უკან მივიხედე და მის მოთხუბნილ სახეს მოგვარო თვალი.

— მშვიდობით, სმიტფილდ! — მითხრა მან და მერე ფურგონის პატრონს მიუბრუნდა: — მას ჩემი კურტაკი ახურავს და, თუ შეიძლება, მუშათა სახლში რომ მიხვალთ, უთხარით, შეუენახონ, თუ გამოჩანმრთელდება, ისევ დაუბრუნონ. აბა, მშვიდობით, სმიფ, ორ მოიწყინო!

და იგი გაქრა.

რიპსტონი კარგა ხანს მომყვებოდა. შემდეგ გავარეარებულ ხელზე მაგრად მომიჭირა ხელი, სიყვარულით შემომხედა, ჩულო კარგად შემომიკეცა და ფურგონიდან უსიტყვოდ ჩახტა.

I

ცოცხალი გადავჩი

კეთილმა მეფურგონემ მუშათა სახლში მიმიყვანა. იქ ტანთ გამხადეს, მახანავეს და ლოგინში ჩამაწვინეს. ჩემზე ყველანი ამბობდნენ, ძალიან ცუდად არისო. ოღონდ საკვირველი ის იყო, რომ მე თავს არც ისე ცუდად ვგრძნობდი. ძალიან მშვიდად, გემრიელად ვიწექი და არავითარი ტკივილი არ მაწუხებდა. ვინმეს რომ ეკითხა, რომელი გირჩევნია: ბნელ თაღებში ჯანმრთელად ყოფნა თუ ციებ-ცხელებიანი აქ წოლაო, მე ციებ-ცხელებას ვარჩევდი. ან კი რა იყო აქ დასაფიქრებელი? ციებისაგან არავითარ ტკივილს ორ ვგრძნობდი, იმის მეათედადაც არ მაწუხებდა, რაც ფურგონში კბილის ტკივილის დროს ავიტანე. სუფთა, რბილი ლოგინი მქონდა, ორტუთ ისე საზიზღარ წამლებს მასმევდნენ და საუკეთესო ბუღიონსაც მაჭმევდნენ. მხოლოდ ის იყო, რომ ყველანი, და თვით ექიმიც, როგორღაც სერიოზულად მეპყრობოდნენ, ჩემს საწოლს ფრთხილად უახლოვდებოდნენ და ისეთი წყნარი, მშვიდი ხმით მელაპარაკებოდნენ, ნამდვილად ეგონათ, რომ საშინლად ვიტანჯებოდი. რამდენიმეჯერ ვიფიქრე, ალბათ აქ შეცდომით მოვხვდი, ის საშინელი ავადმყოფობა, ციებ-ცხელებას რომ უწოდებენ, მე სულაც არა მქირს და როგორც ეს შეცდომა გამოირკვევა, მაშინვე აქედან გამაგდებენ-მეთქი.

ორ ვიცი, რამდენხანს ვიწექი ასე. ის კი მახსოვს, რომ გამომეღვიძა, წინაღღებზე გაცილებით მხნედ ვგრძნობდი თავს. ყველანი გაოცებულები შემომიკეცდნენ. მომვლელმა ქალმა, საუზმე რომ

მოქონდა, საიქიოდან გამოქცეულებზე რაღაც ბუტბუტი დაიწყო და, ცოტას გაწყდა, საკმელი ზედ არ გადამასხა. ზედამხედველი ქალი ჩემს საწოლთან შეჩერდა და თქვა:

— ეტყობა, ამის დასაფლავება ჯერ არ მოგვიწევს!

ყველაზე მეტად ექიმს უკვირდა.

— აი, ყოჩაღ! არ მეგონა, თუ სიკვდილს ასე მარჯვედ დაუძვრებოდა. — შესძახა მან.

— დიახ, სერ, შეიძლება ითქვას, რომ ამ ბიჭმა სიკვდილი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა, — თქვა მომგელმა ქალმა.

— სწორედ რომ ეგრეა, — გაელიმა ექიმს. — მართლაც რომ მშრალზე დატოვა! წუხელ ღამით მაგის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ახლა დახეთ, რა ყოჩაღად გამოიყურება! ალბათ მოიკეთებს. სანამ ხელმეორედ გასაქრეკი გახდება, ფეხზედაც დავაყენებთ.

მთელი ამ საუბრიდან ბევრი არაფერი გაძეგებოდა, მაგრამ ექიმმა ბოლოს რომ თქვა, იმან კი ძალიან გამაკვირვა. მუშათა სახლში მოსვლის დღესვე თავი ისე პირწმინდად გადამპარსეს, რომ ლაპლაპი გაპქონდა, ჩემს თმას დიდხანს აღარ დასჭირდებოდა გაკოქვა. ჰოდა, ნუთუ იქამდე არ უნდა გამოვჯანმრთელებულიყავი? იქნებ ექიმი შეცდა?

ექიმი მართლაც შეცდა, მაგრამ უფრო სავალალო ის იყო, რომ მეც შევეციდი. თმა ძალიან ნელა მეზრდებოდა, მაგრამ ჩემი გამოჯანმრთელების საქმე კიდევ უფრო ნელა მიდიოდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ნამდვილი წამება მას მერე დაიწყო, როცა ექიმის აზრით, ფეხზე თამამად უნდა დავმდგარიყავი. მართალია, ფეხზე ვდგებოდი, ან, უფრო სწორად, მაიძულებდნენ, დავმდგარიყავი, ჩამეცვა და პალატაში მევლო. მიუხედავად ამისა, თავს არც მზნედ ვგრძნობდი და აღარც მზიარული ვიყავი. ჭამის მადა კარგი მქონდა, ის კი არადა, ზედმეტადაც კარგი — შემეძლო, საავადმყოფოში რომ ულუფას გვაძლეოდნენ, სამი იმდენი ყოველგვარი ძალღატანების გარეშე მეჭამა. მაგრამ მე გაცილებით უკეთ ვგრძნობდი თავს, როცა ციებ-ცხელებით შეპყრობილი ვიწექი და ყველანი თავს დამტრიალებდნენ. მაშინ, რამდენ ხანსაც მომესურვებოდა, შემეძლო იმდენ ხანს მენებიერა ლოგინში. ახლა კი წინ და უკან უნდა მევლო, ყველას ფეხებში მოვდებოდი და ჩემი ნავადმყოფარი ძვლებით წამდაუწუმ საწოლის კიდევებს ან მაგარ ავეჯს მივზლოდი. ერთ კვირას ფეხები ისე დამისივდა, რომ ფეხსაცმელსაც ვეღარ ვიცვამდი. ამის შემდეგ ყურები ამტკივდა, მერე თვალები, ასე რომ, იძულებული გავხდი, დიდი მწვანე წინაფრიანი ქუდით მევლო. ერთთავად საშინელ მოწყენილობას ვგრძნობდი, ძალზე

უბედური და ჭავრიანი გავხდი. კარის ყოველი გაჭრიალება მალიზიანებდა. მუშათა სახლში ყოფნა ზიზღს მგვრიდა. მინდოდა, რაც შეიძლება მალე გამოეჯანსაღებულიყავი, ტანსაცმელი დაებრუნებინათ და ჩემს ნებაზე გავეშვი.

საესებით დარწმუნებული ვიყავი, რომ სხვას არაფერს მიპირებდნენ. ერთი ისღა მინდოდა ჩემი კოსტუმისათვის პერანგი, ქუდი და ფეხსაცმელიც დაემატებინათ. მეგონა, როცა მომესურვებოდა, ვიტყოდი: „გმადლობთ, რომ მომარჩინეთ, ახლა კი წავალ“, და ჩემს წინ ყველა კარი თვალის დახამხამებაში გაიღებოდა. მერე საითაც მომესურვებოდა, იქით წავიდოდი. იმაზე კი, თუ საით ვაპირებდი წასვლას, არც დაფიქრებულვარ. რასაკვირველია, ბნელ „თალებში“, რიპსტონთან და მოულდისთან დავბრუნდებოდი, იმათ ჩემი მისვლა ძალიან გაუხარდებოდათ. მართალია, მუშათა სახლში კარგად მაჭმევდნენ და კარგ ოთახშიაც მაძინებდნენ, მაგრამ ჩემი ადრინდელი ცხოვრება, პატარა მაწანწალას ბედი ოდნეადაც არ მაშინებდა. მომაგონდა, ქალაქის ქუჩებში რა თავისუფლად დავდიოდით, ფულს ეშოულობდით და, როგორც მოგვესურვებოდა, ისე ეხარჯავდით. მომაგონდა ჩვენი ოინები და ძალიან მომინდა, რიპსტონი და მოულდი რაც შეიძლება მალე მენახა. მთელს ქვეყანაზე სიყვარულით მხოლოდ მათ ვიგონებდი. მშობლიური სახლი ჩემთვის თითქოს არც არსებობდა.

ჩემთან, პალატაში, სხვა ბიჭებიც იწვნენ. ისინი დიდი ხანია, რაც მუშათა სახლში ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ არ ეუახლოვდებოდი. როგორღაც სულელებად მეჩვენებოდნენ. მათთან ჩემ საქმეებზე ლაპარაკისა მეშინოდა, ასე მეგონა, დამაბეზღებდნენ. მუშათა სახლში ყველას ეგონა, ობოლი ვიყავი, არც სახლი მქონდა, არც მეგობარი მყავდა და არც სხვა ვინმე მფარველი გამაჩნდა. ასე გააცნო მათ ჩემი თავი მეფურგონემ.

ბოლოს და ბოლოს გამოეჯანმრთელდი. უკვე თებერვალი იდგა. მიწა სქელ თოვლს დაეფარა. ექიმმა პალატის შემოვლის მერე ბრძანება გასცა, მე და ერთი ბიჭი, ბაილსი, მეორე დღესვე საავადმყოფოდან გავეწერეთ.

ექიმი რომ წავიდა, ბაილსმა მკითხა:

— მისმინე, სმიტფილდ, შენ ობოლი ხარ?

— ჰო, ობოლი ვარ, — ვუპასუხე მე.

— ვაი, შენი ბრალი!

— რატომ? ასე რად ამბობ?

— იმიტომ, რომ ობლებს სტრატფორდში გზავნიან და შენც იქ გაგამგზავრებენ. არ იცოდი, განა? სტრატფორდში ცემით სულს

ხდიან, მერე ბნელ ორმოში აგდებენ. ერთ ობოლ ბიჭს ვიცნობდი, — აი ისეთს, როგორიც შენა ხარ, პოდა, იქ მოკლეს.

— რატომ მოკლეს, რა დააშავა?

— გაქცევას აპირებდა და დაიჭირეს. ლურსმნებიან მაღალ კედელზე გადადიოდა. ხელი სტაცეს, ძირს ჩამოაგდეს, ბნელ ხაროში დაამწყვდიეს და მას მერე იმისი არაფერი ისმის. ყველა იმას ამბობს, მოკლესო!

— ისეთი სულელი როგორ იყო, რომ სტრატეგორღში წავიდა — ვთქვი მე.

— განა თვითონ წავიდა, ძალით წაიყვანეს, ისევე, როგორც შენ წაგიყვანენ, — უპასუხა ბაილსმა.

— არა, მე არ წამიყვანენ, — უცებ განვაცხადე მე. — უფროსი ჩვენს პალატაში რომ ჩამოივლის, ვთხოვ, ჩემი ტანსაცმელი მომცეს და ნება დამართოს, სადაც მინდა, იქ წავიდე.

— აი, მოხერხებაც მაგას ჰქვია! — გაიცინა ბაილსმა. — ჰო, სთხოვე, ალბათ გაგიშვებს და ეტლის ფულსაც მოგცემს!

ბაილსის სიტყვებისათვის ყურეც არ მითხოვებია, ყოველთვის სულელად მიმაჩნდა და ახლა ამაში უფრო მეტად დავრწმუნდი. მუშათა სახლში ჩემი დატოვება ნეტავ ვის რაში სჭირდებოდა? პირიქით, ყველას ძალიან გაუხარდებოდა, თუკი თავიდან მომიცილებდნენ.

უფროსი ყოველ საღამოს შემოივლიდა ხოლმე პალატებს. გვამოწმებდა, ყველანი ადგილებზე ვიყავით თუ არა. როცა ჩემს საწოლს მოუახლოვდა, დაუძახებ. ვინც კი პალატაში იყო, ყველამ ბალიშიდან თავი წამოყო და გაკვირვებით დამიწყო ყურება. მე ფიქრადაც არ მომსვლია, რომ თავხედურად ვიქცეოდი.

— მე დამიძახებ, ბიჭო?! — მკითხა უფროსმა, თითქოს საკუთარ ყურებს არ უჭერებდა.

— დიახ, ბატონო, თუ შეიძლება, უბრძანეთ, ჩემი ძველი ტანსაცმელი მომცენ და აგერ აქ, სკამზე დამიწყონ. ხვალ დილით ჩავიცვამ. მინდა აქედან წავიდე.

უფროსის თვალებში რისხვამ გაიელვა. შემდეგ ზედამხედველ ქალს მშვიდად მიუბრუნდა.

— ეს ბიჭი სრულ ჭკუაზეა, მისის ბრაუნ? — ჰკითხა მან.

— დიახ, სერ, თუკი ამ თავხედს საერთოდ ჭკუა გააჩნია. — მიუგო ზედამხედველმა.

— ძალიან კარგი! — თქვა უფროსმა და ფანჯარი და უბის წიგნაკი მოიმარჯვა. — ეს მგონი, იმ ჯგუფისაა, ხვალ რომ მიდის, არა? მითხარით, რა ნომერია?

— ას ოცდაშვიდი, სერ, — მიუგო ზედამხედველმა.

— გამდლობთ... მაშ, ას ოცდაშვიდო ნომერო, შენ ეს სალამო დაიმახსოვრე!

განრისხებულმა ერთხელ კიდევ შემომხედა და გზა განაგრძო.

თავზარდაცემული ვიყავი. საბანი წაფიფარე და დიდხანს გონს ვერ მოვდიოდი. ნუთუ ეს სინამდვილე იყო? ჩემი სურვილით მუშათა სახლიდან გასვლას ვერ ვაებედავდი, აქ მე ტყვეობაში ვიყავი და ხვალ იმ საშინელ ადგილას წამიყვანდნენ, ბაილსი რომ მელაპარაკებოდა. იქ კი, რა თქმა უნდა, უფროსთან თავხედობისათვის მაშინვე ბნელ ხაროში ჩამაგდებდნენ.

რა მექნა? მოსალოდნელი საშინელებისაგან თავი როგორ დამეხსნა? მუშათა სახლიდან გაქცევა კიდევაც რომ მომეხერხებინა, ამ ტანსაცმლით ვერსად ვერ ვაგვიტყეოდი. გამოვტყდები, მუშათა სახლში მოცემული ტანისამოსის თან წაღებაც არ შემრცხვებოდა, მაგრამ რაღაც უცნაური სამოსი იყო: მოკლე კურტაკი, აზღუდე-ბიანი მოკლე შარვალი, ლურჯი შალის წინდები და სპილენძის-ბალთებიანი ფეხსაცმელი. ამგვარი მორთულობით როგორ უნდა გამოვექეულებიყავი? ერთ ვერსზე მიცნობდა ყველა. თუშეცა მუშათა სახლიდან „თაღებამდე“ შორს არ იყო. ერთი კი იქამდე მიმელწია და მერე, თქმა არ უნდა, რიპსტონი და მოუღლი დამიხსნიდნენ. მაგრამ მუშათა სახლიდან როგორ ვაგვპარულიყავი?

ამის ფიქრმა დიდხანს არ დამაძინა. ბოლოს ძალიან გაბედული გეგმა შევადგინე, რადგან სხვა გამოსავალი არ მქონდა.

პალატაში ერთი გულკეთილი ქალი იყო — მომვლელის დამხმარედ მუშაობდა. სახელად ჭეინი ერქვა. მას ვილატისაგან ძალიან ხშირად მოსდიოდა წერილები. ამ წერილებს მეკარე ლებულობდა და ჩუმად ინახავდა. ეს ქალი ან თვითონ ჩადიოდა მასთან წერილების მისაღებად, ან რომელიმე ჩვენგანს აგზავნიდა. ჭეინი წერილების შენახვაში მეკარეს ხშირად თუთუნის ფულს აძლევდა. გადაეწვიტე, ამით მესარგებლა. რა თქმა უნდა, ბევრი ტყუილის თქმა დამპირდებოდა, მაგრამ, რა მექნა, სტრატფორდის მოგონება თავზარს მცემდა.

გათენდა დილა. ჩვეულებრივ რვის ნახევარზე ესაუზმობდით. წერილები კი ფოსტას რვა საათზე მოქონდა. როცა გამომეღვიძა, ყოყმანი დავიწყე, მაგრამ საუზმზე ბიჭებმა დაცივით ამიკლეს და მხოლოდ იმაზე ლაყბობდნენ, სტრატფორდში რა დღეს დამაყრიდნენ. ამან ჩემს ყოყმანს ბოლო მოუღო.

ცხრის თხუთმეტ წუთზე ქუდი შარვალში ჩაემალე, პალატიდან ფეხა.კრეფით გამოვედი და კიბეებზე ჩამოვიპარე. გრძელი დერეფანი

ეზოში გადიოდა, რომლის ბოლოში ალაცაფის კარები იყო. იქ იჯდა მექარე. საავადმყოფოს პალატის ფანჯარა ეზოში გამოდიოდა. ფანჯარაში ჭეინი დავინახე. იგი მე მიყურებდა, თითქოს უკვირდა, ეზოში ამ დროს რამ ჩაიყვანაო. მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და მექარის პატარა ჯისურისაკენ უშიშრად წავედი.

— წერილები არ არის! — მიჯიბრა დანახვისთანავე.

— ვიცი, — მივუგე მე, — მაგრამ ჭეინმა გთხოვათ, რომ აგერ იმ კუთხეში საფოსტო ქაღალდების საყიდლად გამიშვათ. კიდევ ისიც მითხრა...

— რას არ მოიგონებს ხოლმე! — წამოიძახა გულმოსულმა მექარემ. — მაქვს მერე ამის უფლება? შენს ჭეინს უთხარი, რომ ძალიან თავს გაუვიდა, ეს რა სისულელეებსა მთხოვს!

თქვა და ზემოთ, ფანჯარას შეხედა, სადაც ჭეინი იდგა და სასოწარკვეთით რალაცას ანიშნებდა.

— გეყოფა, ტყუილად ნურაფერს მანიშნებ! რომ გავუშვა, ამისათვის სამსახურიდან გამაგდებენ.

— მოიცათ, — სასწრაფოდ შევაწვევტინე ლაპარაკი. ვხედავდი, რომ მთელი იმედი წყალში მეყრებოდა. — ჭეინმა თქვენთვის ნახევარი უნცია თამბაქოს ყიდვა დამაბარა...

— მდაა, ეს სხვა საქმეა!.. — თქვა და პალატის იმ ფანჯარას გახედა, სადაც ჭერ ისევ იდგა ჭეინი. სახე მთლიანად გასწითლებოდა, ეტყობოდა, ეჭვი აიღო და სასოწარკვეთილი იქნედა თავს. — შენს ჭეინს უთხარი, თამბაქოთი ჩემს მომადლიერებას ტყუილად ნუ ეცდება. ჩქარა, აბა, მომეცი ფული და გაიქეცი, ნუ ზოზინობ, თორემ მოგხვდება!

ერთი ფულის მიცემა და მორჩა, გასაქცევი გზა ხსნილი იყო იგი მიშვებდა და სწორედ ახლა ყველაფერი წყალში უნდა ჩაყრილიყო, მხოლოდ იმიტომ, რომ მე სულ რაღაც ორი პენსი არა მქონდა! ისევ ვიცრუე.

— ხურდა არა მაქვს, — ეთქვი მე. — ჭეინმა თამბაქოს ყიდვა იმ ფულიდან დამავალა, ქაღალდი რომ უნდა ვუყიდო.

და ჯიბეში მოგონილი ვერცხლის ფულის ძებნა დავიწყე.

— ჰო, კარგი, ჩქარა წადი, რაღას დგახარ და ლაქლაქებ, აქამდე მოხეიდოდი კიდევ!

მან პატარა კუტიკარის ურდული გასწია და მე უკვე თავისუფალი ვიყავი! მინდოდა მაშინვე გავქცეულიყავი, მაგრამ შეშინოდა, ვ. შ. არ მითვალთვალებდეს-მეთქი, და მხოლოდ ჩქარი ნაბიჯებით გავეშურე. ხოლო, როგორც კი მოსახვევთან მივედი, უკან-მოუხედავად მოგკურცხლე.

ცივი, ღრუბლიანი დილა იყო, მაგრამ უჩვეულო სიმზნევესა და სიმსუბუქეს ვგრძნობდი. ეს ადგილები ჩემთვის ნაცნობი იყო, აქედან თაღებამდე უმოკლესი გზა ვიცოდი და ექვსიოდე წუთის შემდეგ სანაპიროს იმ შესასვლელთან ვიყავი, ქვემოთ, ბნელი თაღებისაკენ რომ მიემართებოდა.

ტერნშილის ქუჩაზე ერთხელ კიდევ მივდივარ

ის იყო თაღებქვეშა შესასვლელში ფეხი შეედგი, რომ წმინდა მარტინის ეკლესიის ზარებმა ცხრისნახევრისა დარეკეს. ამან შემაჩერა, მოუღლი და რიპსტონი ახლა თაღებქვეშ აღარ დამიხედებოდნენ, ალბათ, დიდი ხანია სამუშაოდ გავიდნენ და შინ დაბინდებამდე არ მოვიდოდნენ. მთელი დღე იმათ უნახავად უნდა გამეტარებინა. ამან ის დიდი სიხარული, მუშათა სახლიდან უვნებლად თავის დაღწევის შემდეგ რომ ვგრძნობდი, ბევრად შეანელა. რა თქმა უნდა, შემეძლო ჩემი ამხანაგები ბაზარში მომეძებნა, მაგრამ ასეთი ჩაცმულობით იქ გამოჩენა სისულელე იყო. გადავწყვიტე, თაღებქვეშ ჩავსულიყავი და იმათ დაბრუნებას დავლოდებოდი. საოკარია, მაგრამ ის ადგილი, სადაც ფურგონი იდგა, სულაც არ იყო ისეთი მყუდრო, როგორსაც მოველოდი. ბნელოდა და იქაურობა შემზარავი ჩანდა. სინესტე ძვალსა და რბილში ატანდა.

ერთ-ერთ კედელთან რაღაც ჩერების გროვა შეენიშნე და იქითკენ წავედი. მაგრამ, როგორც კი მივუახლოვდი, ჩერების გროვა შეინძრა და მოხუცებულის ხრინწიანი ხმა გავიგონე:

— აქ რას დაეძებ, ბიჭუნა? ვფიქრობდი, დღისით მაინც მომასვენებენ და მშვიდად მოვკვდები-მეთქი. ძნელია ხალხში სიკვდილი.

— მე ხელს არ შეგიშლით, — ვუთხარი თავაზიანად. — თუ გნებავთ, მოკვდით, მე მხოლოდ ისეთ ადგილს ვეძებ, სიცივისაგან რომ დამიფაროს.

— აგერ, იმ ყუთში ჩაძვერი, მეთულუხჩის ფურგონზე რომ დგას. — ჩახლეჩილი ხმით თქვა ჩემმა ახალმა ნაცნობმა. — ფეხზე წამოდგომა რომ შემიძლოს, ყუთში მეც ჩაეძვრებოდი და ხალხს ჩემი სულელური ლაპარაკით თავს არ მოვაბეზრებდი.

გარშემო მიმოვიხედე და ურიკა შევამჩნიე, რომელზედაც დიდი თავლია ყუთი დავინახე.

ყუთში ჩაეძვარი. მიხაროდა, რომ მყუდრო თავშესაფარი ვიპოვე, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ეს ადგილი არც ისე მოხერხებული იყო, როგორც მეგონა. ყუთში ბლომად ჩარჩენილი წყალი სიცივეს გაეყინა. თავდაპირველად მაგარი იყო, მაგრამ როცა დაეჭექი, გადნა და წყალმა შარვალი დამისველა. ყუთიდან ამოვძვარი და ქარისაგან თავი რომ დამეცვა, მეთულუხჩის კასრს ამოვეფარი. მაგრამ ისეთი მძაფრი, გამქოლი ქარი ქროდა, მისგან თავის დაცვა შეუძლებელი იყო, ვიწრო დერეფანში ძლიერად იჭრებოდა და სანაპიროდან ნამქერი მოჰქონდა. სიცივე ძვალ-რბილში ატანდა, ყურებს მწვავედა. თავს ოდნავ წამოვწევდი თუ არა. ქარი შიგ სახეში მიბერავდა. იძულებული ვიყავი, ქუდი ორივე ხელით დამეჭირა. ყინვისაგან თითებმა ტეხვა დამიწყო, თითქოს ცეცხლი მწვავედა. ამ წამებას ნახევარ საათზე მეტხანს ვერ გავუძელი. ურიკიდან ჩამოვხტი, თითები ილღის ქვეშ შევიწყვე და წინ და უკან სირბილს მოვწყვი. მოლიპულ ქვებზე დავბაკუნებდი, რომ გაფიჩხებული ფეხები როგორმე გამეთბო.

ბოლოს სიცივემ ისე ძალიან შემაწუხა, რომ გადავწყვიტე, ცეცხლის დანთება მეცადა. მდინარის ნაპირზე ნაფოტებისა და ქვანახშირის ნატეხების მოგროვება შეიძლებოდა, მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ ასანთი არა მქონდა. მდინარეზე ორჩხომელები მრავლად იდგნენ, ზედ ხალხი მუშაობდა და ბევრი თამბაქოსაც ეწეოდა. თუ ვთხოვდი, ალბათ ასანთს მომცემდნენ, მაგრამ ამ ტანსაცმლით მათთან როგორ მივსულიყავი? გამოკითხვას დამიწყებდნენ, მერე ჩემს ამბავს თავიანთ ნაცნობებს მოუყვებოდნენ, ბოლოს იმით დამთავრდებოდა, რომ დამიჭერდნენ. ერთი გამოსავალილა მრჩებოდა: ჩემი ვინაობა რომ არ გამედავებულყო, კურტაკი უნდა გამეხადა, ხელები და პირი ტალახით მომესვარა, რომ მდინარის შლამში ამოგანგლულ „ძვლების შემგროვებელ“ ბიჭს დავმსგავსებოდი. ამის გაკეთება ძნელი არ იყო, მაგრამ ჩემთვის ძალიან სამძიმო გამოდგა: ავადმყოფობის შემდეგ ჯერ კარგად არც ვიყავი გამოჯანსაღებული, რომ სიცივისაგან გავითოშე. მარტო კურტაკი კი არა, წინდები, ფეხსაცმელები და ქუდიც უნდა მომეხადა, რადგან „ძვლების შემგროვებელი“ ბიჭები ასე ჩაცმულები არ დადიოდნენ. მათ ფეხები, ხელები და სახე მუდამ ქუჩყიანი ჰქონდათ. მეც რომ მათებრ მოვთხვრილიყავი, ამისათვის ყინულით დაფარულ მდინარის შლამში ფეხშიშველს უნდა მევლო, შიგ ხელი ჩამეყო და შლამი სახეზე მომესვა. „ძვლების შემგროვებელ“ ბიჭებს თან ან ტომარა დააქეთ, ან რაიმე სხვა ქურქელი და, რასაც იპოვიან, ყველაფერს შიგ ყრიან. ბელად

სწორედ ორჩხომელის კიჩოს ქვემოთ ძველ ქვაბს მოვკარი თვალი, შიგ შლამში ეგდო. ავიღე. ორჩხომელის ერთ მოხუც მეპატრონესთან მივედი და ასანთი ვთხოვე.

— აქედან დაიქარგე, საძაგელო ქურდბაცაცაე! — დამიყვირა მან. — ჭერ ციხიდან გამოსვლაც არ მოგისწრია და უკვე ძველი ხელობა გაიხსენე?

— მე ციხეში არა ვყოფილვარ, — ვუთხარი აცრემლებულმა, — მე ციხეში არასოდეს ვმჯდარვარ.

— ჰო, გეტყობა, რომ არ მჯდარხარ, აბა, ერთი მაგ თავზე დაიხედე, ციხეში განა ასე არა კრეკენ, შე სალახანაე, შენა?!

— არა, მე მუშათა სახლში ვიყავი და იქ გამკრიჭეს. ციებით ვოყავი ავად, მერე გამოვიქეცი!

ბერიკაცმა ორჩხომელიდან ჰალარა თავი გამოყო და მოთხუპნილ, ცრემლიან სახეზე გამომცდელად შემომხედა. ეტყობოდა, ღარწმუნდა, რომ მართალს ვეუბნებოდი, რადგან ალერსიანად მითხრა:

— თუ მართლა ასანთის მეტი არაფერი გიჩნდა, ერთი კი არა, თუგინდ ორი წაიღე და გასწი შენ გზაზე!

მან ასანთი ბარჯის ღრეჩოში ჩაქედა და აიღეო, მითხრა. მაგრამ ვაი, რომ მთელი ჩემი შრომა ფუჭი გამოდგა. თუმცა ნაფოტებიც ვიშოვე. ქვანახშირიც, ქალაღის ნაგლეჯებიც, მაგრამ ყველაფერი ისეთი ნესტიანი იყო, ორი ასანთი დავხარა და ცეცხლი მაინც ვერ დავანთე. მდინარის სანაპიროს გაეხედე: ის მოხუცი, ვინც ასანთი მომცა, ორჩხომელზე აღარ იდგა. რა უნდა მექნა, როგორმე უცეცხლოდ უნდა გამეძლო. ისევ მდინარის ნაპირზე ჩავედი, სახიდან და ხელ-ფეხიდან ტალახი ჩამოვიშორე და რადგანაც პირსახოცი არ მქონდა, ქარს მივეუშვირე. შემდეგ ისევ ჩავიცვი წინდები, ფეხსაცმელი, კურტაკი, ქუდი დავიხურე და თაღებქვეშ ბოლთის ცემას მოვეყვი.

ორ საათზე თოვა დაიწყო. ამან არათუ შემაწუხა, გამახარა კიდევ. ვიფიქრე, ცულ ამინდში რიბსტონი და მოუღლი უფრო ადრე დაბრუნდებიან-მეთქი. კიბის ბოლო საფეხურზე ჩამოვქეცი, ბიჭები თაღებქვეშ აქედან ჩამოდიოდნენ ხოლმე და ლოდინი დავუწყე.

იკლესიის სამრეკლოზე შეიღჯერ დარეკეს, მაგრამ ჩემი მეგობრები არსად ჩანდნენ. სად წავსულიყავი, ან რა უნდა მექნა? იქნებ ისევ შინ დაბრუნება ჯობდა?

ამ აზრმა თავში პირველად რომ გამიელევა, მაშინვე უკუვაგდე, როგორც ყოველად მიუღებელი, მაგრამ გადიოდა დრო და ჩემი ერთადერთი მეგობრების ნახვის იმედი თანდათან მექარგებოდა.

შინ დაბრუნებაზე ფიქრი სულ უფრო და უფრო ამეკვიატა და სხვა რამეზე ფიქრი უკვე აღარ შემეძლო. შინ დაბრუნებისა ასე ძალიან რატომ უნდა მშინებოდა? ცხრა თვეზე მეტი იყო, რაც ჩემი ოჯახის წევრები არ მენახა. შეიძლება გახარებოდათ კიდევაც, ან უკიდურეს შემთხვევაში, მამაჩემი, კარგ ნოტაციას წამიკოტხავდა. ახლა უკვე ისეთი პატარა ბიჭი აღარ ვიყავი, როგორც მაშინ, სახლიდან რომ გამოვიქცევი. ვიცოდი, როგორ მომეძებნა სამუშაო, ან რა საქმისთვის მომეკიდა ხელი. ოჯახს ძძიმე ტვირთად არ დავაწევბოდი.

მაგრამ ვიდრე ჩენი შესახვევისაკენ გავეშურებოდი, ერთხანს „თაღებთან“ ვიტრიალე, ბაზარშიც შევიბრინე — რიპსტონი და მოულდი აქ ხომ არ არიან-მეთქი, და რაკი ვერც ერთი ვერ ვიპოვე, გადავწყვიტე, გეზი ტერნმილის ქუჩისაკენ ამელო. მივდიოდი მხნედ, არსად არ ვჩერდებოდი და არც არავის ვაქცევდი ყურადღებას.

სმიტფილდს რომ მივუახლოვდი, ნაბიჯს მოვუკელი და შესახვევთან გაჩერდი. იქნებ საშიშიც ყოფილიყო, რომ მამას მოულოდნელად გამოვცხადებოდი? ამ დროს მამაჩემი ჩეეულებრივ ლუღხანაში იყო ხოლმე. იქნებ აჯობებდა, ვიდრე ლუღხანიდან გამოვიდოდა, გარეთ დამეცადა? როცა ცოტა გადაკრულში იყო, ძამა უფრო კეთილი ხდებოდა. შესახვევის მოპირდაპირე მხარეს დავდექი და მამას დაუუწყე ლოდინი. შინ მუდამ თერთმეტ საათზე ბრუნდებოდა, ჯერ კი მხოლოდ ათი იყო. მოთმინებით ველოდი და იმის ფიქრმა, თუ როგორ შემხვდებოდა, ან რას მეტყოდა, შიმშილი და სიცივე სულ მთლად დამავიწყა.

დრო გადიოდა, მაგრამ მამა მაინც არ ჩანდა. ბოლოს გადავწყვიტე, ლუღხანასთან მივსულიყავი და მენახა, იქ იყო თუ არა.

ერთბაშად ლუღხანის კარი გაიღო და ვილაც ქალი ხელის კვრით გარეთ გამოაგდეს. ქალს ტანზე შემოხეული, ზინზლიანი კაბა ეცვა, წითელი თმა ასწეწოდა, ტუჩებიდან სისხლი სდიოდა, ხელში კი ქუჭყიან ჩვრებში გახვეული ბავშვი ეჭირა. მაშინვე ვიცანი: ეს ქალი მისის ბერკი იყო და ხელში ჩემი საბრალო დაიკო პოლი ეჭირა.

— აი, შე საზიზლარო ლოთო! — წიოდა იგი. — ბოთლების სროლას როგორ მიბედავ? კინაღამ ბავშვი მოკალი. დამაცა, ერთი შინ მოდი, თუ ცეცხლის საჩხრეკი მაგ თავზე არ გადაგამტვრიო!

ის კაცი, ვინც ეს ქალი გარეთ გამოაგდო, მუშტებშემართული ეცა.

— იმასაც ბედავ, რომ ლოთობას მაყვედრი, შე ბინძურო, შენა! — უყვიროდა იგი. — შენ თვითონ მთელ ფულს, რასაც კი საქ-

მღოს საყიდლად გააღვე, ლოთობაში ფლანგავ, რაც შენ ჩემს სახლში მოიკალათე, მთელი ოჯახი წიშნილობს. სიკვდილიც ცოტაა შენთვის!

— ქმარა ჩხუბი, ჯიმ ბელიზეტ. — უთხრა მისტერ პიგოტმა, თან ხელუბს უბოკავდა. — ჩემს ლუღხანაში უწესოდ მოქცევის უფლებას არ მოგცემთ. თუ მაინცდამაინც გინდათ, სახლში სცემეთ, აქ იყო შეიძლება!

ჯიმ ბელიზეტო? მან ამ ლოთ, გაზიზღულ კაცს ჯიმ ბელიზეტო დაუძახა? ნუთუ ეს კაცი მამაჩემი იყო? მამას მუდამ სუფთად და კობტად ჩაცმულს ვხედავდი ხოლმე. სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ გულდასმით იცოდა ხელ-პირის დაბანა და სახლიდან ისე არ გავიდოდა, რომ სუფთა პერანგი, კარგი ფლანელის კურტაკი არ ჩაეცვა და ყელზე აბრეშუმის ყელსახვევი არ გაეკეთებინა. ამ კაცს კი დაუბახელი, თვალეზიზღიერი, დასიებული სახე და გაუპარსავე ჯაგარივით წვერი ჰქონდა. მის თმას, ეტყობოდა, დიდი ხანია სავარცხელი არ მიჰკარებოდა. საშინლად ჭუჭყიანი პერანგი ეცვა და თავზეც მოთელილი შლაპა ეხურა.

— გამიშვით! — უძალიანდებოდა იგი მისტერ პიგოტს. — მაგ საქონელს ცემით ცხვირ-პირი უნდა ამოვუნაყო, ეგ გველი, ეგა, ეგ წურბელა! რაც ძარღვებში სისხლი მედგა, მაგან გამომწოვა!

— გეყოფა, ჯიმ! — აჩერებდა ლუღხანიდან გამოშლილი ხალხი. — ანგარიშის გასწორებას მოასწრებ. მაგას ჯობია, წავიდეთ და თითო კათხა ლუდი კიდევ დავლიოთ.

შეჩოჩოლებულ ხალხთან პოლიციელი მივიდა.

— რა არის, ისევე ბელიზეტები ჩხუბობენ? — მშვიდად ჰკითხა მან სამიკიტნოს პატრონს.

— ჰო, — უპასუხა მისტერ პიგოტმა. — მაგათი გამველები თავი არა მაქვს. კიდევ კარგი, მოხვედით.

— დიახ, ბატონო პოლიციელო, — ყვიროდა მამაჩემი, — აქედან გაათრიეთ ეგ წითელი პირუტყვი, რომ ჩემმა თვალებმა აღარ დაინახონ!

და ბარბაცით ისევე ლუღხანაში შევიდა.

— არა, ჯობია, ახლავე სული გააფრთხობინოთ მაგ სისხლისმწოველ ურჩხულს, მთელი ქონება ლოთობას გადაავო, — აზლუქუნდა პოლიციელის დანახვით ცოტა არ იყოს გულმოცემული მისის ბერკი.

— ჰო, კარგი, გეყოფა, წადი შინ, შე ლირფო, ლოთბაზარავ! — შეუტია პოლიციელმა, ჩვენს შესახვევამდე მოურჩედებლად მიათრია და სახლის კარებში შეაგდო.

ალარ ვიცოდი, როგორ მოვექცეულიყავი. მისის ბერკთან მისგ-
ლა სისულელე იქნებოდა. მისგან ალერსიან შეხვედრას არასოდეს
მოველოდი. ახლა კი მითუმეტეს, ნაცემი იყო და მასთან მისვლა
უაზრობა იქნებოდა. მართალია, პაწაწინა პოლი მებრალებოდა, მაგ-
რამ თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ ცოცხალი იყო და ჩემი მიზეზით
არაფერი დაშავებოდა. ვიფიქრე, მოდი, ისევ მამასთან მივალ, იქ-
ნებ იმას უფრო შევეცოდო, აქამდე მისის ბერკი აქებებდა, ახლა
კი იჩხუბეს და იქნებ ჯიბრით კარგად მიმიღოს-მეთქი. ლუდხანაში
მორიდებით შევედი. შიგ იმდენი ხალხი იყო, მამაჩემი ერთბაშად
ვერც დავინახე. კარგად რომ დავაკვირდი, მაშინლა შევამჩნიე: მა-
მაჩემს მაგიდაზე დაეწყო ხელები და თავჩალუნული იჯდა.

— ეი, შენ, მუშათა სახლო, აქ რას აკეთებ? — მკითხა მოსამსა-
ხურე ბიჭმა.

— მამასთან მოვედი, აგერ, იქ ზის! — ვუპასუხე მე და მამაჩემზე
მივუთითე.

— რა ჰქვია მამაშენს, ბიჭო?

— ჯიმ ბელიზეტი!

— აბა, ასეც ვფიქრობდი, მაშინვე ვიცანი! — შეჰყვირა მექუ-
დემ. იგი ჩვენს შესახვევეში ცხოვრობდა. — ჯიმ, აბა, გამოფხიზლ-
დი, ბიჭი დაგიბრუნდა! — ჩასძახა მან მამაჩემს და ოდნავ შეანჯღ-
რია.

— ტყუი, ხელი გამიშვი! — ჩაიბუზღუნა მამამ ისე, რომ თავი
არ აუწევია.

— პატარა ჯიმ, დაელაპარაკე მამას, შენს ხმას იცნობს.

— მამა, ეს მე ვარ! ისევე დავბრუნდი! — ეთქვი და აკანკალებუ-
ლი ხელით იდაყვზე შევეხე.

მამაჩემმა ნელ-ნელა ასწია თავი და ისეთი მძვინვარე მზერა
მესროლა, რომ უნებურად ორი ნაბიჯით უკან დავიხიე. რამდენიმე
წუთს ასე მიყურა. იქნებ ბრაზმა გაუაროს-მეთქი, იმედიც კი მო-
მეცა, რომ უცაბედად, სიტყვაც არ დაუძრავს, მომვარდა და კურ-
ტაკისა და პერანგის საყელოში მწვდა. ყელში ისე ძლიერად წაბი-
ჭირა ხელი, რომ სკამზე დავეცი.

— ააა, ხომ ჩამივარდი ხელში, არამზადავ! ჩამივარდი თუ არა!
— დაიყვირა მან და იმ საზარელი ჭამრის შეხსნა დაიწყო.

— ჯიმი რას სჩადინართ, ასე ხომ დაახრჩობთ! თავი დაანებლო.
ჯიმი როგორ შეიძლება ბავშვს ასე მოექცეთ? — გამომესარჩლეს
გარშემომყოფნი.

— ჩემი შვილია და რასაც მინდა, იმის ვუზამი — დაიღრიალა მამაჩემმა.

წუთით შეჩერდა, ალბათ ფიქრობდა, როგორ დავეწვინე, რომ უფრო მოხერხებულად ვეცემე. საყულოთი წამომაყენა და მაგიდაზე პირქვე დაშავდა. პირველად, მგონი, მაშინ დაინახა, როგორი უცნაური ტანსაცმელიც მეცა.

— ეს რაღა მორთულობაა? — იკითხა მან.

— ეს მგონი, საპატიმროს ტანსაცმელია, — თქვა ვილაყამ, — თმაც პატიმარივით აქვს შეკრეპილი.

— არა, ეს საპატიმროსი არ არის, — თქვა მსახურმა ბიჭმა. — მუშათა სახლისაა!

— დიახ, მუშათა სახლისაა, — აყვევი მე, — ტანსაცმელი მაშინ მომცეს, როცა ციებით გავხდი ავად და მუშათა სახლში მიმიყვანეს.

ამ სიტყვებით მამაჩემის გულის მოღობვას ვფიქრობდი, მაგრამ მოხდა პირიქით. იგი მაგიდას ზიზლით მოწორდა და გარშემო მყოფთ ცრემლნარევი ხმით უთხრა:

— აი, თქვენ შეუბნებით, გაუშვიო, და იცით, ამ ბიჭმა რა ჩაიდინა? იგი სახლიდან გაიქცა, ცოტას გაწყდა, გოგონა არ მომიკლა. დამათხოვრობდა, მუშათა სახლშიც იყო, გესმით? მუშათა სახლშიც ყოფილა! და თქვენ ამბობთ, გაუშვიო! არამც და არამც, ცემით შოვკლავ!

— ოღონდ ჩემს დუქანში ნუ იზამთ ამას! — იყვირა მისტერ პიგოტმა და დასარტყმელად შემართული ქაშარის ბოლო ჰაერშივე დაიჭირა. მისტერ პიგოტს უნდოდა, ქაშარი მთლიანად გამოეტაცნა, მაგრამ მისი მეორე ბოლო მამაჩემს ხელზე ღონივრად შემოეხვია. მათ შორის ჩხუბი გაიმართა. მე დრო ვიხელთე და მაგიდიდან იატაკზე ჩამოეცურდი.

— პოლიციას დაუძახეთ! — გაჰყვიროდა ლუდხანის პატრონი.

— ვისაც გინდათ, დაუძახეთ, ამ არამზადის დასაქვას ვერაფერს დამიშლის!

სამიკიტნოს კარი გაიღო და ნახევარი დუქანი თავი გამოჩნდა. ესენი ცნობისმოყვარე გამვლელები იყვნენ. ეტყობა, ხმაურმა მოიზიდა. მე მაგიდის ქვეშ დავიმალე. კეთილი მსახური დაინახა და კარებისკენ გამართია. ყველა იქ მყოფი მამაჩემისა და მისტერ პიგოტის ჩხუბით ისე იყო გართული, რომ ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია.

— ჩქარა, შინ გაიქეცი და გიხაროდეს, რომ ასე ადვილად გადარჩი! — მომადახა მსახურმა, ქუჩაში გამომავლო და ზურგს უკან კარები მომიხურა.

როგორ გავიცანი ორი ჯენტლმენი

— გიხაროდეს, რომ ასე იოლად გადარჩიო, — მითხრა სამიკიტნოს მსახურმა. საინტერესოა, მაინც რა უნდა გამხარებოდა? ამქვეყნად ყველაზე უბედური ბიჭი ვიყავი: არც საკუთარი კუთხე გააჩნდა, არც მეგობარი მყავდა და ლუკმაპურიც მენატრებოდა. ის კი არა, საკუთარი ტანსაცმელიც არ მქონდა, რაც შეცვა, ისიც სხვისი იყო და ჩემს თავისუფლებას უკიდურესად ზღუდავდა. მთელი გეგმება მეპლებოდა. მართალია, ცემას გადაეურჩი, მაგრამ ეს ოდნავადაც ვერ მამშვიდებდა. ისეთი ნალექი შემომაწვა, ისე ცუდად ვიყავი, გ-ქცევის თავი არ მქონდა, და რომ მცოდნოდა, მაშაჩემი ტყავის ქაარის შხუილით საცაა დამეწყოდა, ნაბიჯსაც ვერ ავუჩქარებდი.

უკვე თორმეტი საათი იქნებოდა. დუქნის კეტ-ვდნენ. საითაც მომხვდებოდა, იქით მივდიოდი, გზას აოც ვუყურებდი, მაწანწალა ძაღლივით ალალებდნენ ხან ერთ მხარეს გაუხვევდი, ხან მეორეს.

თხუთმეტი წუთი ასე ვიყიალე, ბოლოს ერთ პატარა ქუჩაზე გავედი. ეს ქუჩა ტყავეულობის რიგისკენ მიემართებოდა. აქ სულ დუქნები იყო. ყველა დაეკეტათ, მხოლოდ საფუნთუშედან გაიღიოდა შუქი. განათებულ ფანჯარასთან მივედი. ჩემ თვალწინ ნაირ-ნაირი მოყვანილობისა და ზომის ფუნთუშეულობის მთელი გროვა აღიმართა. ადგილიდან არ ვიძროდი, ფეხებში თითქოს უცებ ძალა გამოვლია. ტყუილად არ მივლია ამდენი, რაც მინდოდა, ბოლოს მაინც მივაგენი. ოჰ, ნეტავ ვინმემ ერთი ასეთი კოხტად დაბრაწული ფუნთუშა მომცეს-მეთქი, — ვნატრობდი მე. მაინც რამდენს შევჭამდი, რომელ ფუნთუშას ავირჩევდი? მე მგონი, აი, იმას, დაბლა რომ დევს და, აგერ, იმასაც, ფანჯარასთან ახლოს რომაა.

უკანასკნელი დარაბა მიხურეს. სინათლეს გაქრა და მშვენიერი ფუნთუშებიც, საფუნთუშეც ისევე ჩაშავდა, როგორც სხვა დანარჩენი დუქნები. დილას აქეთ შიმშილი არ მიგრძენია, ჭამა არც კი მომიკონებია, მაგრამ ახლა ჩემმა კუჭმა თითქოს გაიღვიძაო, საჭმელი მომთხოვა. მტანჯველმა შიმშილმა თითქოს გამომაფხიზლა, უცებ უჩვეულო მხნეობა მომეცა. რადაც არ უნდა დამჭდომოდა, საჭმელი უნდა მეშოვა. მაგრამ, როგორ? მოწყალეება მეთხოვა? მერედა, ვისთვის? ამ ქუჩებში, სადაც მე დავდიოდი, მდიდარი ხალხი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა; ახლა, მითუმეტეს, ადამიანის ჭკანებაც არ იყო. ან კი მოწყალეება მუშათა სახლის ტანსაცმლიანს როგორ მეთხოვა? თუნდაც ერთ პენსს ისე ვინ მომცემდა, რომ არ

ეკითხა, ამ შუალამისას ქუჩაში რას დაეხეტები, რატომ შინ არ წახვალ? გარდა ამისა, მოწყალების თხოვნა ახლა აღარ ღირდა. ვიდრე მე პენსს ვინმეს ვთხოვდი, ყველა დუქანს დაკეტავდნენ. იქნებ რაიმე მომეპარა? მაგრამ სად? მთელ ამ ქუჩაზე მარტო ერთი ლუღზანა იყო და აღარც სხვანი ჩანდა. ერთადერთი პოლიციელი დადიოდა მხოლოდ. თოვლი მსხვილ ფანტელებად მოდიოდა და შორს ვედარაფერს ვარჩევდი. მოულოდნელად ნაბიჯების ხმა და მხიარული სიცილი მომესმა. წუთის შემდეგ პირში სიგარაგაჩრელი ორი ხელჯობიანი ახალგაზრდა ჯენტლმენი გამოჩნდა. ასრადაც არ მომსვლია, მათთვის რაიმე მომეპარა, მაგრამ იმედი მქონდა, შევებრალეზობდი და ცოტაოდენ ფულს მაინც მომკემდნენ. ორივენი კარგ გუნებაზე იყვნენ, ეტყობოდათ მდიდრები იყვნენ, რადგან ორივეს თითზე მსხვილი ბრჭყვიალათვლიანი ბეჭედი ეკეთა.

ბედად ერთი მათგანი სიგარის მოსაყიდებლად ჩემს ახლოს გაჩერდა.

— ღვთის გულისათვის, რამე მიბოძეთ, — შევბედე მე.

— აი, ჩემს მეგობარს სთხოვე, — მითხრა მან და მეორე ჯენტლმენს მიუბრუნდა. — ბერნი, მიეცით ამ საწყალ ბიჭს ერთი შილინგი.

სიხარულისაგან გულმა ბაგაბუგი დამიწყო.

— გამომიშვირე ხელი, — მითხრა იმ მეორემ.

მე გაუშვირე, იმან კი ფულის მოცემის მაგივრად ხელზე დამაფურთხა, თან დაცინვით დაამატა:

— აი, როგორი შილინგებით ვუმასპინძლდები მათხოვრებს!

— ჰა-ჰა-ჰა! — გადაინარხარა მეორე ჯენტლმენმა.

იმ წუთს ისეთმა სიშმაგემ შემიბყრო, რომ მზად ვიყავი, ცხვირში ვცემოდი მისტერ ბერნის, მაგრამ შამშილმა ჩაახშო ჩემი სიშმაგე. ხელი კედელს შევაწმინდე და ისევ გაუშვირე მხიარულ ბატონებს.

— ახლა იმედია, ერთ პენსს მაინც მომცემთ, თუ გნებათ, ნახევარიც იყოს, — თავაზიანად ვთხოვე მე. — ლამის შიმშილით მოვკვდე.

— რას გვატყუებ, თვალთმაქცო! — დამიყვირა მისტერ ბერნიმ. — შიმშილზე ლაპარაკობს და მშვენიერად კი არის გამოწყობილი ასეთი ფეხსაცმლის პატრონი მოწყალებას თხოულობს? ეს პოლიციაშია წასაყვანი, ჯონს!

ამ სიტყვებმა ახალი საფიქრებელი გამიჩინა. მართლაცდა, მათხოვრის კვალობაზე ზედმეტად კარგი, გამძლე ფეხსაცმელი მეცვა. შემეძლო გამეყიდა. ასეთ საშინელ შიმშილს ფეხშიშველა სიარული მერჩივნა.

თაღებქვეშ მცხოვრები ბიჭებისაგან ხშირად გამიგონია: ფილდ-ლეინზე ბევრია ისეთი ღუქანი, რომელიც გვიან ღამემდე ვაპრობს, იქ ყველაფერს განურჩევლად ყიდულობენ და არც არავინ კითხულობს, ეს საქონელი საიდან გაქვსო.

ფილდ-ლეინამდე შორი არ იყო. დავიხარე და ფეხსაცმლის შესაკვრელების გახსნა დავიწყე.

— რას შერები? — მკითხა მისტერ ბერნიმ.

— გმადლობთ. რომ ეს ფეხსაცმელები მომაგონეთ. ახლა მე ფულის თხოვნას აღარ დავიწყებთ. პენიც თქვენი იყოს და თქვენი ნაფურთხიც. იქნებ აგურიც მოგხვდეთ თავში.

— წავიდეთ, ჯონს, — უთხრა ბერნიმ, — თითის დაკარებაც თუ გაბედა, პოლიციას დავუძახოთ.

— არა, მოიცადე, — გააჩერა ჯონსმა. — მაგ ფეხსაცმელს რას უპირებ?

— უნდა გავყიდო.

— ამ ღამით სად გაყიდი? თუ ასეა, აქეთ მოიტა, ფარნის შუქზე გაესინჯოთ!

წინდები გავიხადე და ფეხსაცმელებში ჩავტენე, მერე თასმებით ერთმანეთზე გადავაბი და მხარზე გადავიკიდე.

მისტერ ჯონსმა ფარანთან მიმიყვანა, ცალი ფეხსაცმელი ხელში დაიპირა და ძალიან საქმიანი სახით სინჯვა და თვალიერება დაუწყა.

— რამდენს აფასებ? — მკითხა მან.

— გეყოფათ ამდენი დაცინვა! — შეეყვირე მე. — რა გესაქმებთ, რამდენსაც ვაფასებ?

— ბიჭო, მე განა დავცინი, — სერიოზული სახით თქვა მისტერ ჯონსმა. — საქმისთვის გეკითხები. ფასი მითხარი, ფეხსაცმელებს მე ვიყიდი.

რამდენი დამეფასებინა, ვერ ვაღამეწყვიტა. უცებ მომაგონდა, დედაჩემმა ამაზე გაცილებით უვარგის ფეხსაცმელებში ორი შილინგი და ცხრა პენსი გადაიხადა. ეს ფეხსაცმელები ძალიან თბილი და კარგი იყო. ცივ თოვლზე შიშველი ფეხებით მდგარმა მისი ფასი ძალიან კარგად გავიგე.

— თერამეტი პენსი მომეცით, — ვთქვი მე.

მისტერ ჯონსმა მისტერ ბერნის შეხედა და ორივემ ისეთი ხარხარი ატეხა, თითქოს დიდი სასაცილო ამბავი მეთქვას.

— ჰო, კარგი, კარგი, ხუმრობა იქით იყოს, ჩვენ ასე ვერასდროს ვერ მოვრიგდებით. სერიოზულად გვითხარი, რამდენი მოგეუეთ?

— თვრამეტი პენსი, ამაზე ნაკლებად არ იქნება. მე მაგისი ფა-
ხო კარგად ვიცი.

— გინდა ექვსი მოგცეთ?

— არა, თვრამეტი, თუ არადა, დამიბრუნეთ, აღარ ვყიდი!

— ჰო, კარგი, შენთან კაცი ვერაფერს გახდება, — ოხვრით წარ-
მოთქვა მისტერ ჯონსმა. — აჰა, დაიქი და ჩქარა აქედან მოუსვი,
ვიდრე არ გადამიფიქრებია!

მან ხელში შვილი პენსი ჩამიღო, მისტერ ბერნის ხელკავი გა-
მოსღო და წავიდა.

მე პალტოში ჩავაფრინდი.

— ამას თერთმეტი პენსი კიდევ უნდა დაუმატოთ! არადა, ჩემი
წინდები და ფეხსაცმელი უკანვე მომეცით!

— ხომ არ შეიშალე?! — დამიყვირა მისტერ ბერნიმ. — მაგ ფა-
ხად და მაგაზე იათადაც ახალ ჩექმებს ვიყიდით!

— მანდ წინდებიც დევს.

— აჰ, წინდები არც შემიჩნევია. ვნახო ერთი, რა წინდებია!
მისტერ ბერნიმ ფეხსაცმელებიდან წინდები ამოაძვრინა, ყუ-
რადლებით შეათვალიერა და მერე თქვა:

— რა გაეწყობა, კარგი ბიჭი ჩანხარ, მოგიმატებთ ფულს, ორი-
ვეში ერთ შილინგს მოგცემთ.

— არა, არ მინდა, თვრამეტი პენსი მომეცით. ალბათ არც ამას
გამოგართმევდით; ასე ძალიან რომ არ მშიოდეს.

ამასობაში ერთ პატარა, უსუფთაო ღუქანს მივაღექით. იგი ჯერ
არ დაეკეტათ. ფანჯარაში რამდენიმე დიდი, მთელი პური და ცივად
მოხარშული ლორის ნაჭერი იღო.

— გვატყუებ, შენ მშიერი არა ხარ, — მითხრა მისტერ ჯონ-
სმა. — რომ გშიოდეს, შილინგიც ძალიან გაგიხარდებოდა. ოთხ პენ-
სად ხომ ვეებერთელა პურის ნაჭერს და ამ ქონსაც იყიდდი.

ღუქნის ფანჯარაში ლორის ნაჭერი მაცდურად მოჩანდა. ისე
მშიოდა, მეგონა, მთელ პურს გავათავებდი, მაგრამ ფეხსაცმლის
ასეთ შეუფერებელ ფასად მიცემა მაინც არ მინდოდა.

— მე თვრამეტი პენსი მჭირდება, — გაუუმეორე მე.

— დახე, როგორი ხარ! თუ ეგ ფული ასე ძალიან გჭირდება,
მაშინ მოძებნე, იქნებ კიდევ რამე გქონდეს გასაყიდი: ან ცხვირ-
სახოცი, ან პატარა დანა... აბა, ნახე ჯიბეში!

— მე არაფერი მაქვს სანახავი, რაც ტანზე მაცვია, ამის გარდა
არაფერი მაბადია.

— მერე რა, ჩვენ ყველაფერს ვყიდულობთ, — თქვა მისტერ ბერნიმ. — ტანსაცმელში თვრამეტ პენსს კი არა, თვრამეტ შილინგს მოგცემთ. მოგყვიდე!

ეს რა თქვეს: ტანსაცმელში თვრამეტ შილინგს მოგცემთო? ამის ნახევარ ფასადაც სიამოვნებით გავყიდდი, რადგან ეს ტანსაცმელი მხოლოდ ხელს მიშლიდა.

— აბა, ქუჩაში როგორ გავყიდო?

— ქუჩაში რატომ უნდა გავიდო? ბერნი, წავიყვანოთ ჩვენთან, — შესთავაზა მისტერ ჯონსმა.

ამ სიტყვებით ახალგაზრდა ჩენტლმენები, ფეხსაცმელითა და წინდებით ხელში საფრონ-პილისაქენ ჩქარი ნაბიჯებით გაეშურნენ. მეც ფეხდაფეხ მივდედი. ჰილის ყველაზე უსუფთაო ადგილს რომ მიაღწიეს, ერთი სახლის წინ შეჩერდნენ. კარის გასაღები მისტერ ჯონსს ედო ჯიბეში. ჩაბნელებული დერეფანი გავიარეთ და ქრაპუნა კაბეებით მეორე სართულზე ავედით. სამივენი ოთახში შევედით. მისტერ ბერნიმ კედელზე მიჭედებული პატარა ლამპა აანთო. მის შუქზე ახალგაზრდების ბინა მოვათვალეირე. იქაურობა მეძველმანის დუქანს ჰგავდა. ერთ კუთხეში ქულების იმოდენა გროვა იდგა, რომ ერთი გაქუცული და გახვრეტილი ცილინდრის წვერი ჰერს წვდებოდა. მეორე კუთხეში ნაირნაირი ხარისხისა თუ ზომის ნახშირი წინდები და ფეხსაცმელები ეყარა. კედელთან მიდგმულ გრძელ მაგიდაზე კი ძველი ტანსაცმელი იყო დახეავეებული.

ამ დუქანში, ეტყობოდა, ადამიანებიც ცხოვრობდნენ: ბუხარის წინ, დასაქვე მაგიდაზე, გაურეცხავი ფინჯნებითა და საყავეთი ახორხლილი საჩაიე სინი იდგა. იქვე, კომბოსტოს ფოთოლზე ცოტაოდენი კარაქი და ფუნთუშის ნაჭერი იდო.

— შეიძლება ვკამო? — ვკითხე მე და პასუხისთვის არც დამიცილია, ერთი დიდი ლუკმა მოვკბიჩე.

მისტერ ბერნიმ სპილენძის საასანთე ხელზე ისე დამკრა, რომ ფუნთუშა გამივარდა და იატაკზე გაგორდა. მინდოდა ამელო, მაგრამ მისტერ ჯონსმა ხელი დაავლო.

— გეყოფა, ბიჭო, აქ საქურდლად კი არა ხარ მოსული, — მკაცრად მითხრა მან.

— აი, რა, ბიჭუნი, — აღერსიანად დაიწყო მისტერ ბერნიმ, — ვხედავ, რომ ძალიან მშვიერი ხარ და მეცოდები. ფეხსაცმლის შილინგს ეს პურიც მიუმატე და თავი დაგვანებე!

პურის გემო რომ არ გამეგო, შეიძლება ჩემს ფასზე მაგრად ვმდგარიყავი, მაგრამ ჯიბეში უკვე შილინგი მედო, რომელიც მისტერ ბერნიმ პურთან ერთად გამომიწოდა და ფუნთუშა ხარბად ჩავკბიჩე.

— აბა, ახლა აქედან მოსწყდის, — მითხრა მისტერ ჯონსმა და კარები გამოაღო. — საქმე მოგვარებულია, აქ შენ აღარაფერი გესაქმება.

— ჩემი ტანსაცმლის ყიდვა რომ გინდოდათ და თვრამეტი შილინგის მოცემასაც მპირდებოდით? — მოვაგონე მე.

— თვრამეტი შილინგისა? — მისტერ ჯონსმა ჩემი კურტაკის ნაჭერი ხელით გასინჯა. — თვრამეტი შილინგი ძვირი არ არის, მე მეტსაც მოგცემდი, მაგრამ რაკი ამდენს ითხოვ, მიიღე, რასაც აფახებ!

და მან თვრამეტი პენსი გამომიწოდა.

— აქ თვრამეტი პენსია — ვიყვირე მე. — თქვენ თვრამეტი შილინგი უნდა მოგეცათ.

— ეპ, სულელო, ამ ძველმანებში მაგდენს ვინ მოგცემს?

— თვრამეტი პენსით რა უნდა გავაწყო? ამის სამაგიერო ტანსაცმელი ხომ უნდა ვიყიდო?

— იცი, რა, ჯონს? — თქვა მან ლმობიერად, — მოდი, სიკეთე გქნათ, ამ საწყალ ბიქს სხვა ტანსაცმელი მივეცეთ, ამაში თავს უსერხულად გრძნობს.

— სიკეთის გაკეთება კარგია, მაგრამ ცოტა მეც შემიბრალე, წაგების ნახევარი ხომ მე უნდა გადამხდეს, — იუარა მისტერ ჯონსმა.

— გეყოფა, მეგობარო, სიკეთე კაცს არ დააქცევს.

ესა თქვა, ძველმანების გროვაში ქექვა დაიწყო და იქიდან ფლანელის განიერი, ძალზე დაძენძილი, წინ და უკან საკერებლებდადებული ქუჭყიანი შარვალი ამოათრია.

— ეს ხომ დახეულია! — ვთქვი და დიდი, გამოხეული ადგილი ვუჩვენე.

— რა თქმა უნდა, ნახშიარია. აბა, ახალთახალ ტანსაცმელს ხომ არ მოგცემდი? — მიპასუხა მისტერ ბერნიმ.

— ჩემთვის ეს ფართო და გრძელი იქნება.

— არაფერია, ახლა განიერ შარვალს ატარებენ, თუ ძალიან გრძელი გექნება, გადავკრით. აბა, გაისინჯე.

ჩემი ტანსაცმელი ისე იყო შეკერილი, რომ შარვლის მოსაზომებლად პერანგის გარდა ყველაფერი უნდა გამეხადა. მისტერ

ჯონსმა ჩემს ტანსაცმელს მაშინვე დასტაცა ხელი და სადღაც გადამალა. ფლანელის შარვალი ისეთი დიდი და გრძელი გამოდგა, რომ ტანზე არც კი მეხებოდა. შესაყრავებიც ყოველად გამოუსადეგარი იყო. შარვლის სარტყელი ილღიებში მებჭინებოდა და ტოტები იატაკზე დამთრევდა.

— ხომ გეუბნებოდით, ჩემი სარგო არ არის-მეთქი.

— როგორ თუ არ არის სარგო თითქოს შენზე შეუყვარავთ!

— ძალიან მოუხერხებელია! შეხედეთ, ეს ღილი წინ უნდა ეკეროს, ის კი ილღიაშია მოქცეული.

— მოუხერხებლად იმიტომ აქვს, რომ მთელი პერანგი ქამართან მოუკმუქნია. ბერნი, გახადე ეგ პერანგი, სხვა უფრო თხელი მიეცეთ, — უთხრა მისტერ ჯონსმა.

მისტერ ბერნიმ პერანგი სასწრაფოდ გამაძრო.

— აი, ახლა მშვენიერია! — თქვა მან. — ეს ღილი ამ გამოხერტილზე შევაბნით, ის კი—იმაზე. შესანიშნავია იქამდე სწვდება, რომ ფილტიც კი აღარ არის საჭირო. დიდებულია! ასეთსავე კარგ კურტაკსაც თუ ვუშოვით?

— აგერ, ეს მიეცი, — უთხრა მისტერ ჯონსმა და რაღაც კურტაკი მიაწოდა. — თითქმის სულ ახალთახალია, მაგრამ არ მენანება, ცოლოა ბიჭი.

მათ ზეთის საღებავით მოთხერილი კურტაკი ჩამაცვეს, ეტყობოდა, აღრე მღებავისა იყო.

— მშვენიერად იქნები—თბილადაც და კარგადაც! — თქვა ბერნიმ. — ახლა აიღე ქუდი და მოუსვი!

— როგორ, პერანგი რა უყავით, თქვენ ხომ ჩემთვის პერანგი არ მოგიციათ?!

— პერანგი? შარვალთან და კურტაკთან ერთად პერანგიც ჭინდა? შენ რა, ძვირფასო, ჭკუიდან ხომ არ შეიშალე?

— მაშინ ცოტა ფული კიდევ მომეცით: ჩემი ტანსაცმელი ხომ ამაზე მეტი ღირდა!

— ახლა რას იტყვი, ჯონს? — იყვირა შეურაცხყოფილმა ბერნიმ. — სიკეთე ვუყავით და ეს კი, დახე კიდევ თხოულობს. უსინდისო, უმადურო ბიჭო! გაეთრიე აქედან!

, ოთახიდან გამომაგდეს, კიბეებზე კინწისკვრით ჩამიყვანეს და ქუჩაში გამომისროლეს.

ქუჩის მომღერალი ვხდები.
ჩემი ძველი შეგობარო

ეკლესიის საათმა შუადამისა დარეკა, როცა თალღითებმა კარები მომიკეტეს და ცივი, ფაფუკი თოვლით დაფარულ ქუჩაში აღმოვჩნდი.

ჯერ ვერ გამერკვია, ბატონ ბერნისთან და ჯონსთან გარიგება ჩემთვის ხელსაყრელი იყო თუ არა. მეჩვენებოდა, რომ მთელი მოგება მათ დარჩათ, თანაც უსინდისობასა და უმადურობაში ედებდნენ ბრალს. ნუთუ მათი სამსახური ღირსეულად ვერ შევაფასე? აბა, რა გამოიკეთეს? ადრე ერთი წყვილი თბილი წინდა და კარგი, მაგარი ფეხსაცმელი მქონდა, მთელი კოსტიუმიც მეცვა, პერანგიც. ახლა არც ფეხსაცმელი მქონდა, არც პერანგი და ჩემი კოსტიუმი მხოლოდ კურტაკისა და შარვლისაგან შედგებოდა. სამაგიეროდ, შიმშილი წინანდებურად აღარ მაწუხებდა, ის ტანსაცმელიც მოვიშორე, რომლითაც დღისით ვერსად გამოვჩნდებოდი, და მთელი შილინგიც ჩემს ხელთ იყო.

მაგრამ სად მქონდა ის შილინგი? თავზარი დამეცა. ახალი შარვლის ჩიბებების სინჯვას მოვეყვები. ჩიბეები ისე ღრმა იყო, ძირამდე რომ ჩავეყვი ხელი, თავი ლამის ქვაფენილს დაეკარი. მაგრამ მაინც ვერაფერი აღმოვაჩინე. ამაოდ ვეძებდი, შილინგი არსად იყო! შეძრწუნებულმა ხელი კურტაკის ჩიბეში ჩავეყვი, ისიც ცარიელი იყო, გამხმარი პურის ნამცეცეები ეყარა მხოლოდ. ჰოი, უბედურებაე! სად გაქრა ჩემი შილინგი? მაშინ უცაბედად მომაგონდა, რომ მეძველმანეების სახლში დამჩრა! ფეხსაცმელსა და წინდებში შილინგი და პურის ნაჭერი რომ მომცეს, შილინგი ჩემი შარვლის ჩიბეში ჩავიდე, მაგრამ ის შარვალი რომ გავიხადე და მოსაზომებლად ფლანელისა ჩავიცვი, ფულის ამოღება დამავიწყდა. ყველაფერი ასე ნათლად რომ მომაგონდა, შევებით ამოვისუნთქე. აქედან იმათი სახლი შორს არ იყო და გამაღებულმა, რაც ძალი და ღონე მქონდა, საფრონ-ჰილისკენ მოვაპურცხლე. საფრონ-ჰილისა და იმ ადგილის პოვნა, სადაც ძველმანებით მოვაპურეები ცხოვრობდნენ, ძნელი არ იყო, მაგრამ როცა იმ ქუჩაზე მივირბინე, გაოგნებული დავრჩი. იმათი სახლის ნომერი არ ვიცოდი, გარეგნულად კი ყველა ერთმანეთს ჰგავდა. მივდიოდი და ყურადღებით ვაკვირდებოდი, მაგრამ ისეთს ვერაფერს ვამჩნევდი, რომ ერთი სახლი მეორისაგან განმე-

სხვაებინა. ამას გარდა, სახლებში ყველგან შუქი ჩამქრალი იყო. უცებ მეორე სართულზე, ერთ-ერთ ფანჯარაში სინათლე შევეამჩნიე. ავხტი და კარებზე ჩაქუჩით დავაკაკუნე. არავინ მიპასუხა. მეორეჯერ უფრო მაგრად დავაკაკუნე. რა ფანჯარა, საიდანაც სინათლე გამოდიოდა, გაიღო და ჩაჩიანმა მოხუცმა გადმოყო თავი.

— მაპატიეთ, სერ, მისტერ ბერნი და მისტერ ჯონსი ამ სახლში ცხოვრობენ? მინდოდა...

— მე რა ვიცი! მოუნდა ამა! აც შუალამეზე კაკუნის მანდ ჩამოსვლა რომ არ შეზარებოდეს, მე გაჩვენებდი სეირს!

ამ უკმეხი სიტყვებით მან ფანჯარა დახურა. რა შექნა? ყველა სახლზე დაკაკუნება შეუძლებელი იყო, მიმენებებინა თავი და, შილინგს ვეარგავდი. რა თქმა უნდა, ამ ფულის დაკარგვა მხოლოდ ჩემი პრალი იყო. ისინი, როგორც კი გაიგებდნენ, რაშიც იყო საქმე, ფულს მაშინვე დანიშბრუნებდნენ. უმჯობესი იყო დილაზე აქ მომეტედა და თვალყური ნუღვენებინა, როცა ახალგაზრდა ჯენტლმენები ქუჩაში გამოვიდოდნენ.

ჩემდა ბედად, სწორედ იმ სახლის პირდაპირ, ჩემი აზრით, მეძველმანეები რომ ცხოვრობდნენ, ჰიშკრის ქვეშ ორმოს მივაგენი და შიგ რაც შეიძლება ღრმად ჩავძვერი. მთელი ღამე ძილ-ღვიძილში გავატარე.

დილის შვიდ საათზე დუქნის პატრონი მოვიდა, რომლის სამფლობელოშიც ვიყავი მოკალათებული, კარები გააღო და გამაგდო.

მაგრამ იქურობას მაინც არ მოვშორებოდა. ცხრა საათი იქნებოდა, რომ „კემ მიერ მიზანში ამოღებული სახლიდან ორი ახალგაზრდა კაცი გამოვიდა. ხელში ორივეს შავი ტომარები ეჭირა. მათ ისე მოხდენილად არ ეცვათ, როგორც გუშინდელ ჯენტლმენებს, იმათი სერაჟუკები ძალზე გაცვეთილი ჩანდა, ქუდები კი — გაქონილი. მიუხედავად ამისა, მისტერ ბერნი და ჯონსი მაინც ვიცანი.

— მაპატიეთ, სერ, — ვთქვი და მისტერ ბერნის მივმართე. — ჩემი შილინგი ძველი შარვლის ჯიბეში დამჩაჩა... თუ შეიძლება, მომეცით.

— რა მოხდა? რომელი შილინგი? რა შარვალი?!

— აი, ის, ღუშინ ბიჭაკთან ერთად რომ მოგვიდეთ. დაბრუნდით სახლში და ნახეთ, თუ არ გჯერათ!

— რას მიედ-მოედები? — იკითხა გაკვირვებით მისტერ ბერნიმ და თავის ამხანაგს მიუბრუნდა. — თქვენ ამ ბიჭს იცნობთ, უილკინს?

— პირველად ვხედავ.

— რაღაც გეშლებათ, კირიმე, — ალერსით მითხრა ბერნიმ. — რა ჰქვია იმ ბატონს, რომელსაც თქვენ ეძებთ?

— ერთს ბერნი ჰქვია, მეორეს — ჯონსი. როგორ, ნუთუ ეს მისტერ ჯონსი არ არის?

— არა, მეგობარო, მე ჯონსი კი არა, უილიამ უილკინსი ვარ, — შიპასუხა მისტერ ჯონსმა.

— ნუთუ თქვენ იტყვიან, რომ ჩემგან მუშათა სახლის ტანსაცმელი არ გიყიდაათ? ამ სახლში თქვენ არ ცხოვრობთ და არც ის ოთახია ექვენნი, რომელიც ძველი ტანსაცმლითაა გამოტენილი? — შევძახე სასოწარკვეთილმა.

— რასაკვირველია, არა, ნეტავ რას ჩაგვციებინარ?

— არა, ტყუით, ეს თქვენ ხართ! შეჩერდით, აგერ პოლიციელი ნოდრი. აქლავე დავუძახებ!

პოლიციელის დანახვაზე ჩემი ნაცნობები შეცბუნდნენ და აჩქარებული ნაბიჯებით წავიდნენ წინ.

— მომეცით ჩემი შილინგი! — ვუყვიროდი და სირბილით მივდევდი უკან. — მომეცით, თორემ უფრო ხმამაღლა ვიყვირებ, რომ თქვენ ქურდები ხართ!...

— რა საზინდარი მათხოვარია! — იყვირა ბრაზისაგან გაფითრებული მისტერ ჯონსმა. — აჰა, ეს ორი პენსი და მომწყვდი თავიდან!

— არა, ფეხსაც არ მოვიცვლი, მომეცით მთლიანად ჩემი შილინგი, თორემ პოლიციაში გიჩივლებთ!

— რას გვიჩივლებ? — ჰკითხა ბერნიმ.

— რასა და იმას, რომ ჩემგან მუშათა სახლის ტანსაცმელი იყიდეთ და მთელი ფული წამართვიან.

— რაო? მუშათა სახლისაო? აი, ყოჩაღ! მაშ, ეს შენა ხარ, მუშათა სახლიდან რომ გამოიქეცი და ტანსაცმელი გაყიდე? ძალიან კარგია ასეთი ოინებისათვის მე თვითონ წაგიყვან პოლიციაში.

ამ სიტყვებით საყულოში ჩამაფრინდა და ჩვენკენ მომავალ პოლიციელისკენ გამათრია. ცუდ დღეში ჩავვარდი. ძალ-ღონე მოვიკრიბე და ბერნის ხელიდან გავუსხლტი. მაგრამ ეს გაქცევა ქულის ფასად დამიჯდა, როცა ბერნს დავუძვეარი, ქუდი მიწაზე დამივარდა, წამით უკან მივიხედე, თუ მომდევნნ-მეთქი. დავინახე, რომ გაიძვერა თაღლითმა ჩემი ქუდი აიღო და თავის ტომარაში გადაუძახა.

საფრონ-პილს კარგა მანძილით რომ მოვშორდი და დაერწმუნდით, რომ აღარავინ მომდევდა, გავჩერდი, რათა ჩემ მდგომარეობას ჩავფიქრებოდი. ამხანაგების პოვნის იმედი ჯერ არ მქონდა. გარდა

ამისა, სამუშაოსაც ვეძებდი, მაგრამ მელუქნეებს შორის ამოდრ
გავდი-გამოვდიოდი, რიპსტონი და მოუღლი არსად ჩანდნენ. ნაც-
ნობი ბიჭები შემხედნენ და იმათ მითხრეს, შობას აქეთ ბაზარში
არცერთი არ გამოჩენილა და მათი ასავალ-დასავალიც არავინ იცი-
სო. ბედმა არც სამუშაოს ძებნაში გამიღიმა, თუმცა ავადმყოფობაში
ძალიან გავიზარდე და არც წინანდებურად ვიყავი ჩაცმული, მაგრამ
გამყიდველები დანახვისთანავე მცნობდნენ.

— ისევ გამოჩნდი ქურდბაცაცაჲ?! წალი, წალი, შეაყოლუ! —
დამიცაცხანებდნენ ხოლმე, როგორც კი თვალს მომკრავდნენ. —
გასწი აქედან, ნაციხარო, გაეთრიე!

პატიმარივით შეკრეპილი თმის გამო ათვალწუნებით მიყურებ-
დნენ. ქული არ მქონდა და ჩემი გაკრეპილი თავი ყველას თვალში
ხვდებოდა. ვერც ერთი გროში ვერ ვიშოვე. იმ დღეს არ თოვდა,
მაგრამ, სამაგიეროდ ყინავდა და ძლიერი ქარი ქროდა.

ღილიდანვე გადავწყვიტე, აღარ მექურდა, ისეთ უმნიშვნელო
ქურდობაზედაც ხელი ამელო, ჩემი აღრინდელი ამხანაგები რომ
ენჯოდნენ. ეს გადაწყვეტილება მაშინ მივიღე, როცა ერთ ფინჯან
ცხელ ყავას შევექცეოდი, მაგრამ ამის შერე მთელ დღეს ბაზარში
უსმელ-უქმელმა რომ ვინებთიალე, ჩემი გადაწყვეტილება საგრძნობ-
ლად შეირყა. საღამოს, როცა მთლად ჩამობნელდა და ღუქნის პატ-
რონებმა სინათლეები აანთეს, შიმშილმა ჩემი სინდისი აიძულა
დადუმებულყო. გადავწყვიტე, ერთხელ კიდევ შემომეველო ბაზა-
რი და უკან ხელცარიელი არავითარ შემთხვევაში არ დავბრუნებუ-
ლიყავი.

ორი წუთის შემდეგ ჯიბეში დიდებული ანანასები მეწყო და
ღრიურილეინისაქენ გავერბოდი. მაშინ ანანასი ძალიან ძვირად ფა-
სობდა. ყური მოვკარი, ის მელუქნე, ვისაც ანანასები მოვპარე,
ძვიდველს ეუბნებოდა, „თითო ცალი ნახევარი გინეა ღირს, სერ“,
და ნახევარ ღუქინ ანანასზე უთითებდა. რა თქმა უნდა, მე ასეთ
ფასს არავინ შემომამძღვედა, მაგრამ მელუქნის სიტყვები რომ არ
მომესმინა, ჩემს ანანასს ორ ან დიდი-დიდი ოთხ პენსად შევაფასებ-
დი, მაგრამ ახლა მტკიცედ გადავწყვიტე, ორ შილინგზე ნაკლებად
არ დამეთმო. გზაში, ვიდრე მოხუც ბაჭი სიმონსთან მივიდოდი,
რომელიც ჩემგან და ჩემი ამხანაგებისაგან ნაპარავს ყიდულობდა
ხოლმე, უკვე ვიცოდი, ამ ათ პენსს რაშიც დავხარჯავდი: ექვსი
პენსით ვივახშმებდი, დანარჩენი ოთხი პენსით კი საღმე ღამის
სადგომს ვიშოვიდი. წინაღამეს განაწამები ვგრძნობდი, რომ კარგი
ლოგინი ჩემთვის ისევე აუცილებელი იყო, როგორც საქმელი.

ბაჯი სიმონსს მეწაღის ბინაში ერთი შეიგნითა ოთახი ეკავა. მეწაღე მას სახელოსნოზე გაელის ნებას აძლევდა. ახლოს რომ მივედი, გამიხარდა, სახელოსნოდან შუქი გაჰოლიოდა, ფანჯირაზე ჩამოფარებულ ფარდაზე მეწაღის ხელის ჩრდილი მოჩანდა, ეტყობოდა, გასანთლულ ძაფს უყრიდა. მეწაღე კარგად მიცნობდა და ამიტომ თამამად დავაკაკუნე. მან კარი გამიღო. მაშინვე მივხვდი, რომ მიცნო და გამიკვირდა, უცნობივით რომ მკითხა:

— რა გინდა, ბიჭო?

— არაფერი, მხოლოდ, თუ შეიძლება, ბაჯისთან გამატარეთ. — მივუგე მე.

— ბაჯი სიმონსი აქ არ ცხოვრობს. შენც გირჩევნია მოშორდე აქაურობას, თორემ პოლიცია ისევ დაიწყებს სიარულს. მე კი უკვე მეგონა, თქვენი ჯგუფიდან აღარავინ გამოჩნდებოდა.

— ბაჯი სადღა გადავიდა? — მოუთმენლად ვკითხე მე. — თუ შეიძლება, მითხარით, მისი ნახვა ძალიან მჭირდება.

— არსადაც არ გადასულა, ციხეში ზის, — მიპასუხა მეწაღემ და შეშინებულმა აქეთ-იქით მიიხედა. — წადი, წადი, აქაურობას მოშორდი, — დასძინა და ხელის კვრით გამომისტუმრა. — გვითვალთვალევენ, უნდათ გაიგონ, ვისთან მაქვს ნაცნობობა, წადი.

— მაშ, თქვენ ნახეთ, იქნებ ბაჯის მაგიერ თქვენ იყიდოთ. — ვთხოვე და ჯიბიდან ანანასი ამოვაძვრინე. — იაფად მოგცემთ, ერთ შილინგად, თუნდაც ცხრა პენსი იყოს.

— თავი დამანებე, გესმის, თავი დამანებე, უკანვე ჩადე! — მივიკროდა მღელვარებისაგან აკანკალებული მეწაღე და თავისი ქუქუიანი ხელებით ანანასს ჯიბეში მიტენიდა.

ისე გაალმასებული მომეარდა, შემეშინდა, არ მომკლას-მეთქი, და გულგახეთქილმა რაც ძალი და ღონე მქონდა, მოკვტურცხლე.

ყველაფერი ჩემს საწინააღმდეგოდ ხდებოდა! ბაჯი სიმონსის გარდა არც ერთი შემსყიდველის მისამართი არ მეგულებოდა. რა უნდა მომეხერხებინა ამ საძაგელი ანანასებისათვის? არ ჯობდა, ამის ნაცვლად ორი ან სამი მსხალი და ამდენივე ფორთოხალი ამეწაპნა? გამვლელებს მაინც მივეყიდდი, ეს ანანასები კი ვისთვის უნდა მიმეჩეჩებინა, მეც იქ მომიწევდა წაბრძანება, სადაც ახლა ბაჯი სიმონსი იჯდა. რა უნდა მექნა? ერთადერთი გამოსავალი მრჩებოდა, ანანასი მე თვითონ შემეჭამა. ამდგვარი ხილი არასოდეს მიჭამია და სიამოვნებით გავცვლიდი ერთ ნაჭერ შავ ჰურზე, მაგრამ ახლა არჩევანის დრო არ მქონდა. ბედფორდთან რომ მივედი, ნაირ-ნაირი ეკიპაჟებითა და ფორნებით საესე მოედანზე გავჩერდი, ერთ-ერთ ფორანზე ავძვერი, შიგ ჩავიმალე და ანანასი

ყუნწაზე დაეყვანე. ამ ძვირფასმა ვახშამმა ძალიან არასასიამოვნო შედეგი გამოიღო. მუცელი ისე საშინლად ამტკივდა, რომ ველარ ვინძროდი. შუალამემდე ფორანში ვიჭექი, მაგრამ სიცივისაგან ხელ-ფეხი ისე გამეთოშა, იძულებული გავხდი, ფორნიდან გადმოვსულიყავი და გულდასმით დამეზილა. ჩემდა ბედად, მოედნის კუთხეში ნაკელის გროვა შევამჩნიე, ჯერ ისევ ორთქლი ასდიოდა. მაშინვე იქით გავეშურე და მთელი ის ღამე დილაღამე თბილ ნაკელში არხეინად მეძინა.

მეორე დღე როგორ გავატარე, ამის მოყოლა ძალიან გამიჭირდება. მახსოვს მხოლოდ, რომ ქუჩა-ქუჩა უმიზნოდ დავეხეტებოდი და შიმშილზე მეტად სიცივე მაწუხებდა. საღამოს ქუჩის ერთ მხარეზე თავმოყრილი ხალხი დავინახე. ახლოს მივედი. ისინი მომღერალ ბიქს შემოხვეოდნენ და უსმენდნენ. მეც დავდექი და მოვუსმინე. ნაცნობ სიმღერას მღეროდა — ინგლისური იყო, სწორედ ის, მისის ბერკმა რომ მასწავლა. ბიქი ცუდად არ მღეროდა, ოღონდ მისი ხმა სიმღერის სიტყვებს სრულებით არ შეეფერებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც მოეწონათ და როცა ბიქმა სიმღერა დაასრულა, მის ქულში ნახევარპენსიანი მონეტები ჩხრიალით ცვიოდა, გაოცებისაგან თვალები ვკვირბე.

„რა იქნება, მეც რომ იგივე გავაკეთო? — გამიელვა თავში. — ყოველ შემთხვევაში, ამ გზით თავის რჩენა უფრო პატიოსნურია, ვიდრე ქურდობითა და მათხოვრობით. მე ხომ ბევრი არაფერი მინდა. ათი ან ოცი გამვლელიდან ერთმაც რომ მომცეს ნახევარი პენი, საკმარისი იქნება!“

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, შევეცადე, სიმღერის სიტყვები და მოტივი მომეგონებინა, შემდეგ გავჩერდი და დავიწყე სიმღერა.

ერთი წუთის შემდეგ ჩემს ახლოს პატარა ბიქი შეჩერდა, მერე — მოხუცი და ერთი ქალი, მათ მოსამსახურე ქალი მიემატა, ხელში ლუდით სავსე ტოლჩა ეჭირა. „ეტყობა, საქმეზე გაგზავნეს, ეს კი დგას და მე მისმენს, ესე იგი, ცუდად არ ვმღერი“, — გავიფიქრე, მოსამსახურეს რომ შევხედე.

ამან სიმხნევე შემმატა და მეტი თავდაჯერებით განვაგრძე სიმღერა. ჩემს გარშემო ნელ-ნელა ხალხმა იმატა და როცა სიმღერა დავასრულე, დავინახე: სამი თუ ოთხი ხელი სპილენძის წვრილ ფულს მიწვდიდა. ჩემმა სიმღერამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება ერთ კარგად შეზარხოშებულ ირლანდიელზე მოახდინა.

— აი, სიმღერაც ამას ჰქვია! — წამოიძახა მან და ხელზე ლონივრად წამავლო ხელი. — ასეთი კარგი სიმღერა განა ყოველდღე

გესმით თქვენ კი სპილენძის ფულიც გენანებათ! წუწურაქები ხართ, ერთხელ კიდეც იმღერე, გენაცვალე, და როგორც კი დაამთავრებ, ფულის შესაგროვებლად მე თვითონ ჩამოვივლი.

— იმღერე, კიდეც იმღერე, ბიჭუნო! — შემომძახეს აქეთ-იქიდან.

სიმღერა სიამოვნებით გავიმღერე და შევატყუე, რომ ყველას მოეწონა. როცა დავამთავრე, ირლანდიელმა ქუდით ხელში იქ მყოფთ სათითაოდ ჩამოუარა და მთელი ბლუჯა სპილენძის ფული გადმომცა. ის იყო ჩემი სიმდიდრე შარვლის ჯიბეში შევინახე, რომ ვილაცის ხელი მხარზე შემეხო და ქალის ხმა მომესმა:

— ნუთუ ეს შენ ხარ, პატარა ჯიმი? საბრალო ბიჭო! ეს რა საქმე დაგიწყია!

მთელს ქვეყანაზე მხოლოდ ერთადერთი ქალისა მეშინოდა, მაგრამ ეს იმის ხმას არ ჰგავდა. ჩემთვის ნაცნობი, სიკეთით სავსე ხმა იყო. ავიხედე, ჩემს წინ მარტა იდგა — ნაცნობი მრეცხავი ქალის მისის უინკშიპის დისშვილი.

XIV

ძველი მეგობარი მიმასპინძლდება და ტანსაცმელს მაძლევს

მისის უინკშიპის მერე მთელს ქვეყნიერებაზე არ მოიპებნებოდა ადამიანი, მის დისშვილ მარტაზე მეტად რომ მყვარებოდა.

იგი კეთილი გულის ქალი იყო და ჩვენს მეზობლობაში ყველას უყვარდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი თუ პატარა, ყველა „ცალთვალას“ ეძახდა. მას ცალი თვალი მართლაც არ ჰქონდა. იმდენ ბიჭებში ნამდვილ სახელს მარტო მე ვეძახდი. იქნებ ამიტომაც იყო ჩემდამი ასე კეთილად განწყობილი: ჩემთვის მუდამ მზად ჰქონდა საალერსო სიტყვები და ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ, როცა დედინაცვლის წყალობით შიმშილით სული მხდებოდა, კეთილ მარტას დაუჟუპურებია.

— საბრალო ბიჭო! — ისევ იმეორებდა მარტა, როცა ხალხის ჯგუფიდან გამომიყვანა. — ეს რა დღეში ჩავარდნილხარ! წამოდი ჩემთან, საცოდავო ბალო, ყველაფერი მიაბე, რაც გადაგხდა.

— მე არაფერი მაქვს მოსაყოლი, — ვუთხარი და შევატყუე, იმ შესახვევისაკენ მიმათრევედა, სადაც მამაჩემი ცხოვრობდა. — არა, ვერ გამოგყვებით, ისიც მეყოფა, რაც ამ დამით გადამხდა!

— ვიცი, საბრალოვ, ყველაფერი ვიცი, დეიდაჩემმაც გაიგო, — მამშვიდებდა ახალგაზრდა, სათნო ქალი. — რომ იცოდე, როგორ ებრ-ლები! ამბობს: „სხვებივით სიარული რომ შემეძლოს, იმ სა- ცოდავი ბავშვის მოსაძებნად აუცილებლად წავიდოდით!“ აი, ახლა კი ვიპოვე და თანაც რა დღეში!

მარტამ თვალები წინსაფრით მოიწმინდა.

— მარტა, საშინლად მშია, — ჩავილაპარაკე მე, — შიმშილით ვკვლები!

ტირილი ამივარდა, ორივენი შუა ქუჩაში ვიდუქით და ვტირო- დით.

— წავიდეთ, — წამოიძახა უცებ მარტამ, — ჩვენს შესახვევში წამოდი. დეიდა ამბობდა, სადმე რომ გამოჩნდებოდეს, ძალიან გა- მიჩარდებო. ჰოდა, ვიპოვე კიდეც.

— არა, მე შინ არ წამოვალ, არავითარ შემთხვევაში არ წამო- ვალ.

— კარგი, ნუ გეშინია, ისე წაგიყვან, ვერავენ ვერ დაგინახავს, თუმცა, შენი ცნობა ისედაც ძნელია. — დაუმატა მან და ჩემი გა- ლეული სხეული თანაგრძნობით შეათვალეირა. — მე მხოლოდ ხმით გიცანი.

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, როგორც იქნა, დავთანხმდი და მარტას გავყევი. ჩვენს შესახვევს რომ მივეუახლოვდით, მან ტერნ- მილის ქუჩის ბნელ კუთხეში გააჩერა, თვითონ კი მისის უინკშიპის გასაფრთხილებლად წავიდა, თანაც აქეთ-იქით იყურებოდა, რაიმე ხიფათი ხომ არ მომელოდა.

ლოდინში რამდენიმე წუთი გავიდა, მაგრამ მე საუკუნედ მეჩვე- ნებოდა. მარტა კი არა და არ ბრუნდებოდა. ვიფიქრე, ალბათ მისის უინკშიპს ჩემი შეშვება არ სურს-მეთქი, და, რადგანაც არ ვიცოდე, რა გამეკეთებინა, ფულების თვლა დავიწყე. თოთხმეტი პენსი აღმო- მაჩნდა. მთელი სიმდიდრე იყო და ეს სულ რაღაც ნახევარ საათში ნაკლებ დროში ვიშოვე! ვთქვათ, კეთილმა ირლანდიელმა დიდი დახმარება გამიწია, მაგრამ უიმისოდ ორჯერ ან თუნდაც ოთხჯერ ნაკლებიც რომ მეშოვა, ნახევარ საათში სამ-ნახევარ პენსს მაინც შევავაროვებდი, საათში — შვიდ პენსს, ხოლო სამ საათში — ერთ შილინგსა და ცხრა პენსს! საუცხოო რამ იქნებოდა ვფიქრობდი, ნეტავ მარტა არ დაბრუნდებოდეს-მეთქი. მაგრამ მარტა დაბრუნდა, თავსაფრის ქვეშ რაღაც ჰქონდა დამალული. შესახვევში არავინ არ არის და მისის უინკშიპი გელოდებო, მითხრა.

— არა, უმჯობესია, არ წამოვიდე, — ვთქვი მე. — ჩვენს ლაპარაკში სახლიდან დედინაცვალი რომ გამოვიდეს? გმადლობთ, მარტა, ჯობია აქაურობას გავშორდე.

— არა, არა — შეპყვირა მან და გზა გადამიღობა. — შენ ისედაც ბევრი იხეტიალე ქუჩა-ქუჩა, მეტად აღარ გაგიშვებ, ჩემთან წამოდი, დამიჩერე! ისე მოგრთავ, კაციშვილი ვერ გიცნობს! — ამ სიტყვებით თავსაფრის ქვემოდან ძველი ქვედაკაბა და შლაპა გამოაძვრინა, სასწრაფოდ გადაამაცვა, ხელი ჩამჰვიდა და ჩვენი შესახვევისაკენ ისეთი მტკიცე ნაბიჯებით წამიყვანა, რომ წინააღმდეგობის გაწევა ვერ შევძელი.

მისის უინკშიბთან იმ დროს შევედით, როცა იგი მოგიზგიზე ბუნხართან მიმჯდარიყო და ცხელი წყლით განზავებულ რომიან სასმელს მშვიდად შეექცეოდა.

— აი, დეიდა, მოგიყვანეთ, — თქვა მარტამ და ქვედა კაბა და შლაპა გადაამაძრო.

— ნუთუ ეს არის! — წამოიყვირა მისის უინკშიბმა და გაკვირვებულნი, თითქმის შეშინებული, დაეინებით დამაცქერდა. — ბატარა, მხიარული ბიჭუნა, განსვენებული დედის ალიკვალი. ვაჰმე. რა დღეში ჩავარდნილა და ეს ყველაფერი იმ წითურის ლოთი ქალის წყალობაა! იმისი თავი ახლა რომ აქ მომცა, ჩემი ხელით მივბეგვავდი. შეხედე, მარტა, ბავშვს პერანგიც არ აცვია! ისინი კი იტყუებოდნენ, კარგი, თბილი ტანსაცმელი აქვს, მუშათა სახლში მიუტიათო, აჰას კი...

აღარ მახსოვს, რით დაასრულა მისის უინკშიბმა ლაპარაკი. როგორც კი თბილ ოთახში მოვხვდი და ცეცხლთან მივედი, უეცრად ყურებმა წივილი დამიწყო, თავბრუ დამეხვა, ფეხები ამიკანკალდა და იატაკზე დავეცი. როგორც ჩანს, დიდხანს ვიყავი გულწასული, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში ჩემი მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვლილიყო. მე მისის უინკშიბის ოთახში მდგარ დივანზე აღმოვჩნდი. კურტაკისა და ფლანელის შარვლის ნაცვლად ნაქსოვი პერანგი, გრძელი, ფართო შარვალი (ალბათ ერთ დროს მისტერ უინკშიბს ეკუთვნოდა) და უზარმაზარი ტილოს სამოსი მეცვა, რომელიც თავით ფეხებამდე მფარავდა, ისიც ალბათ მისის უინკშიბის პერანგი თუ იყო. თუმცა თავი ჯერ ისევ მიბრუოდა, მაგრამ ორჯერ წამოწევა და გარშემო მიმოხედვა მაინც შევძელი. მისის უინკშიბი ღუმელის წინ იდგა და მომცრო საწინეში კოვზს ურევდა. მარტა კი ოთახში შემოვიდა და მაგიდაზე თეფშით სამი ვეებერთელა ცხვრის ხორცის კატლეტი დადო. ამ ზღაპრული საჭმელის დანახვაზე კინალამ დივანიდან წამოვხტი, მაგრამ ფეხებში გაბლანდულმა გრძელმა ტანსაცმელმა შემიშალა ხელი.

მისის უინკშიპმა ჩემი მოძრაობა შეამჩნია.

— რაო, ვაჟაკო, გამოცოცხლდი? — ალერსიანად, მხიარულად დამიძახა მან. — აბა, გენაცვალე, გაყოჩაღდი, ცხვირი რას ჩამოუშვი?

ამ სიტყვებით იმის თქმა უნდოდა, ასე უცებ რამ აგატირაო ჩემი ცრემლების მიზეზი კი თვითონვე იყო. მან შუბლზე მაკოცა, ჩემთვის კი დედის სიკვდილის მერე არავის უკოცნია. ამ დედური ამბორის შემდეგ ცრემლები ვეღარ შევიკავე. მისის უინკშიპმა დამაცადა, ვიდრე ტირილით გულს ვიჭერებდი, თვითონ კი ვახშმის სამზადისს შეუდგა. ცოტა ხნის შემდეგ ლაპლაპა, პოლანდიური ღუმელიდან უჩვეულოდ საამური სურნელი დაიფრქვა.

— აბა, ჯიმ, მზად ხარ?

— დიახ, გმადლობთ.

— სადილად ხორცი მქონდა, — ალერსით მითხრა მისის უინკშიპმა, ხელში ამიყვანა და მაგიდასთან მდგარ დიდ სავარძელში ჩამსვა. — რაც დარჩა, წვნიანში ჩაგიწყე, მიირთვი, გენაცვალე, და იცოდე, ნამცეცი არ დატოვო. ამასობაში კატლეტიც შეიწვება.

ბევრი ხვეწნა არ დამქირებია. წვნიანი საოცრად გემრიელი მეჩვენა, მაგრამ ჩემს მგლურ მადას ის რას დააოკებდა. ისე დავაცხრი, თითქოს მტერი ყოფილიყო და უმოკლეს დროში უნდა გამენადგურებინა. ისეთი სისწრაფით ვნთქავდი, მისის უინკშიპს გაოცებისაგან სუნთქვა შეეკრა.

— აი, თურმე, სადამდე მისულხარ, ერთ ლუქმაც არ გეყო! — ღრმად ამოიოხრა მისის უინკშიპმა, როცა ჩემს ცარიელ ჯამს დახედა.

და მართლაც, რაც ვჰამე, ძალიან მეცოტავა, მაგრამ მისის უინკშიპისთვის არ გამიმხელია. ჩემი დელიკატურობა იქამდე მივიდა, რომ ასე გასინჯეთ, როცა მკითხა, კატლეტს კიდევ ხომ არ შეჰკამდო, ვუპასუხე: ოღონდ მთელი კატლეტი არ მინდა, ცოტა მომეცით-მეთქი. თუმცა ჩემი ფიქრით, რაც პოლანდიურ ღუმელში კატლეტები ეწყო, ყველას ვნთქავდი და პურის დიდი ნაჭრით ლანგარზე დარჩენილი ქონის პირწმინდად მოსუფთავებასაც ვაპირებდი. თვალი მუცელზე ხარბი გამოდგა. ერთი კატლეტი და ჩამოდენიმე კარტოფილი რომ შევჰამე, კარგა გვარისანად დავნაყრდი.

— აბლა კი, ჯიმ, დაწვრილებით გვიამბე, რაც ამ ხნის განმავლობაში გადაგხდა, — მითხრა მისის უინკშიპმა, როცა მარტამ სუფრა ააღაგა და ბუხრის წინ დივანზე მშვიდად ჩამოესხედით.

მისის უინკშიპის თხოვნა სიამოვნებით შევასრულე. დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი, იმ წუთიდან მოყოლებული, დედინაც

ვალს თითზე რომ ვუკბინე და მამისეული სახლიდან გამოვიქეცი. როცა ჩემს ნაცნობებზე რიპსტონსა და მოულდიზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ვუამბე, მათთან ერთად ბაზარში როგორ ვქურდბაცაცობდი. ამის გაგონებაზე მისის უინკშიპი ჩემი დედინაცულის წყველ-კრულ-ვას მოჰყვა — თავისი გულქვაობით კინალამ ციხის კარამდე მიგიყვანაო.

— ბაზრის ქურდებს ციხეში როდი სვამენ! იმათ თვითონ ღარაჯი უსწორდება. მოულდიმ ასე მითხრა, — აეუხსენი მე.

— მაშ, შენი მოულდი საძაგელი მატყუარა ყოფილა, ამაში თვითონვე მალე დარწმუნდებოდი. ბედი შენი, ჯიმ, რომ ციხეით გახდი ავად და ამით შენი ქურდობა დამთავრდა. ამის მეტად ხომ არაფერი მოგიპარავს?

— არა, აღარააოდეს! — მივუგე მე და გადავწყვიტე, ანანა!ებზე კრინტი არ დამეძრა.

მუშათა სახლიდან ჩემი გაქცევის ამბავი რომ მოვუყევი, მისის უინკშიპმა ზევრი იცინა, სამაგიეროდ, იმ გაიძვერა მეძველმანეების საქციელმა გაამშავა.

— ხედაცა იმ თაღლითებს! — დაიყვირა გულმოსულმა. — მე რომ მამაკაცი ვყოფილიყავი, დავუდარაჯდებოდი და ისე მივბეგვავდი, შენგან მოწონებულდი.

— კიდევ კარგი, უარესი არაფერი შეგემთხვა! — შევებით ამოიოზნრა მან, როცა თხრობა დავასრულე. — რა თქმა უნდა, ცუდია, რომ ჩემი კარგი პოლის შვილმა მათხოვრობა დაიწყო, მაგრამ შეიძლებოდა უარე!იც მომხდარიყო!

— როგორ თუ მათხოვრობა? მე მოწყალებას არ გთხოვლობდი, როცა მარტა მოვიდა, ვმღეროდი.

— თუგინდ ეგრე იყოს, მე ვერავითარ განსხვავებას ვერა ვხედავ, — მტკიცე ხმ-თ მომიგო მისის უინკშიპმა.

— მე კი არ ვიცოდი, თუ ეს ერთი და იგივე იყო, — ჩავილულულე გაკვირვებულმა. — არ მინდა მათხოვრობით ცხოვრება, შზადა ვარ ის თოთხმეტი პენსი თუგინდ ახლავე გადავყარო. სად არის ის ფული?

— ჯობია არ იკითხო, სადაც არის, შენ ასეთი ფული არა გკირდება, ჯიმ. იმ საწყალს კი, ვისაც გავუგზავნეთ, კარგ საქმეს უზამს. მარტა, იმ ქუჭყიან ჩვრებზე რალა თქვა, ფულთან ერთად რომ მიუტანე?

— ძალიან გაუხარდა, აღარ იცოდა, როგორ ეთქვა მადლობა! მაშინვე დაჭდა და თავის პატარა ბილისთვის შარვლის გამოჭრა დაიწყო.

ნეტავ რომელ კუქყიან ჩერებზე ლაპარაკობდნენ! ნუთუ ჩემს კურტაჯზე და შარვალზე ამბობდნენ ამას? დე ასე ყოფილიყო, პატარა ბრლის მოეხმარა ჩემი შარვალიცა და ის თოთხნეტი პენსიც! ალბათ მისის უინკშიაბი ჩემს ტანსაცმელზეც იზრუნებდა. ის კოსტიუმი, ახლა რომ მეცვა, მოხერხებული და ძალზე თბილი იყო. ოღონდ ამით ქუჩაში მაინც ვერ გამოვიდოდი. იქნებ სულაც ვცდებოდი და ჩემს ტანსაცმელზე არაფერს არ ფიქრობდნენ? საჭირო იყო სასწრაფოდ გავრკვეულიყავი. რამდენიმე წუთით დავფიქრდი, რომ როგორმე უფრო წინდახედულად და ზრდილობიანად დამეწყია ლაპარაკი. ბოლოს ბუხრის თავზე დიდ ღილს მოვკარი თვალი და ვიკითხე:

— ეს ღილი რამეზე გკირდებათ?

— არა, რა იყო?

— ურიგო არ იქნებოდა, კურტაჯზე დამეკერებინა, რაც ჩავიცვი, მას შემდეგ ზედა ღილი სულ აკლია.

— კარგი, ჯიმ, იმ კუქყიან ძონქმანებს რაღას იხსენებ? შენ იმას აღარასოდეს აღარ იხილავ.

— ვეღარასოდეს ვეღარ ვიხილავ? — შევეყვირე შეშინებულმა. — ეს როგორ შეიძლება, უკურტაკოდ ხომ არ ვივლი?

— მაგაზე ნუ ნაღვლობ, — მითხრა კეთილმა ქალმა და თავზე ხელი გადამისვა. — შენ კურტაკი გექნება, ნეტავი სხვა რამეც ისეთი ადვილი მოსაგვარებელი იყოს, როგორც შენი კურტაკის შოვნაა.

— ამაზე ძნელი რაღა არის? — ვკითხე ცნობისმოყვარეობით. — ნუთუ შარვლის შოვნა უფრო ძნელია?

ჩემმა შეკითხვამ მოხუცი ქალი ძალიან გააშხიარულა.

— არა, ჯიმ, შარვლის შოვნა ძნელი არ არის, — მითხრა, როცა სიცილით გული იჯერა. — მთავარი სიძნელე ისაა, სად წაგიყვანო. ჩემთან დარჩენა შეუძლებელია, შენც კარგად იცი, რა ორომტრიალი დადგება, აქ რომ განახონ!

— რასაკვირველია, აქ დარჩენა არ შეიძლება, თვითონაც ძალიან მეშინია ამისი, — მივეუგე საჩქაროდ.

— კარგი იქნებოდა, ვინმესთან სასწავლებლად მიგვებარებინა, — წყნარად თქვა მარტამ, ისე, რომ თავისი საქმიანობა არ შეუწყვეტია. იგი წინდებს კემსავდა.

— კარგი კი იქნებოდა, მაგრამ აბა, ვისთან მივიყვანოთ?

— აი, ვზივარ და ვფიქრობ... მაგრამ, ვცი, მეტყვით, ეგ რა ხელობაა!..

— რა არის ასეთი?!

— რა და, საკვამურების მწმენდელ ძამიკო ბელჩერს მივგვა-
როთ. ის ხომ ბიჭებს იყვანს ხოლმე.

— მშვენიერია! — შესაბა ალტაცებით მისის უინკშიძმა. — აჰ,
ეს მესმის, კარგი საქმეა! ხომ მართალია, ჯიმ?

მე თავაზიანობის გამო მივეუკე:

— დიახ, რა თქმა უნდა!

მაგრამ სინამდვილეში მისის უინკშიძის ალტაცებას სრულებით
არ ვიზიარებდი. რა თქმა უნდა, წუხელ ღამით, მშოერი, სიცივი-
საგან გაფიჩხებული, ნაკელის გროვაზე რომ ვიწეკი, ვინმეს ჩემ-
თვის საკვამურის მწმენდელობა რომ შემოეთავაზებინა, ალბათ სი-
ამოვნებით დავთანხმდებოდი, მაგრამ კარგად ნავახშვეს და თბილი
პერანგით დივანზე წამომჯდარს ბუხრის მილებში ძვრომა სულაც
არ მიტაცებდა.

— როგორ მიხარია, ჩემო სულკო, რომ ასეთი კარგი აზრს
მოგიციდა. — ისევ ალტაცებული ლაპარაკობდა მისის უინკშიძი. —
ამაზე უკეთესს ვერაფერს მოვიგონებდით. ჯერ ერთი, ისეთი ხე-
ლობაა, რომ იოლადაც შეისწავლის და კარგა ბლომად ფულსაც
გააკეთებს. დიკ ბელჩერიც ადრე ისეთივე ღარიბი ბიჭი ყოფილა, რო-
გორც ჯიმი, ახლა კი არაფერი აღარ უჭირს. მეორეც ის, რომ დიკ
ბელჩერი აქედან შორს ცხოვრობს და, რაც მთავარია, საკვამურის
წმენდა ადამიანს ისე ძალიან ცვლის, მშობელი მამაც ვეღარ იც-
ნობს, თუგინდ წინ შეეფეთოს. ეს საქმე გადაწყვეტილია. მარტა,
ხვალ დილითვე კემბერვილში გაემგზავრე და დიკ ბელჩერი აქ
მომგვარე.

XV

ჩემი ახალი პატრონი

მისის უინკშიძის წყალობით, იმ ღამეს რბილ დივანზე ვიწეკი,¹
თბილი საბანი მეხურა და ქვეშ სუფთა ზეწარი მეფინა. მიუხედა-
ვად ამისა, მაინც დიდხანს არ დამეძინა. სულ იმაზე ვფიქრობდი, რა
ბედი მეწევა-მეთქი. და რაც უფრო მეტხანს ვფიქრობდი, საკვამუ-
რის მწმენდელთან მოწაფედ დადგომის სურვილი მით უფრო
მიქრებოდა. ერთ საკვამურის მწმენდელს მეც ვიცნობდი, მაშაჩე-
მის მეზობლად ცხოვრობდა. მას ორს მოწაფე ჰყავდა და მათი
ცხოვრება ჩვენ, ბიჭებს, ტანჯვად გვეჩვენებოდა.

მოწაფეები მისტერ პაიკთან, — ასე ეძახდნენ ჩვენს საკვამურების მწმენდელს, — ძალზე ცოტა ხნით ცხოვრობდნენ ხოლმე. ისინი განუწყვეტლივ იცვლებოდნენ. არც ერთი იმათგანი ერთ წელზე მეტხანს ვერ უძლებდა. ჩვეულებრივ, ან იხოცებოდნენ, ან გაექცეოდნენ ხოლმე. გარეგნობით ისინი ერთიმეორეს ჰგვანდნენ: ყველანი შავები იყვნენ, გამურულები, ჩამოძონძილები, მზის სინათლეზე თვალებს ახამხამებდნენ. ბიჭებში მისტერ პაიკის გულქვაობაზე საშინელი ღმებები დადიოდა. ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ იგი თავის მოწაფეებს საკვამლე მილში ცოცვას ასე ასწავლიდა: მოწაფე-თოკის ერთ ბოლოს ენაზე გამოაბამდა, მეორე ბოლოს თვითონ დაიჭერდა და სახურავზე იდგა. თუ ბიჭი მარჯვედ ვერ შეცოცდებოდა მილში, თოკს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოსწევდა, ხოლო თუ ბიჭი შეყოვნდებოდა, ერთ იდლია წიწაკამოყრილ ბურბუმელას შედებდა ღუმელში და ცეცხლს მოუკიდებდა. ერთხელ მან თავისი მოწაფე საკვამლე მილში ჩაგზავნა და ის ბიჭი მას მერე აღარ გამოჩენილა. ამბობდნენ, პაიკმა მილში ზომაზე მეტი ბურბუმელი შეყარა და ბიჭი ცოცხლად დაიწვაო, თუმცა მერე ბევრს ენახა ის ბიჭი შორდიჩში და ყველანი იმას ამბობდნენ, ალბათ გაქცევით უშველა თავსო. ამ საშინელი ამბების მოგონებაზე ძილი გამიკრთა. საათმა თორმეტჯერ დარეკა, შემდეგ პირველი გახდა, მერე — ორი, მაგრამ ძილი მაინც არ შეკარებოდა. ბოლოს, როორც იქნა ჩამეძინა და დილის ათ საათამდე მეძინა. ეტყობოდა, მისის უინკშიბი და მარტა ჩვეულებისამებრ ადრე ამდგარიყვნენ, ესაუზმათ კიდევ და მზა ტანსაცმლის მალაზიაში წასვლაც მოესწროთ. იმის დამამტკიცებელი ნივთიერი საბუთი, რომ ისინი მალაზიაში მართლა იყვნენ, თვალწინ მედო. საწოლის გვერდით, სკამზე გაემწკრივებინათ: სუფთა პერანგი, წინდები, მჭიდროდ ნაქსოვი მაუდის კურტაკი და ლამაზი, ზოლიანი შარვალი. სკამის ქვეშ ერთი წყვილი ფეხსაცმელი ეწყო, იმაზე გაცილებით უკეთესი, მისტერ ბერნიმ რომ გამომტყუა. სკამის საზურგეზე კი ქუდი ეკიდა. წუთითაც არ დავეძვებულვარ, რომ ეს ნივთები მე მეკუთვნოდა. ამიტომ სასწრაფოდ ჩავიცივი და მისის უინკშიბთან მისასალმებლად გავედი. კეთილ მოხუცს ძალიან გაუხარდა, როცა რიგიანად ჩაცმული დამინახა. მან ხელ-პირის დასაბანად თბილი წყალი შემომმიტანა, საკუთარი ჭაგრისით თვითონვე დამეარცხნა თმა და მერე თავისივე საცხი გადამისვა.

— აბა, ჯიმ, ახლა სარკეში ჩაიხედე, — მხიარულად მითხრა მან. — ხედავ, რა ბიჭი ხარ, პირდაპირ ვასაოცარი!

— ეს საკვამურების მწმენდელი ბიჭების ტანსაცმელს სულაც

არა ჰგავს, — ამყად ვთქვი და შევათვალე — შემოვათვალე რე, იმე-
დი მქონდა, რომ მას ჩემთვის სხვა საქმე ექნებოდა შეგულებუ-
ლი. — არ მინდა, ასეთი ტანსაცმლით საკვამლე მილში დავიწყო
ძვრომა.

— ოპო, სხვა რა გინდა?! ამ ტანსაცმელს მარტოოდენ დღესას-
წაულებზე ჩაიცმე, სამუშაოსთვის კი მისტერ ბელჩერი თავად
გამოგიძებნის რაიმე ძველმანს. მარტა გავგზავნე კემბერჯილში და
სადაცაა მ-სტერ ბელჩერთან ერთად აქ განდება. — მითხრა მისის
უინკშიპმა.

მართლაც, საუზმის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ მარტა
მოვიდა, ოღონდ მარტო იყო, მისტერ ბელჩერს იმ დღეს ბევრი
სამუშაო გამოქნებოდა და სადამოს თავისივე ცხენებზემძული ეტ-
ლით აპირებდა მობრძანებას. ცხენისა და ეტლის ხსენებამ, ცოტა
არ იყო, დამაშვიდა. ესე იგი, მისტერ ბელჩერი ისეთი ღარიბი არ
ყოფილა, როგორც მისტერ პაიკა-მეთქი.

სიფრთხილის გამო მთელი დღე გარეთ არ გამომიხედავს. შე-
ბინდებულზე თვით მისტერ ბელჩერიც მოვიდა. იგი საკვამურების
მწმენდელს სრულებით არ ჰგავდა. შავი კი არა, თეთრი კაცი იყო.
ყავისფერი პალტო ეცვა და თავზეც შლაპა პეწენიკად ეხურა. მარ-
ტასავით ისიც უფერული, ოღონდ ნაყვავილარი იყო. ჩაყვითლე-
ბული ზედა კბილები წინ ისე გამოშვებოდა, რომ ტუჩი ვერ უფა-
რავდა. საერთოდ, თვალში არ მომივიდა. მარტას არ ეთქვა, რის-
თვის იბარებდა მისის უინკშიპი, და, რომ გაიგო, აშკარად შევატყვე
დიდად არც ესამოვნა.

— რამდენი წლის არის ეს ბიჭი? — იკითხა და შემათვალე რა.

— ცხრისა, მეთექვსმეტი გადავიდა. ძალიან პატარა ხომ არ არის?

— პარიკით, დიდიაა. ჩვენი ხელობის შესწავლა მაშინ უფრო
უკეთესია, როცა ძვლები მოქნილია. თანაც როგორი სუფთა ბიჭია,
ცოდნა საკვამურის მწმენდელობისათვის.

— როგორ თუ ცოდნა? ჩვენ ამის მეტი ვერაფერი შეეუარჩიეთ,
დიკ, თქვით, აიყვანთ თუ არა?

— საქმე ძალიან ცუდად მიდის, — უგუნებოდ უბასუხა მისტერ
ბელჩერმა. — არც ის ვიცი, ფაბრიკის მილებში საძრომად გამოდ-
გება თუ არა...

მან ჯიბიდან საწახავი ამოიღო და მხრებზე დავადო.

— ძალიან გაუჭირდება. მსუქანი ბავშვი არ არის, ამაზე მეტად
ველარც გახდება და მთელი უბედურება იმაშია, რომ ისე უნდა
შევიანხო, ზედმეტი მისხალიც არ მოიმატოს, თორემ საშინელება
დატრიალდება. სადღაც მილში გაიქვდება. ასეთი შემთხვევა დიდი

ხანი არ არის, რაც მოხდა ბერმონდის გზაზე. სასერს ქარხანაში საკვამური ოთხმოცდათვრამეტი ფუტი სიმაღლისა იქნება, ის პატარა კი სწორედ შუაში გაიჩხირა და იქამდე იყო, ვიდრე...

— რა სისულელეებს გეუბნები, დიკ, — შეაწყვეტინა გულმოსულმა მისის უინკშიპმა. — მე მგონი, თქვენ რომ ჩემთან დახმარების სათხოვნელად მოდიოდით, არც ვეიშვიშებდი და არც ათას რამეს ვიმიზეზებდი მაშინ!

დახმარების გადაკვერით შეხსენებამ მისტერ ბელჩერი აიძულა, მაშინვე ლაპარაკის კილო შეეცვალა.

— მე როდის ვამბობ, არ აეიყვან-მეთქი? — თავის მართლებას მოჰყვა მისტერ ბელჩერი. — მხოლოდ იმას მოგახსენებდით, რომ სამუშაო არა მაქვს და, ცხადია, ბიჭებიც ისე ძალიან აღარ მჭირდება. რადგან ახლა მანქანით ვმუშაობ, ისე, თუ გნებავთ, ჩემთან იცხოვროს, ხილობას მაინც შევასწავლი.

ამგვარად ჩემი ბედი გადაწყდა. მე საკვამურების მწმენდელი უნდა გავმხდარიყავი, ეს საზიზღარი, ჩოფურა კაცი კი ჩემი პატრონი. ენა ვერ იტყვის, რა უბედურად ვგრძნობდი თავს.

— როდის წაიყვანო? — იკითხა მისტერ ბელჩერმა.

— თუ გინდ ახლავე, ბიჭი მზად არის, ძალიან მინდა, რომ დღესვე, დაღამებამდე წაიყვანოთ.

— როგორც გენებოთ, ჩემთვის სულ ერთია. რაკი ახლა გინდათ, ახლა იყოს. აიღე, ბიჭო, ქული!

საშინლად მწყინდა, რომ მისის უინკშიპი ჩემს თავიდან მოშორებას ჩქარობდა. ახლა კიდევაც მრცხვენია, რომ მაგონდება, მისის უინკშიპის ალერსიან გამომშვიდობებაზე რა ცივად ვუპასუხე. მისტერ ბელჩერს ცხენი და ფურგონი შვსახვევის ბოლოში დაეყენებინა და ვიღაც ბიჭი ყარაულობდა. მას მისტერ ბელჩერი გასამრჩელოდ ნახევარ პენის დაჰპირებოდა. როცა ახლოს მივედი, დავინახე, რომ ეს ბიჭი ჭერი პეიპი იყო. გულმა გამალებით დამიწყო ბაგაბუგი, მაგრამ, ბედად, ჭერი ნახევარი პენის აღებაზე ფიქრს ისე გაეტაცა, ჩემთვის იოტილოდენა ყურადღებაც არ მოუქცევია, და ჩვენც მშვიდობიანად გავშორდით იქაურობას.

უკვე გვიან იყო, როცა კემბერვილსა და იმ ადგილებს მივალწოეთ, სადაც მისტერ ბელჩერი ცხოვრობდა. არხის ახლოს ერთ პატარა ჭუჭყიან ქუჩაზე გავედით. აქ ყველა სახლი უბადრუკი მეჩვენა, აუშმა მისტერ ბელჩერის სახლი ყველაზე მაღალი და ლამაზი იყო. კარებზე მშვენიერი სპილენძის ჩაქუჩი ეკიდა. სახლის ნომრის აღმნიშვნელი ციფრიც სპილენძისა იყო. კარებზე წარწერა ჰქონდა გაკრული: „საკვამურების მწმენდელი ბელჩერი“, სპილენძის

ბრძკვიალა ზარხ ქვემოთ, დაფაზე კი ამოეტვიფრათ: „საკვამურების მწმენდელის ზარი“. ფანჯრებშია აბრაზე მთელი სურათი იყო გამოსახული: ბუკინგემის სესახლის საკვამურიდან ცეცხლის ალი აკარდნილა, დედოფალი ვიქტორია ფანჯარაზე გადმომდგარა, თავზე დედოფლის გვირგვინი ახურავს, თმა გასწეწია და ორივე ხელი საკვამურის მწმენდელისკენ გაუშვერია. ამ დროს ეზოში შემობრბის თვითონ საკვამურების მწმენდელი, რომელსაც ქულზე მსხვილი ასო-ჯებით აწერია: „ბელჩერი“. სასახლის კარებში მდგარი გუშაგი ყვირის (სიტყვები მის ცხვირზე შემოხვეულ ლენტზე წერია): „ბელჩერ, ჩვენ კი გვეგონა, რომ აღარ მოხვიდოდით! უელსის პრინცი თქვენს მოსაყვანად ბრძანდებოდა, მაგრამ თქვენ სხვაგან ყოფილხართ მიწვეული სამუშაოდ“. — „სრული სიმართლეა, — უპასუხებს ბელჩერი (ისიც ლენტის საშუალებით).— მე პერცოვ ველინგტონთან ჯმუშაობდი, მაგრამ როგორც კი გავიგე, დედოფალი შევლას მთხოვდა, მაშინვე ყველაფერი მივატოვე და უმაღ თქვენს საშველად წამოვედი“.

ჩემმა ტოლმა ბიჭმა, სწორედ ისეთივე შავმა და ტანსაცმელ-შემოქმენილმა, როგორიც პაიკის მოწაფეები იყვნენ, ჩვენი ფურგონის ბორღლები ხმა რომ მოესმა, სახლის კუთხიდან გამოვიდა და ცხენი აღვირით დაიჭირა. მისტერ ბელჩერი ფურგონიდან გადმოვიდა, მე შიგ დამტოვა.

— ნება მიბოძეთ, ჩამოსვლაში გიშველოთ, ბატონო, — თავაზიანად მომმართა საკვამურის მწმენდელმა ბიჭმა. — თუმცა, არა, უმჯობესია, თავად ბატონმა გადმოგიყვანოთ, თორემ ჩემი ხელებით ტანსაცმელს დაგისვრით.

— რომელი ბატონი კი ეს არის, შე ჩერჩეტო, ახალი მოწაფეა! — გაიცინა მისტერ ბელჩერმა.

— ახალი მოწაფე? შენ რა, დიკ, კკუაზე ხომ არ შეიშალე, რაში გპირდებოდა ახალი მოწაფე?

ეს სიტყვები ერთმა ძონძროხა, უსუფთაოდ ჩაცმულმა ქალმა შეგვაგება, სწორედ მაშინ გარეთ რომ გამოვიდა. გაწეწილ თმაზე ფერად-ფერადი ლენტებით გაწყობილი ჩაჩი ეხურა, ყურებზე კი საყურეები უბრძკვიალელებდა. მაშინვე შევიცანი: იგი მისის უინკ-შიპის და იყო.

— მპირდებოდით? მე არაფერშიც არ მპირდებოდა, — ჩაიბუზღუნა მისტერ ბელჩერმა. — იძულებული ვიყავი, წამომეყვანა, რომ შენი დაიკო არ გამენაწყენებინა. შინ შევიდეთ, იქ ყველაფერს გატყვი.

შემდეგ ბიჭს მიუბრუნდა, ჩემზე მიუთითა და უთხრა:

— წაიყვანე, სემ, სამზარეულოში, შენთან იყოს, როცა დამპირდება, დავუძახებ.

სემმა ცხენს აღვირი ამოსდო, საბლს შემოატარა და დიდ ეზოში გაიყვანა. ერთ მხარეს გრძელი ჩაბნელებული ფარდული მოჩანდა.

— აბა, გამოძვერი — უხეშად მითხრა სემმა, როცა ფარდულის ერთ-ერთ კართან გაჩერდა. — აი, აქ სამზარეულოა. იცოდე, როცა შეხვალ, არ იხმაურო, თორემ თუ ის ბავშვი გააღვიძებ, იცოდე, კარგი დღე არ დაგადგება. ცხენს წაიყვან და მეც ახლავე დავბრუნდები. კარზე ნუ დააკაკუნებ, დაკეტილი არ არის, ხელი ჰკარი და გარდება.

ჭუჭყიან, გამურულ კარებს ხელით ოდნავ მივაწეკი და მართლაც გაიღო. სამზარეულოში შევედი. ძალიან ბნელოდა. შუა ადგილას შემოდგმულ ქვაბის ქვეშ რამდენიმე ნაკვერჩხალი ღვიოდა და ოთახს ოდნავ ანათებდა. პირველად ცეცხლის მეტი ვერაფერი დავინახე, მაგრამ სიბნელეს თანდათან თვალი შევაჩვიე და ცეცხლთან ახლოს ერთ მხარეს პატარა მაგიდა და ორი სკამი გავარჩიე, მეორე მხარეს კედელთან კი — რაღაც შავი გროვა, საიდანაც ხვრიწვის ხმა მოდიოდა, რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადავდგი და გაჩერდი. ეცდილობდი, ჩქამიც არ გამეღო. უცებ შავი გროვიდან ყეფა გაისმა და პატარა ძაღლის ლეკვი გაათფრებული მომვარდა.

— სემ, რას აღიზიანებ! — მოისმა გაბრაზებული ხმა იმავე გროვიდან. — ხომ არაფერს გიშავებს. კარები მაინც დაკეტე, საძაგელო მაწანწალავ: ისედაც ძვლები მტკივა, შენ კიდევ შინიავებ. კარი დახურე-მეთქი, წყეულო ბიჭო!

კარგად რომ დავაკვირდი, გავარჩიე, შავი გროვიდან რაღაც გამოსახულება მუხლისთავეებზე წამოწეულიყო. როცა გამოსახულებაზე ხმა აიმაღლა, ძაღლმა ყეფას უმატა.

შევშინდი.

— სემი აქ არ არის, ეს მე ვარ, — ჩავილაპარაკე შემკრთალი ხმით.

— გეუბნები, კარი დახურე-მეთქი! — ეს რომ თქვა, მძიმე ჩექმის მსგავსმა რაღაცამ სახესთან ჩაჰიჭროლა და ჩემს უკან კედელს მიენარცხა.

კარის შიგნიდან ჩაკეტვისა და ამ საშინელ სულიერთან მართოდ-მართო დარჩენისა შემეშინდა. სამზარეულოდან გამოვედი და ის იყო კარები გარედან უნდა გადამეკეტა, რომ ამ დროს სემი მოვიდა. მხიარულ სახეს ფარნის შუქი უნათებდა.

— სამზარეულოში რატომ არ შესულხარ? — შკითხა მან. — ხომ გითხარი, კარს ხელი ჰკარი და გაიღება-მეთქი.

მეც ავდექი და ვუთხარი, რაც სამზარეულოში თავს გადამხდა.

— წამოდი, — მითხრა მან სიცილით და ხელზე თავისი ხელრწამავლო. — ობობას შიში ნუ გაქვს, ვიდრე ის თავისი ტომრებიდან ამოძვრებოდეს, საყარაულომდეც მიიარბენ.

— ძაღლმა კი არა, მე იმ კაცმა შემამინა, ცეცხლთან ახლოს, ტომრებში რომ წევს.

— ჰოდა, ობობაც ეგ არის. ეგ რა კაცია! წავიდეთ, პატრონმა ხომ გიბრძანა, სამზარეულოში იყავით!

სემმა კარი გააღო და შევიდა. მეც უკან მივყუვი. თან ვცდილობდი, რაც შეიძლება ფრთხილად მევლო, რომ ტომრებში ჩაწოლილი არსება ხელახლა არ გამეღიზიანებინა.

— ხომ არ იცი, ვინ იყო წელან? — საცოდავი ხმით ჰკითხა მან სემს. — ერთი ბრაზბარუხი და ხმაური ატეხა, მერე ისეთი სიცივე შემოუშვა, კინაღამ მომკლა! სემ, შენ ნახე, ვინც იყო?

— ვინა და, ერთი წარჩინებული გრაფი იყო, ლორდ ფლეფემის ვაჟიშვილი, შენი ჯანმრთელობის გასაგებად მოვიდა და რევმატიზმის საკურნაეი მალამოც მოგიტანა. შენ კი აიღე და ჩექმა გაუქანე! ერთხელაც იქნება, მაგ უხეირო ჩვევისათვის მწარედ მოგხვდება. მართალს გეუბნები, ობობა, მოგხვდება.

— ეჰ, არც მე ვარ მტყუანი, — ამოიკენება ობობამ. — ყველაფერი მტკივა, აქ კიდევ კარებს მიღებენ და ოთახს მიციებენ. სემ, თუ იცი, ხომ არაფერი ეტყინა?

— არც ისე. ბედი შენი, რომ გამყოლი გული არა აქვს. აი, თვითონაც.

სემმა ფარანი ისე დაიჭირა, რომ ხეიბარს ჩემი დანახვა კარგად შეძლებოდა. მეც შევთვალაიერე. საბრალო თექვსმეტ-ჩვიდმეტ წელზე მეტის არ იქნებოდა, მაგრამ სამოცდაათი წლის მოხუცს ჰგავდა. შავ ძველმანებში გახვეული ზღარბივით მობუზულიყო და ცალი ხელით ტომრების გროვას ეყრდნობოდა, რომელიც ლოგინის მაგივრობას უწევდა, მეორეთი კი თვალებზე ჩამოყრილ თმებს უკან იწევდა.

— თუ შეიძლება, მაპატიეთ, ბატონო. — თავმდაბლად მითხრა მან. — ზოგჯერ ისეთი ტკივილი მომივლის ხოლმე, თავი მავიწყდება. იმედია, არაფერი გტყენიათ.

ვიდრე რაიმეს მოვახერხებდი, სემმა ხმამაღალი ხარხარი ატეხა.

— საუცხოოა, დიდებულია! — შეჰყვირა მან. — ამან მეც მომატყუა, ოღონდ ასე მაგრად მაინც არა! შე გამოსულელებულო, ეს

არც „პატრონია“ და არც ლორდის ვაჟიშვილი. ერთი უბრალო ბიჭია, ჩვენთან შეგირდად მოიყვანეს.

— შეგირდად მოიყვანეს? — გაკვირვებული ჩაეკითხა ობობა. — აი, ოინი, თუ გინდა!

— რა არის აქ გასაკვირი? — ჩავერიე მე. — ბუხრის წმენდას განა მე ვერ შევისწავლი?

— კი მაგრამ, რა უნდა შეისწავლო, როცა ჩვენს პატრონს არავითარი სამუშაო არა აქვს და საკვამურებიც არასოდეს გაუწმენდია?

— ჩემთვის სულ ერთია, — უდარდელად მივეუბნე მე. — მეც იმას ვაგვაკეთებ, რასაც დანარჩენი ბიჭები! თქვენ ორნი რაზე მუშაობთ?

— ობობა სრულებით არაფერს არ აკეთებდა, — ამიხსნა სემმა. — აქამდე ჩვენი პატრონი ალბათ დიდი ხანია გაისტუმრებდა, მაგრამ უფლება არა აქვს. იგი შვილი წლის ვადით ჰყავს აყვანილი. მე კი დილაობით ზოგჯერ ჩვენს პატრონს და ნედ პერკის მიცვევები ხოლმე, მანქანით სამუშაო როცა აქვთ. იქაც ბევრი არაფერია გასაკეთებელი. მთელი ჩვენი საწარმო დამლაშობით სოფლებში მუშაობაზეა დამოკიდებული. მიცვევები და ფორანს ვყარაულობ ხოლმე.

— სოფლებში რისთვისღა დადიან? — დავინტერესდი მე. — იქ რა, ფაბრიკის მიღებში ხომ არ ძვრებიან?

— არ ვიცი. იქ თუ სადმეა ჩასაძვრომი. მე მგონი, არსად, — მიპასუხა სემმა.

— არც ქვარტლი მოაქვთ სახლში! ვერ გამიგია, რისთვის დადიან! — თქვა ობობამ და ტკივილებისაგან ისევ დაიმაწყა.

თავის ლოგინზე მიწვა და ოხვრა-კენცისს მოჰყვა. ვერცე ტკივილი გაუვლიდა და საინტერესო საუბარს ვაგაგრძელებდით, მისტერ ბელჩერის ხმა გაისმა: იგი თავისთან მიხმობდა. სემის დახმარებით სახლის უკანა კარს მივავენი, იქიდან კი ჩემმა ახალმა პატრონმა სასტუმრო ოთახში შემიყვანა.

იქ მსუქანი შავგვრემანი ქალი იჯდა. მაშინვე მივხვდი, რომ იგი უეჭველად მისის ბელჩერი იქნებოდა. მაგიდაზე პური, კარაქი და წახვი ელაგა. მისის ბელჩერი მაინცადამაინც გულლიად არ შევსახვედრია.

— შენ, ეი, ბიჭო, რა გქვია?

— ჯიმი, ქალბატონო.

— აი, თუ გინდა, ივანშმე. ვაშლისსაწებლიანი კაკაბი არ გეგო-

ნოს. სხვაგან იქნებ განებივრებდნენ, მაგრამ ჩვენთან ამაზე უკეთესს ნურაფერს ელი.

— გმადლობთ, — მივუგე მორჩილად. — ხახვი და კარაქიანი პური ძალიან მიყვარს.

— რასა ბრძანებ! მე კი მგონია, რომ შენ ყველანაირი საქმელი ძალიან გიყვარს! ვითომ ერთი უქნარა ძალი არ გვეყოფოდა, პურს ორნ ვაჭმევდით! ახლა ეს უსაქმურიც...

— კარგი, გეყოფა ლაპარაკი! — შეაწყვეტინა ცოლს მისტერ ბელჩერმა. — შენმა დამ ხომ არ იცოდა ჩვენი გასაქირი. წინანდებურად რომ ვცხოვრობდეთ, ერთი ბიჭის შენახვა განა რა დიდი საქმე იქნებოდა. თუმცა, იქნებ ის გინდოდა. ყველაფერში გამოეტყდომოდო?

— ეს რა მოიგონა! — შეჰყვირა მისის ბელჩერმა. — მირჩევნია, შიშვლით დავიხსოვოთ...

— აბა, შენ იცი, ამ ახალმოსულ ბიჭთან რაც შეიძლება მეტი ილაპარაკე! — დაცნვით უთხრა მისტერ ბელჩერმა. მერე მე მომიბრუნდა: — ჰამე, ჯამ, ქალბატონი დღეს გუნებაზე ვერ არის, დადლილია და იძინება.

მივუხვედი გადაკრულ სიტყვას და ჰამას მოვუჩქარე, რომ ვახშმად მოცემული პურიან ნატეხი მალე გამეთავებინა.

— აბა, ახლა წადი და დაიძინე, — მითხრა მისტერ ბელჩერმა, როცა განვუტხადე, ჰამა დავამთაურე-მეთქი. — ისევე სამზარეულოში დაბრუნდი. ჩემი ბიჭები იქ იძინებენ. სამზარეულოში თბილა და კარგიც არის. შენთვის საწოლი მოიწყვე, ტომრები საკმარისადაა. დამე მშვიდობისა, დილით, ვიდრე არ დაგიძახებენ, ნუ ადგები!

— სამუშაო ტანსაცმელი მიეცი? — მძინარე ხმით ჰკითხა მისის ბელჩერმა.

— ოჰ, სულ მთლად დამავიწყდა! აგერ, აქ არის, — მითხრა პატრონმა და კუთხიდან შავი ფუთა გამომიწოდა. — პერანგი და ფეხსაცმელი გეცვას, დანარჩენი გაიხადე, კოხტად დაკეცე და ხვალ დილით აქ მოიტანე.

ფუთა ავიღე, უფროსებს დამე მშვიდობისა ვუსურვე და სამზარეულოსაკენ გავწიე.

ობობა და მისი ძალღი.
საიდუმლოებით მოცული ჰვარტლი

სამზარეულოში ცეცხლი ისევ ენთო, ჰერის კადონზე ჩარკობილ ლურსმანზე ფარანი ეკიდა. ობობა თავისი პატარა ლეკვის გვერდით მოკუნტულყო, სემი კი არსად ჩანდა. უიმისოდ არ ვიცოდი, სად ან როგორ დამეძინა. ამიტომ იქაურობა ყურადღებით მოვათვალიერე. უცებ ჩემს ახლოს ვიდაცამ ნამძინარევი ხმით დაიხურჩულა:

— იცოდე, ვინც ბოლოს წვება, სანთელსაც ის აქრობს.

დაბლა დავიხედე და სემი დავინახე. იგი ჰუჰყიანი ტომრების გროვაზე იწვა. ბალიშის მაგივრად თავქვეშ ორადმოკეცილი ტომარა ედო. გაჰვარტლული ქუდი ყურებზე ისე ჩამოეფხატა, რომ თეთრი კბილებისა და თვალის გარსის მეტი არაფერი უჩანდა.

საოცარია, რა ადვილად ეჩვევა ადამიანი ფუფუნებას!

გუშინწინ ღამით ფურგონზე სიცივისაგან აკანკალებულს ჩემთვის აცეთი თბილი სამზარეულო და ტომრები რომ შემოეთავაზებინათ, თუნდაც შვიდი ან რვა მილი მქონოდა გასაველედი, სიხარულით დავთანამდებოდი. მაგრამ ახლა, მისის უინკშიპთან რბილ დივანზე წოლის შემდეგ, სემის ჰუჰყიან ლოგინს ზიზლით ვუცქეროდი.

— აქ სად უნდა დავწვე? — ვკითხე დანაღვლიანებულმა.

— თუ გინდა, ჩემთან დაწექი, ახალი ლოგინის დაგება აღარ დაგვირდება. — დიდსულოვნად შემომთავაზა სემმა. — აგერ, იმ გროვიდან ორი ტომარა აიღე, ერთი თავქვეშ დაიდე. მეორეში კი ჩაძვერი. ოღონდ იცოდე, ნუ იხმაურებ, ობობა არ გააღვიძო, თორემ მთელი ღამე იმისი კვნესა აღარ დაგვაძინებს.

ვიფიქრე, რაკი მე და სემი სხვადასხვა ტომრებში დავიძინებთ, შემძლია მის გვერდით დავწვე, ამით ჩემი პატრონის ბრძანებას დიდად არ დავარღვევ-მეთქი. ამიტომ სასწრაფოდ გავიხადე, მისტერ ბელჩერის ფუთიდან ჰუჰყიანი შარვალი ამოვიღე და ჩავიცვი, „ბალიში“ მოვიწყვე, ფარანი ჩავაქრე, და ტომრების გროვაზე დავწექი. მართალია, ჰვარტლი მძაფრ სუნს აყენებდა. მაგრამ ამ სუნს ხელი არ შეუშლია, სწრაფად და მშვიდად დამეძინა.

ჯერ თითქმის ისევ ბნელოდა, რომ ობობას ლეკვის ყეფამ გააღვიძა. სემი სამუშაოზე წასასვლელად ემზადებოდა, ნედ პერკსს

კი, მიუხედავად საბრალო ობობას კენესა-მუდარისა, კარები გაეღო და სემს რაღაც ბრძანებებს აძლევდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ნელი და სემი წავიდნენ, მე კი პატრონის ნათქვამი მახსოვდა, ვიღ-რე არ დაგიძაბებენ, ნუ ადგებიო, და მშვიდად განვაგრძე ძილი.

— ვითომ შენ სხვებზე უკეთესი რით ხარ! ისე გორაობ, თიო-ქოს დილის ექვსი საათი კი არა, შუალამე იყო. შენ, თუ არ ვცდებ-ბი, ჭანმრთელი ხარ და ავადმყოფებთან არაფერი გესაქმება. ნეტავ რას მლოკავ? ის გირჩევნია, დროზე ადგე და შენი საქმე გააკეთო! აბა, ზარმაცო, ადექი! დამაცადე, გაჩვენებ, როგორ უნდა წოლა და უცბად ჩარტყმის ხმა მომესმა, მას წავეწყავი მოჰყვა, ძალ-ღმა კარებთან მიიკრბინა და ფხოჰნა დაუწყო.

— რას ნიშნავს, ფეხი რომ არ სტკივა, როგორ გაიქცა! — ჩაი-ბუზღუნა ობობამ.

იგი ტომრებიდან გამოძვრა და ოხვრით ძაღლისკენ წაჩანჩალდა.

— რას გარბიხარ, შე პირუტყვო, შენა? გინდა თავი გამოიღო? გახსოვს, გუშინ რა მიყავი? ცხრა საათამდე უცეცხლოდ მაყურ-ყუბტე! იცოდე, დღეს ჭკვიანად მოიქეცი! რა საჭიროა ლოკვა! თუ გინდა ჩემი მეგობარი იყო, როგორც წესი და რაღა, ისე მემსა-ხურე. აჰა, აი, ამას უსუნე და იცოდე, მალე დაბრუნდი. დღესაც თუ ისეთი ოინი მიყავი, როგორც გუშინ, იცოდე, მოგკლავ, ნამ-დვილად მოგკლავ.

ვერ დაეინახე, ობობამ რა მისცა ძაღლს დასაყნოსად, ის კი შე-ვამჩნიე, რომ კარი გაუღო, თვითონ კი ოხვრა-კენესით ისევ ტომ-რებზე მიწვა.

თხუთმეტი წუთი ასე ვიწექით. როგორც ჩანს, ობობას მოს-წყინდა ოთხფეხა მეგობრის ლოდინი და ლანძღვას მოჰყვა. რამო-ნიმეჯერ კარიც შეაღო, მოდის თუ არაო. ბოლოს კარებზე ძაღლის თათების მსუბუქი ფხაჰუნნი გაისმა. ობობამ კარი გაუღო და ძაღ-ლი ოთახში შემოიჭრა, პირით რაღაცა მოჰქონდა. ნაწინე მივხვდი, ცხვრის გამობრული ძვალი იყო. ობობამ კი, ეტყობა, თავისი და-სუსტებული თვალებით ვერ გააჩნია.

— აქ მოდი, შე უხეირო, ამდენი ხანი მაგ ერთ ჯოხს დასდევ-დი? — გაუჯავრდა ძაღლს. — მაგრამ, რაც არის, არის. არა უშავს, კარგა მომსხო ჯოხია, აქეთ მოიტა! პინჩ, ჩემო კარგო პინჩ, მოდი ჩემთან!

ძაღლს პატრონის სიტყვები აინუნშიაც არ ჩაუგდია. ისარივით ჩაუჭროლა, ოთახის შორეულ კუთხეში მიიკუნჭა და თავის ნა-დავლს ზედ დააწვა. საწყალი ობობა ბრაზით აენტო, ჯიუტ ძაღლთან მისვლა სცადა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, ავად-

მყოფმა ფეხებმა უმტყუნეს და იატაკზე დაეცა. ახლა მუხლებზე წამოჩოქილი მისდგა ძაღლს და რა სიტყვებით აღარ თათხავდა. პატრონის მრისხანება პინჩს უფრო მეტად უკარგავდა გამბედაობას. იგი თავისი კუთხიდან ფეხს არ იცვლიდა. ბოლოს, როგორც იქნა, ობობამ მუხლებზე ხოხვით ძაღლთან მოსვლა მოახერხა და ხელი მოუქნია, რომ რაც შეიძლება მაგრად ჩაეყხო. მაგრამ პინჩი განზე გახტა, ძვალი კი იქვე დატოვა.

— უჰ, შე შეჩვენებულო! — დაუყვარა ობობამ. როცა გამობრული ძვალი დაინახა. — ეს რა მოვითრევია? გითხრეს, შეშა მოიტანეო, შენ კი ძვლები მოგაქვს? დამაცადე, გაგისწორდები, ერთი დაგიპირო!

ილანძლებოდა და ხოხვით ისევ ძაღლს დასდევდა.

თავის მომძინარება მეტხანს აღარ შემეძლო, წამოვიწიე და ობობას ვკითხე, რა გაბრაზებს-მეთქი.

— ერთი დავიპირო და ვუწვენებ სეირს! — მიპასუხა და ისევ ძაღლს დაუწყო დევნა. — გეუბნები, მოკლავ, უეჭველად მოვკლავ! ერთი როგორმე დამაპქერინე!

— ასეთი მაინც რა დააშავა? — ვკითხე და ძაღლს დასაპქრად წავეტანე, სწორედ ის იყო გვერდით შურდულევით რომ ჩამიპქროლა.

— რა დააშავა და, ეს ძაღლი მე დამცინის, — მეუბნებოდა ობობა და თან დაღლილობისაგან სულს ძლივს ითქვამდა. — ამან კარგად იცის, რომ ვიდრე შეშას არ მოიტანს, ცეცხლს ვერ დავანთებ. დილაობით ეს არის მაგისი საქმე. მაგრამ, რა გინდა? გუშინ სამიოდე სველი, ტალახში მოსვრილი ნაფოტი მომიტანა, ისეთი, რომ არაფრად ვარგოდა. მაშინ ვაპატიე. დღეს განგებ კარგი, მშრალი ხის ნაფოტი ვაყნოსინე, იქნებ ასე უფრო კარგად გაიგოს, რაც მინდა-მეთქი, ეს კი სასაიერნოდ წაბრძანებულა, თავისთვის ძვლები შეუგროვებია და თანაც იმდენი გაბედა, რომ აქ შემომიტანა! ახლა დაჭდება და ხერას დაუწყებს, მე კი ძვლები მტეხს და ძალიან ცუდადა ვარ, ჰოდა, ვიდრე სემი არ დაბრუნდება, ესე იგი, ათ-თერთმეტ საათამდე უცეცხლოდ უნდა ვიყო.

საბრალო ხეიბარს მრისხანება მწუხარებით შეეცვალა, ტირილი მოერია და ცრემლიან თვალებს მოთხუპნული ხელებით იწმენდდა.

— ნუ ტირი, მეგობარო, — ვუთხარი მისი უმწეო მდგომარეობით შეწუხებულმა. — ჩვენ ცეცხლს დავანთებთ. ახლავე წავალ და მისტერ ბელჩერს ნახშირს ვთხოვ. ხომ მომცემს, არა?

— ის კი მოგვცემს, მაგრამ ქალბატონი დაუშლის, — მიჩურჩულა ობობამ. — რომ გაიგოს, ცეცხლს ბიჭების სამუშაოდან დაბრუ-

ნებადღე ვანთებ, მომკლავს. ამიტომაც სხვა გამოსავალი არა მაქვს, ამგვარი ეშმაკობით ვმოულობ შენას.

— ერთი ეს ნითხარი, აქ სადმე ახლოს დუქანი ხომ არ არის? — ვკითხე მე. — ამ საქმეს მოვაგვარებდი. მე ნახევარი პენი მაქვს.

წინა ღამეს, როცა მისი უინკშიას სახლიდან მოვდიოდი, მან ზღაში ექვსპენიანი ჩამოღო.

— როგორ, ნახევარი პენი, ქენასშირს იყიდი? — შეჰყვირა ობობამ და ნაღვლიანი თვალები სიხარულით გაუნათდა. — დუქანი ახლოსაა, აქვე კუთხეშია. მაგრამ, იცი, რა? იქნებ კიდევ გაქვს ნახევარი პენი?

— მაქვს, რა იყო მერე?

— რა და, კარგი იქნება ცხელ ყავას თუ მოვადულებთ! როცა ძვლები გტკივა, საუცხოო რამ არის! ერთი პატარა ქვაბიცა მაქვს. პოდა, იმაში მოვადულოთ.

ყავას მთელი ხუთ-ნახევარი პენი რომ და ჰირცობდა, რომელიც ნახშირის ყიდვის შემდეგ მრჩებოდა, ობობას მუდარით სავსე გამოხედვას მაინც ვერ გავუძლებდი.

არ გასულა ათი წუთი, რომ ნაღვრით დატვირთული დაებრუნდი. ერთი საათის შემდეგ კი ორთქლიან ქვაბს ვუსხედით გარშემო. ეს ქვაბი ყავადანის მაგივრობას გვიწვედა. მე დოქის ნატეხით ვსვამდი ყავას, ობობა კი რკინის კოვზით პირდაპირ ქვაბიდან ხვრებდა. ცხელმა სასმელმა საბრალო ობობას ტკივილები დაუამა, იგი გამხიარულდა, ლაპარაკის გუნებაზე მოვიდა და თავის ამბავს მომიყვა.

იგი ობოლი იყო და პატარაობიდანვე მუშათა სახლში იზრდებოდა. ამ ოთხი წლის წინ ხელობის შესასწავლად მისტერ ბელჩერისთვის მიუბარებიათ. მთელი წელიწადი საქმე კარგად მიდიოდა. ტობიასი (მისი ნამდვილი სახელი ვს იყო) ძალიან მოქნილი და მარჯვე ბიჭი ყოფილა, ამიტომაც მეტსახელად „ობობა“ შეუტყმევიათ. მისტერ ბელჩერი საჭმელ-სახმელსაც აძლევდა, აცმევდა კიდევ და ხელობასაც ასწავლიდა, მაგრამ ზამთრის ერთ საბედისწერო დილას მისტერ ბელჩერი ორთქლის მანქანის ქვაბის გასაწმენდად გამოუძახებიათ. ეს ქვაბი დიდი ხნის უხმარი ყოფილა. ობობა იძულებული გამხდარა ქვაბში ჩამძვრალიყო და თითქმის მთელი დღე ცოვ რკინაზე გაწოლილს ჩაუანგებულ ადგილები ეფხიკა. ბიჭი გაცივებულა და რევმატიზმში გასჩენია. ამის შემდეგ საკვამურების წმენდა კი არა, ფეხზე დგომა და სიარულიც აღარ შეეძლო. მისტერ ბელჩერმა მას სამზარეულოში მიჰჩინა ბინა. შეგირდებს უნდა მომსახურებოდა: ხაუზობობისას მათთვის ყავა მოედულებინა.

ვახშმად კი ფაფა დაეხვედრებინა. როცა პატრონს საქმე ცუდად წასვლია, იგი იძულებული გამხდარა შევირდები დაეთხოვა. ტობიასი უსაქმოდ დარჩენილა, მაგრამ მისტერ ბელჩერი კონტრაქტის თანახმად, მოვალე იყო შეიდი წლის ვადით შეენახა იგი.

— ბევრ საქმელს გაძლევენ? — ეკითხე მე.

— რა თქმა უნდა, იპდენს არა, რამდენიც მე მინდა, მაგრამ, რა პეტქმის, ან იმას რისთვის მაძლევენ, როცა არაფერს ვაკეთებ? თუ სემის ნათქვამს დაეჯერება, ჯანმრთელიც რომ ვყოფილიყავი, ალბათ მაინც უსაქმოდ მომიწევდა ყოფნა. ზოგჯერ, მეუბნება, მთელი კვირა ისე გავა, ყველანი ერთად ფუნტსაც ვერ ვშოულობთო.

— ისინი ღამლამობით სოფლებში მუშაობით ალბათ კარგა ფულს აკეთებენ. — ვთქვი მე.

— საკვირველი ამბაჟია! — ჩემი შენიშვნა არც გაუგონია, ისე განაგრძო ობობამ: — მთელ კვირაში მხოლოდ ერთ ფუნტს შოულობენ და მუდამ ახლებში კი არიან გამოწყობილები. ერთი ცხენი აღარ ჰყოფნიდათ, მეორეც იყიდეს. მერედა, რა კარგი! სემი ამბობს, ორთქლმავალივით მიქრისო. — ჰოდა, საქმეც ისაა, რომ... — ხმას დაუწია ობობამ, — ის ცხენი მთელი დღე თავლაში უბიათ და გარედან კლიტე ადევს.

— როგორ, განა მოპარულები ჰყავთ?

— რას ამბობ, მოიპარეს კი არა, სემმა თავის თვალთ ნახა, ოცდაათი ფუნტი ნაღდი ფული რომ გადაუხადეს.

— იმ ცხენით არასოდეს არ დადიან?

— დღისით არასოდეს. ამ ახალ წაბლას მხოლოდ ღამლამობით შეაბამს ხოლმე. ოღონდ ჩუმად, რაც ახლა გითხარი, არავისთან წამოგცდეს!

— რატომ? ჩვენს პატრონს რომ წაბლა ცხენი ჰყავს, განა ეს საიდუმლოა?

— არა, საიდუმლო ეგ კი არ არის, არამედ ის, რომ ღამლამობით ამ ცხენით სადღაც მიდიან ხოლმე.

— როგორ თუ სადღაც? განა ღამის სამუშაოზე არ მიდიან? შენ თვითონ არ მითხარი, სარფიანი საქმეაო?

— ჰო, სარფიანი საქმეა! სოფლის საკვამურებს ხშირად წმენდენ და ჰვარტილიც შიგ ცოტა არის. ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივი ჰვარტილი მაინც, — ჩაილაპარაკა ობობამ და საგონებელში ჩავარდნილმა თავი გააქნია.

ამ დროს სამზარეულოში სემი შემოვიდა და ჩვენი საიდუმლო ლაპარაკიც შეწყდა.

მალე თვითონვე დაერწმუნდი, რომ სემი და ობობა მართლაც მეუბნებოდნენ. მისტერ ბელჩერთან საკვამურების წმენდის შესწავლა მართლაც შეუძლებელი იყო. თითქმის სულ უსაქმოდ ვიყავი. ზოგჯერ მისტერ ბელჩერს და ნედ პერკის სამუშაო გამოუჩნდებოდა. მაშინ ერთ-ერთ იმათგანს სემი მიპყებოდა, მე — მეორეს. შინ დილის ათ ან თერთმეტ საათზე ებრუნდებოდით და ის მკვირიადენი სამუშაო, რის გაკეთებაც მევალეობდა, სრულებით არ იყო დამლული. როცა მისტერ ბელჩერი სამუშაოდ ერთი სახლიდან წვარზე გადავიდოდა, მანქანის ნაწილები გადაქონდა და რკინის ჯოხებს ვაწვდიდი, რომ ერთმანეთში ჩაესრახნა. თუ დაშლილი იყო, ჯოხებს ერთად ვკრავდი და სულ ბოლოს, როცა სამუშაო დამთავრდებოდა, ლუმელს ვარშემო შემოვუვავდი. და რადგანაც კამითაც კარგად მაკმევედნენ, უსაქმოდ ყოფნა სრულებით არ მაწუხებდა.

ეტყობოდა, ბევრი სამუშაოს შოვნისთვის დიდად არც მისტერ ბელჩერი იწუხებდა თავს.

— ბატონო, — ვუთხარი ერთხელ, როცა სამუშაოზე წავედი. — ხომ ხედავთ, ყველა ფანჯარა დაკეტილია და არავინ იცის, რომ საკვამურების მწმენდელი მოდის. გნებავთ, ვიყვირებ: „საკვამურების მწმენდელი, აბა, აქეთ, საკვამურების მწმენდელი!“ მე დიდი ხმა მაქვს, შემიძლია ბევრს გავაგონო და ათჯერ მეტი სამუშაო გვექნება.

— არა, ჯიმ, საჭირო არ არის, — თავმომწონედ მიპასუხა მისტერ ბელჩერმა. — კარებზე წარწერა მაქვს და ვისაც ჩემი სამსახური სჭირდება, შეუძლია თვითონვე მომაკითხოს.

მისტერ ბელჩერს ჯიბეში ფული მუდამ გამოუღლედალად ედო. დილდობით მისტერ პერკსთან ერთად რომს სვამდა, სადამოობით კი ტრაქტორში დაიარებოდა, ჩიბუხს აბოლებდა და ლოთობდა.

ისინი დამლამობით კვირაში ორჯერ მიდიოდნენ სამუშაოდ და თან მუდამ სემი მიპყავდათ. მათთან ერთად წასვლა სემს ძლიერ მოსწონდა. გამგზავრების წინ გემრიელად ავახშმებდნენ და ერთ ჰიქა რომსაც ალევინებდნენ. ორივენი, მისტერ ბელჩერიცა და პერკიც, სამუშაო ტანსაცმელს იცვამდნენ, თან საკვამურების საწმენდი მანქანა, ხელსაწყო-იარაღებიანი გრძელი ტომარა, ერთიც ცარიელი ტომარა, ფარანი და ერთი ბოთლი არაყი მიჰქონდათ. შინ ხან ორ საათზე ბრუნდებოდნენ, ხან — ოთხზედაც. სემი გვიყვებოდა, რომ ზოგჯერ მათი სამუშაო უკვე გაკეთებული ხვდებოდათ, ან რაღაც მიზეზის გამო იმ საქმის გაკეთება არ ხერხდებოდა. მაშინ ისინი შინ ხელცარიელნი ბრუნდებოდნენ. როცა სამუშაო ჰქონდათ,

ტომარა ჰვარტლით გატენილი მოჰქონდათ. მოვიდოდნენ თუ არა, სემს მაშინვე დასაძინებლად ისტუმრებდნენ, თვითონ კი საჯინი-ბოში კიდეც დიდხანს ფუსფუსებდნენ, ალბათ მისტერ ბელჩერის ძვირფას წაბლას თუ დასტრიალებდნენ თავს.

ჩვენ, ბიჭებს, განსაკუთრებით ერთი რამ გვაინტერესებდა: სოფლის საკვამურებიდან მოტანილი ჰვარტლი სად ქრებოდა?

— როგორ გგონია, სემ, ჰვარტლს სად მალავენ? — ვეკითხებოდი მე.

— არ ვიცი, — მიპასუხებდა სემი. — ნედ პერკსს ჰვარტლით გატენილი ტომარა საჯინიბოში შეაქვს, მერე კი სადღაც ქრება.

— ნუთუ ნედს ჰვარტლი შინ მიაქვს? მას ხომ საკვამური მილების საწმენდი დაწესებულება არა აქვს? — თავს ვიმტვრევდით ბიჭები.

ნედ პერკსი ბელჩერთან არ ცხოვრობდა. მას ნიუგეიტის გზაზე საკუთარი სახლი ჰქონდა და სამუშაოს დამთავრების მერე შინ უმეტესად პატარა ფორნით მიდიოდა ხოლმე.

— ნეტავ ჩვენი ობობას ლეკვი ასე ძალიან რატომ ცხარობს, როცა პერკსი ღამის გასათევად ბელჩერთან რჩება ხოლმე? — მიკვირდა მე.

— ეტყობა, მას პერკსი არ უყვარს, — თქვა სემმა, — ან იქნებ სოფლური ჰვარტლის სუნის არ მოსწონს? ნედს ალბათ მთელი ჰვარტლი თან მიაქვს ხოლმე. როცა პერკსი დასაძინებლად აქ რჩება, პინჩი ისე ყმუის და წკავწკავებს, რომ დაძინება შეუძლებელია.

— იქნებ ვირთაგვას სუნის სცემს, — თქვა სემმა, როცა პინჩმა მომეტებული ყეფა ატეხა და საჯინიბოსა და სამზარეულოს გამყოფი კედლის ძირში მიწას თხრა დაუწყო. — საჯინიბოში ვირთაგვები არიან.

— არა, ვირთაგვების გულისთვის არ ყეფს, — ჩურჩულით მიპასუხა ობობამ და მოფერებითა და ხან გაჯავრებით აიძულა ძალღი, ადგილიდან არ დაძრულიყო. — საქმე იმაშია, რომ პერკსი დღეს არ წასულა და არც აპირებს წასვლას, რა საშინელებაა! ხომ მართალია, ჯიმ?

— საშინელება ის არის, რომ შენი პინჩი ასე იტანჯება, — მივეუბე მე.

— ჯიმ, — დაილაპარაკა ობობამ რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ. — ძაღლებისა რაიმე გაგეგება? მაინც როგორი ჰქვიანები და გონიერები არიან, არა?

ძალიან მეძინებოდა, მაგრამ ობობა შემებრალა. მას, ეტყობა, ძილი გაუქრთა და ლაპარაკი ეწადა. ჰოდა, ჰქვიან ძაღლებზე რარი თუ სამი ამბავი მეც მოეუყუევი.

— ჰო, ასეა და ზოგჯერ უფრო ჰქვიანებიც არიან, — მომიგო მან, როცა ლაპარაკი დავასრულე. — ჯიმ, ზვიგენებზე თუ გაგიგონია რამე?

— არა, არათფერი ვიცი.

— ზვიგენი ძაღზე სასაცილო ცხოველია: თუ გემზე ვინმე მეზღვაური მოკვდა, ისინი ხომალდს უკან მოსდევენ და ელოდებიან, ზღვაში როდის გადაადგდებიან გვამს, რომ შექამონ.

— ობობა, გაჩუმდი, ასეთი ამბების მოსმენა არ მინდა! რატომ მაშინებ? თუ მაინცაღამაინც ლაპარაკის გუნებაზე ხარ, ძაღლებზე ელაპარაკე, მიცვალებულებს თავი დაანებე.

— არა, ჯიმ, მე მხოლოდ იმისი თქმა მინდოდა, რომ ძაღლებსაც ძეთივე გონება აქვთ, როგორიც ზვიგენებს, ოღონდ ძაღლებს კი არ უხარიათ, პირიქით, როგორც კი რამეს იგრძნობენ, მაშინვე ყმუ-ფან.

— რა უნდა იგრძნონ?

— შენ ხომ ასეთ რამეებზე ლაპარაკი არ გინდა, აი, ზვიგენებზე რომ გეუბნებოდი...

— ჰო, კარგი, გეყოფა, შენთან ლაპარაკი არ მინდა. მეძინება, ღამე ნებისა.

მეორე დღეს, როცა მისტერ ბელჩერს სამუშაოდ მივყვებოდი, როგორღაც ობობას მონაყოლი მომაგონდა, ზვიგენებზე რომ მიმამბო, და უნებურად ვუთხარი. მას გაეცინა, მერე კი მკითხა:

— რატომ მოგიყვა, ეს ამბავი რამ მოაგონა? მანამდე რაზე ლაპარაკობდით?

მეც ვუამბე, რა უცნაურად იქცეოდა პინჩი და ჩემი და ობობას ნალაპარაკევი მთლიანად გადავეცი. ეს მისტერ პერკსაც ესმოდა. მათ ერთმანეთს როგორღაც უცნაურად გადახედეს და გამშორდნენ. იმ ღამით ობობას ძაღლი სადღაც გაქრა და მას მერე შინ აღარ დაბრუნებულა.

ჩემი ოცნება სრულდება

ექვსი კვირა გავიდა, რაც მისტერ ბელჩერთან ვცხოვრობდი. უცებ ერთ შაბათ საღამოს სამზარეულოში სემი შემოვიდა და გვითხრა, რომ მისტერ ბელჩერმა დორეტშირიდან დედამისი გამოიძახა, ისიც ჩამოვიდა, პატრონს რალაცაზე დიდხანს ელაპარაკა, ბოლოს შეთანხმდნენ, რომ დადებული კონტრაქტი გაეუქმებინათ და სემი შინ წაეყვანა. ორშაბათს დედასთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო.

— ახლა შენი საქმე კარგად იქნება, ჯიმ, — თქვა სემმა. — ღამით პატრონს სამუშაოდ შენ გაყვები, ის კი საიდუმლოს შენახვისათვის თითო წასვლაზე ექვს პენსს მოგცემს.

— თუ ასეა, ძალიან გამახარე, — მივუგე მე. — საიდუმლო ამბების შენახვას შეჩვეული ვარ. როგორ გგონია, ჩვენი პატრონის საიდუმლოს შენახვა გამიჭირდება?

— არა, სულ ადვილია, პატრონი ამას თვითონვე გეტყვის.

— მოდი რა, გამიწიე სამსახური და შენვე მითხარი.

— კარგი, ოღონდ არც ობობასთან და არც სხვა ბიჭებთან არაფერი წამოგცდეს.

— არა, რას ამბობი

— მაშ, წამომყევი, ეზოში გავიღეთ, რომ ობობამ არ გაიგოს. და ეზოში გავედით.

— შენ რა გგონია, ჯიმ, ღამღამობით იმოდენა ფურგონით რა ქვარტლს ეზიდებიან?

— როგორ თუ რა ქვარტლს? მე მგონი, საკვამურიდან ჩამობერტყილს, კიდევ როგორი შეიძლება იყოს?

— ჰო, რა თქმა უნდა, საკვამურებიდანაა, მაგრამ რომელი საკვამურებიდან? მისმინე, ჯიმ, ჩვენ ქვარტლს ეკლესიებიდან ვეზიდებით!

— მერე რა მოხდა? ვითომ ეკლესიისა რაღაა?

— ჩუმად! ჩუუ! არ იცი? ეკლესიების საკვამურების გაწმენდას კანონი სასტიკად კრძალავს და თუ არ დაიშლიან, ჩუმად უნდა გაიწმინდოს. ვისაც ამ საქმეზე წაასწრებენ, სასტიკად დასჯიან, მუცელში წვეტიან რკინებს გაუყრიან და გზა-გზა ათრევენ. აი, ღამით ჩუმად ამიტომ მუშაობენ.

— თუ ის ბიჭი დაიპირეს, ვინც ცხენებს დარაჯობს? იმასაც დასჯიან? — ვკითხე მე.

— არა, როგორ შეიძლება ის არაფერში არ არის დამნაშავე. მხოლოდ იმათ სჯიან, ვისაც ამ საქმეზე წაასწრებენ. მე კი მგონია, აი, რატომ ხდება ასე: კანონით, ეკლესიის საკვამურები მღვდელმა უნდა გაწმინდოს, მღვდელი კი ამ საქმეს დიაკვანს ავალებს, დიაკვანი — დარაჯს, დარაჯი, თავის მხრივ, საკვამურების მწმენდელს ქირაობს. ისიც, რა თქმა უნდა, ჩვენს პატრონს გასამრჯელოს კარგად უხდის, რადგანაც საფრთხილო საქმეა და ქვარტლშიც ფულს ვერ იღებს.

— რატომ ვერ აიღებს, განა იქაც ისეთივე ქვარტლი არ არის, როგორიც ყველგან?

— სწორედ რომ ისეთივეა, ოღონდ მისი გაყიდვა არ შეიძლება, კანონი ამას სასტიკად კრძალავს. ჩვენს პატრონს ფიცს ადებინებენ, რომ ქვარტლით ვაჭრობას არ დაიწყებს. ნედ პერკსაც მიიქვს და თავის ბოსტანში მარხავს. აი, ეს არის მთელი საიდუმლო. პატრონმა თვითონ გამანდო, ალბათ შენც გეტყვის და, სხვებთან რომ არ იყბედო, ამიტომ ყოველ წასვლაზე ექვს პენსს მოგცემს.

ყველაფერი ეს სემმა ძალიან სერიოზულად მიაბზო და მეც დაგუჯერე. ბოლოს კი გავიგე ნამდვილი საიდუმლო, და მერე როგორი საიდუმლო სრულიად უჩვეულო, სწორედ ისეთი, შორდინის თეატრში წარმოდგენებს რომ უჩვენებენ. ის სასტიკი სასჯელი, სემის თქმით, ეკლესიის საკვამურების მწმენდელებს რომ ელოდათ, ოდნავადაც არ მაშინებდა. პირიქტ, მოსალოდნელი საშიშროება უფრო მიმზიდველობას მატებდა ჩემს თვალში ამ საქმეს. მე მხოლოდ ერთი რამისა მეშინოდა: მისტერ ბელჩერს ჩემს ნაცვლად ვინმე სხვა ბიჭი არ აეყვანა. ობობასთან მივიდი და ვკითხე: როგორ გგონია, ღამის სამუშაოებზე წასაყვანად პატრონი ვის აირჩევს-მეთქი.

— როგორ თუ ვის? რა თქმა უნდა, შენ! აბა, მე ხომ არ წამიყვანენ. სახლამდე სულიც არ მომყვება! — დამარწმუნა ობობამ.

მისმა პასუხმა მაინც ვერ დამამშვიდა: მისტერ ბელჩერი ობობას უფრო წაიყვანდა, რადგანაც იგი ზედმეტ ტვირთად აწვა და ეცდებოდა, რაც შეიძლება მალე მოეშორებინა თავიდან. მართალია. ობობას სიარული არ შეეძლო, მაგრამ სამაგიეროდ კოფოზე დაჭდომას და ცხენის სადავის დაქერას მაინც მოახერხებდა. ეს კი სრულიად საკმარისი იყო. მაგრამ ჩემი ეჭვი მალე გაიფანტა. კვირა საღამოს მისტერ ბელჩერმა სასტუმრო ოთახში მიხმო, ერთხანს მელაპარაკა და მერე გამომიცხადა: ღამის სამუშაოებზე სემის ნაც-

ვლად შენ წაგიყვანო. მას საიღუმლო არ უხსენებია, ოღონდ ის კი თქვა, სოფლებში გვექნება სამუშაო და ამაზე არავისთან სიტყვა არ დაგცდესო.

— ყველა მეპატრონეს, ვისაც კი მოწაფე ჰყოლია, თავისი საიღუმლო აქვს, — მითხრა მან. — ჩემი საიღუმლო მეცა მაქვს. ამას მერე გაგანდობ და, თუ კარგად შეინახავ, შენთვისვე იქნება უკეთესი. სემს ჯიბეში ფული მუდამ ჰქონდა. მან ისეთი გემრიელი საჭმელების გემო იცოდა, რომლის მსგავსი სხვა ბიჭებს არც დასინჯრებათ, მიმიხვდი, ჯიმ?

— რა თქმა უნდა, მივხვდი — სიხარულით შევძახე მე.

— აბა, ახლა ისიც იფიქრე, — განაგრძო პატრონმა, — რა დღეს დაეყრიდი სემს, ჩემი საიღუმლო ვინმესთვის რომ გაემხილა?

— მგონი, კარგი დღე არ დაადგებოდა, სერ, — მიუუგე მისი მრისხანე სახით შეშინებულმა.

— დიახ, ცუდი დღე დაადგებოდა, ისეთი ცუდი, რომლის მსგავსი ალბათ არც ერთ სხვა ბიჭს არ დასდგომია. ყელში ვწვდებოდი, აი, ასე, და იქვე დავახრჩობდი.

ესა თქვა და მისტერ ბელჩერმა თავისი გრძელი თითები ყელზე ღონივრად შემომაქდო, თან ისე მკაცრად შემომხედა, რომ შიშისაგან ლამის სული გამეპარა. ოღონდ მალევე დამშვიდდა.

— სემს ასეთი არაფერი ჩაუდენია, — განაგრძო ისევ მეგობრული ტონით. — გულკეთილი, მიხვედრილი ბიჭი იყო, ამიტომაც ცუდის ნაცვლად ჩემგან მხოლოდ პენსებსღებულობდა. ახლა კი კმარა, დღეს ამის მეტს აღარაფერს გეტყვი. ხვალ ღამით, თუ მთვარე არ ამოვიდა, ჩემს საიღუმლოს თვითონვე მიხვდები.

ამით ჩვენი საუბარი დამთავრდა. იმ ღამეს პატრონებთან ერთად ვივახშმე, მერე კი სამზარეულოში გამიშვეს და თან გამაფრთხილეს, ობობასთან არაფერი წამოგცდესო.

მეორე დღეს ისე ვღელავდი, რომ საჭმლისთვის პირიც არ დამიკარებია. იქნებოდა თუ არა მთვარიანი ღამე? ამაზე ფიქრმა შოსვენება დამაქარგვინა. მთვარის მოქცევაზე წარმოდგენაც არ მქონდა, ასე მეგონა, ცაზე შემთხვევით ამოდიოდა. მოსალამოებულზე ობობამ დამაიმედა.

— ვაი, ძვლები, ჩემი საცოდავი ძვლები! — ჩიოდა იგი. — ისევ დამიწყო ტეხა! ალბათ ამ ღამით გაწვიმდება.

და, მართლაც, შებინდებისას წვიმა წამოვიდა. ღამით კი ამინდი უფრო გაუარესდა. მისის ბელჩერმა ვახშამზე დამიძახა, ისევე როგორც სემს ეძახოდა ხალმე ღამის ექსპედიციაში გამგზავრების

წინ. უხვი და მდიდრული ვასშამი დამხვდა. ჩემ გარდა სუფრას მისის და მისტერ ბელჩერები და ნედ პერკსიც უსხდნენ. ჰქონდა რომ დავამთავრეთ, მისის ბელჩერმა, ქმრის ბრძანებით, ნახევარი ჰქონდა ცხელი გროვი მომიშალა. მე ვაუკაცურად გამოვცალე, თუმცა მაგარმა სასმელმა თვალებიდან ცრემლები გადმომაყრევინა. მისტერ ბელჩერმა და ნედ პერკსმაც ბლომად მიირთვეს არაყი, შემდეგ ეზოში გამოვედით, სადაც უკვე გვიცილიდა წაბლა ცხენებშებმული ფორანი.

ჩემმა პატრონმა და ნედ პერკსმა წვიმისაგან თავის დასაცავად მხრებზე ტომრები მოიხურეს და ფურგონში ერთმანეთის გვერდით დასხდნენ. მე ჩულო ვადავიფარე და იმათ ფეხებთან მყუდროდ მოვეკალათდი. ფურგონში ჩვენ გარდა საკვამურის საწმენდი მანქანა და რალაც ხელსაწყოებიანი ტომარა იყო. სემისა არ იყოს, სხვა არაფრის თქმა არ შემეძლო, გარდა იმისა, რომ ეს ხელსაწყოები უღარუნობდნენ (თუმცა ვცდილობდი, ქურდულად ტომრის სქელ ნაჭერქვეშ ხელით მომესინჯა).

სად მივდიოდით, არაფერი გამეგებოდა. მიუხედავად ამისა, მგზავრობა ენით აუწერელ სიამოვნებას მგვირდა. საოცარი სისწრაფით მივქროდით წინ. ირგვლივ უკუნი სიბნელე იყო. კოკისპირულად ასხამდა წვიმა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს საშინელი საფრთხე გველოდა, მაგრამ მე არ მეშინოდა, პირიქით, ვესწრაფოდი კიდეც.

დაახლოებით ათი მილი გვექნებოდა გავლილი, რომ მისტერ ბელჩერმა ფურგონი გზის პირას მდგარ გეჯასთან შეაჩერა და ცხენი დასარწყულებად მიუშვა.

— შენი არ ვიცი, ნედ, და მე კი ერთიანად გავილუმპე. მოდი, გასათბობად ცოტა გადავკრათ, — თქვა მან.

— ასე აჯობებს, ეს დავლით და ბიქს დუქნიდან ერთი ბოთლი კიდეც მოვატანინოთ.

მათ ბოთლი ამოიღეს, ჭერ თავად დალიეს, ერთი კარგი ყლუპი მაგარი არყისა მეც მიწილაღეს და დუქანში გამგზავნეს.

არაყი რომ მოვიტანე, მისტერ ბელჩერმა ცხენი ისევ დასძრა და წინანდელზე მეტი სისწრაფით გაგვაქროლა.

— აფსუს, რომ ერთი ტომარა კიდეც არ წამოვიღეთ, წვიმამ ძალიან დამასველა. — თავისთვის ჩაილაპარაკა ნედ პერკსმა.

— ერთი გრძელი ტომარა ხომ კიდეც გვაქვს, აიღე და ის დაიფარე, — უპასუხა ჩემმა პატრონმა.

— კი დავიფარებდი, მაგრამ...

— მაგრამ რა, ვისთვისაც გაამზადე, გაცივდება? — სიცილით უთხრა მისტერ ბელჩერმა.

— დავუშვათ, რომ ამის საშიშროება არ არის, — სიცილითვე მიუგო ნედმა. — ჯიშ, მომეცი ეგ ტომარა.

მე ის გრძელი ტომარა მივაწოდე, ფურგონის ძარაზე ჩემს გვერდით რომ იდო, და პირველად მაშინ ვიგრძენი გამოუცნობი შიში. ვისზე ლაპარაკობდნენ? ეს ტომარა ხომ ქვარტლისთვის იყო განკუთვნილი? მაშ ვინ უნდა გაცივებულყო?

ჯერ ისევ კოკისპირულად წვიმდა, როცა მისტერ ბელჩერმა ცხენი დააყენა.

— აბა, — მომიბრუნდა მე, — ახლა ჩემი საიდუმლოებიდან ცოტას კიდევ გეტყვი. აი, იმ ეკლესიას ხედავ?

სიბნელეში იმ მიმართულებით გაეხედე, საითაც მან მიმანიშნა, და ეკლესიის სამრეკლოს ბუნდოვანი კონტურები ძლივს გავარჩიე. მის მაშლობლად კი დაბალი, რუხი ფერის საგნები დავლანდე, ალბათ საფლავის ქვები თუ იყო.

— ჩვენ იქ საკვამურების გასაწმენდად წავალთ, — წამჩურჩულა მან. — ახლა ყველაფრის დაწვრილებით მოყოლის დრო არ არის. მოკლედ, ეკლესიების საკვამურების წმენდა ყველას დასანახად არ შეიძლება, გაიგე?

— დიახ, სერ, გავიგე, — მივუგე მე არცთუ ისე ყოჩაღად.

— შენ ალბათ დასველდი და გეძინება კიდევ, — კეთილად მითხრა ჩემმა პატრონმა. — აილე, ერთი ყლუპი არაყი კიდევ გადაჭკარი, გამოვაფხიზლებს.

ამ სიტყვებით ბოთლი ტუჩებთან მომიტანა. ერთმა ყლუპმა არაყმა მართლაც გამომაცოცხლა და მე ისევ დავიჯერე, რომ მისტერ ბელჩერი ეკლესიაში საკვამურების საწმენდად მიდიოდა.

ჩემი თანამგზავრები ფურგონიდან გადმოვიდნენ, ცხენი პატარა ჰიშკრის პირდაპირ, მეორე მხარეზე ჯგუფად მდგარ ხეებთან მიიყვანეს და იქ დააყენეს.

— ჯიშ, გადმოდი, — ჩამჩურჩულა ჩემმა პატრონმა, — და ვიდრე სამუშაოს არ მოვრჩებით, ცხენს გვერდიდან არ მოშორდე. მალე დავამთავრებთ, ხომ გესმის, ეკლესიის ზარი თორმეტს რეკავს, პირველის ნახევარზე დაებრუნდებით და შრომის საფასურს გადაგიხდის. აბა, ახლა ყოჩაღად იყავი!

— დიახ, სერ, მადლობელი ვარ, — ვუპასუხე მხნედ.

— სასაფლაო რომ ასე ახლოს არის, ხომ არ გეშინია?

— სრულებითაც არ მეშინია! — და გავიციინე, რომ ჩემი გულალობა დამემტკიცებინა. მაშინ ნედმა ფურგონიდან ხელსაწყოები

ჩამოიღო, მისტერ ბელჩერმა ფარანი აანთო, ორივენი პატარა ჭიშკარში შევიდნენ, ეკლესიისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

მე კი ველოდებოდი და წაბლა ცხენი აღვირით მეკავა წვიმა კოკისპირულად ასხამდა. მთლად გავილუმპე, რადგან ჩულო ახლა ცხენს ეფარა. ვერაფერს ვარჩევდი, პატარა-პატარო მორუხო საგნების ბუნდოვანი მოხაზულობისა და დიდი ნაცრისფერი სამრეკლოს გარდა. არც არაფერი მესმოდა, მხოლოდ ის იყო, რომ წვიმას ხის ფოთლებზე, ფურგონის ფიცრებსა და ცხენის ზურგზე გადაფარებულ უხეშ ჩულოზე შხაპუნი გაჰქონდა. ასეთ ამინდში, შუალამისას, უკუნ სიბნელეში სასაფლაოს ჭიშკართან დგომა დიდად არ მსიამოვნებდა, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ ყველაფერი მალე დამთავრდებოდა: ქვარტლს მოიტანდნენ, მეც ჩემს ექვს პენსს მივიღებდი, ცხენიც შინისაკენ სულმოუთქმელად გაგვაქროლებდა, თბილ ლოგინში გავეხვეოდი და ყველაფერი მხიარულ მოგონებად დამრჩებოდა.

პირველის თხუთმეტ წუთზე ეკლესიის ზარმა ისევ დარეკა. ესე იგი მისტერ ბელჩერის მიერ დათქმული ღროის მხოლოდ ნახევარი გავიდა. მოუსვენრობა შემეპარა. მართალია, მოჩვენებები არ არსებობენ, ეს ყველაფერი ბებრების მონაჭორია, მაგრამ გულზე რაღაც უქმური შემომამწვა და ცხენს მალიმალ ზურგზე ხელს ვუსვაძლი, რომ მისი ჭიხვინი მაინც გამეგონა. აი, საათმა პირველის ნახევრისაც დარეკა.

„ალბათ ყველაფერს მორჩნენ, — გავიფიქრე მე, — წუთიც და გამოჩნდებიან“.

ერთი, ორი, სამი თუ ოთხი წუთის განმავლობაში ეკლესიისკენ მიმავალ ბილიკს თვალგაშტერებული მიეჩერებოდი, იქნებ ქვარტლისტომრიანი ნედ პერკსი დაეინახო-მეთქი. მაგრამ არა და არ მოდიოდა, არც სხვა ვინმე ჩანდა. შოშმა კბილების რაკუნნი დამაწყებინა. ისევ ადრინდელი სიმბდალე დამეუფლა. ცხენს ხელს ვუსვაძლი, ათასნაირ საალერსო სიტყვებს ვეუბნებოდი, მაგრამ იგი სასაფლაოს ქანდაკებასავით უძრავად იდგა.

ალბათ ჭოტის კივილი თუ იყო, მაგრამ მე ისე ძალიან შემეშინდა, რომ მეტის მოთმენა აღარ შემეძლო. გადავწყვიტე, ბილიკზე რამდენიმე ნაბიჯი გადამედგა და ყური მიმეგდო, ხომ არ მოდიოდა. ფურგონს ბორბლებქვეშ ქვები შემოვუწყვეე, რომ წაბლას ადგილიდან არ დაეძრა, და წავედი. ირგვლივ ისე ბნელოდა, სამიოდე ნაბიჯზეც ვერაფერს ვარჩევდი. ბილიკს რომ არ ავცდენოდი, იძულებული ვიყავი, მიწა ფეხით მომესინჯა. სულ უფრო

და უფრო სიღრმეში მივდიოდრი, უცებ ფეხით რაღაც დიდსა და მაგარს წამოვედღე. შევკრთი და უკანვე გადავხტი, მაგრამ მხნეობა მოვიკრიბე და ის საგანი, რამაც შემაშინა, ხელით მოვსინჯე, ჩემს გაცეხებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა იგი საკვამურის საწმენდი მანქანა აღმოჩნდა ჩერ ის ვიფიქრე, ჩემი პატრონი და ნედ პერკსი ოღბათ აქ სადმე ახლომახლო დგანან, მანქანა ძირს ჩამოუტანიათ და ისეგნებენ-მეთქი. მაგრამ ტყუილად ვაჟუტდი თვალებს და ტყუილად ვაყურადებდი: არც არაფერი ჩანდა, არც არაფერი ისმოდა. უცებ ეკლესიის ახლოს ფარნის შუქი გამოკრთა და თანდათან მომიახლოვდა. მე ფრთხილად, უხმაუროდ ისევ უკან ვაეუყევი ბილიტა, საზიდრის ბორბლებიდან ქვები გამოვიღე და, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ცხენთან გავჩერდი.

მოლოდინში კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა. ბოლოს ჩემგან რამდენიმე ნაბიჯზე ორი ფიგურა გამოიკვეთა. სიმძიმისაგან ორადმოხრილი ნედი დიდ ტომარას მოათრევდა, ჩემს პატრონს იარაღები და მათ შორის მანქანაც მოჰქონდა. ისინი კიშკართან შეჩერდნენ. მისტერ ბელჩერმა დაბალი ხმით იკითხა:

— ყველაფერი რიგზეა, ჯიმ? ხომ არავინ მოსულა? არც არავინ გამოგლაპარაკებია?

— არავინ, — მიუუგე მე.

ფურგონში ჰვარტლით გატენილი ტომრის ჩადება დაიწყო და წუთით თავიანთი საიდუმლო ფარანიც მიანათეს. გარეგნულად ისინი მიწის მთხრელებს უფრო ჰგვანდნენ, ვიდრე საკვამურის მწმენდელებს, ხელები, ფეხები და მთელი ტანსაცმელი თიხით ჰქონდათ მოსერილი. თიხის გორბები ჰვარტლის ტომარასაც მიჰკვროდა. ტომარა ფურგონზე რომ დადეს, ორთავემ არაყი გადაჰკრა და პატრონმა ერთი ყლუპი მეც მომაწოდა.

— გაბედულად დალიე, ბიჭო, არ გაწყენს. ყოჩალი ბიჭი ყოფილხარ, სამაგიეროდ, აი შენ, შილინგი — და ფული მომცა.

მისტერ პერკსმა კი თავზე ალერსიანად გადამისვა ხელი.

— უკან როგორ დაებრუნდეთ? — იკითხა ნედმა. — მე მგონი, ჯობია, ბიჭი შუაში ჩავისვათ.

— არა, — მიუგო მისტერ ბელჩერმა. — ერთი რევმატიზმიანიც მეყოფა, ესეც რომ გაცივდეს? შენ ძირს დაჯექი, ჯიმ, ჩულოს ჩვენ ღაღიღებთ მუხლებზე, ერთი ბოლო შეგიძლია მხრებზე წაიფარო — და მან ფურგონის კუთხეში მიმკუჭა.

— ჰვარტლის ტომარაზე თავს ნუ დადებ, სველია და ყურები გაგიცივდება. — გამაფრთხილა მისტერ პერკსმა.

რაკი მოხერხებულად დაჯდა, მისტერ ბელჩერმა ცხენს მათრახი გადაუჭირა და იმანაც ისე გაგვაქროლა, თითქოს უხაროდა, რომ გათოშილი ფეხების გამართვის საშუალება მიეცა.

ის უცნაური ძრწოლა, ეკლესიისაკენ მიმავალ ბილიკზე საოცარი აღმოჩენის შემდეგ რომ დამეუფლა, თანდათანობით იზრდებოდა. ცხადი იყო, მისტერ ბელჩერი აქ საკვამურების საწმენდად არ იყო მოსული. ეკლესიაში მას მანქანაც არ წაუღია, გზაშივე დატოვა. ტომარა კი სავსე იყო, მაგრამ რით? როგორ გამეგო? მისტერ პერკის გაფრთხილება „ტომარას თავი არ დაადო“, საჭირო არ იყო, ეს ტომარა ისეთ ძრწოლას მგვრიდა, მისკენ გახედვაც ვერ გამებედა. მაგრამ ცნობისწადილი სულ უფრო მეტად მიპყრობდა. გადაეწყვიტე, რადაც არ უნდა დამქდომოდა, სიმართლე გამეგო. ტომარისკენ ფრთხილად გავიწვდინე ფეხი და შეეეხე. ტომარა რბილი იყო. იქნებ მართლაც კვარტლი იყო? არა, გაურკვეველობა მაწამებდა, სიმართლე უნდა გამეგო. ჭიბეში დასაყვი დაწა მედო, ფრთხილად ამოვაძვრინე, გავხსენი და ტომარისკენ გადავიხარე. ტომარა სწრაფად, ერთი დასმით კარგა დიდზე გავქერი და იმ ხელზე, რომელშიც ჭერ კიდევ დაწა მეჭირა, ადამიანის ყინულივით ცივი ხელი გადმოცურდა ხმამაღლა შევეყვირე. ყვირილზე ცხენი დაფრთხა და მომეტებული სისწრაფით გაიჭრა წინ. მე თვალის დახამხამებაში ფურგონის ბოლოში ფიცარს გადავეელე და პირდაპირ წუმპეში მოვადინე ტყაპანი. მართალია, სახე დამეყუჟა, მაგრამ ხელ-ფეხი უვნებლად გადამიჩრა. მივბროდი და თან უკანოდან მამაკაცის ხმა მწვდებოდა. მესმოდა ვიღაცის ძლიერი ნაბიჯების ჭლავუნი. აშკარად ვგრძნობდი, რომ მომდევნენ.

XVIII

საშინელი სცენა, რომლის მსგავსიც
არც ერთ თეატრს არ წარმოუდგენია

— დაბრუნდი! — მიყვიროდა ნედ პერკსი. — დაბრუნდი, თორემ, თუ არ გაჩერდები და ყვირილს თავს არ დაანებებ, კისერს მოგიგარებს!

რა გამაჩერებდა? დარწმუნებული ვიყავი, რომ მისტერ ბელჩერი მკვლელი იყო და ნედ პერკსიც მხოლოდ იმიტომ მომდევდა.

რომ ჩემთვის კისერი მოეგრისა. სულმოუთქმელად მიერბოდი, წამდაუწუმ ვბორძიკობდი და გზაზე დაგუბებულ წუმპეებში მივაჯყაპუნებდი, მაგრამ რამდენიმეჯერ მაინც მოვასწარი და დავიყვირე, ყარაული-მეთქი. ამ დროს მისტერ პერკისის სტვენა და წაბლას ფლოქვების თქარუნი გავიგონე, რა თქმა უნდა, ცხენით მალე დამეწეოდნენ. შიშისაგან აკანკალებული გზისპირა თხრილში ჩავხტი და მუცელზე გავწექი. თხრილში წყალი იდგა, ამიტომ იდაყვებზე დავეყრდენი, რომ როგორმე სახე წყალს ზემოთ მჭეროდა. თხრილის ორსავე მხარეს სქელი ბუჩქნარი და ბალახი ამოსულიყო და კარგად მფარავდა.

რამდენიმე წამის შემდეგ ნედ პერკისმაც მოიბრინა იმ ადგილას, სადაც მე ვიწექი, მისტერ ბელჩერი კი ფურგონით წამოეწია.

— დაიჭირე? — ჰკითხა ნედს აღელვებულმა.

— შორს ვერსად წავიდოდა. — მიუგო მან. — საკვირველია, მაინც სად გაქრა?

— როგორმე მალე უნდა დავიჭიროთ, ნედ, — უთხრა ჩემმა პატრონმა. — თორემ გაგვეცემს. ყველაფერი უნახავს! აბა, შეხედე!

მან ფარანი ფურგონს მიანათა: ცხადი იყო, ნედს ჩემ მიერ გაჭრილ ტომარას უჩვენებდა.

— ოხ, შე წყეულო ბიჭო! — შეჰყვირა ნედმა. — მაგრამ დარდი ნუ გაქვთ, ბატონო, იმას მე გავუხწორდები! ცხენი გარეკეთ, მე კი ფურგონის კრდეზე ჩამოკიდებული სირბილით მოგყვები. ახლავე დავეწევი.

ენით უთქმელი სიხარული ვიგრძენი, მისტერ პერკისის რჩევამ რომ გაქრა და წაბლა ცხენი ფლოქვების თქარუნით გამშორდა. მაგრამ ახლა რაღა შექნა? წინ წავსულიყავი, — შეიძლებოდა მათ დავწეოდი, უკან, ლონდონში დავბრუნებულიყავი და, — სულ მალე ისინიც დამეწეოდნენ. საგონებელში ჩავარდნილი, თავით ფეხებამდე გაწეწული, თხრილიდან ამოვძვერი და გზაზე გავჩერდი, რომ ამ დროს ბუჩქებიდან ვიღაც უცნობი კაცი გამოვიდა და მხარზე ხელი დამადო.

— რა მოხდა, ბიჭუნო? — მკითხა მან და ფარნის შუქი სახეზე მომანათა. ახოვანი კაცი იყო, ბეწვის პალტო ეცვა, ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა და ხელში თოფი ეჭირა.

— სახე სისხლიანი რატომ გაქვს? — განაგრძობდა იგი. — თხრილში ვინ ჩაგაგდო? იმ ვაჟბატონებმა ხომ არა, ფურგონში რომ ისხდნენ?

— არა, სერ, — აკანკალებული ხმით ვუთხარი მე. — თხრილში მე თვითონ ჩავეძვარი. ნუ გამცემთ, სერ, მომკლავენ. ისინი მკვლელები არიან.

— რა თქვი? მკვლელები არიან? — მკითხა გოცებულმა მეტყვევებ (ეს კაცი მეტყვევე იყო).

მე ვუპასუხე, რაც იმ საიდუმლოებით მოცულ ტომარაში ვნახე.

— ახლა საით წავიდნენ? — მკითხა მან, ეტყობოდა, ჩემმა მონაცემმა ძლიერ ააღელვა.

— ისინი მე დამეძებენ, სერ, — მივუგე მე. — მალე უკანვე დაბრუნდებიან ლონდონში, უიკსენდის ქუჩაზე უნდა გავიდნენ, იქ მისტერ ბელჩერი ცხოვრობს.

მეტყვევებ ხელი მომივსია, ისევ თხრილზე გადამახტუნა, გზისპირა კალაქში შემიყვანა და რამდენიმეჯერ ზედიზედ დაუსტირა. არ გასულა ორი წუთი, რომ ორი უზარმაზარი ქოფაქის თანხლებით მეორე მეტყვევეც გამოჩნდა. ტომრის ამბავი თავიდან მომაცოცხლებს.

— ვერსად გაგვექცევინა! — მკაცრად თქვა მან.

ძაღვები მომცვივდნენ და ერთი შარვლის ტოტშიც ჩამაფრინა.

— კუში — შეუყვირა მათ მეორე მეტყვევებ. — დაჯექი აქ, ბიჭო! დიუკ! სლოტი უდარაჯეთ!

მიწაზე დაჯექი, ნაგაზები აქეთ-იქით მომიდგნენ. თვალზე გატყობდი, რომ განძრევის ნებასაც არ მომცემდნენ.

გზაზე ცხენის ფლოქვების თქარუნი გაისმა. ეტყობოდა, ცხენს გამალებით მიერეკებოდნენ.

იმ ადგილიდან, სადაც მე ვიჯექი, ბუჩქნარის ტოტისშუა გზა კარგად მოჩანდა. დავინახე, რომ ერთ-ერთი მეტყვევე შუა გზაზე გამოვიდა, სწორედ იქ დადგა, სადაც ფურგონს უნდა გაველო, ბორბლების ხმაური უფრო და უფრო ახლოვდებოდა. ბოლოს სულ ახლოს მოვიდნენ და თოფმა იჭექა. შიშისაგან წამით თვალები დავხუჭე და როცა გავახილე, თვალწინ შემდეგი სურათი წარმომიდგა: წაბლა ყალყზე იდგა, მას ერთ-ერთი მეტყვევე სადავით ძლივს იმაგრებდა, მეორე მეტყვევე კი ფარანს დაფეთებულ საკვამურების მწმენდელებს ანათებდა. ნედ პერკსი მათრახს ატრიალებდა და მეტყვევეს, მათ ცხენს რომ იჭერდა, თავის გაბობით ემუქრებოდა. მისტერ ბელჩერს თავი მშვიდად ექიარა.

— თქვით, რა გინდათ, ბიჭებო? — ეუბნებოდა იგი მეტყვევებს. — თუ ყაჩაღები ხართ, რაღა საწყალ საკვამურების მწმენდელებს დაესხით თავს. გაგვეცალეთ, სანამ რაიმე ცოდვა არ დატრი-

ალებულა, ცხენს ხელი გაუშვით, თორემ შეიძლება გადაგქელოთ!
— კანონის ძალით, მე თქვენ ვაპატიმრებთ! — რიხიანად შესძახა მეტყევემ, რომელსაც ხელში ფარანი ეჭირა.

— როგორ, ჩვენ ვაპატიმრებთ? აი, ხუმრობაც ამას ჰქვია მერედა, რისთვის?

— მკვლელობისათვის. თქვენს ფორანში მოკლული ადამიანის გვამია.

— დავილუპეთ! თავს უშველე, ბელჩერო! — შეჰყვირა ნედმა და ერთი ნახტომით ფურგონის კიდეს გადაეწყო. მისტერ ბელჩერმაც მას მიჰბაძა, მაგრამ მიწაზე ფეხის დადგმაც ვერ მოასწრო, რომ მეტყევემ თოფის კონდახი თავში ისე ღონიერად ჩასცხო, ბელჩერო უგონოდ დაეცა. ამასობაში ნედ პერკსმა თავს გაქცევით უშველა და პირდაპირ ჩემკენ გამოიქცა. ალბათ დამეტაკებოდა, გულიდან ამომსკდარ ჩემს სასოწარკვეთილ კვილს რომ არ შეეჩერებინა. რომ დამინახა, სახეზე ბოროტი სიხარული გამოეხატა. ფურგონიდან წამოღებული რკინის დიდი კეტი ასწია და ის იყო უნდა მოვეკალი, მაგრამ ძაღლებს თავიანთი მოვალეობა კარგად ახსოვდათ. ისინა ერთგულად მიცავდნენ. ვიღრე კეტი დაეშვებოდა, ნედს ეცნენ, მიწაზე წააქციეს და ადგილზევე გააშეშეს. ერთი ხელში ჩააფრინდა. მეორე — საყელოში.

მეტყევემ, ცხენი სადავით რომ ეჭირა, სწრაფად მოიბრინა და პერკსს ხმის ამოუღებლად, მარჯვედ შეუტრა ხელები.

— ჩემი უკვე მზადაა! — დაიყვირა და ახლა ფურგონთან მიიბრინა. — უკვე ნახე, ტომ, ის უბედური? მართლა მკვდარია?

ტომი ამ დროს ფურგონს გულდასმით ათვალიერებდა.

— ჰო, მკვდარია! — მიუგო ტომმა. — მაგრამ, ეტყობა, სულ ცოტა, ერთი კვირის მკვდარი მაინც იქნება.

— როგორ თუ ერთი კვირის? რანაირად? ეს როგორი ბოროტ-მოქმედები არიან?

— სწორედაც რომ ბოროტმოქმედები არიან და არა მკვლელები. მათ არავინ მოუკლავთ, მხოლოდ მიცვალებულების გვამებს თხრიდნენ საფლავებიდან. ხედავ, აი აქ, ტომარაში, სხვადასხვა იარაღი აქვთ: ბურღი, ნატეხები და ნიჩბები. სულ ერთია, ამისთვისაც კარგად მოხვდებათ! მომეხმარე, ფურგონში ჩამაყრევიწე, ილფორდში მივიყვანოთ და მერე იმათ იციან, იქ უჩვენებენ სამართალს...

— როგორ, მეორე ვაჰბატონიც გათოკე? — ჰკითხა ჯომ და ფურგონიდან ჩამოხტა.

— ისე დავარტყი, მე მგონი, ჯერ გონს ვერ მოვიდოდა, მაგრამ სიფრთხილეს თავი მაინც არ სტკივა, ეგვეც გავთოკოთ.

ჯომ ფურგონს გარს შემოუარა და როცა იმ ადგილას მივიდა სადაც რამდენიმე წუთის წინ მისტერ ბელჩერი უგონოდ ეგდო გაკვირვებისაგან შეჰყვირა:

— გაქცეულა! აღარ არის!

მართლაც ასე იყო. ცივმა წვიმამ მისტერ ბელჩერი ალბათ გამოაცოცხლა. იგი გაქცეულიყო და მეტყვევებს თოფიც გაეტაცნა.

ამ წვიმიან, ბნელ ღამეში მისი დევნა შეუძლებელი იყო.

— რას ვიზამთ, ეს ერთი წაიყვანოთ! — თქვა მეტყვევ ტომმა.

მათ მისტერ პერკსი ასწიეს და ფურგონის ძარაზე შეაგდეს, თვითონ კი კოფოზე დასხდნენ.

— თუ შეიძლება, მე ფორანს გვერდით გამოვყვები. — ვთხოვე მათ, პერკსის გაბოროტებული მზერისა ისე მეშინოდა, მის გვერდით დაჯდომას ვერა ებედავდი.

— ეგ არაფერია! ნუ გეშინია! — მითხრა ჯომ და ფურგონზე ამართია. — თითის დაკარებასაც ვერ გაგიბედავს.

მან ფურგონზე დამსვია, ცხენს მათრახი გადაუქირა და ილფორდისაკენ გავწიეთ, რომელიც აქედან ორ მილზე იყო.

მართალია, პერკსმა ხელი არ მანლო, მაგრამ უარესი დამმართა. შიშისაგან ლამის სული გამძვრომოდა.

— ჯიმი — დამიყვირა მან, ცოტა რომ გავიარეთ.

— არ უპასუხო. — შირჩია მეტყვევ ტომმა.

— ჯიმ, — განანგრძობდა პერკსი, — ხომ გაიგონე? შენი პატრონი წავიდა და თოფიც თან გაიყოლა. არ ვიცი, ბევრი წამოროშე თუ არა, მაინც გაფრთხილებ, მეტი არაფერი წამოაყრანტალო!

— წინ გადმოჯექი, ბიჭო, და მაგის ლაპარაკს ველარ გაიგონებ, — მითხრა მეტყვევ ჯომ.

პერკსისგან სიამოვნებით გადაეჯექი, მაგრამ იგი ისე ყვიროდა, მის ხმას გზის ბოლოშიც გავიგონებდი.

— ჯიმ, — მეუბნებოდა იგი, — ხომ გახსოვს, რას შეგპირდა შენი პატრონი, თუ მის სამუშაოზე ვინმესთან რამე წამოგცდებოდა? ის თავის სიტყვას შეასრულებს, ამაში დარწმუნებული იყავი! შესაძლოა, ერთმა კვირამ გაიაროს, იქნებ ორმაც, მაგრამ იგი დანაპირებ, არ დაივიწყებს, იმისი იმედი ნუ გექნება, რომ მოსამართლე. დაგცავს: ის ყველას ვერ ადევნებს თვალყურს. შენი პატრონი კი ერთ წამში შეგისრულებს, რაც გითხრა. აქედან ას მილზედაც რომ იყო და შენს საწოლზე გეძინოს კარებზე ბოჭლომდადებულ ოთახში, საკვამურზედაც რკინის გისოსი გეკეთოს, მოულოდნელად გაგედვი-

ძება და ნახავ, რომ იგი ვიახლოვდება, ვიახლოვდება იმისათვის, რომ დანაპირები შეგისრულოს. მაშ, გახსოვდეს და იცოდე, ფრთხილად იყავი.

მეტყველები რამდენადაც შეეძლოთ ხმამალა ლაპარაკობდნენ და ფურგონის ძარაზე ფეხებს აბრახუნებდნენ, რომ ნედის ლაპარაკი არ გამეგო, მაგრამ მისი თითოეული სიტყვა მესმოდა და ისეთმა შიშმა ამიტანა, ლამის ფურგონის ბორბლებში ჩავევარი.

ჩემი მფარველებისათვის ადვილი სათქმელი იყო: „მაგას ყურს ნუ უგდებ, ბიჭო, შენი დაშინება უნდათ, თუ სასამართლოში სიმართლეს იტყვი, ნულარაფრისა გეშინიაო“. ისინი მისტერ ბელჩერს არ იცნობდნენ, არც ის იცოდნენ, როგორ დამემუქრა, თუ ვინმესთან სიტყვა წამომცდებოდა, ანდა რა სახე ჰქონდა მაშინ, როცა ამას მეუბნებოდა. „ნულარაფრისა გეშინიაო“, მაგრამ მე ვინ დამიცავდა? ნუთუ ის პოლიციელები, რომელთაც მთელი ჩემი სიცოცხლე გაუურბოდი, ახლა ჩემი მეგობრები გახდებოდნენ? თუნდაც ასე ყოფილიყო, ყოველ წუთს ხომ ვერ დამიცავდნენ? აქი ვახშობის დროს მისტერ ბელჩერმა მიჩვენა კიდევ, რა ცოტა დრო სჭირდებოდა ბიჭის დახრჩობას? გარდა ამისა, როცა გავიგე, რომ ჩემი პატრონი თვითონ არ იყო მკვლელი, ეჭვი შემეპარა, იქნებ სისულელე ჩავიდინე, რომ გავეცი-მეთქი. ჩემს საქციელს ვნანობდი და გადავწყვიტე, ნედისთვის დამეჭვრებინა: როცა მოსამართლე გამომიძახებდა, რაც შეიძლება ნაკლები მელაპარაკა.

დილით პოლიციის მისაღებ ოთახში გამომიძახეს. ყველა პოლიციელმა ჩემს გარშემო მოიყარა თავი. ეტყობოდათ, ლაპარაკის ხასიათზე იყვნენ.

— აბა, ბიჭიკო, — ალერსით მითხრა პოლიციის ინსპექტორმა, — ყველაფერი კარგად გვითხარი, რაც შენს ყოფილ პატრონზე იცოდა, ეს ბავშვი სულ მთლად გათოშილი იქნება სველი ტანსაცმელი იცვია, ახლავე გამოვუცვალოთ.

— ბატონო ინსპექტორო, მაგისი შესაფერი მშრალი ტანსაცმელი გვაქვს, ახლავე მოვიტან, — თქვა ერთმა პოლიციელმა.

როცა ტანსაცმელი გამომიცვალეს და კოპზეც საღებუნი დამადეს, ინსპექტორმა ბრძანა, ცხელი ყავა დაალევინეთო, და მხოლოდ ამის შემდეგ დამიწყო დაკითხვა. პოლიციელები ყურადღებით გვისმენდნენ.

— მითხარი, ბიჭუნო, შენი პატრონი ღამით სამუშაოდ ხშირად მიდიოდა?

— არ ვიცი, სერ, — ვთქვი და თავი ჩავლუნე.

— როგორ თუ არ იცი? განა ერთ სახლში არ ცხოვრობდით?

— აღრე არასოდეს წაუყუყუანივარ, სერ, მეძინა ხოლმე და ამოტომ არაფერი მესმოდა.

— არ მომწონს შენი პასუხი, ბიჭო. რაც იცი, ყველაფერი უნდა თქვა. აბა ერთი, შენი პატრონის მისამართი მითხარი.

— დამავიწყდა, სერ.

— ახლა კი ნამდვილად ტყუი. შენოდენა ბიქს არ შეიძლება იმ სახლის მისამართი დაავიწყდეს, სადაც თვითონ ამდენი ხანია ცხოვრობს, — გაცხარდა ინსპექტორი.

— ვფიცავ, მართალს ვამბობ, სერ, წუხანდელი ღამის მერე, რაც ვიცოდი, ყველაფერი დამავიწყდა.

— როგორ, წუხელ მეტყევეს მისამართი შენ არ უთხარი?.. იმას კი, სამწუხაროდ, ნამდვილად დაავიწყდა, — მიუბრუნდა ინსპექტორი ერთ-ერთ პოლიციელს. — ეცადე, როგორმე მოიგონო, — ისევ გამიძეორა ინსპექტორმა.

— დამავიწყდა, აღარაფერი მაგონდება, — კუშტად მიუგე მე.

— მაშ, კარგი, — მკაცრად წარმოთქვა ინსპექტორმა, — გაიყუანეთ, ოღონდ გახსოვდეს, ზვალ სიმართლეს მაინც გათქმევიწებენ.

მე არ დავიჭრე, მაგრამ თურმე მართალს ამბობდა.

XIX

პოლიციას გავექეცი

მეორე დღეს მისტერ პერკსი და მე დაკითხვაზე გავიყუანეს, მოსამართლეები, ეტყობა, მიმიხვდნენ, რომ ვცდილობდი, რაც შეიძლება ცოტა მელაპარაკა, და ერთმა ქალარა, მწვანესათვალიანმა ისე მკაცრად შემომხედა, უცებ გამბედაობა დაკვარგე.

— ბიჭო, შემომხედე! — დამიყვირა მოსამართლემ და მაგიდაზე ისე ღონივრად დაჰკრა ხელი, სუნთქვა შემეკრა.

რომ შევხედე, შიშმა უფრო მეტად ამიტანა. თავისი მწვანე სათვალით პირდაპირ მე მომჩერებოდა, ოცი პოლიციელი კი მორჩილად გარს შემორტყმოდა და საკმარისი იყო ერთი ენიშნებიანა, რომ მის განკარგულებას სისრულეში მოიყვანდნენ.

ამ დროს პერკსმა ჩაახველა და მისკენ მივაბრუნე თავი.

— პატიმარს ნუ მისჩერებინარ! მხოლოდ მე მიყურე! იცი თუ არა, რას ნიშნავს ფიცის მიღება?

პოულდის სასამართლო ამბების მოყოლა ძალიან უყვარდა და ჩემთვის ესეც ნათქვამი ჰქონდა. ამიტომ მივეუბნე:

— ეს იმას ნიშნავს, სახარებას უნდა აკოცო და ფიცი დაღო: თუ ტყუილი ვთქვა, დავისაჯო.

მოსამართლის მწვანე სათვალეებს მივჩერებოდი. ბოლოს, თითქოს შხისთვის დიდხანს მეტკიროს, თვალები ამეცრემლა.

— დიახ, თუ ფიცის შემდეგ კვლავ ტყუილს იტყვი, — ისევ მკაცრი სმით განაგრძო მოსამართლემ, — საშინლად დაისჯები. ზღვის გაღმა, კატორღაში სამუშაოდ გაგაგზავნიან. ეგზეკუტორო, ფიცი დაადებინე. თქვენ კი, მსჯავრდებულო, ნუ უყურებთ მოწმეს, ვიდრე დაკითხვა მიმდინარეობს.

აბა, შეიძლებოდა, ამის შემდეგ არ მელაპარაკა? მოსამართლე მტკიცე კაცი იყო, ეტყობოდა, თავისი საქმე კარგად იცოდა, რადგანაც ისეთ კითხვებს მაძლევდა, იძულებულს მხდიდა, ყველაფერი მეთქვა. მეც მოვეყვი, როგორ წამოვედი სახლიდან, მისის უინკ-შიპმა როგორ მიმაბარა მისტერ ბელჩერს. რა ვილაპარაკეთ მე და სემმა ეკლესიის საკვამურების გაწმენდაზე. მოკლედ, ყველაფერი ვუპბე, რაც იქამდე მოხდა, ვიდრე თეთრი ხელის დანახვით თავ-წარდაცემული ფურგონის ძარადან გადმოვხტებოდი. იქვე, სასამართლოშივე გავიგე, რაში ედებოდა ბრალი მისტერ ბელჩერს.

იმ დროს ეჭიმებოდა და სტუდენტებს, რელიგიური ცრურწმენის გამო, საშუალება არ ჰქონდათ, ანატომია ადამიანის გვამებზე შეესწავლათ. მაშინ ეს ცოდვად ითვლებოდა. ამიტომ, იმ პერიოდში ინგლისში გაჩნდა პროფესია „უბოსამხდელებისა“, რომლებიც ბნელ ღამეში მალულად მიიპარებოდნენ სასაფლაოზე, ახლად-დასაფლავებულთა გვამებს იღებდნენ და სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში დიდ ფასად ჰყიდდნენ.

მისტერ ბელჩერიც ამავე საქმიანობას ეწეოდა.

ჩემ შემდეგ ჩვენება მეტყვევებოდა ტომასსა და ჯოზეფს ჩამოართვეს, მერე კი საქმის გარჩევა ერთი კვირით გადაიდო, რათა ამ დროში პოლიციას მისტერ ბელჩერის შეპყრობა მოესწრო და ისიც სასამართლოსთვის წარედგინა.

— უპიჯობესია, ბიჭი შინ, მშობლებთან გავუშვათ. ვინც ბიჭს მოიყვანს. ვაფრთხილებ, მამამისს მკაცრად ჩააგონოს, რომ ერთი კვირის შემდეგ ისევ აქ მოიყვანოს! — თქვა მწვანესათვალისა მისამართლემ.

სასამართლო შორიგი საქმის გარჩევას შეუდგა, მე მეტყვევებისა და რამდენიმე პოლიციელის თანხლებით ქუჩაში გამოვედი. მათ ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და ყველანი ერთად მეზობელ სამიკიტნოში შევიდნენ. მეც ანგარიშმიუცემლად შევეყევი. საშინელმა სიტყვებმა: უმჯობესია ბიჭი შინ, თავის მშობლებთან გაეუშვათო, თავზარი დამცა, რაც არ შეკითხებოდა, ისეთ საქმეებში რატომ ჩავერჩიე? ჰმ, ჯობია, შინ გაეუშვათო! მამაჩემთან პოლიციელი მიმიყვანს და „კუბოსამხდლებთან“ ჩემი ურთიერთობის ამბავს მოუყვება, იმასაც ეტყვის, რომ მე მათთან სრულიად უდანაშაულო მისის უინკშიპმა მიმიყვანა! მამაჩემი მეც მომკლავს და საბრალო დედაბერსაც! აი, ასე გადაეუხადე სიკეთე! არა, ეს საშინელება! ეს არ უნდა მოხდეს! — გადავწყვიტე მე. რაღაც უნდა მელონა, რომ ეს უბედურება თავიდან ამეცილებინა, თუნდაც ამისათვის იმ საშინელი მწვანესათვლიანი მოსამართლის მოტყუება დამპირებოდა. როგორმე მცველებს ხელიდან უნდა დავძრომოდი, ილფორდს გავცლოდი და ლონდონის რომელიმე ქუჩაბანდისათვის შემეფარებინა თავი. მცველები-მეტქი, ვამბობ, მაგრამ ვატყობდი, ჩემი დარდი არავის ჰქონდა. იმ ოთახიდან გამოსვლა ვცადე, რომელშიც პოლიციელები და მეტყვევები ლუდს სვამდნენ, — ყურადღება არავის არ მოუქცევია. მაშინ ეზოში გავედი, ეზოდან კი — ქუჩაში. არც ახლა გამომდევენებია ვინმე. მაშასადამე, შემეძლო დაუბრკოლებლივ წავსულიყავი. მაგრამ ვიცოდი, პოლიციელები ეშმაკი ხალხია, ისინი ყველას ჩუმ-ჩუმად უთვალთვალებენ, ამიტომაც გადავწყვიტე, უკან დავბრუნებულიყავი, სამიკიტნოში ცოტა ხანს კიდევ ვმჯდარიყავი და მათი საუბრისათვის ყური დამეგდო. აღმოჩნდა, რომ პოლიციელები ჩემზე ლაპარაკობდნენ.

— აგერ, ისიცა — თქვა ერთმა მათგანმა, როცა სამიკიტნოში შევედი. — გირჩევენია შორს არ წახვიდე, თორემ, აი, ის თოფიანი კაცი დაგიჭერს.

ალბათ ხუშრობით ამბობდა, რადგან მეორე პოლიციელს და მეტყვევებს გაეცინათ.

— რას იტყვი, ბიჭო, ხომ გაგიხარდება, შინ უვნებლად რომ მიხვიდე? — მკითხა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

ვიცოდი, რომ მეტქვა, შინ წასვლა არ მინდა-მეტქი, პოლიციელი განსაკუთრებული სიმკაცრით დამიწყებდა თვალყურის დევნებას, ამიტომ მიუფუგე:

— დიას, ძალაღან გამიხარდება, ნეტავ მალე მივიდოდე შინ და აღარ გამოვიქცევი.

— აქედან სახლის გზა იცი?

— თვალდახუჭული მივალ, სერ, შეიძლება ახლაც წავიდე?

— არა, ვიდრე მე არ გავთავისუფლდები, ვერ წახვალ. მერე მე თვითონ წავიყვან. ოთხ საათამდე, სანამ სასამართლო სხდომა დამთავრდებოდეს, აქ უნდა ვიყოთ. მაგრამ სავალდებულო არ არის ერთ ადგილზე იჯდე, შენ ხომ მოწმე ხარ და არა პატიმარი. შეგიძლია პოლიციელთა სახლში შეხვიდე და იქ მოიცადო, ან თუნდაც ქუჩაში გაისეირნო. ოღონდ ძალიან შორს არ წახვიდე.

ამის გაგონებაზე ალტაცებისაგან თავი ძლივს შევიკავე. მე პატიმარი კი არა, მხოლოდ მოწმე ვიყავი და შემძლო თავისუფლად მევლო.

— მადლობელი ვარ, სერ, — ვუთხარი და მოსეირნე ადამიანის უზრუნველობით გამოვედი. ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით გავუყევი ილფორდის გზას, რომელიც პირდაპირ ლონდონისაკენ მიდიოდა. ბედნიერმა შემთხვევამ დამქანცველი მგზავრობისაგან მიხსნა, როგორც კი სასამართლოს შენობა თვალს მიეფარა, უკან ძალიან მოხერხებული სატერფულიანი ეტლი წამომეწია. მარჯვედ შევახტი და საათში ათი მილის სისწრაფით ლონდონისაკენ გავწიე. გავიარე დიდი თუ პატარა ილფორდი და მაილენდამდე ჩავედი, მაგრამ ერთი ბიჭის სულმდაბლობის წყალობით იძულებული გავხდი, ჩემი მოხერხებული ეტლიდან ჩამოვმხტარიყავი. მასაც უფასო მგზავრობა სურდა და, რაკი ნახა, მეტი დასადგომი ადგილი აღარ იყო, მე-ეტლეს შეგულიანება დაუწყო. მანაც პატარა არამზადის სიტყვა დაიჭერა და ეტლიდან ჩამომავდო. იმ საძაგელ ბიჭზე ისე ვიყავი გაბრაზებული, რომ მაშინვე ვეცი და ერთი კარგად მივბეგვე, თუმცა ვიციოდი, ეს შეყოვნება შეიძლებოდა ჩემთვის სახიფათო გამომდგარიყო.

იძულებული ვიყავი, დარჩენილი გზა ფეხით გამეგლო. ორ საათზე უაიტჩიპელს მივალწიე. ქალაქის ეს ნაწილი ჩემთვის სრულიად უცხო იყო, მაგრამ თალებქვეშ აქედან მოსული რამდენიმე ბიჭი გავიცანი და იმათგან ვიციოდი, რომ ეს მხარე ლონდონის ყველაზე მიყრუებული უბანი იყო. მეც ახლა სწორედ ასეთი ეზოებიანი, მიხვეულ-მოხვეული და ვიწროქუჩიანი მყუდრო ადგილი მპირდებოდა. ჩემი უპირველესი და ყველაზე დიდი სურვილი იყო, ცოტა ხანს სადმე თავი შემეფარებინა, ვიდრე გვამების გატაცების ამ საზარელი საქმის გამოძიება დამთავრდებოდა. შემდეგ... თუმცა ამაზე ფიქრი ჯერ ნაადრევი იყო. ჯერ ახლანდელზე უნდა მეზრუნა. ერთი-ორი საათის შემდეგ ილფორდის პოლიციის სახლში მომიკითხავდნენ და ძებნას დამიწყებდნენ. ამიტომ საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, სადმე დავმალულიყავი. თორმეტიოდე ვიწრო, ქუჩ-

ყიანი შესახვევი გავიარე, ბოლოს ერთ ძალზე წყნარ სასაუზმეს შევაფარე თავი და ჩემი შილინგიდან ოთხი პენსი საქმელზე დაეხარჯე. ლუქნის პატრონი ღამის გასათევსა და ქვეშაგებში ოთხ პენსს თხოულობდა, ამიტომაც, მისი ნებართვით, ფარდულში საღამომდე დავრჩი, ვახშმად ერთი პენსის წენიანი ვკამე და მერე საკმაოდ კარგ ლოგინში დავიძინე.

მეორე დღეს დილით გამომეღვიძა, დაბლა ჩამოვედი, დარჩენილი სამი პენსით ვისაუზმე და ქუჩაში გამოვედი. მთელი დღე გარეთ დავეხეტებოდი. ყველაზე ღარიბულ, ჩაბნელებულ ქუჩებს ვირჩევდი და პოლიციელებთან შეხვედრას გავურბოდი. საღამოს შიმშილმა მომაგონა, რომ არ მესადილა. უეჭველი იყო, ვერც ვახშამს ვკამედი.

„ლოდინსა და მალვას თავი ანებე, — ჩამძახოდა შიმშილი, — რაღაც უნდა იღონო!“

მაგრამ რა შექნა? სადაც არ უნდა წავსულიყავი, ამით ჩემს მდგომარეობას უფრო მეტად გავიუარესებდი. მაგრამ შეიძლებოდა კი ამაზე მეტად გაუარესება? უარესი მდგომარეობის წარმოდგენა შეუძლებელი იყო. ყოველ წუთს შიში მკლავდა, რომ რომელიმე პოლიციელს ხელი არ ეტაცა ჩემთვის, თან შიმშილიც უნდა მომეთმინა. არა, ამის ატანა ყოველად შეუძლებელი იყო! ბაზარი ახლოს რომ ყოფილიყო, არაფერს მოვერიდებოდი. მართლაცდა, ყველა მე გადაშევიდა — უმწეო, საბრალო ბიჭს! რა დროს პატიოსნებაზე ფიქრი იყო. ახლა მხოლოდ იმაზე უნდა მეზრუნა, თავი რით გამეტანა, სხვა დანარჩენი რაღა? მეღარღებოდა?! იქამდე მივედი, რომ მზად ვიყავი სხვის ჭიბეებში ჩამეყო ხელი, მაგრამ ეს მუდამ საშინელ საქმედ მიმაჩნდა. კოვენტგარდენში ხონჩებიდან ხილის მოპარვა ძნელი არ იყო. ყოველთვის შეიძლებოდა დროის მოხელთება, როცა გამყიდველი სხვა მხარეს იყურებოდა, ან არადა, ისე სწრაფად გავიქცეოდი, რომ გამყიდველი ვერ დამეწეოდა. მაგრამ კოხტად მორთული ქალბატონის ან ბატონის ჭიბეში ხელის ჩაყოფა სულ სხვა საქმე იყო, ამას განსაკუთრებული თავზეხელაღებულობა სჭირდებოდა! თაღებქვეშ რომ ვცხოვრობდი, ჩემთვის ბევრი ქურდბატაცა დაუნახვებიათ, მაგრამ იმათი გაწაფულობა ისეთივე ძნელი მომწვენიებია, როგორიც ოინზაზებინსა და კლოუნებისა. ისიც კი მეგონა, ყირაზე დგომა და დასაკეცი დანების ყლაპვა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ჭიბეებიდან რაიმეს ამოცლა.

სხვა გზას ვადგები

ამ ფიქრებში გართული, ბნელი, მიყრუებული შუკებიდან ფართო, ლამაზ ქუჩაზე გამოვედი. სავაქროები თვალისმომკრელად კაშკაშებდნენ. ქვაფენილის ორივე მხარეს მდიდრულად ჩაცმული ბატონები ირეოდნენ. ჩემი ყურადღება ერთმა კოლონიის საქონლით მოვაკრე მალაზიამ მიიბყრო. მის უზარმაზარ მოსარკულ ვიტრინებში ათასგვარი ჯიშის ხილი, ჩაი. ტკბილეული, პიკულიანი ქილები და კონსერვები იყო გამოფენილი. აქვე ეწყო ჩინური ფაიფურისა და ხის სხვა ნაკეთობები, როპლის მსგავსი ჯერ არ მენახა. თვალიერებამ მარტო შე კი არ გამოიტაცა, ზღაზიის წინ ისე არავინ გაივლიდა, ვიტრინისთვის თვალი არ შეეველო. ზოგერთები კიდევ ჩერდებოდნენ, რომ ახლოდან უკეთ დაეთვალიერებინათ. ასე რომ, ვიტრინის წინ ხალხი ჯგუფად იდგა. არსად არ მიმეჩქარებოდა, ამიტომაც გადავწყვიტე, დამეცადა, ვიდრე ხალხი წავიდ-წამოვიდოდა, რომ მერე ეს საოცარი საგნები დაკვირვებით დამეთვალიერებინა. სწორედ ზღაზიის ვიტრინის პირდაპირ, ქვაფენილის კიდზე, ფარნის ბოძი იდგა. მივეყრდენი და ლოდინი დავიწყე. მალაზიის წინ შეკრებილთა შორის ერთი მოხუცი ქალბატონი იდგა. ისეთი სქელი იყო, არ შეიძლებოდა არ შეგემჩნიათ. ეს ქალბატონი უფრო მეტ ადგილს იკავებდა, ვიდრე ორი ჩვეულებრივი ადამიანი ერთად. მას ვიტრინის ქვედა ნაწილში რომელიღაც ნიეთის დათვალიერება სურდა, იგი დაიხარა და კისერი წაიგრძელა. სქელ ქალბატონს თვალს არ ვაშორებდი, ვერ გამეგო, ამდენ ხანს რას ათვალიერებდა. ამ დროს ჩემზე ოდნავ მაღალი ბიჭი შევამჩნიე. იგი ქალბატონთან ძალიან ახლოს მივიდა და მისი ყოველი მოძრაობა გაიმეორა.

ბიჭმა მის აბრეშუმის კაბაზე ხელი გააცურა, მერე სასწრაფოდ ისევ უკან გამოსწია. ამ დროს გაზის ფარნის შუქი თითებზე დაეცა და ქისა გამოაჩინა. აბრეშუმის ღილ-კილოებში ვერცხლის ფულის მთელმა ბლუჯამ გაივლვა. შემდეგ ბიჭმა ქისა სასწრაფოდ ჯიბეში შეინახა და ყველას შეუმჩნეველად სიბნელეში გაუჩინარდა. ფაშა-ფაშა ქალბატონი ვიტრინის წინ რამდენიმე წუთს კიდევ იდგა, შემდეგ მხიარული ღიმილითა და თავის ქნევით ქვაფენილს გაუყვა, ალბათ სასაცილო ჩინელებზე თუ ფიქრობდა.

რა ბედნიერია ის ბიჭი! ვერცხლის ფულით გატენილი საუცხოო აბრეშუმის ქისა ჩაიგდო ხელში! ერთი შილინჯისა და ლუკმაპურის!

საშოვნელად მე ფეხსაცმელი და წინდები გავყიდე, მან კი თვალის დახამხამებაში, სულ ცოტა, თორმეტი შილინგი მაინც იშოვა! რა უტიფარი ქურდი იყო! თანაც რა იღბლიანი! რა იქნებოდა, ის ქისა შე მრგებოდა? ამგვარი ფიქრები დამიტრიალდა თავში, მათ სხვა, ისეთი საზარელი ფიქრები მოჰყვა, რომ უნებურად მიმოვიხედე, არაუარს გამიგოს-მეთქი. „მერედა, რა ადვილი ყოფილა! ვიდრე ერთ ადვილას იდექი და შიშისაგან კანკალებდი, საქმეს სამჯერ გააქეთებდი! მხოლოდ ეს არის, რომ გამბედაობა არა მყოფნის!“ — ვსაყვედურობდი ჩემს თავს და პასუხსაც თვითონვე ვაძლევდი: „კარგი, დაუშვათ, რომ ეს საქმე ძნელი არ არის, როცა ასეთი სქელი. ჭიბებებატენილი დედაბერი შეგხვდება. ასეთთან არაუარს გაუქირდება. მეც კი მოვახერხებდი! მაგრამ მთავარი ის არის, ასეთი კარგი შემთხვევა კიდევ როდის მომეცემა?“

მე ფარნის ბოძთან ვიდექი და „შემთხვევას“ ველოდებოდი.

დიდხანს არც დამქირებია ცდა. „ბედი“, პირველად კოვენტგარდენის ბაზარში რომ გამიღიმა და „საგმირო“ საქმე ჩამადენინა, ახლაც მწყალობდა. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ მალაზიიდან ერთი ქალბატონი გამოვიდა. მართალია, ისეთი ხნიერი და მსუქანი არ იყო, მაგრამ მასაც აბრეშუმის კაბა ეცვა და ხელში გატენილი ჭისა ეჭირა. მალაზიიდან გამოსვლისას ფულს ითვლიდა. შემდეგ ქისას პირი მოუკრა და აბრეშუმის კაბის ჭიბეში შეინახა.

„ნეტავ ვიტრინასთან დადგებოდეს!“ — გამიელვა თავში.

იგი, მართლაც. იმ ხალხს შეერია, ჩინელების ცქერით რომ იყვნენ გართულნი. მეც უკან მივყევი. ვცდილობდი, ყველაფერში იმ ბიჭისთვის მიმებაძა. თავი ისე დავიქირე, თითქოს ჩინელების ცქერა მეც მაინტერესებდა, სინამდვილეში აბრეშუმის კაბის ნაოკებში ჭიბისკენ ხელს ფრთხილად ვაცურებდი. წუთის შემდეგ ჩემმა თითებმა აბრეშუმის ქისის ნაზი ქსოვილი შეიგრძნო. და აი, ქისა უკვე ხელთ მქონდა. ნადავლი მაგრად ჩავბლუჯე და გავიქეცი. დიდხანს ვირბინე ასე სულმოუთქმელად, ვიდრე ერთ მიყრუებულ, ბნელ ჩიხს არ მივალწიე. სწორედ იქ შევჩერდი და გადავწყვიტე, ჩემი ნადავლი მენახა. ჭიბიდან ქისა ამოვიღე, ფული ხელისგულზე დავიხვავე და თერძის მალაზიის ახლოს ფარნის შუქზე გადავითვალე. აღმოჩნდა, რომ ორი ნახევარკრონიანი, ერთიც ნახევარი სოვერენი, სამი შილინგი და ოთხი პენსი იყო, ესე იგი, სულ თვრამეტი შილინგი და ოთხი პენსი მქონდა.*

* დაახლოებით ცხრა მანეთი ოქროს ფულით.

ჩემს სიცოცხლეში ამდენი ფული, არც ამის ნახევარი და არც მეოთხედი ხელში არასოდეს მქერია.

არ ვიცი, რა მექნა, უფრო სწორად, არ ვიცი, სად რა საქმელი შევიდა.

ბოლოს ერთ სასაბუღალტროში შევედი და ოთხ პენსად ვივახშმე.

მთელი საღამო ან ექვამდი, ან ვიგონებდი, კიდევ რა შეიძლებოდა, მექამა. საკუხმისტროში ხუთჯერ შევედი და ორი პენსის სოსი-სი შევექამე, ამას ცოტა პური და ბადაგი დავაყოლე, სულ ბოლოს კი ერთი პენსის შოკოლადი ვიყიდე.

საბოლოოდ, ძილის წინ, ჩემი კაპიტალი დავითვალე, აღმოჩნდა, რომ არცთუ ბევრი მქონდა დახარჯული. ერთი წყვილი კარგი ფეხსაცმელიც ვიყიდე და ცამეტი შილინგი და ექვსი პენსი კიდევ დამარჩა, თუ იმ ნახევარ სოვერენს არ ჩავთვლიდით, კურტაქის სარჩულში რომ მქონდა ქინძისთავით დამაგრებული.

ამგვარად, მე ნამდვილი ქურდი გავხდი. თუმცა, მაშინვე მტკიცედ გადავწყვიტე, ჩემი ომდღევანდელი საქციელი აღარასოდეს გამემეორებინა. რა თქმა უნდა, რაც მოხდა, იმას ველარ ვუშვებდი. მაგრამ ეს ჩემს გარდა სხვამ არაფერ იცოდა და ვერც ვერაფერს გაიგებდა. გადავწყვიტე, დილიდანვე მომეფიქრებინა, რა საქმისათვის მომეკიდა ხელი. როცა ადამიანს ჭიბეში ცამეტი შილინგი და ექვსი პენსი უდევს, მას პატიოსანი ცხოვრებისთვის ათასგვარი საშუალება შეუძლია გამოიხატოს.

ჰო, რა თქმა უნდა, შემეძლო პატიოსანი ცხოვრების ათასგვარი გზა გამომენახა, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა გამოგიტყდეთ, მე ვერც ერთს ვერ მივაგენი.

სადილის შემდეგ პეტიჟოუტ-ლეინზე წავედი გასასეირნებლად. იქ ერთი მალაზიის წინ გავჩერდი. ვიტრინაში აბრეშუმის ყვითელი ყელსახვევი ეკიდა. ზედ ჩიტის ცისფერი თვალები იყო გამოხატული, მამაჩემს ზუსტად ასეთი ყელსახვევი ჰქოხდა.

მალაზიაში შევედი და იმ ყელსახვევში სამი შილინგი და ექვსი პენსი გადავიხადე. გული მეუბნებოდა, სისულელეს სჩადიხარო, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ ამ ყელსახვევს მამაჩემის მოსაგონებლად ვყიდულობდი. ამან სახლი მომაგონა. დავდარდიანდი და განამხიარულებლად ერთი კათხა ლუდი დავლიე. არ ვიცი, ეს ლუდი მაგარი იყო, თუ მიუჩვეველზე იმოქმედა ასე ძალიან, უცაბედად ისე აღვეგზნე, თავს ძლივს ვიკაეებდი. მტრების შიში სრულიად გამიქრა. ახლა მზად ვიყავი, მისტერ ბელჩერს უშიშრად შევეყროდი პირისპირ, თუ, რასაკვირველია, ორლულიანი თოფით თან არ ექნებოდა. სწორედ ამ დროს იარაღით მოვაქრე ერთი პა-

ტარა მალაზიის წინ ჩავიარე. მაშინვე აზრმა გამიელვა, ჩემისთანა კაცი, რომელსაც მთელი ქვეყანა დასაჭერად დასდევს, შეიარაღებული უნდა დადიოდეს-მეთქი. მალაზიაში შევედი და შესახედავად ძალიან საშიში პისტოლეთი ვიყიდე, ორი შილინგი და სამი პენსი გადავიხადე. საღამოთი დავრწმუნდი, რომ ამ იარაღის შარვლის ჯიბით ტარება უოვლად შეუძლებელი იყო, და იმავე მალაზიაში ერთ შილინგად და ოთხ პენსად გავყიდე. ამგვარად, ჩემი გაჭირვებით ნაშოვნნი თვრამეტი შილინგი და ოთხი პენსი წვრილმანებში შემომეხარჯა. გავყიდე ჩემი ლამაზი ჩიტისთვალეზიანი აბრეშუმის ყელსახვევიც. იმაში თვრამეტი პენსი მომცეს. სამი დღის შემდეგ კი შუა ქუჩაში ისევ ისეთი ღარიბ-ღატაკი ვიდექი, როგორც მაშინ, ფარნის ბოძს მიყუდებული, მდიდრული მალაზიის წინ სქელ ქალბატონს რომ ვუთვალთვალეზდი.

მოკლედ, ადვილი მისახვედრია, როგორ წავიდა ჩემი ცხოვრება. მხოლოდ პირველი ნაბიჯის გადადგმა იყო ძნელი და, რაკი ერთხელ გავბედე, მერე აღარ შევჩერებულვარ. ვცდილობდი, თავი დამერწმუნებინა, რომ უთვისტომო, უბედური ბავშვი ვიყავი, ყველას ვეზიზღებოდი, ყველა მე მღევენდა. ჰოდა, ამიტომ, შიმშილით სიკვდილისაგან თავი რომ გადამერჩინა, იძულებული ვიყავი, უპატიოსნო გზას დავდგომოდი. როცა მეორედ ვიჭურდე, მხოლოდ იმას ვნადვლობდი, რომ საფულეში ოთხი შილინგის მეტი არ აღმოჩნდა. მესამედ კი აღარც მასსოვს, რას ვფიქრობდი, მესამეს მეოთხე ქურდობა მოჰყვა, იმას კიდევ—მეხუთე და ასე შემდეგ.

თუმცა ქურდბატაკობით დიდხანს არ მიცხოვრია—ორ თვეზე მეტი არც კი არ მანსოვს, ამ ხნის განმავლობაში რამდენი მოვიპარე, ოღონდ ის ვიცი, რომ ძველი ტანსაცმლის ნაცვლად, რომელიც ილფორდის პოლიციაში მომცეს, საკმარად კარგი ტანსაცმელი ვიყიდე. თანაც სასადილო დუქანში კი აღარ ვიძინებდი, უეტფორდის ქუჩაზე დავბინავდი.

X X I

ჯორჯ ჰაჰკინსს ვეცნობი

ივლისის ერთ საღამოს ჩიპსაიდზე დავსეირნობდი. უკვე საკმარად კარგი კოსტიუმი მეცვა და ლონდონის მდიდრულ ქუჩებში თამამად შემეძლო გამოჩენა. სასეირნოდ გამოსული უდარდელი ბიჭვით აქეთ-იქით ვიყურებოდი, რომ ამ დროს წინდების მალაზია-

ში ერთი ჭენტლმენი შევამჩნიე, იგი რალაცას ყურადღებით ათვალიერებდა.

ეს იმ ჭენტლმენთაგანი გახლდათ, რომელთა წყალობით, ჭიბვირებს კარგი შეშოსავალი აქვთ. ისეთი მსუქანი კაცი იყო, რომ დაიხარა, სერთუკის კალთები ფართოდ გადაეხსნა და ჭიბე ძალზე მაცდურად გამოუჩნდა. ასეთი კარგი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. ჭიბე მოუუსინჯე. შიგ რალაც მაგარი, ოთხკუთხა საგანი ედო. ხელი ჩაეყავი და წამში ტყავის ლამაზი საფულე ამოვადვრინე. აქამდე პატარა ქისები, ჭიბეში უბრალოდ ჩაყრილი ან ქალაქში გახვეული ფული თუ მომიპარავს, ასეთი საფულე კი არასოდეს შემხვედრია. სიხარულისაგან აკანკალებულმა მეზობელ ქუჩაში შევეუსვიე და ფარნის შუქზე საფულე ფრთხილად გავხსენი. შიგ რამდენიმე დაკეცილი საბანკო ბილეთი და მთელი ბლუჩა ოქროს ფული გამოჩნდა. ანან იმდენად გამაოცა, თითქმის ხუთი წუთი ენაჩავარდნილივით ვიდექი, საფულეს კურტაკის კალთის ქვეშ ვმაღავდი და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, ამ დროს მხარზე ვილატამ ხელი დამადო.

— გაქცევა არ გაბედო, — მომესმა ვილატის ხმა, — ვერსად ვამექცევი! — არ ვიცი, ეს ადამიანი მიწიდან ამოძვრა თუ რა იყო! შეხედლო დამეფიცა, რომ ჩიპსაიდიდან არავინ ამდევნებია. უცნობის გამოჩენაზე თითქოს მეხი დამეცა. საფულე უცებ წყალსადენ არხში ვისროლე და შემოვბრუნდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ პოლიციელმა ან ჩემ მიერ გაძარცულმა ჭენტლმენმა დამიჭირა. მაგრამ შევცდი: საყელოში კარგად გამოწყობილ უცნობ ჭენტლმენს ჩაველო ხელი. თითზე ბრწყინვალე ბეჭედი ეკეთა. მან გადაგდებული საფულე აიღო და ჭიბეში ისე მშვიდად შეინახა, თითქოს მისი საკუთრება ყოფილიყო.

— მართალი უთქვამთ, სულელებს ბედი სწყალობთო, — თქვა მან. თანაც ხელს არ მიშვებდა და ბნელი ქუჩისკენ მიმათრევდა.

— მისმინეთ, ბატონო, — საცოდავი ხმით დავუწყე ახსნა შიშისაგან თავზარდაცემულმა. — მე ხომ ვიპოვე, მართალს გეუბნებით, ვიპოვე, მაგრამ არაფერში მჭირდება, თუ გნებავთ, აიღეთ, იქნებ თქვენ დაგეკარგათ...

— ჰო, იპოვე, რასაკვირველია, იპოვე! — დამცინავად ჩაილაპარაკა უცნობმა. — იქნებ საკუთარი ოფლით იპოვე! თქვი, ვისთვის მუშაობ? — მკითხა მან უკმეხად, როცა ნახევარი ქუჩა გავიარეთ.

„მგონი, რომელიღაც პატროსანი ხელოსანი ვგონივარ“, — გამიელვა თავში.

— მე ვმუშაობ... — ლულულულით ვუპასუხე, — მეკოლოფესთან, უაიტჩეპელის ახლოს.

— რას ტყუიხარ! — გაჯავრდა უცნობი. — ახლავე სიმართლე მითხარი! სიმონდსთან ცხოვრობ თუ ტომ მარტინსთან?

— მე არც სიმონდსი ვიცი და არც მარტინსი! — შეეყვირე ცოტათი გულმოცემულმა. — გამიშვით, საფულეც თქვენი იყოს, ოღონდ თავი დამანებეთ.

— იცოდე, კისერს მოგიგრებს, თუ არ მიპასუხი, — დამემუქრა უცნობი. — თქვი ახლავე, ვისთვის მუშაობ?

— არავისთვისაც არა, მე მხოლოდ საკუთარი თავისთვის ვმუშაობ!

უცნობმა კურტაკის საყელოს ხელი უშვა და რამდენიმე წუთს თვალბრუნებით მიყურებდა.

— ყური მიგდებ, ბიჭო, — ჩემკენ დაიხარა და თითქოს ჩურჩულით მითხრა, — ჩემი მოტყუება ადვილი არ გეგონოს. თქვი სიმართლე. თუ პატრონი გყავს, დიდი არაფერია, თუ არადა, ისიც მითხარი, იქნებ რამეში დაგეხმარო.

— თქვენ პოლიციელი ან გამოძიებელი ხომ არა ხართ? — ვკითხე მე.

— მე და პოლიციელი? — შეჰყვირა უცნობმა და ხმამაღლა გადაიხარხარა. — აი შე შტერო, შენა! ასეთი ჭკუის პატრონი ქურლობას აპირებ! დიდი ხანია, ამ საქმეს მოჰკიდებ ხელი?

— ორი თვეა.

— და არც ერთხელ არ ჩაეარდნილხარ?

— აოც ერთხელ.

— სასწაული ბედი გქონია! შენისთანა ყვეყნი აქამდე უნდა ჩავარდნილიყო. შენ პატრონი გვირდება, წამოდი ჩემთან.

ხმის კილოზე შევატყვე, რომ თვითონ აპირებდა ჩემს პატრონობას, რაც სულაც არ მსიამოვნებდა. მისი პოლიციელზე ნაკლებად როდი მეშინოდა.

— გმადლობთ, სერ, — ვუთხარი მე. — არ მინდა, რომ ვინმემ მიატრონოს.

— არ გინდა! — მძვინვარედ იყვირა მან. — სწორედ იმას გკითხებოან, რა გინდა და რა არა! აქამდე პატრონი არ გყავდა, ამის შემდეგ კი გეყოლება! გამომყევი! შინ რომ მივალთ, იქ მოგელაპარაკები.

იგი პოულტრის ქუჩაზე გავიდა. იქიდან ჯერ ერთ ჩიხში შეუხვია, მერე — მეორეში, მეორედან — მესამეში და იქამდე იარა ასე,

ვიდრე კეტის ქუჩაზე არ გავიდა. მართალია, ხელით არ მივყავდი, მაგრამ თავისი მტკიცე, მრისხანე საქციელით ისეთი შიში ჩამინერგა, რომ გაქცევა ფიქრადაც არ მომხვლია.

შუა ქუჩამდე რომ მივედი, ერთი სახლის კარზე დააკაკუნა. კარი კოსტად ჩაცმულმა ახალგაზრდა ქალმა გაგვიღო.

— ჯორჯ, არ მეგონა, თუ ასე ადრე დაბრუნდებოდი, — თქვა მან და უცნობს ალერსიანად აკოცა.

— სიუკი, მე შენ ახალი ბინადარი მოგიყვანე, — მიუგო მან და ჩემზე ანიშნა.

ეტყობოდა, ქალს ეს ამბავი დიდად არ ესიაშოვნა.

— ნუთუ არ მოგბეზრდნენ ეს მობინადრეები? — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა. — ალბათ იმაზე დიდხანს არც ეს იცხოვრებს ჩვენთან!

— რა თქმა უნდა, თუ ესეც რაიმე ოინბაზობას დამიპირებს! აბა, ჩაი მზადა გაქვს?

— მზად არის, წამოდი.

ჩვენ ავეჩით კარგად მოწყობილ ოთახში გავედით. ბუხრის ახლოს, მაგიდაზე, ჩაის ჭურჭელი იყო გაშლილი. ჯორჯი დივანზე მოწყვეტით დაეშვა, ხელები თავქვეშ ამოიღო და ერთხანს ჩუმად იწვა. ახალგაზრდა ქალმა ჩაი და ლორის ტაფამწვარი შემოიტანა. მე წინანდებურად მიყურებდა.

— ფეხებში ნუ მეტლანდებით, თუ არ გინდათ, რომ მდუღარე გადაგასხათ! — გაჭავრებით მითხრა მან, როცა ჩაიდანით ხელში ახლოს ჩამიარა.

— ჩაის დალევ? — ჰკითხა მას ჯორჯმა.

— არა, უკვე დავლიე.

— მაშინ მომწყდი თავიდან! — უხეშად უთხრა ჯორჯმა.

ქალი ოთახიდან გავიდა და გაგულსებულმა კარები მიიჭახუნა.

— შენ გინდა ჩაი? — ახლა მე მომიბრუნდა ჯორჯი.

— არა, გმადლობთ, სერ.

— მაშ, თან ჩაის დაველვ და თან გელაპარაკები, შენ კი იჯექ და მისმინე. საიდანა ხარ?

ეს კითხვა ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. რა მეთქვა, საიდან ვარ-მეთქი? კლერკენვილიდან, კემბერვილიდან თუ უენტ-ფორტის ქუჩიდან?

ჯორჯმა შემფოთება შემამჩნია.

— თუ არ გინდა, ნუ მეტყვი, ჩემთვის სულ ერთია. მე მხოლოდ მინდა გავიგო, გაქვს თუ არა საკუთარი სახლი, ან დედ-მამა თუ გყავს?

— მე სახლიდან გამოვიქეცი და იქ აღარასოდეს დავბრუნდები.
— რატომ?

— იმიტომ, რომ ცემით მომკლავენ.

— აა, თურმე რაში ყოფილა საქმე! მაშ, ძალიან კარგი, არც არის საჭირო, რომ მიხვიდე, შენ აქ იცხოვრებ.

— აქ ვიცხოვრებ?

— ჰო, მოწაფედ ავიყვან. საკუთარ მაგიდას და ოთახს მოგცემ, შენ კი, სამაგიეროდ, ჩემთვის უნდა იმუშაო.

— რა უნდა ვაკეთო?

— რა და, რასაც ეს ორი თვეა აკეთებ და რაზეც დღეს დაგიპირე. ვერ ვიტყვი, რომ ამ საქმეს მთლად დაუფლებული იყო, მაგრამ მე მაინც მომეწონე, ცოტაც რომ ისწავლო, შეიძლება კარგი ვინმე დადგე. აქამდე ბედი გწყალობდა, მაგრამ მარტო ბედ-იღბალს ვერ მიენდობი, გაწაფვაც საჭიროა. რა თქმა უნდა, შენ მე არ მიცნობ, მაგრამ რომელ პოლიციელსაც გინდა ჰკითხე: ვინ არის ჯორჯ ჰაკინსი-თქო, ყველა გიპასუხებს: „ოო, ქურდების ცნობილი აღმზრდელია, მას ვინ არ იცნობს!“ ჰოდა, აი, მე მინდა შენს აღზრდას მოვკიდო ხელი.

— მაღლობელი ვარ, სერ, — ჩავიბუტბუტე ჩემთვის, ვგრძნობდი, რომ რაღაცის თქმა იყო საჭირო. — ძალიან კეთილი ყოფილხართ, რაკი ჩემი დახმარება განგიზრახავთ.

— დახმარებო? მე მინდა, შენ ბედნიერი იყო, რომ ასობით ქუჩის ბიჭი შურით შემოგტყეოდეს! თუ ჩემთან დარჩები, ერთი თვის მერე შეგრცხვება კიდევ იმის მოგონება, რა მოუხერხებლად ამოცალე დღეს აი ეს! — მან ხელით თავისი ჭიბე მიჩვენა, სადაც ჭერ ისევ ედო ჩემი მოპარული საფულე.

— რა გქვია?

— ჯიმ სმიფ... — ჩემი ნამდვილი სახელის გამჟღავნებისა შემეშინდა და მინდოდა ის სახელი მეტყვა, რიპსტონმა და მოუღლიმ რომ დამარქვეს, მაგრამ პირველსავე მარცვალზე ენა დამება.

— ჯიმ სმიფ? — გაიმეორა ჩემმა ახალმა პატრონმა. — ძალიან კარგი! სიმაართლე თქვი, ჯიმ, მართალია, ბედი გწყალობდა, მაგრამ მუდამ ხომ მაინც არ გიმართლებდა? ერთ დღეს თუ გქონდა ფერიო, შემდეგ დღეს არაფერიო, ხომ? ჭიბეში მუდამ არ გიჩხრიალებდა ნახევარკრონიანები, ასე არ იყო?

— ბევრჯერ შილინგიც არ მქონდა, — მივუგე მე. — რომელი შილინგი! ხან ბევრი მქონდა, ხან სულ მშრალზე ვრჩებოდი!

— ეგ ჩვეულებრივი ამბავია. ყური დამიგდე, აი, რა მინდა შენთვის გავაქეთო: ჩვენს ხელოვნებას შეგასწავლი, მაძღრისად გაქმევ, მდიდარი ფრანტივითაც გამოგაწყობ და სახარჯო ფულსაც მოგცემ. მოგწონს?

— რა თქმა უნდა, მომწონს, — ვთქვი მე და თან ვგარძნობდი, მისტერ ჰაპკინისისადმი ზიზღი მიქრებოდა. — სამაგიეროდ, ჩემგან რას ითხოვთ?

— რასაც იშოვი, ყველაფერი მე უნდა მომიტანო.

— კარგი, თანახმა ვარ, — მიუუგე მე, თან სიამოვნებას ძლივს ვმალავდი და მეშინოდა, არ გადაეფიქრებინა.

— ჩინებულაია! ამ ერთ საქმეს მოვრჩით, ახლა მეორე: გაიგონე, რა თქვა შენზე მისის ჰაპკინსმა, ოთახში რომ შემოვედიო?

— იმაზე დიდხანს არც ეს იცხოვრებსო, არა?

— ჰო. აი, რა, ის წინანდელი მობინადრე შენზე ორიოდ წლით უფროსი იყო, თანაც საოცრად მოხერხებული ბიჭი! ჩემთან მხოლოდ ცხრა კვირას ცხოვრობდა. ახლა სამი თვით ციხეში ზის. რას იტყვი, როგორ გუნებაზე იქნება?

— ციხეში როგორ გუნებაზე უნდა იყოს? რაზე დაიჭირეს?

— იმიტომ, რომ მატყუარა იყო და გაცურება მომინდომა! ჩემთან ასეთი ბიჭები დიდხანს ვერ რჩებიან. ვინც პატიოსნად იქცევა, მისთვის არაფერს დავიშურებ, უექველად გამოვიხსნი, მაგრამ ვინც მოტყუებას გამიბედავს, მას უბოროტეს მტრად გადავექცევი. თუ თავისით არ ჩავარდა ციხეში, შევეცდები, ძალით დავაჭერიხო, გაიგე?

— რა თქმა უნდა, ყველაფერი გასაგებია.

— ჰოდა, ძალიან კარგი. მე და შენ ჭერჭერობით სხვა არაფერი გვაქვს სალაპარაკო. თუ გინდა, გაისეირნე, გინდა თეატრში წადი. ფული გაქვს?

— დიახ, სერ, — ოთხი პენსი.

— ცოტა ხურდა მეც მომეძებნება. აი, სამი შილინგი და ექვსი პენსი. ჭერჭერობით ძალიან ხელგაშლილად ნუ ვიცხოვრებთ, ვნახოთ, როგორ წავგივა საქმე. მშვიდობით, თერთმეტს ნუ გადააცილებ.

ქველ ამხანაგს ვხვდები

მისტერ ჰაპკინსმა სახლის კარები მოიხურა და ნება მომცა, სადაც მოქესურვებოდა, იქ წავსულიყავი. ჩემს სიცოცხლეში არ ჩავეარდნილვარ ასეთ უცნაურ მდგომარეობაში.

ვინ იყო ან რას წარმოადგენდა ეს ჰაპკინსი? ეტყობოდა, არ ხუმრობდა, თორემ თავის სახლს არ მიჩვენებდა, არც სახარჯო ფულს მომიცემდა და არც ასე გულახდილად დამიწყებდა ლაპარაკს. ჩემს ჭამა-სმასაც თვითონ კისრულობდა, ჩაცმა-დახურვასაც, გასართობ ფულსაც და ყველაფერ ამის სანაცვლოდ ჩემგან რას ითხოვდა? მხოლოდ იმას, რასაც ორი თვის მანძილზე ვაკეთებდი, ოღონდ ახლა უფრო მშვიდად ვიქნებოდი. მარცხი თუ მომივიდოდა, გამოხსნას მაირდებოდა. ეს პირობები, რასაკვირველია, ჩემთვის ყოველმხრივ ხელსაყრელი იყო. სანამ თავს კარგად ვიგრძნობ, მასთან ვიცხოვრებ, თუ შევამჩნიე ცუდად მექცევა, თავს მივანებებ და გავექცევი-მეთქი. რა სულელი ვინმე ყოფილა ეს მისტერ ჰაპკინსი! შუა ქუჩაში კინალამ ხმამაღლა გადავიხარხარე, ჩემი ახალი პატრონის უყაირათობა რომ წარმოვიდგინე.

არ ვიცოდი, სად წავსულიყავი. მან აკი მითხრა, თეატრში წადიო. პოდა, ძალიან კარგი, ავღებები და შორდიჩის თეატრში შევალ. იქ ჩემს საყვარელ ამხანაგებთან ერთად ხშირად დავიარებოდი ხოლმე. ლოკაში ერთ ადგილს ავიღებ. ფულის დაზოგვა აღარ მჭირდებოდა! ვიყიდე ორი ცალი სოსისი, ხუთი ფორთოხალი, ერთი კათხა ლუღიც დავაყოლე და თეატრისაკენ გავწიე.

შესასვლელთან ხალხი ირეოდა. თურმე იმ დღეს ახალ წარმოდგენას უჩვენებდნენ, საყვარელი მსახიობის ბენეფისი ყოფილიყო და უამრავ ხალხს მოეყარა თავი. შუაგულ ბრბოში მოვეყევი. ყოველი მხრიდან ხალხი მაწებოდა და ხელს მკრავდა. ვილაც ბიჭი იდაყვებით ისე გულმოდგინედ „მუშაობდა“, რომ სოსისებიანი ჯიბე ლამის ზედ მიმაქყლიტა. ოღნავ ხელი წაუკარი და ვთხოვე, სოსიებს ნუ დამიქყლევტ-მეთქი.

— დიდი რაშეა ეგ შენი სოსისები, შინ ვერ დაჭეპი და ვერა ჭამე? — მომიგო მან.

ეს ბიჭი ჩემ წინ იდგა და ისე მითხრა, ჩემკენ თავიც არ მოუბრუნებია, მაგრამ ხმაზე მაშინვე ვიცანი.

— რიპსტონ, ნუთუ ეს შენ ხარ? — შევძახე მე.

—სმიტფილდ! აი, შეხვედრაც ამას ჰქვია! — შეჰყვირა ჩემმა ძველმა მეგობარმა. ხალხის უკმაყოფილებისათვის ყურადღება არ მოუქცევია, ჩემკენ შემობრუნდა და ხელი გამომიწოდა. ამ მოძრაობამ თეატრის კარებს მოგვაშორა. ისეთ ჰყლტევასა და ჭგლეთაში მოვყვებით, რომ შევეცადეთ, მოზღვაებულ ხალხს რაც შეიძლება მალე გავცლოდით.

შესასვლელთან დაკიდულ დიდი ლამპის შუქზე ვათვალიერებდით ერთმანეთს.

— აი, შეხვედრაც ამას ჰქვია! — შესძახა რიპსტონმა და გახარებულიმა გულში ისე ჩამიკრა, კინალამ დამახრჩო. — მე კი ვფიქრობდი, ალბათ დიდი ხანია მოკვდა-მეთქი. ის კი არადა, ნახევარი თავითაც გაზრდილხარ. თანაც როგორი ფრანტი გამხდარხარ! გეტყობა, მას შემდეგ, რაც თალებქვეშ ერთად ვცხოვრობდით, ძალიან გაგიმართლა, არა?

ფრანტობას ძალიან ბევრი მაკლდა, მაგრამ რიგიანი ტანსაცმელი კი მეცვა. რასაკვირველია, იმ ტანსაცმელთან შედარებით, ციებ-ცხელებით ავადმყოფობის დროს რომ ჩამაცვეს, მდიდრული ჩანდა. რიპსტონზე არავინ იტყოდა, ფრანტიყო. მას ერთი ნაქსოვი კურტაკი და შარვალი ეცვა, თანაც საშინლად დალაქავებული. სახეზეც სისუფთავისა არაფერი ემჩნეოდა, მისმა ხელებმა ხომ სულ მთლად გამაოცა. როგორც ყოველთვის, ხელები ახლაც ჰუჭყიანი ჰქონდა, მაგრამ კოჭრებიც გასჩენოდა, რაც აქამდე არასოდეს შემიმჩნევია, როდესაც ეს კოჭრებიანი ხელი კოპწია შავი კოსტიუმის საყელოზე შემეხო. რაღაც უცნაური აღელვება ვიგრძენი.

— რა იყო, სმიფ? ნუთუ ჩემი ნახვა არ გაგიხარდა? — მკითხა რიპსტონმა, შეკრთომა რომ შემატყო. რამდენიმე წამს დაჟინებით მიყურა. — აჰა, მესმის! — შესძახა მან. — სმიფ, გეტყობა, პატიოსანი გამხდარხარ, ნაცნობობაც აღარ გინდა! ნუთუ არ იცი, რომ მეც შევიცვალე?

მისმა ნათქვამმა არათუ დამამშვიდა, პირიქით, ძველ მეგობართან შეხვედრა სანანებლადაც გამიხდა.

— ესე იგი, რაო, როგორ შეიცვალე, რიპსტონ? — ვკითხე მე.

— როგორ და, სისულელეებს თავი დავანებე. ეგ რა სიცოცხლეა — დღე და ღამე კუნჭულებში იმალები, ყველა დარაჯისა და ვაქრუკანასი გეშინია. მე აქ ერთ ფაბრიკაში მომუშავე ბიჭს შევხვდი, იმან დამიყოლია და სმიტფილდში, ბეკერის ფაბრიკაში მომაწყო. რა თქმა უნდა, ადვილი სამუშაო არ არის, მაგრამ აღარ ვიმალები მაინც. კვირაში თვრამეტ პენსს ვიღებ. მუშათა ყაზარმაში ვცხოვრობ და, რაც მთავარია, კარგი ამხანაგები მყვანან.

— მოუღლიზე რა იცი? — ვკითხე ფარული იმედით, იქნებ ის მაინც დადგა ნამდვილი ყალბაბანდი-მეთქი.

— მოუღლი მოკვდა, — მოკლედ მიპასუხა რიპსტონმა.

— მოკვდა?

— ჰო, ზამთარში მოკვდა. თეატრში შეხვლა ვიჩქაროთ, თორემ ქანღარაზე ადგილს ვეღარ ვიშოგით.

რიპსტონს განუცხადე, რომ ლოჯაში მივდიოდი, და დავიყო-ლიე, ისიც ჩემთან წამოსულიყო. შენი ადგილის ფულს მე გადავიხდი, ჯიბეში შილინგზე მეტი მიდევს-მეთქი. შემრცხვა მეღიარებინა, რომ დაახლოებით სამ შილინგამდე ფული მქონდა.

— ეს რა მდიდარი ყოფილხარ, — გეტყობა, ჩგნზე უკეთესი ადგილი გაქვს. ალბათ რომელიმე მანუფაქტურული საქონლის მაღაზიაში მუშაობ.

— ჰო, სწორედ ასეა, გამოიტანი, — მივეუგე მე იმით გახარებულმა, რომ საქმიანობა თვითონვე გამომიძევნა.

— ვინ იცის, რამდენი ხანია ამ ფულს აგროვებ, დღეს კი გადაწყვიტე მოილხინო? — მკითხა რიპსტონმა.

— გამოცნობაში მუდამ მარჯვე იყავი, — ვუთხარი, რომ პირდაპირი პასუხისაგან თავი ამერიდებინა. — წავიდეთ, თორემ ლოჯაში ადგილი აღარ იქნება.

ლოჯაში ძალიან მოხერხებულად დავსხედით, ჩვენ გარდა აქ კიდევ სამი კაცი იჯდა. რიპსტონს სოსისი და ფორთოხალი შევთავაზე და, ვიდრე შეექცეოდა, ვკითხე: მოუღლის რა დაემართა-მეთქი.

— უბედურება შეემთხვა. გახსოვს, მდინარის სანაპიროზე რომ ფარდული იყო? იმისი სახურავიდან ჩამოვარდა.

— როგორ არ მახსოვს!

— მაშ, ისიც გეხსოვება, — ჩემკენ გადმოიხარა და თითქმის ჩურჩულით განაგრძო რიპსტონმა: — შენ რომ ციებ-ცხელებით გაგვიხდი ავად, ჩვენი საქმეები მაშინ ძალიან ცუდად მიდიოდა. ის ფურგონი, რომელშიც ჩვენ ვიძინებდით, თაღებქვეშ აღარ მოჰყავდათ. სხვა ფურგონებზე კი ჩვენ არ გვიშვებდნენ. ყველას იმის შიში ჰქონდა, რომ ციებას გადავდებდით. რა გვექნა, ტალახიან, შიმშელ ქვებზე ვიძინებდით. ქუჩაშიც არ გვიმართლებდა ბედი. ვაქრები და დამტარებლები გვერეკებოდნენ, პოლიცია გვითვალთვალებდა, არც არაფერი სამუშაო გამოჩნდა. რაიმეს მოპარვაზე ფიქრი კი, მანამდე რომ ვახერხებდით, ზედმეტი იყო. ამას ცუდი ამინდები მოჰყვა და საშინელ დღეში ჩავცვივდით! არ ვიცი, შობამდე დარჩენილი ის ორი თვე როგორ გავძეველეთ. დღესასწაულებზე ხომ

ყველა რაღაც უკეთესს მოელის, ჩვენ კი, აბა, რისი იმედი უნდა გვექონოდა? მოუღლიმ სულ მთლად დაკარგა სალისი. ხელ-ფეხი მოეყინა, იჭდა და გაუთავებლად კენესოდა, გული გააწვრილა. თაღებქვეშ შობა დღეს მხიარულებით ხედებიან ხოლმე. ამ დღეს, ვისაც რამდენი შეუძლია, იმდენ ფულსა დებს. ცეცხლს აჩაღებენ, რაიმე ცხელ სასმელს დალევენ, თან აბოლებენ და ნაირ-ნაირ სიმღერებს მღერიან. შარშან ჩვენც დავდეთ ფული, წელს კი მისაცემი არაფერი გვექონდა, ბნელ კუთხეში მიკუნჭულები სიცივისა და შიმშილისაგან ვკანკალებდით და შორიდან ვუყურებდით, როგორ ქეიფობდნენ და უმასპინძლებოდნენ ერთმანეთს დანარჩენები. ამან მოუღლი მთლად გააგიჟა. საწყალს ჭამა ყოველთვის უყვარდა, მაშინ კი დილის მერე პირში ნამცეცი არ ჩასვლოდა, „დაიცა, რიპ, — მითხრა მან. — ჩვენს ქუჩაზეც იქნება ზეიმი! მეყო ამდენი ტანჯვა, მეტი აღარ მინდა. როცა ბედნიერება ნებით არ მოდის, ძალით უნდა მოიყვანო!“ მეგონა, ამას ბრაზი ალაპარაკებდა. ფიქრადაც არ მომსვლია, თუ რაიმე სერიოზულს აპირებდა. დასაძინებლად მივწევი. მისთვის არაფერი მიკითხავს. მეორე დილით გამომეღვიძა და ვხედავ — მოუღლი არსად არის. გავოცდი: ჩემს უთქმელად ნაბიჯს არ დგამდა. ყველა ნაცნობთან მოვიკითხე. მაგრამ მისი მნახველი არავინ აღმოჩნდა. მაშინ ბაზარში წავედი, მაგრამ მოუღლი ვერც იქ ვნახე. ათი საათი იქნებოდა, როცა უკან მოვბრუნდი. კიბეებზე რომ ჩავდიოდი, ერთმა ბიჭმა მკითხა: „რა ქენი, ინახულე, როგორ არის?“ გული შემეკუმშა. ვისზე მეკითხები-მეთქი. „შენს მეგობარ მოუღლიზე გეუბნები. ის ხომ საავადმყოფოში დააწვინეს, განა არ იცი, სანაპიროზე რომ ფარდულია, ტყვიის ჩამოსატანად იმის სახურავზე ამძვრალა, საწვიმარი მილით ეშვებოდა ძირს და ჩამოვარდნილა. ფეხები და ნეკნები დამტვრეული აქვს, დილაღე ვერც გააღწევს...“

რიპსტონი ამბის მოყოლამ ისე გაიტაცა, რომ არც შეუმჩნევია, როგორ აიხადა ფარდა და დაიწყო წარმოდგენა. პროგრამის პირველი ნომერი ბალეტი იყო, რომლის დიდი მოყვარული ჩემი მეგობარი არ ვახლდათ. მან კრებლები მოიწმინდა და ისევ განაგრძო.

— რა ღქმა უნდა, მაშინვე საავადმყოფოში წავედი, მეკარეს ვუთხარი, მე მოუღლის ძმა ვარ-მეთქი. მან გამიშვა და დამარიგა, მოწყალეების დის, მელის პალატა იკითხეო. მეც ვიკითხე. გამოვიდა მოწყალეების და მელი. „თქვენ რიპსტონი ხომ არა ხართ? მოუღლი სულ თქვენ გეძახით. საბრალოს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენიაო“. მან იმ ოთახში შემეყვანა, სადაც მოუღლი იწვა. ვხედავ, დაუბანიათ, სუფთა ტანისამოსი ჩაუტმევიათ. წევს გაფით-

რებული. თვალეზი დიდი ცისფერი გახდომია. აქამდე არც შემომჩინებია, რომ მოუღღის ცისფერი თვალეზი ჰქონდა. როგორც კი დამინახა, მაშინვე ხელი გამომიწოდა. „როგორ მიხარია, რომ მოხვედო, რიბ, ვფიქრობდი, ალბათ ისე ზოვეკლები, ვერ ვნახავ-მეთქი!“ ვერაფერი ვუთხარი, ყულში რალაც ბურთივით მომებჭინა და სიტყვა აღარ მათქმევინა. მოუღღი მიანც არ მიშვებდა ხელს. ერთბაშად მაგრად ჰომიჭირა ხელი, შემომხედა, თავი დამიქნია და მოკედა.

რიპსტონს ცრემლებმა ლაპარაკი შეაწყვეტინა. მე დასამშვიდებლად ხელში დიდი ფორთოხალი ჩავუდე. ერთხანს ანგარიშშიცემლად წუწნიდა, მერე კი ისევ განაგრძო:

— მოუღღის სიკვდილმა იმდენად დამწყვიტა გული, რომ მე სხვა აღამიანად ვიქეცი. მტკიცედ გადაწყვიტე, სხვაგვარად მეცხოვრა, მხოლოდ არ ვიცოდი, როგორ ან რით დამეწყო: თითქოს განზრახ, მეზობელ საწოლზე ხალათიანი ბიჭი დავინახე. ეტყობა, გამოქანმრთელემა დაეწყო, — მხიარული გამომეტყველება ჰქონდა. „შენ, ძმაო, თავი რას ჩაგიკიდა, რას იზამ, ყველას იქ წასვლა გველისო“. — მითხრა მან. პირველად თითქოს მეწყინა, მაგრამ შევბატყვე, სიბთროტით არ მეუბნებოდა, და გამოველაპარაკე. მან მიამბო, რომ ფაბრიკაში მუშაობდა, იქ ურიკაში ფეხი მოჰყოლია, მაგრამ ამჟერად იოლად გადარჩენილა, ნაიარევი შეხორცებოდა. ეს ბიჭი მომეწონა და დავმეგობრდით. თალებქვეშ მარტო მისვლა აღარ მეწადა. მე ყველაფერი ვუამბე. იმან კი მითხრა: იცოდე, ციხე არ აცდება, ჩვენთან მოდი სამუშაოდ, მე მოვაწყობო. ჰოდა, მართლაც მომაწყო. აი ეს არის ჩემი თავგადასავალი. ერთხელ როგორმე შეპოიარე ჩვენთან, ნახე, როგორ ვცხოვრობთ. რა თქმა უნდა, ლამაზად არა ვართ, სამაგიეროდ, კარგი ბიჭები არიან. ახლა შენი ამბავი მომიყვი. გეტყობა, ჩემზე უკეთ წავივიდა საქმე! მე დამავიწყდა კიდეც, ერთ დროს ქურდი რომ ვიყავი. შენა?

გამბედაობა არ მეყო, მის შეკითხვაზე პასუხი მიმეცა, და თანხმობის ნიშნად მარტოდენ თავი დავუქნიე.

— შენი გამოსწორება უფრო ადვილი იყო, ვიდრე ჩემი და მოუღღისა. შენ ჟერ შეჩვეული არც იყავი ქურდობას, — მითხრა მან. — მახსენდება, მე და მოუღღის როგორ გვეცინებოდა შენზე, როცა რაიმეს მოპარვას ცდილობდი. სმიფ, შენ ნამდვილი ქურდი არასოდეს ყოფილხარ. ვერასოდეს ვერ ბედავდი. ჩემი აზრით. მე და მოუღღი რომ არა, შენ არასოდეს არ იქურდებდი.

— შესაძლებელია, — ჩავილაპარაკე მე.

— ალბათ ახლა გსიამოვნებს კიდეც, რომ ჩვენნაირი ქურდბაცაცა არ იყავი.

— ჰო, რა თქმა უნდა, მსიაშოვნებს. შეხედე, რიპ, რა საუცხოოდ ცეკვავენ!

— მშვენიერად ცეკვავენ. მე კიდევ იმას ვფიქრობ, რა კარგია, ორთავე გამოცვლილები რომ შევხვდით ერთმანეთს. მარტო ერთი ჩვენგანი რომ გამოცვლილიყო, ასე მხიარულად არც ვიქნებოდით. აი, ზე რომ ძველებურად მეცხოვრა, შენ კი პატიოსანი გამხდარიყავი, მაშინ ალბათ ჩემთან ლაპარაკსაც არ ისურვებდი! ანდა რაიმე რომ გეკითხა, ნეტავ რა პასუხს გაგცემდი? მე მგონი, დაგიმალავდი, რომ ისევ ვქურდობ, ან სიმართლეს გეტყვოდი და თან სასაცილოდ აგაგღებდი — ეს როგორი ფრანტი და გაბღენძილი ვინმე გამხდარხარ-მეთქი.

ჩემს სიცოცხლეში რიპსტონი ასეთი გულახდილი და ლაპარაკს მოწყობილი არ მენახა. თითოეული მისი სიტყვა გულში დანასავით მხვდებოდა. ამ უკანასკნელ დროს ჩემი სინდისი დაღუემებული იყო და რიპსტონმა ხელახლა გამოაცოცხლა. მასთან და მოუღლისთან სულ სხვაგვარი ნაცნობობა მქონდა, რაც ადვილი შესაძლებელი იყო მეგობრობაში გადაზრდილიყო. მოუღლის სიკვდილის ამბავმა ძალიან ამაღელვა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ რიპი, ჩემი ძველი მეგობარი რიპი, მოუღლიზე ვაცილებით მეტად რომ მიყვარდა, პატიოსანი გახდა, ლაპარაკობდა ისე, როგორც პატიოსანი ბიჭები ლაპარაკობენ და არ იცოდა, რომ ჭრილობას მიღიზიანებდა. ისეთ სირცხვილსა და სინანულს ვგრძნობდი, მერჩია მიწა გამსკდომოდა. მეშინოდა, რიპსტონს ჩემი შეშფოთება არ შეემჩნია, და ეს უფრო მეტად მაწუხებდა. ჩემი შიში არცთუ მთლად უსაფუძვლო გამოდგა. როცა წარმოიდგინა, როგორ შევხვდებოდით ერთმანეთს, თვითონ რომ ისევ ქურდი ყოფილიყო და მე პატიოსანი, ძალიან გამხიარულდა. გვერდებში სულ მუჭლუგუნებს მირტყამდა და თან სიცალით მეკითხებოდა, შენ კი არ გეცინებაო? მაგრამ მე ხრულებით არ მეცინებოდა. სიცილი კი არა, გაღიმებასაც ვერ ვახერხებდი. წარბმეკრული და პირმოკუმული მხოლოდ ერთ წერტილს მიეჩერებოდა. უცებ რიპსტონი გაჩუმდა.

— რა დაგეშართა, სმიფ? — ჩამეკითხა და მკლავში წამავლო ხელი. — შენ, გეტყობა, რაღაც გაწუხებს, მართლა მაღაზიაში მუშაობ?

ამ დროს ფარდა აიხსადა და ახალი პიესა დაიწყო, ამან საშუალება მომცა, რიპის კითხვა უპასუხოდ დამეტოვებინა. აღელვება რომ დამეფარა, დანარჩენ მაყურებლებთან ერთად ტაშისცემა და „ბრაუოს“ ძახილი მოვრთე.

პიესა ძალიან ამაღელვებელი და საინტერესო იყო. მასში ერთი უბედური ადამიანის ცხოვრებას გადმოსცემდნენ. პირველ მოქმე-

დებამი მთავარი მოქმედი გმირი სულ პაწაწინა ბავშვი იყო, დედას ხელთ დაჰყავდა. მამამისე — ბოროტი, საძაგელი ლოთი კაცი ცოლს წამდაუწუმ ფულს სთხოვდა და როცა უარს ეტყოდა, სცემდა.

— სმეფ, თქვენს სახლშიც ასე არ ხდებოდა? — პირველი მოქმედების შერე მომიბრუნდა რიპსტონი. — გახსოვს, რომ მომიყევი, მამაშენი დედას როგორ სცემდა?

— მახსოვს, — მივუგე მე და საბრალო დედაჩემი მაშინვე თვალწინ დამიღვა.

— ებ. კარგია დედა, სმიფ, — განაგრძობდა რიპსტონი. — ახლა, როცა გამოსწორდი, ალბათ ძალიან გწყდება გული, რომ ნამდვილი დედა არა ჯყავს. რა კარგი იყო, როცა ჩემს მოხუც დედილოსთან დავბრუნდე. მომეხვია და ისე ძლიერ ჩამიკრა გულში, მეგონა, დამახრჩობდა. სახარულისაგან ლამის გადაირია, რკ, რომ იცოდე, რას ვგრძნობდი მაშინ, სმიფ!

თვალეზზე ცრემლი მომადგა, მიწოდდა რიპსტონის ყველაფერში გამოვტყდომოდი, მაგრამ სირცხვილი მაკაეებდა. ამ წუთებში მთელი გულით მძაგდა ჰაბკინსი და მასთან დაბრუნება აღარ მიწოდდა.

ზეორე მოქმედებაში ფრენკი — ასე ერქვა პატარა ბიჭს, — უკვე ღიდი ბიჭი იყო. დედა მოუკვდა, ფულიც არა ჰქონდა, რომ კუბო ეყიდა, და ქურდობა დაიწყო. ამის შერე დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს.

მესამე მოქმედებაში უკვე ციხიდან გამოდის და ქურდებთან და ბანდიტებთან ერთად ქეიფობს. მათ ლუდის ფული არა აქვთ და იგი ისევ იჭურდებს. კვლავ ციხეში სვაშენ და ფეხებზე რკინის ბორცვლებს ადებენ.

მეოთხე მოქმედებაში სხვა გადასახლებულებთან ერთად კატორღაში ამუშავებენ.

მეხუთე მოქმედებაში ფრენკი სასჯელმთავრად და სამუშაოს ეწეშს, რათა პატიოსანი შრომით იცხოვროს, მაგრამ ვერ შოულობს. იგი ერთ თავის ნაცნობ კატორღელს გადაეყრება და ცუდ საქმეში აპყვება.

მეექვსე მოქმედებაში იგი კატორღელებთან ერთად კანტორაში შეიპარება, დარაჯს მოკლავს და ფულს გარტაცებს. პოლიცია ნაუხსწრებს. კატორღელები თავს გაქცევით შველიან. ფრენკს ისევ ციხეში სვამენ.

მეშვიდე მოქმედებაში ბორკილებგაყრილი ფრენკი ციხეში ზის. იგი თავის საქციელს ნანობს და საშინლად იტანჯება. სიზმარში დე-

დას ხედავს. ოგი ამშვილებს და ამხნევებს მას. ფრენკი ტირის და დამშვიდებული ეგებება სიკვდილს. ამ დროს სცენაზე იშლება ქალაქის გრაფიკი, რომელზედაც წერია: „დედის სიყვარულმა საზღვარი არ იცის“.

XXIII

განოსწორების სურვილი მალე მიქრება

მაყვრებლები პიესას მქუხარე ტაშით შეხვდნენ. მან ჩემზე ისე ძალიან იმოქმედა, რომ რიპსტონისთვის ველარ შემეხედა, მეშინოდა, თვალეზე მომდგარი ცრემლი არ შეემჩნია.

— რა დიდებული პიესაა, არა, სმფ! — მითხრა მან თვატრიდან გამოსვლისას, ხალხის ტალღას რომ მივყვებოდით. — რა კარგად არის ნაჩვენები, რომ ადამიანი ერთბაშად, ერთ მშენიერ დღეს კი არ ხდება არამზადა, არამედ დღითიდღე, ცოტოტოობით... „დედის სიყვარულმა საზღვარი არ იცის“. ეს მგონი, იმას ნიშნავს, რომ დედას ყველაფრის პატიება შეუძლია. საკმარისია გაიხსენო და გული მაშინვე შევბას გრძობს, შენც უკეთესი ხლები.

— მეც ასე ვფექრობ.

— დედინაცვალზე კი არაფერი უთქვამთ, სმიფ. შენი დედინაცვალი სიზმარში კიდევ რომ გენახა, არა მგონია, დაემშვიდებინე.

ვცდილობდი, იმის ნათქვამზე გამეცინა, მაგრამ გალიმებაც ვერ მოვახერხე.

— რა მოგივიდა, სმიფ, რატომ ტირი?! — წამოიყვირა უცებ რიპსტონმა.

ამ დროს ქუჩაში გავცდი.

— კარგი, გაჩერდი, — მამშვიდებდა ამხანაგი. — თუ ახეთი სუსტი ხარ, ამალეღვებელი პიესების სანახავად არც უნდა წამოხვიდე. ცხვირსახოცი არა გაქვს? აჰა, ჩემი ცხვირსახოცი.

და მან რაღაც კუჭყიანი ჩვარი მომაწოდა.

— ოჰ. რიპ!

— კარგი, გეყოფა, გაჩუმდი! შენ ალბოი, ავად ხარ! დამშვიდდი, ხედავ, უკვე ათი საათია, დროა შინ წავიდე! მე შორს ვარ წასასვლელი. შენ, შენ სად ცხოვრობ? შინ რომელ საათზე ჯნდა იყო?

სად არის შენი პატრონის დუქანი? — ისეთი აღელვებული ხმით მკითხა, თითქოს ეკვმა გაჰკრაო.

— მე დუქანში არა ვცხოვრობ, — პირი ყურთან ახლოს მიეფრტანე და სლუკუნით ვუთხარი: — მე პატრონი არა მყავს.

— პატრონი არა გყავს? მაშ რით ცხოვრობ? სად მუშაობ?

— არსად. ჩვენს ძველ საქმეს მუშაობა ხომ არ ჰქვია?

— წინანდელ საქმესო?! — გაკვირვებით შეჰყვირა რიბმა. — ნუთუ შენ მართლა არ გამოიცვალე, სმიფ? ეს დაუჭვრებელია!

— ჰო, გამოვიცვალე, — ქვითინით მიუღუგე მე. — ოღონდ უფრო ცუდი გავხდო, სწორედ ისე მომივიდა, როგორც იმ პიესაშია.

რიპსტონი ერთხანს ჩაფიქრებული იდგა და გაოცებული მიყურებდა. შერე თავი გაიქნია. ასე იცოდა ყოველთვის, როცა რამე გადაწყვეტილებას იღებდა.

— ამიტომ ტირი, სმიფ? — მკითხა მან.

— ჰო, ამიტომ.

— ესე იგი, გინდა, რომ გამოსწორდე?

— რატომაც არა! ძალიან მინდა! სიამოვნებით გავხდებოდი პატროსანი, ოღონდ არ ვიცი, როგორ მოვიქცე. აი, შენ რომ დამეხმარებოდე!

— რით შემიძლია დაგეხმარო?

— არ ვიცი, აი, მეც რომ იქ მამიყვანდე, სადაც შენ მუშაობ...

— ეგ სულაც არ მომგონებია! — გზნებით შეჰყვირა რიპსტონმა. — ვცდი, ოსტატს მოველაპარაკები. ჩქარა წავიდეთ, თორემ კარებს ჩაეეტავენ.

მტკიცედ გადაწყვიტე, რიპსტონისთვის დამეჭვრებინა, და ჩქარი ნაბიჯებით გავუყევით ქუჩას. მაგრამ ის იყო რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით, რომ ჩვენს წინ ჯორჯ პაპკინსი გაჩნდა. იგი ფარნის ბოძს მიჰყუდებოდა. ახლოს რომ ჩავუარეთ, მან გულთბილად დამადლო მხარზე ხელი, მაგრამ ვიგრძენი, რომ მაგრად ვყავდი ჩაბღუჯული.

— აი, თურმე სადა ყოფილხარ, — აღერსიანად მისაყვედურა მან. — რა ცუდი ბიჭი ხარ, გაუგონარი. არც კი გრცხვენია, რომ ასეთ უხამს ადგილებში დადიხარ, როცა კარგად იცი, შენც კეთილი დეიდა ამას ვერ იტანს! ნუთუ უხეირო ნაცნობებთან სიარულს თავს აღარ დაანებებ? შენ ეი ბიჭო, — მიუბრუნდა იგი რიპსტონს, — მის გზიდან აცდენას თუ კიდევ შეეცდები, პოლიციაში წაგიყვან. მოწყდი აქედან!

პაპკინსის მოულოდნელი გამოჩენით თავზარდაცემულს სიტყვის თქმაც ვერ მომეხერხებინა. რიპსტონი, ეტყობა, მისმა მდიდრულმა

ჩაცმულობამ ისე გააკვირვა, თვალბდაჭყეტილი ხან მე შემომხე-
დავდა, ხან — მას.

— ჰო, თუ ჩემთან წამოსვლა არ გინდა, სმიფ, — დაილაპარაკა
მან ბოლოს, — მშვიდობით ბრძანდებოდე!

— მშვიდობით, რიპ! შეიძლება ისევ მალე შეეხვდეთ ერთმან-
ნეთს.

რიპსტონი წავიდა, მაგრამ შევამჩნიე, რამდენიმეჯერ უკან მო-
იხუდა. ისევ გაკვირვებული მიყურებდა.

— ეინ იყო ის არამზადა? — მკითხა ჯორჯმა ისე, რომ მხრადან
ხელს არ აუღია, კეტის ქუჩისკენ მივყავდი.

— ის არამზადა არ არის, პატოსანი ბიჭია! — მივუგე მე.

— ჰო, პატოსანი ბიჭია, მაშ შენისთანა ქურდბაცაცებთან რა
ეხაქმება? — დამცინავად მითხრა მისტერ ჰაპკინსმა. — ან შენ პა-
ტოსან ბიჭებთან ნაცნობობა რაში გკირდება? შენ მხოლოდ შენი
საქმე უნდა ეახსოვდეს და არ დაივიწყო, რომ ჩემთვის მუშაობ.

ისე ვიყავი შემცბარი, ვერაფერი ვუპასუხე. მან ხელი გამიშვა.
ახლა შემეძლო გავტყუულიყავი და რიპსტონს დაეწეოდი, მაგრამ
საამისოდ ძალ-ღონე არ მყოფნიდა. ჯორჯ ჰაპკინსი ისეთ უჩვეულო
შიშს მგვრიდა, რომ ვერ ვბედავდი თუნდაც ერთი ნაბიჯით ჩამოვრ-
ჩენოდი უკან.

— მე რომ შეგხვდი, იმ პატოსან ბიჭს რაზე ელაპარაკებოდი? —
მკითხა მან.

— უწინდელ ცხოვრებაზე, — მივუგე მე.

— მაშინდელზე, როცა პატოსანი ბიჭი იყავი?

— არა, როცა იგი იყო უპატოსნო.

— ჰოო, ესე იგი, ყოველთვის პატოსანი არა ყოფილა? მაშ რას
აკვთებდა?

ვგრძნობდი, სისულელეს ვჩადიოდი, ჩემი ძველი მეგობრის საი-
ღუძლოს რომ ვამხელდი, მაგრამ პატრონისათვის წინააღმდეგობის
ჩაწევა ვერ გამებედა.

— მე და ის ბიჭი კოვენტგარდენის ბაზარში ერთად ვქურდობ-
დით და თაღებქვეშაც ერთად ვცხოვრობდით. — მივუგე მე.

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! ახლა სადღა ცხოვრობს? რას
აკეთებს?

— მუშაობს.

— მუშაობს? საწყალი ბაჭშვი, ალბათ რაიმე მძიმე, კუჭყიან საქ-
მეს აკვთებსს რამდენს იღებს?

— კვირაში თვრამეტ პენსს.

— და ამისთვის მთელი დღეები ცხენით უნდა იმუშაოს: ორშაბათს დილაუთენია რომ დაიწყებს, შაბათ საღამოს გვიანობამდე ტალახში იართს? იცი, მერე მთელი წლის მუშაობაში რამდენს მისცემენ? სამ გირვანქასა და თერამეტ შილანგს.

— მერე რა, ეს ცოტა სულაც არ არის.

— მთელი წელი ამ ფასად მუშაობა?! დღეს შენ რომ სათუღლე იშოვე, იცი, იმაში რამდენი ფული იყო? ოცდაშვიდი გირვანქა! იმდენი, რამდენსაც იგი შვიდი წლის მანძილზე გამოიმუშავებს. ნეტავი რას იტყოდა, რომ სცოდნოდა, შენ რომ? რაღაც ერთ წუთში ხელის გაუქუქუკიანებლად შეგიძლია იმდენი იშოვო, რამდენიც მან შვიდ წელიწადში! მე მჯონი, თავისი ცხოვრება ძალიან უბადრუკად მოეჩვენებოდა!

— შეგიძლება ისიც ეთქვა. შირჩენია ცოტა ავიღო და შიში არაფრისა მქონდესო, — გაუბედავი ხმით ეთქვი მე.

— ჰო, რასაკვირველია, მკვახე იყო ის უბრძენი და მომპირიდა კბილებსაო! ეს იგავი არ გაგიგონია, ჯიმ? ასე თქვა ერთმა მელიამ, როცა მწიფე ყურძენს ვერ შესწვდა. არ მინდა, ჯიმ, შენ საკუთარ თავზე ბევრს ოცნებობდე, მაგრამ უნდა იცოდე, რომ ნიჭისა და მოხერხების გარეშე იმის გაკეთება, რაც შენ დღეს მოახერხე, შეუძლებელია. იმ საბრალო ბიჭს კი, ცტყობა, მეტი მოხერხება არა აქვს, სხვებს კი ჰკუას ასწავლის. შენც ხომ გარიგებდა ჰკუას?

— არ ვიცი, როგორ გითხრათ. თავის გამოსწორებაზე და კიდევ სხვა რამეებზე მიყვებოდა.

— ჰო, ალბათ, ახლა რომ კარგად ცხოვრობს და წინანდელი ცხოვრების მოგონებაც შიშსა ჰგვრის, არა? ცნობილ ამბავია. შენ რაღა უთხარი?

— რაზე მეკითხებით?

— ჩემზე.

— არაფერი!

— რაო?!

ამასობაში ქალაქის უდაბურ, უკაცრიელ უბანში მივედი. მისტერ ჰაკინსმა „რაო“ რომ შესძახა, უცებ ჩემკენ შემობრუნდა და იხე შემომხედა, თითქოს უკვირდა, რომ ზებედავი და მისთვის კარგად ცნობილ რამეს უარყოფდი. მაგრამ ახლა თვალეში თამაზად შევხედე და გავიმეორე:

— თქვენზე სიტყვაც არ შითქვამს.

უცებ გადაიხარხარა.

— ეგლა მაკლდა! — წამოიყვირა მან. — სწორედ ეგ მაკლდა, რომ თეატრში გაცნობილ პირველსავე შემხვედრ ბიჭთან ჩემზე გელაპარაკა. საუცხოო რამ იქნებოდა, ხომ იცი!

და კვლავ განაგრძო სიცილი, თითქოს მის ნათქვამში რაიმე სასაცილო ყოფილიყო.

— აი, რას გეტყვი იმ ბიჭზე, ვისზედაც ასლა ვლაპარაკობდი. — რამდენიმე წუთის შემდეგ თქვა ჰაპკინსმა. — ნამდვილი სულელია, სხვა არაფერი, რასაკვირველია, ეს მისი ბრალი არ არის, მაგრამ სულელი რომ არის, ამას არ უნდა ლაპარაკი. მან სცადა თავისუფლად, ბატონკაცურად ეცხოვრა, არაფერი ეკეთებინა. ფული ბლომად ჰქონოდა, მაგრამ საამისო უნარი არ ეყო. ჰოდა, დღეში სამ პენსად ხარივით დაიწყო მუშაობა. როგორ ფიქრობ, სულელი რომ არ იყოს, აი, თუნდაც შენნაირი ტალანტი და მოხერხება რომ ჰქონდეს, მაშინაც ასეთ ცხოვრებას ირჩევდა? არავითარ შემთხვევაში ნეტავი თუ ჰგონია, ვინმეს გააკვირვებს, დიდიდან დაღამებამდე რომ მუშაობს! ან თუ ვინმე შეასხამს ხოტბას? არავინ. პირიქით, იმას ეტყვიან: შენ ეი, ბიჭო, იცოდე. თავს ბედნიერად უნდა გრძნობდე, რომ აქედან არ გაგდებთ. თუ რაჟე არ მოგვეწონა, მაშინვე ძაღლივით გარეთ გაგიძახებთო. აი, მოვედით კიდევ შინ.

ამ სიტყვებით მან სახლის კარი გააღო და ოთახში შევედით, სადაც საუცხოო ვახშამი გველოდა. მაგიდაზე ხორცის პუდინგი იდო, მეორე თავად — დაბრაწული კარტოფილი, იჭვე ორი კრიალა ჭიქა და დიდი ხელადით ლუდი იდგა.

მისტერ ჰაპკინსმა სუფრასთან გვერდით დამისვა და რაც შეიძლება გულთბილად მმასპინძლობდა: თეფშზე გემრიელ ულუფებს მიწყობდა. ასეთმა მდიდრულმა ვახშამმა იმის მერე, რაც ჩემმა პატრონმა რეპსტონის უბედურ ცხოვრებაზე ილაპარაკა, ვამოსწორების სურვილი ძალზე შევირყია. რა თქმა უნდა, საბრალო რიპს ტალანტი არ ჰქონდა (მე არ ვიცოდი ამ სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ, სამაგიეროდ, ძალიან მომწონდა) და მთელი ცხოვრება შესაძლოა, მართლაც ნახშირის ზიდვაში ვაეტარებინა. მე კი სწულ სხვა ვიყავი! მან ხომ არც იცოდა ჩემი ნიჭისა და მოხერხებებს ამბავი. არც ის იცოდა, რომ მე ორი თვეა რაც ქურდბატონობით ვცხოვრობდი. არც ის — რა ადვილი საქმე იყო ქურდობა და ამ გზით რამდენი ფულის შოვნა შეიძლებოდა! იმისთანა გაზინზლული ღარიბ-ღატაკი რატომ უნდა გაემხდარიყავი, თუ ამისათვის მხდლობასაც არავინ მეტყვოდდა?

— რას იტყვი, ჯიმ; ის შენი „პატროსანი“ ნაცნობი ახლა რასა ჰამს. ვინ იცის, საბრალომ ცოტაოდენი პური და აშშორებული ყვე-

ლის ნაპერი იყიდა და ამით დაკმაყოფილდა. ასე არ არის? — მკითხა მისტერ ჰაპკინსმა.

— მეც ასე მგონია, — კვერი დავუჯარი მე.

— შეჭამს და ჭუჭყსა და სიფიწროვეში სადმე ტახტზე მიეკვდება.

— ჯალა თქმა უნდა, ასე იქნება, — სიცილში აყუყუე მისტერ ჰაპკინსს.

— შენ კი მშვენიერი საწოლი ოთახი გაქვს, — განაგრძო ერთი წუთის შერე. — თეთრეული და ღამის პერანგიც კამოდში გიდევს. იქ კარგი ტანსაცმელიც ჰყილია, ოღონდ არ ვიცი, მოგერგება თუ არა. ჰო, საათი თუ გაქვს?

— მე და საათი? ასეთ ფუფუნებაზე არასდროს მიოცნებია!

— ახლავე მოგიტან. ჩემს ბიჭებს საათი მუდამ აქვთ ხოლმე.

იგი ოთახიდან გავიდა და ისევ მალე შემობრუნდა. ხელში საულცხოო ვერცხლის საათი ეჭირა, ვერცხლისავე გრძელი ძეწკვი ეკეთა. თვითონვე გამიკეთა და ძალიან აღერსიანად ამიხსნა, როგორ უნდა მომემართა. კურტაკზე მოქანავე ბრწყინავი ძეწკვი რომ დავინახე, ჩემსა და რიპსტონს შორის იმხელა სხვაობა ვიგრძენი, რომ მასზე მარტოოდენ სიბრალულითლა შემემძლო ფიქარი. ვახშ-მობის შემდეგ მისტერ ჰაპკინსმა ერთი ჭიქა გროგი მიიართვა, სიგარა მოსწია, მერე დივანზე ნებიერად წამოწვა და მთხოვა, რაც თეატრში ვნახე, მეთამბნა. დაწვრილებით დავიწყე იმ პიესის შინაარსის მოყოლა, ჩემზე ასე ძლიერ რომ იმოქმედა. მაგრამ პიესას მისტერ ჰაპკინსზე ისეთი შთაბეჭდილება სულაც არ მოუხდენია, როგორც ჩემზე და რიპზე, დამცინავი შენიშვნებით მალი-მალ მანყვეტილებდა მოყოლას და მიმტკიცებდა, მოქმედი პირები ყველანი ზრიყეები არიან, ასეთი სისულელები ცხოვრებაში არასოდეს ხდებაო. ბოლოს და ბოლოს, შემრცხვა კიდევ, რომ ამგვარმა აბდაუბდამ გული ამიჩუყა. მისტერ ჰაპკინსი რომ არ მიხვედრილიყო, რასაც წარმოდგენის დროს ვგრძნობდი, ყველა მის შენიშვნას ვეთანხმებოდი და მასზე უფრო მეტად ვხარხარებდი. ბოლოს მთლად დავმეგობრდით.

მისტერ ჯორჯმა საათს დახედა.

— ოჰო, როგორ შევეყვით! — წამოიძახა მან, — უკვე თერთმეტი გამზდარა. ძილის დროა, ჯიმ! სანთელი წაიღე, მე არა მიშავს, სიბნელეში დავრჩები. შენი ოთახი ზემოთ, მარჯვენა მხარეზეა. ტანსაცმელს როცა გაიხდი, დამიძახე, სანთელს წამოვიღებ.

ღამე მშვიდობისა-მეთქი, მხიარულად დავემშვიდობე.

მას შემდეგ, რაც სახლში მოვედი, მისტერ ჰაპკინსზე შეხედულება საგრძნობლად შემეცვალა. იგი ხედავდა, რომ მზად ვიყავი.

მისთვის ერთგულად მემსახურა. სანთელი ავიდე და ჩემი ოთახისაკენ გავეშურე. თუმცა მან წინასწარ ვამაფრთხილა კარგი საძინებელი გექნებოდ, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააქარბა. ოთახში თოვლივით ქათქათა ლოგინი იყო გაშლილი და საწოლის თავზე ლამაზი ჩითის ფარდები ეკიდა. ფანჯრებზე თეთრი შტორები იყო ჩამოფარებული. კამოდზე სარკე იდგა და იატაკზე რბილი, კრელი ხალიჩა ეფხანა. პირსაბანთან სუფთა, თეთრი პირსანოტი ეკიდა. ოთახში თამამად შევაბიჯე, მაგრამ ასე დიდებულად მორთულს რომ დავინახე, სასწრაფოდ უკანვე გამოვედი, მინდოდა შემემოწმებინა, ნამდვილად იქ შევედი თუ არა, ხელმარჯვნივ სხვა ოთახიც ხომ არ არის-მეთქი. სხვა ოთახი არ ჩანდა. ჩემი დასაძინებელი ოთახი მხოლოდ და მხოლოდ ეს უნდა ყოფილიყო. საუცხოო ხალიჩა. რომ არ დამესვარა, ჩექმები გავიხადე და საწოლთან ფრთხილად მივედი, გულით მინდოდა ამ არაჩვეულებრივად კარგად მორთულ ოთახში ყველა ნივთი გულდასმით მენახა, მაგრამ მომაგონდა, რომ მისტერ ჰაპკინსი სიბნელეში იჯდა. სასწრაფოდ გავიხადე და ლოგინში ჩავწექი.

— მე უკვე მზადა ვარ! შეგიძლიათ სანთელი წაიღოთ! — დავიძახე მე.

პასუხს არავინ მაძლევდა. მაშინ ლოგინიდან ავდექი და კარები გამოვალე, ის იყო ხმაძლალა დაყვირებას ვაპირებდი, რომ ამ დროს მისტერ ჰაპკინსისა და იმ ახალგაზრდა ქალის ხმა შემომესმა, სახლის კარი რომ გაგვიღო. ეტყობოდათ, რაღაცაზე დაობდნენ.

— სწორედ შენა გკითხავ, როდის წავალ, ან როდის დავბრუნდები! თქვა რალა! გეუბნები, საქმეზე მივდივარ-მეთქი.

— ჯორჯ, შენ გუშინაც და გუშინწინაც საქმეზე იყავი. სტყუი! მე ვიცი, რასაც აკეთებ! იცოდე, მოგაგნებ!

— მაშ, თუ ვტყუი, ნურც ნურაფერს მგკითხვები. მივდივარ, მორჩა და გათავდა!

— თუ შეიძლება, სანთელი წაიღეთ! — დავიყვირე მე.

წუთის შემდეგ ჯორჯი შემოვიდა, სანთელი აიღო და ოთახიდან უნძოდ გავიდა. მალე ქუჩის კარების ჭახუნიც გავიგონე.

მისტერ ჰაპკინსისა და მისი ცოლის დავა ოდნავადაც არ მაწუხებდა. იგი საღაღაც მიდიოდა, ცოლი კი არ უშვებდა, — რა ჩემი საქმე იყო? მშვიდად ჩავწექი ჩემს მშვენიერ საწოლში და ის იყო დაძინებას ვაპირებდი, რომ უცებ კარებზე კაკუნი მომესმა.

— ვინ არის? — ვკითხე მე.

— ბიჭო, ჩიცი და დაბლა ჩამოდი, მინდა გელაპარაკო.

მისის ჰაპკინის ხმა ვიცანი. მან კარი შემოაღო, სანთელი იატაკზე დადგა და სიტყვაც არ უთქვამს, ისე გავიდა.

X XIV

მისის ჰაპკინის

არასახიამოვნო ამბებს მიუყვება

არ შემეძლო, მისის ჰაპკინის ბრძანებას არ დავმორჩილებოდი: იგი ხომ ჩემი სახლის პატრონის ცოლი იყო. ლოგინიდან სასწრაფოდ წამოვხტი და ჩაცმას შევუღდექი.

— ჩექმებს ნუ ჩაიცმევ, — ამომძახა კიბიდან, — ზემოთ დატოვე!

ამ ახალმა ბრძანებამ ცოტათი დამამშვიდა, კარგად მახსოვდა, როგორ ცივად მიმიღო და ახლა, როცა ჯორჯი შინ არ იყო, მეშინოდა, ქუჩაში არ გამაგდოს-მეთქი. მაგრამ ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ჩექმების დატოვებას არ მიბრძანებდა.

დაბლა რომ ჩამოვედი, დავინახე, სასტუმრო ოთახში ნარტო იჭადა, თვალები ცრემლისაგან დასწითლებოდა და გასიებული ჰქონდა.

— შემოდი, რაღას უდგახარ! — მოუთმენლად დამიძახა მან, როცა ნახა, რომ კართან შევჩერდი და ყოყმანი დავიწყე. — შემოდი და კარი დაკეტე.

შევედი, თუმცა შიში და გაოცება სულ უფრო მეტად მეუფლებოდა.

— აქ მოდი, სანთელი მაგდაზე დადგი და კარგად დამენახე: მე ხომ წესიერად არც შემხედავს შენთვის.

არ ვიცი, ჩემზე რა იფიქრა, მაგრამ, ვიდრე იგი თავისი დაწითლებული, ნამტირალევი თვალებით სერიოზულად და დაკვირვებით მათვალაიერებდა, გუნებაში ვთქვი, ალბათ მთვრალია-მეთქი.

— დაჯექი, — მითხრა მან, როცა თვალაიერებით გული იჭერა, — და გამაგებინე ვინა და რა ბიჭი ხარ?

— როგორ თუ რა ბიჭი? — გაკვირვებით ვკითხე მე.

— შენც ისეთივე წამხდარი, სულთ ხორცამდე გასრწნილი ზარ, როგორც ის პატარა არამზადები იყვნენ, ჩვენთან რომ ცხოვრობდნენ?

იგი დაჟინებით მიუყრდბდა. ვგრძნობდი, რომ სიწითლე მერეოდა. აბა. რა პასუხი გამეცა? რა თქმა უნდა, მე რომ კარგი ბიჭი ვყოფილიყავი, მისტერ ჰაპკინსი თავისთან არ წამომიყვანდა.

— მე არ ვიცი, რას ნიშნავს სულ მთლად წამხდარი ბიჭი. მე მგონი, მთლად წამხდარი არა ვარ. უმჯობესია, მისტერ ჰაპკინსს ჰკითხოთ, როგორცა ვარ, — ვუთხარო მე.

— დიდი ხანია, რაც ქურდი გახდი?

— ეს რამდენიმე კვირაა.

— რამდენიმე კვირა? ციხეში ბევრჯერ მჯდარხარ?

— არც ერთხელაც არ ვმჯდარვარ.

— არც ერთხელ! დედა გყავს?

— მყავდა და მომიყვდა, სულ პატარა რომ ვიყავი, მაშინ.

— მამა?

— არ ვიცი, შეიძლება ისიც ზედაარია. ჩემთვის ეს სულ ერთია.

— ალბათ ისიც ქურდია, ჰოდა, თავისი დღენი სულ ციხეში ზის, არა?

— მამაჩემი ციხეში ზის? ეს ვილამ მოიგონა? ერთი ვინმეს წამოსცდენოდა იმასთან ეს სიტყვები და ისეთ დღეს დააყრიდა! ჩემი მამა პატიოსანი კაცია!

გაბრაზებამ გამბედაობა მომცა და მისის ჰაპკინსს პირდაპირ თვალეში შევხედე. მას გაელიმა.

— მამ რატომ გახდი ქურდი? — მკითხა მან. — როგორ გაიცანი ჯორჯი? შენ ის მოგწონს?

— დიახ, ძალიან, — სწრაფად მიუუგე. — იგი ძალიან კარგი ადამიანია.

— ის და კარგი? — გაბოროტებით გადაიხარხარა მისის ჰაპკინსმა. — გინდა, ვითხრა ვინც არის? იგი ობობაა, შეუმჩნევლად რომ გაბამს თავის ქსელში და სისხლს მთლიანად გამოგწოვს!

— მე გამომწოვს სისხლს?

მისის ჰაპკინსი ისე ცხარედ ლაპარაკობდა, რომ შემეშინდა.

— ყველას გამოსწოვს, ვინც კი მას ხელში ჩაუვარდება! იგი ნამდვილი ვამპირია! როგორ ფიქრობ, შენ რისთვის აგიყვანა?

თუ არ იცოდა, რისთვისაც ამიყვანა, რა თქმა უნდა, ჯორჯ ჰაპკინსი გამიჩავრდებოდა, მე რომ მისთვის რაიმე მეთქვა. თუ იცოდა და, თქმა არ ღირდა. ვატყობდი, რაკი ქმარს წაეჩხუბა, სურდა მის წინააღმდეგ ავემხედრებინე. მაგრამ მომაგონდა მისის ბერ-

კის საქციელი და ძალზე გავფრთხილდი: ჩემს პატრონზე რაიმე რომ წამომცდენოდა, ხვალ შერიგებისთანავე ყველაფერს მოუყვებოდა. ამას გარდა, რაკი დავრწმუნდი, რომ იგი მთვრალი არ იყო, უფრო მეტად შევშინდი. ყოველივე ამან მაიძულა კარებისაკენ წავსულიყავი, როგორც კი დროს ვიხელთებდი, ზევით ავვარდნილიყავი და საძინებელი ოთახის კარი შიგნით ჩამეკეტა.

— ჩვენ ერთმანეთს გავუგეთ, — რაც შეიძლება შეშრიგებლური ხმით ჩავილაპარაკე მე, — ყველაფრით კმაყოფილი ვარ. თუ რაიმე გაუგებარია, ამაზე ხვალ დილით შეიძლება ვილაპარაკოთ.

იგი რამდენიმე წამს თანაგრძნობით შემომცქეროდა და ამან უფრო ამაფორიაქა, ვიდრე მისმა წყრომამ.

— კარგია, თუ ამას მხოლოდ უცოდინარობა გალაპარაკებს, შენ კმაყოფილი ხარ იმით, რომ რამდენიმე თვე ან შეიძლება რამდენიმე წელიც ციხეში ჯდომა მოგელის, კმაყოფილი ხარ იმით, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ისეთი სახელი უნდა გერქვას, რომელიც სამარცხვინო იქნება არა მარტო შენთვის, არამედ ყველა შენი ახლობელისათვის! დაუშვათ, რომ შენ არც დედა გყავს და არც მამა. მაგრამ ნუთუ არაინა გყავს ისეთი, ოდესმე კეთილად რომ მოგქცევია და როცა ქურდობისათვის ციხეში ჩაგსვავენ, მოგაგონდეს?

ჰო, რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანი მყავდა. მომაგონდა მისი უინკშიპი, ის ღამე, როდესაც მან და მარტამ შემიფარეს, მაჭამეს, შემემოსეს და ალერსით გამიტბეს გული. მომაგონდა, როგორ უნდოდა, მე პატროსანი ბიჭი დაემდგარიყავი და ვიგრძენი, რომ ჩემთვის ძალიან, დიახ, ძალიან ძნელი ასატანი იქნებოდა, მისი უინკშიპს გაევო, რომ ქურდობისათვის ციხეში ვიჭექი. მაგრამ ამისი რატომ უნდა მშინებოდა? ჯორჯ ჰაკინსი აკი შემპირდა, ყოველგვარი გასაჭირიდან დაგიშენიო!

— მე ციხეში არ ჩავეარდები, უკვე ორი თვეა ამ საქმიანობას ვეწევი და ერთხელაც არ ჩავეარდნილვარ. თანაც მაშინ არავინ მენმარებოდა.

— და ახლა დამხმარე იშოვე, არა? — დამიყვირა მან. — ეგ იმაში მოგესმარება, რომ რაც შეიძლება დიდხანს ჩაგსვან ციხეში. ეს მისი ჩვეულებრივი მანერაა. ჩემთვის ათასჯერ უთქვამს: ახალი ხელით მუშაობას მანამ არ ვიწყებ, სანამ ძველს არ მოვიშორებო. ყველა ბიჭს მანამდე იმსახურებს, ვიდრე პოლიცია მასზე ეჭვს მიიტანს და დევნას დაუწყებს. გამიგე ახლა რას გელაპარაკები?

ამის არგაგება შეუძლებელი იყო.

— მისტერ ჰაპკინსს ჩემთვის ეგ არ უთქვამს, იგი შემპირდა, რომ გასაჭირიდან ჩემს დასახსნელად არავითარ ფულს არ დაიშურებდა!

— შეგპირდა! განა შეიძლება ამ მატყუარას, ამ აეკაცს რამე დაუჭერო? ბიჭო, ყური მიგდე. მე შენ ძალიან ზევრი გითხარი. შეგიძლია, ჩემს ქმართან დამაბეზლო, მან კი ისე მცემოს, რომ სიკვდილის პირას მიმიყვანოს. ერთხელ და ორჯერ კი არ ვუსემივარ? მაგრამ ჩემთვის სულ ერთია, მომბეზრდა ასეთი ცხოვრება!

მან თავი მაგიდაზე დადო და ისე მწარედ ატირდა, რომ თვალებზე მეც ცრემლი მომადგა.

— არა, ნუ გეშინიათ, — ვუთხარი მე და ახლოს მივედი. — არაფერს ვეტყვი. მე იმ ადამიანს ბოროტებას არ ვაფუქთებ, ვისაც ჩემთვის სიკეთე სურს.

— მე შენთვის კარგი მინდა, — თქვა მან და წამტირალევი სახით ამომხედა. — რაც გითხარი, ყველაფერი სიმართლეა, სრული სიმართლე.

— მე თქვენი მჯერა, ოღონდ ისიც მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?

— წადი, ლოგინში ჩაწეკი და შენ თვითონ მოიფიქრე. წადი და იფიქრე, აქედან რომ გაიქცევი, სად უნდა შეათარო თავი.

— რომ გავიქცე, როგორ გგონიათ, დევნას დამიწყებენ?

— ისეთი ადგილი მოიგონე, სადაც შენს გამოდევნებას ვერ გაბედავენ. წადი, დაწეკი და იფიქრე ამაზე. მშვიდობით.

გაოგნებული დავბრუნდი ჩემს ოთახში. ადვილი სათქმელი იყო, ლოგინში ჩაწეკი და იფიქრეო. ფიქრი სად შემეძლო, როცა იმდღევანდელი უჩვეულო ამბებისაგან ტვინი არეულო მქონდა. ერთი კი ცხადი იყო, მისის ჰაპკინსმა სიმართლე მითხრა: მისი ქმარი არამზადა იყო და, თუ მასთან დავრჩებოდი, საშინელი ბედი მელოდა. გაქცევით აუცილებლად უნდა გავქცეულიყავი, მაგრამ სად? ისეთი ადგილი სად მომეძებნა, რომ იგი ვერ გამომდევნებოდა? ამ საკითხის გადაჭრა მე არ შემიძლო. „ჯობია, ახლა დავიძინო, — ვუთხარი ჩემს თავს. — ხვალ კი ქალბატონს მოველაპარაკებო, ალბათ რამეს მირჩევს.“

დილით რომ გამომეღვიძა, იმ საუცხოო საათზე, წუხელ ღამით მისტერ ჰაპკინსმა რომ მაჩუქა, რვა საათი იყო. მისტერ ჰაპკინსის დაბრუნება არ გამიგია, მაგრამ ახლა მისი ჩექმების კრაჭუნი მომესმა. კიბეებზე ამოდიოდა, — ესე იგი, სახლში ყოფილა. ვიფიქრე, დამიძახებს-მეთქი, მაგრამ მან ჩემს ოთახს ისე ჩაუარა, სიტყვაც არ უთქვამს. რამდენიმე წუთის მერე კი გავიგონე, იგი სახლიდან გავიდა. ლოგინში ვიწეკი, და ვფიქრობდი, რომ ავდგები, როგორ მოვიქცე-მეთქი. ამ დროს ქუჩის კარი გაიღო და კიბეზე ამომავალი

ორი კაცის ფეხის ხმა შენომესმა. ცოტა ხნის შემდეგ ჯორჯ ჰაკ-კინსი ჩემს ოთახში შემოვიდა.

— აბა, ჯიმ, — მითხრა მან, — მგონი, დღეს მზარეულობაც შენ მოგიწევს, დიასახლისობაც და ყველაფერი: ჩემი ცოლი ავად გახდა.

— ძალიან ავად არის, სერ? — ვკითხე მე, მისი წუხანდელი უცნაური გამომეტყველება რომ მომაგონდა.

— ძალიან ავად არის. ახლა ექიმის მოსაყვანად ვიყავი. ტიფის ნიშნები აქვსო, მითხრა.

მისი ჰაკკინსის ავადმყოფობა არც ისე სახუმარო გამოდგა და მთელი სამი კვირა გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე იგი ერთხელაც არ მინახავს, მისტერ ჰაკკინსმა ვილაც მოხუცი ქალი დაიჭირავა, იგი ავადმყოფს უვლიდა, საკმელს უმზადებდა და სახლის საქმესაც აკეთებდა. მეც გულმოდგინედ ვეხმარებოდი. სხვა საქმე არაფერი მქონდა. ჩემმა პატრონმა დაპირება არ შემისრულა, არც კი ფიქრობდა, ჩვენი ხელობის წერილმანებში გავეწაფე. ტიფის გადაღებისა ისე ძალიან ეშინოდა, სახლში თითქმის არ ჩერდებოდა. ჩემთან ერთად სასადილო ოთახში სადილობდა, ღია ფანჯარასთან ჯდებოდა და თან სპირტიან ქილას წამდაუწუმ ყნოსავდა. ამის შემდეგ მიდიოდა და შინ გვიან ღამემდე არ ბრუნდებოდა. დასაძინებლადაც სასადილო ოთახში, დივანზე წევბოდა.

მე ცუდ პირობებში არ ვიყავი. კარგად მაკმევედნენ. თუკი ვთხოვდი, პატრონი ერთ შილინგს ყოველთვის მაძლევდა და ნებას მრთავდა, საღამოს ექვსი საათიდან ათ საათამდე სადაც მომესურვებოდა, გამესიერნა. იგი არათუ ცუდს მასწავლიდა, ყოველ დილით, სახლიდან გასვლის წინ მეუბნებოდა: გეთაყვა, არაფერი წამოიწყო, ცუდ ადგილებში არ იარო, თუ მოგწყინდება, თეატრში ან კონცერტზე წადი. ფული დაგპირდება და, გამომართვი, ოღონდ შენ თვითონ არ შეეცადო შოვნას. რა თქმა უნდა, მისი ჰაკკინსის რჩევას არ ვივიწყებდი, მაგრამ ჯერჯერობით აქედან გაქცევა დიდი სისულელე იქნებოდა. ამას გარდა, მართალია, ჩემს ქალბატონს ვერ ვნახულობდი, მაგრამ იგი პატარ-პატარა დევალებებს ხშირად მაძლევდა. ცოტაოდენ სამსახურს მეც ვუწევდი და ჩემი აზრით, დიდი სულმდაბლობა იქნებოდა, ვიდრე ავად იყო, მიმეტოვებინა.

სამი კვირის მერე მისი ჰაკკინსი თავისი ოთახიდან გამოვიდა. საშინლად გამხდარი და გაყვითლებული იყო, თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი და თავზე ჩაჩი ეხურა. ამას ისე დაეუშნობინა, რომ ძლივსლა ვიცანი. ის კი არადა, მისტერ ჰაკკინსიც, რომელსაც ცოლი უკვე ორი კვირა იყო, არ ენახა, სახტად დარჩა მის დანახვაზე.

— როგორ დამახინჯებულხარ! — უთხრა მან. — შენს ადგილას ასეთი შესახედობის პატრონი ოთახიდან არც გამოვიდოდი.

— შენს ჯიბრზე ნეტავი ამაზე ათჯერ უფრო მახინჯი გამხადა! — ცივად მიუგო მან.

ცხადი იყო ავადმყოფობამ ჩემი პატრონები ვერ შეარიგა.

მეორე საღამოს შინ რომ დავბრუნდი, ძალიან გამიკვირდა, როცა ჩემი დიასახლისი მისტერ ჰაპკინსთან და კიდევ ორ მამაკაცთან ერთად სასადილო ოთახში დაქვადარი დავინახე. ყველანი რაღაცაზე მხიარულად მასლაათობდნენ, იცინოდნენ, თითქოს მათ შორის სრული თანხმობა სუფევდა, თუმცა ეტყობოდა, საქმიანი ლაპარაკი ჰქონდათ, რადგან, როცა შევედი, მისტერ ჰაპკინსმა თავის მეგობრებს ჩემზე ანიშნა. მათ ამხედ-დამხედეს და შემდეგ მიბრძანეს, ან დამეძინა ან არადა, ისევ სასეირნოდ წავსულიყავი. მე პირველი ვირჩიე.

არ ვიცი, დიდხანს მეძინა თუ არა, მაგრამ მხარზე ვილაცის ხელის შეხებამ და მისის ჰაპკინსის ხმამ გამომალევიძა.

— ჯიმ, არ გძინავს?

— არა, არ მძინავს.

— იფიქრე იმაზე, ჩემი ავად გახდომის წინაღამით რომ ვილაპარაკეთ?

— დიახ, ამაზე ბევრჯერ ვიფიქრე და ბევრჯერ გადავიფიქრე.

— მერე? გადაწყვიტე, ჩემი რჩევა მიიღო?

— რა თქმა უნდა, ოღონდ არ ვიცი, სად გავიქცე.

— მალე უნდა მოიფიქრო, იცოდე, ხვალ თუ არ წახვედი, მთელი სიცოცხლე სანანებელი გექნება. ნახე დღეს სასადილო ოთახში ჩემი ქმრის ორი მეგობარი — ტუინერი და ჯონ არმიტეჯი? მათ ცული საქმე აქვთ განზრახული და შენ დამხმარედ გიპირებენ წაყვანას.

— მაინც ისეთი რა არის?

— ძარცვა. ჩუ... მეტი არაფერი მკითხო. ამას ხვალ ან ზეგ ღამით აპირებენ... ფულგეტში, პრესკოტის ქუჩა № 12-ში, მოხუცი მისტერ ჯენეტის სახლში. გამიგონე, რაც გითხრა: ხვალ დილით, როგორც კი ადგები, მაშინვე წადი იქ, სადაც შენს გამოდევნებას ვერ გაბედავს, და ყველაფერი თქვი. ოღონდ ჩემზე არაფერი წამოგდეს, გაიგე?

— მაგაზე ნუ წუხხარო, ყველაფერი გავიგე!

— არცა ვწუხვარ, ვიცი, შენ კეთილი ბიჭი ხარ და სიკეთეს ბოროტებით არ გადამიხდი. მშვიდობით, დაბლა უნდა ჩავიდე, თორემ

სადაცაა დაბრუნდებიან. — მან თავისი თბილი ხელით ლოყაზე მო-
მეალერსა და გავიდა.

ბოლოს და ბოლოს მისტერ ჰაპკინსთან ჩემი მუშაობის დრომაც
მოაღწია! საკვირველი მხოლოდ ის იყო, რომ ისეთ სერიოზულ საქ-
მეში, როგორც ძარცვაა, დამხმარედ მივყავდი და ჯერ ჩემთვის
არაფერი ესწავლებინა. უფრო მეტად კი მისის ჰაპკინსის საქციელი
მაკვირვებდა. თუ უნდოდა გავქცეულიყავი და ამ ცუდ საქმეში მო-
ნაწილეობა არ მიმეღო, თავისი ქმრის თანამონაწილეები რატომღა
დამისახელა, ანდა ის სახლი, რომლის გაქურდვასაც აპირებდნენ?
ლოგინში მოუსვენრად ვტრიალებდი, ერთსა და იმავეზე ათასჯერ
ეფიქრობდი, მაგრამ ჩემს სულელ თავს ამ კითხვებზე პასუხი ვერ
მოეძებნა. ბოლოს გადავწყვიტე, დილით როგორც კი გავიღვიძებ-
დი, სპიტალფილდში გავქცეულიყავი, იქ რიპსტონი მომეძებნა, მის-
თვის ყველაფერი მემამბნა და რჩევაც მეკითხა. რჩევისთვის პირვე-
ლად მისის უინკშიპთან მინდოდა მისვლა, მაგრამ ვიფიქრე, მის
სახლთან ახლოს სადმე მამაჩემს არ გადავეყარო, თანაც ბელჩერის
ლალატისათვის შეიძლება ჩემზე გაბრაზებულცი იყოს-მეთქი. ამი-
ტომ ამ განზრახვაზე ხელი ავიღე.

X XV

ჯორჯ ჰაპკინსს ვლალატობ. — ეშვება ფარდა

მეორე დილას, საუზმის შემდეგ, ჯორჯ ჰაპკინსმა მითხრა:

— დღეს ბევრი არ იხეტიאלო, რომ ღამისთვის ძალიან დაღლილი
არ იყო. ამაღამ დამჭირდები.

— რისთვის? — ძალზე უწყინარი ხმით ვკითხე მე.

— რაში გეკითხება? როცა საჭირო იქნება, გაიგებ.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ეზოს ბოლოში რომ სამრეცხაო იყო,
იქ დამიძახა. სამრეცხაოს ერთი პატარა ფანჯარა ჰქონდა დატანე-
ბული, რომელიც სამზარეულოს მხარეს იღებოდა.

— აბა, ნახე, შეგიძლია გაძრომა? — მკითხა მან.

პატარა ფანჯარაში მხრები ძლივძლივობით გავატიე და სამზა-
რეულოში ჩავხტი.

— ამაზე მეტი ხმაურის ატეხა აღარ შეგეძლო? — დამცინავდ
მკითხა მან.

მე ერთხელ კიდევ გადავძვერი, ვცდილობდი, რაც შეიძლება ფრთხილად დავმხტარიყავი.

— აი, ეს უკეთესია, აბა, ერთხელ კიდევ სცადე, ოღონდ ახლა თითის წვერებზე დახტი.

მერე კიდევ და კიდევ ვცადე, ერთი ოცჯერ მაინც გადავძვერი.

— აი, ახლა კარგია, — თქვა ჯორჯმა. — აბა, ჯიმ, როგორი ჩექმები გაცვია?

— მაგარი, სქელძირიანი ჩექმები, სერ.

— ეგ არ ივარგებს. მსუბუქი ფეხსაცმელი უნდა იყიდო, რომ ჩასაცმელ-გასახდელად ადვილი იყოს. წადი და ახლავე იყიდე. ფეხსაცმლის მალაზია ბიშოპსტრიტზეა.

მან ათი შილინგი მომცა და წავედი. გზად სახადილო ოთახის ახლოს უნდა გამეველო. მისის ჰაპკინსმა დამინახა, თავი დამიქნია და წამჩურჩულა: „უკვე დროა! გაიქეცი! გაიქეცი, თორემ მერე გვიან იქნება!“ პასუხად მეც თავი დავუქნე.

ცხადი იყო, გუშინ მას არ მოუტყუებოდა. მისტერ ჰაპკინსს ჩემთვის არ უთქვამს, რა საქმისათვის ეკირდებოდი, მაგრამ მივხვდი, რომ რომელიღაც ფანჯარაში უნდა გადავძვერალიყავი და, ამგვარად, ძარცვის მონაწილე გავმხდარიყავი. ძარცვისათვის კი, გამიგონია, კატორლაში გზავნიანო. ესე იგი, თუ საჩქაროდ არ გავიქცეოდი, სამუდამოდ დავიღუპებოდი.

ბევრი აღარ მიფიქრია, სპიტალფილდისაკენ გავეშურე.

არ ვიცოდი, ზუსტად რა ადგილზე იყო ის ქარხანა, რომ მეკითხა, ალბათ მიმასწავლიდნენ. სწორედ თორმეტი ხდებოდა. ესე იგი, მუშებს სასადილოდ მალე გამოუშვებდნენ, ვიფიქრე, რიპს ქარხნის კარებთან დავუღარაჯდები, და მოველაპარაკები-მეთქი.

ქარხნის გზა მართლაც მაშინვე მიმასწავლეს. ჭიშკართან ქალები ირეოდნენ. მათ ხელში ნაკრაულები და პატარა ქვაბუნები ეკირათ. ეტყობოდათ, მუშებისთვის საკმელი მოეტანათ.

„ვნახოთ და რიპსტონიც არ გამოუშვან გარეთ? — გავიფიქრე მე. — მაშინ რალა ვქნა?“

სწორედ ამ დროს ზარის ხმა გაისმა და ეზოში მუშები გამოეფინნენ. ყველანი გამოსასვლელისაკენ მოეშურებოდნენ. ზოგნი ცოლებს ნაკრაულებს ართმევდნენ, ზოგსაც მეკარე ქუჩაში უშვებდა.

უცებ პატარა ჭიშკარი ფართოდ გაიღო და ბიჭების ჯგრო გარეთ გამოიშალა. მათ შორის რიპსტონს მოკვარი თვალი. თვითონ ჯერ ვერ დამინახა, მაგრამ, როგორც კი დავუძახე, მაშინვე სიხარულით შენძახა:

— ოჰ, სმიფ, მეგობარო! ყოჩაღ, რომ მოხვედი! ჩარლი, ეს ის ბი-
კია, მე რომ გელაპარაკებოდი, — მიუბრუნდა იგი თავის ამხა-
ნაგს. — სმიფ. წამოდი ჩვენთან, სასადილოში შევიდეთ, იქ ვილაპა-
რაკოთ. საათნახევარი დრო გვაქვს.

უცნობი ბიჭის თანდასწრებით ლაპარაკი არ მინდოდა, მაგრამ
სხვა გზა არ მქონდა. ვცადე რიპსტონისათვის თვალთ მენიშნებინა,
მაგრამ იგი ვერაფერს მიმიხვდა. მაშინ ვიფიქრე: არა უშავს, ეტყო-
ბა, თავის ამხანაგს არაფერს უმაღავს, მეც ჰაჰჰინსის სახელს არ
ვანსენებ-მეთქი.

სასადილოში ერთ განცალკევებით მდგარ მაგიდას მივუსხედით.
რიპსტონი და მისი ამხანაგი დახლთან მივიღწენ, ჯიბიდან რაღაც პა-
ტარა ბილეთები ამოიღეს და თითო თეფში წვნიანი და პატარა ნა-
ჭერი პური მისცეს. მე არა მშია-მეთქი, ვუთხარი.

ვიდრე ისინი სადილობდნენ, ხმადაბლა ვუყვებოდი, რაც ჩემი
პატრონის ცოლმა შიამბო და რისი გაკეთებაც ამ ღამით ჰქონდათ
ჩაფიქრებულნი.

— დახე იმ ნაშუსგარეცხილს! — იყვირა რიპსტონმა, როცა მო-
ყოლა დაევათავერე. — მისთვის ჩამოხრჩობაც ცოტაა! თვითონ რა-
ღაც ოინებს აწყობს და სხვებსაც აბრიყვებს! რაღას უყურებ? წა-
დი და პოლიციას შეატყობინე!

— არა, რიპ, ასე არ ივარგებს! — შეაჩერა ჩარლიმ, რომელიც
აქამდე ჩუმად მისმენდა. — პოლიციის ჩარევა არ გამოგვადგება.
როგორ გეტყობა, რომ ჭერ ახალი მუშა ხარ. ნამდვილი მუშა პო-
ლიციასთან არასოდეს საქმეს არ დაიჭერს.

— ესე იგი, შენი აზრით, ძარცვისა და მკვლელობის უფლება
უნდა მივცეთ?

— არა, მაგრამ ნუთუ პოლიციის ჩაურევლად არ შეიძლება ამ
საქმის მოგვარება? იმ ადამიანის მისამართი ხომ იცა, ვის გაძარცვა-
საც აპირებენ? — მკითხა ჩარლიმ.

— ვიცი, — მივუგე მე.

— ჰოდა, ძალიან კარგი! ახლავე წადი და გააფრთხილე. მადლო-
ბას გეტყვის. თუ დახმარება დასჭირდა, ისეთ ყოჩაღ ბიჭებს მივუ-
ყვან, რომ ყოველგვარ მძარცველებს გაუსწორდებიან.

მე რიპსტონს გადავხედე.

— რას იზამ, სმიფ, — მითხრა, ცოტა არ იყოს შეფიქრიანებულ-
მა. — ჩარლი მართალია, ასე გაცილებით აჯობებს. ნუ გეშინია, რაკი
შენ თვითონ მიხვალ, არ ფიქრებს, რომ შენც იმათნაირი ხარ.

— ნულარ ზოზინებ, — დაბეჯითებით დაუმატა ჩარლიმ. — ეს
სერიოზული საქმეა და ადამიანს მომზადებისთვის დრო სჭირდება.

წამოვდექი. ვიციოდი, წასვლის დრო იყო, მაგრამ ძალიან მეშინოდა.

— რა იყო, სმიფ? — ჩაიციხა რიპსტონმა. — გეშინია, ხომ? ჩარლი! — მიუბრუნდა იგი ამხანაგს. — მოდი, შენც გაჰყევი. ერთი სწაითი დრო კიდევ გვაქვს, თორემ მარტოს ეშინია.

— კარგი, გავუყევი, — ხალისით ჩაილაპარაკა ჩარლიმ. ეტყობოდა, სიამოვნებდა, რომ მას, როგორც დიდ ადამიანს, დახმარებას სთხოვდნენ.

რიპსტონს დავემშვიდობე და სასწრაფოდ ფულგეტისაკენ გავეწიეთ. აქედან არც ისე შორს იყო. იმავე გარეუბანს ეკუთვნოდა, რომელსაც ქარხანა. ოლონდ პრესკოტის ქუჩა ბევრად უფრო სუფთა იყო.

სისწორეში რომ დავრწმუნებულყავით, მეზობლად მდგარ დუქანში ვიკითხეთ. იქ გვითხრეს, რომ მისტერ ჯენეტი № 12 სახლში მართლაც ცხოვრობდა სულ მარტო. იგი ძველი მეზღვაური ყოფილა და დიდი ხანია, აქ დასახლებულიყო.

სახლი № 12 განცალკევებით იდგა პატარა ბაღში.

ბაღის კუტიკარი დაკეტილი არ დაგვხვდა. როდესაც შესასვლელთან ხარი დავრეკეთ, კარი წარმოსადეგმა ახალგაზრდა კაცმა გაგვიღო.

— მისტერ ჯენეტი შინ ბრძანდება? — თამამად იკითხა ჩარლიმ.

— მამა შინ არის, — გვიპასუხა მან. — თქვენ რა საქმეზე მოსულხართ? ის ხომ დიდი ხანია, რაც აღარ ცურავს.

ალბათ ვგონა, გემზე დასაქირავებლად ვიყავით მისულები.

— ჩვენ მისტერ ჯენეტის ნახვა გვინდა, ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს, — მტკიცედ უთხრა ჩარლიმ.

ახალგაზრდა კაცმა ორივეს გაკვირვებით შემოგვხვდა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს და სახლში შევიდა.

— ანუ მოგონ, მარტო ცხოვრობსო და რამოდენა ვაჟიშვილი კი ჰყოლია! — თქვა ჩარლიმ.

ლაპარაკის გუნებაზე არ ვიყავი. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მეტად ვლელავდი. სწორედ ვიქცეოდი, ჰაპკინსის საიდუმლოს რომ ვამტკიცებდი? ჩემი მიზეზით შეიძლება კატორღაში გაგზავნათ, თუკი მისტერ ჯენეტი პოლიციაში განაცხადებდა. ან იქნებ თვითონ მისტერ ჯენეტსაც არ დაეჭვებინა ჩემი და პოლიციაში წავეყვანე? მაგრამ ამაზე ფიქრი გვიანდა იყო. კარი გაიღო და იმავე ახალგაზრდა კაცმა სახლში შეგვიწვია.

მისტერ ჯენეტმა ძალიან ალერსიანად მიგვიღო. იგი მხარბეკიანი მოხუცი იყო, შავი, მზემოკიდებული სახე და ხშირი თეთრი

თმა ჰქონდა. მან დაგვსხა და გვკითხა, აბა, თქვით, რა მნიშვნელოვანი საქმე გაქვთო.

ამ დროს, მე მგონი, ჩარლიც აღელდა. მან შემომხედა და თქვა:

— აი, ეს ბიჭი, სერ, ყველაფერს დაწვრთვებით მოგიყვებათ. ერწმუნეთ მის ნათქვამს. იგი სიძარტლეს გიტყვით. თავდებად მე ვუდგები.

მისტერ ჯენეტს ოდნავ ჩაეღიმა, მაგრამ მერე სერიოზული სახით შემომხედა და მოკლედ მითხრა:

— აბა, თქვი, რა სიძარტლე იცი! გისმენ.

აბნეულად, ენის ბორძიკით დაეიწყე ლაპარაკი. იგი არ მაწყვეტინებდა. თანდათანობით სიმხნევე მოვიკრიბე და ახლა უკვე საკმაოდ დალაგებულად ვუაპზე, თუ რას უწყობდნენ იმ ღამით. მოყოლა რომ დავამთავრე, მან ოთქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— დღეს სწორედ დროზე ჩამოვიდნენ ჩემი ვაჟიშვილები.

ამ სიტყვებით მან კარი გამოაღო და გასძახა:

— ჯონ, აქ მოდი, და ტოპსაც დაუძახე!

რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში ორი ახლავანი ახალგაზრდა კაცი შემოვიდა.

— რაშია საქმე. მამა, — ჰკითხა მან, ჩვენ რომ კარი გაგვიღო. — რაზე ხომ არ მომხდარა?

მისტერ ჯენეტმა დაწვრილებით გადასცა ჩემი მონაყოლი. მათ რამდენიმე კითხვა მომცეს. მისტერ ჯენეტმა ისინი ფანჯარასთან გაიხშო, რამდენიმე წუთს რალაცაზე ბკობდნენ. შემდეგ ისევ ჩემთან დაბრუნდა და მკითხა:

— კეტის ქუჩიდან რომელ საათზე წამოხვედი?

კარგად მახსოვდა, თორმეტის ნახევარი იყო, სასადილო ოთახში რომ შევიხედე, სადაც მისის ჰაპკინსი იდგა.

— ახლა ორის თხუთმეტი წუთია, — თქვა მისტერ ჯენეტმა. — მან ფეხსაცმლის ყიდვა და უკან დაბრუნება გიბრძანა, არა?

— დიახ, ბატონო.

— მაშ, ჩქარა გაიქეცი და სწორედ ისეთი ფეხსაცმელი იყიდე, როგორც დაგავალა.

— მაგრამ, ბატონო, ჩემი ჩექმები ჯერ სულ მთლად ახალია.

მისტერ ჯენეტს გაეღიმა და მითხრა:

— გეტყობა, კარგი ბიჭი ხარ. ბედი შენი, რომ დროზე აიღე ზელი. როგორც კი ფეხსაცმელს იყიდი, მაშინვე კეტის ქუჩაზე მოკურცხლე.

— კეტის ქუჩაზე დაებრუნდე? ჯორჯ ჰაპკინსთან? კი მაგრამ, ჩისთვის, ბატონო?

— აი რა, მე მინდა, რომ იგი გასაძარცვავად მოვიდეს, — მიპასუხა მისტერ ჯენეტმა. — შენ უკუყო ბიჭი არა ხარ, მიხვდები, რისთვისაც არის საჭირო. უნ არაერთარი საფრთხე არ მოგელის, — დასძინა მან, როცა შემატყო, რომ შევეშინდი. — შენც რომ იმ არამზადების თანაპონაწილე ყოფილიყავი, მაშინ გვარიანად მოგხვდებოდა. მაგრამ ახლა სხვა საქმეა: შენ იმათ დაქვერში მესხმარები, მე კი პირობას ვდებ, რომ დაგიცვა. პატიოსან სიტყვას გაძლევ. ამ წუთიდან, ვიდრე ეს საქმე მთლიანად არ დამთავრდება, მე და ჩემი ვაჟიშვილები თვალს არ მოგაშორებთ.

უკანასკნელი სიტყვები მისტერ ჯენეტმა ხაზგასმით წარმოთქვა, ალბათ უნდოდა შეეგნებინებინა, რომ მისი მოტყუება გუნებაშიც არ გამევილო.

— ერთს კიდევ შეგეკითხები: შემიძლია გენდო?

— შეგიძლიათ, ბატონო, რაკი მეუბნებით, რომ მე არაფერი დამიშავდება, ჩემს თავს არავის არ დააჩავგვრინებთ, მეც ყველაფერს ისე გავაყეთებ, როგორც მიბრძანეთ, — მიუვუგე მე.

— მაშ კარგი. წადი შინ და ნურავის ეტყვი, სადაც იყავი. თუმცა, ერთ პაწაწინა ფანჯარაში გაძრომა კი მაინც მოგიწევს, მაგრამ, ნუ გედარდება, იქ მე ვიქნები ჩასაფრებული, ჰოდა, დაგელოდება. ალბათ ებნელება, მაგრამ მე თმაში ჩაგავლებ ხელს, აი, ასე, და ამით მიხვდები, რომ ეს მე ვარ. აბა, ახლა კი წადი.

ის იყო ჩარლიმ ენის ბორძიკით გაგვაგებინა, მეც დაგეხმარებითო, რომ მისტერ ჯენეტმა მხარზე ხელი დაჰკრა:

— გმადლობთ, ყმაწვილო, თუმც ბერიკაცი ვარ, მაგრამ მკლავთ შენზე ღონიერი მაქვს. მთელი ცხოვრება გემზე ტყუილად კი არ გამიტარებია: ვაჟიშვილებსაც არა უშავთ, ყოჩაღები მყვანან, მამას არავის დააჩავგვრინებენ.

შინ წასვლის გარდა სხვა არაფერი დამრჩენოდა.

ჩარლი სასწრაფოდ დამემშვიდობა და ქარხნისაკენ მოკურცხლა. მან პირობა დამადებინა, მეორე დღეს, სადილობისას, მათთან მივიდოდი და ყველაფერს ვუამბობდი.

თავში ერთი გარკვეული აზრიც კი არ მქონდა. მხოლოდ ის ვიცოდი, მისტერ ჯენეტის ბრძანებას ზუსტად შევასრულებდი. ფიქრადაც არ მომდიოდა, რომ ამით ჩემს თავს რაიმე საფრთხეში ვაგდებდი. როცა კეტის ქუჩაზე დავბრუნდი, მისტერ ჰაკინსი შინ არ დამიხვდა, კარი მისმა ცოლმა გაძილა. შეგონა, ჩემი დანახვადიდად გააკვირვებდა, მაგრამ პირიქით მოხდა, რომ დამინახა, დაკვირვებით შემომხედა და მერე მხიარულად შესძანა:

— აჰ, ჯიმ, დაბრუნდი?

— დიას, მე აქ დავრჩები, — ვუპასუხე.

— ჩინებულა, ძალიან მიხარია, რომ აქ რჩები.

— კი მაგრამ, თქვენ მეუბნებოდით, წადიო? — გაკვირვებულმა შევნიშნე.

— მერე, შენ წახვედი და ისევ მოხვედი, ჰოდა, ძალიან მიხარია! — მიპასუხა მან.

რამდენიმე წუთის შემდეგ მკითხა, ის ადგილი თუ გახსოვს, ამაღამ ჩემი ქმარი წასვლას რომ აპირებდა. მეც დავუსახელე.

— ჩინებულა, ჯიმ! — შეჰყვირა მან და ისევ თავისებურად უცნაურად გაიცინა. — შენ ჰქვიანი ბიჭი ხარ, საიდუმლოს დამახსოვრებაც იცი და შენახვაც! დიდებული ოინია, ხომ მართალია? ჰა, ჰა, ჰა!

— დიას, ძალიან, — ჩავიჩურჩულე მე და აღელვებული ზემოთ ჩემს საწოლ ოთახში ავეარდი.

მანც ვერ გავიგე, მიხვდა თუ ვერა, რაშიც იყო საქმე. ოთხ საათზე იგი გამოეწყო და სადღაც წავიდა. მე მარტო დამტოვა სახლში. შვიდი საათისათვის ჯორჯ ჰაპკინსი დაბრუნდა. ჯერ გაბრაზდა, ცოლი შინ რომ არ დაუხვდა, მაგრამ მერე გამხიარულდა. ჩემზე ხუმრობდა და რაც შეიძლება გულთბილად მემასლაათებოდა. მისი ხუმრობის მოსმენა ძალიან მიჭირდა. ათასჯერ მერჩია, დავეტუქსე და გამჭავრებოდა, გულზე უფრო მომეშვებოდა. ჩაის სმა რომ დავამთავრეთ, მკითხა:

— ჯიმ, იცი, სად არის ფულგეტი?

არ ვიცი-მეთქი, ვუპასუხე.

— ეგ არაფერი. ახალი ფეხსაცმელები ჩაიცვი და ბანკამდე ფეხით იარე, მერე ფულგეტში მიმავალ დილჟანსში ჩაჯექი. ფულგეტში რომ მიხვალ, ხიდი იკითხე და ხილს იქით მესამე ქუჩაზე შეუხვები. იქ ერთი ლუღხანა შეგხვდება. შედი და მისტერ მეზონს სახლში არის-თქო, იკითხე, ჩქარა, გასწი.

ახალი ფეხსაცმელი რომ ჩავიცვი, დახუთული ოთახიდან გაბარებული გამოვეარდი გარეთ, სუფთა ჰაერზე, და ბანკისაკენ ჩქარი ნაბიჯებით გავწიე.

ცხრა საათზე მისტერ ჰაპკინსის მიერ მინიშნებულ ქუჩაზე ვიყავი.

ლუღხანის დახლს იქით მდგარმა ბიჭმა მითხრა, მისტერ მეზონს თავის ოთახში გელოდებო. რომ შევედი, ჯორჯ ჰაპკინსი, ტუინერი და ჯონ არმიტეჯი დავინახე. ისინი ბანქოს თამაშში იყვნენ გართულნი.

— მისტერ მეზონი მე ვარ, — მითხრა ჩემმა პატრონმა. — და ჰქეპი, ჯიმ, ცოტა ხანს მოიცადე.

ისინი კვლავ თამაშსა და ლუდის სმას განაგრძობდნენ. ლუდხანის პატრონი მალიმალ მოდიოდა მათთან და ძველი მეგობარივით ესაუბრებოდა. ბოლოს, თორმეტის ნახევარზე, როცა გულდაგულ დაბნელდა, ყველანი ქუჩაში გამოვედით. წინ მე და ჯორჯი მივდიოდით, დანარჩენი ორი უკან მოგვეყვებოდა. თითქმის ერთი მილი ასე ვიარეთ, გზაში მისტერ ჰაპკინსმა ამიხსნა, რაც უნდა გამეკეთებინა: პატარა ფანჯარაში უნდა გადავძვრალიყავი, კედელ-კედელ ფრთხილად მევლო და ჩაკეტილი კარის ურდული გამომეწია.

— არ შეგეშინდეს, — დაუმატა მან. — საშიში რომ ყოფილიყო, შენისთანა პატარა ბიჭს არც წამოვიყვანდი. რაც გითხარი, იმის გაკეთება ხომ შეგიძლია?

— შემიძლია, — მიუუგე ციებცხელებიანივით აკანკალებულმა.

— ყველაფერს შესანიშნავად მოვაწყობთ, — მითხრა მისტერ ჰაპკინსმა. — ძალიც არა პყავთ. სახლის პატრონი კი ძალიან აღრე იძინებს.

ეტყობოდა, მან არ იცოდა, რომ მისტერ ჯენეტი ახლა მარტო არ იყო.

ერთ პატარა შესახვევში შევედით და ლობეს მივაღექით. ტუინერი და ჯონ არმიტეჯიც წამოგვეწივნენ და ყველანი ერთად ლობეზე კატიბივით ფრთხილად გადავძვერით. შემდეგ ქვიშამოყრილ ბილიკს გავყევით და დიდ, ჩაბნელებულ სახლს მივაღექით. ჩამიჩუმი არსაიდან არ ისმოდა. დავინახე, რომ ჯონ არმიტეჯმა რაღაც ბრჭყვიალა ინსტრუმენტები ერთმანეთს შეახრახნა, ტუინერის ბეჭებზე შედგა და კედელში რაღაცის კეთება დაიწყო. არ გასულა ორი წუთი, რომ რაღაცამ გაიწკრიალა და ჯონ არმიტეჯი დაბლა ჩამოხტა.

— ჯიმ, ფეხსაცმელი გაიხადე, — ჩამიურჩულა ჯორჯმა.

შიშისაგან აკანკალებულმა ფეხსაცმელები გავიძინე. ჯორჯმა ხელში ამიყვანა, ტუინერის ზურგზე შედგა და ფეხები რაღაც ხერელში გამაყოფინა.

— ვიწროა, ჯიმ, — დაიჩურჩულა მან. — მაგრამ, არა უშავს, გაეტევი. ხელები გვერდებზე მაგრად მიიკარი! გვერდულად შეძვერი! კარგია! ჩახტი, ნუ გეშინია, მალალი არ არის. კარი და ურდული არ დაგავიწყდეს!

ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც ის მიბრძახებდა. ბოლო სიტყვა მითხრა თუ არა, მეც ძირს ჩავხტი. აქ კი ჩემდა სანუგეშოდ ვილაც უჩინარმა თმაში მტაცა ხელი, მეორე უჩინარმა ხელმა პირი მომიკლმა, იმავე წამს რომელიღაც ოთახში ჩუმად მიბიძგეს და ჩამკეტეს.

მერე რა მოხდა, არ ვიცი, ჯერ ურდულის ჩხაკუნის გავიგონე, მერე — ნაბიჯების ხმაური, შეძახილები, ჯორჯ ჰაპკინსის ყვირილი, ცემა-ტყუების ხმა, ფეხების ბრაგუნის და მეტი არაფერი.

მისტერ ჯენეტის გეგმა წარმატებით დაგვირგვინდა. მათ ჯორჯ ჰაპკინსსა და მის ამხანაგებს კარგი ჭკუა ასწავლეს. მომავლისათვის კი დაემუქრნენ, მართო ამას აღარ გაემარებთო.

საკუჭნაოდან რომ გამომიშვეს, მძარცველების ნასახიცი არსად იყო. მისტერ ჯენეტმა ხელი ჩამომართვა და მითხრა, ყოჩალი ბიჭი ყოფილხარ, ისევ გემზე რომ ვმუშაობდე, აუცილებლად იუნგად აგიყვანდიო.

იმ ღამეს მისტერ ჯენეტის სახლში მეძინა. მეორე დღით მაძლრისად მასაუზმეს, ერთხელ კიდევ გალამიხადეს მადლობა და თორმეტი საათისათვის ისევ ქარხანაში გავიქეცი.

ზარი რომ დაირეკა, ჩარლი და რიპსტონი, მგონი, ყველაზე პირველები გამოცვივდნენ. იქვე ახლოს, უშენ ადგილზე გამიყვანეს და რაც მოხდა, ყველაფერი დაწვრილებით მაამბობინეს.

— ყოჩალი! — შესძახა რიპსტონმა, მოყოლა რომ დავამთავრე.

ჩარლიმაც თანაგრძნობით მხარზე ხელი დამარტყა. მართალი რომ ვთქვა, არ მესმოდა, რისთვის მაქებლდნენ. მე ხომ სულ ერთთავად შიშში ვიყავი, თუმცა ვცდილობდი, არ შემემჩნია.

მაგრამ ახლა სხვა რამე მადარდებდა, ჩარლის გაუბედავად შევხედე და ვკითხვ:

— რას მეტყვი, შეიძლება მეც მუშა გავხდე?

— რატომაც არ შეიძლება! — მიპასუხა მან. — იქნებ ახლაც გამოიძებნონ ჩვენთან ადგილი: სწორედ გუშინ იყო, მისტერ კრაუსი რომ ამბობდა — კრაუსი ჩვენი ოსტატია, — ხვალიდან ძველი ღუმელი უნდა დავანგრიოთ და ახლის აშენება დავიწყოთო. ასე რომ, ნაშალის გასაზიდად ბიჭები ისედაც დასჭირდებათ, გიშუამდგომლებ.

ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

სადილის შემდეგ ჩარლიმ და რიპსტონმა მისტერ კრაუსთან მიმხუყანეს. მან ნება მომცა, მეორე ღღესვე შევდგომოდი მუშაობას.

ამ დღიდან „პატარა მაწანწალა“ აღარ ვიყავი, მე უკვე პატარა მუშა ვაეხდი.

ახალმა ცხოვრებამ ბევრი შრომა და გაჭირვება მომიტანა, მაგრამ როგორც არ უნდა გამჭირვებოდა, ერთი ძხრი მუდამ მამხნევებდა: ამიერიდან მარტო აღარ ვიყავი. გვერდით ამხანაგები მყვანდნენ. ისინი მძიმე წუთებში მხარში ამომიდგებოდნენ და, ადრე თუ გვიან, ერთად მივალწევდით, უკეთესი მომავალი შეგვექმნა ყველა იმ დიდი თუ პატარა მაწანწალისათვის, ვინც ბავშვობიდანვე არ იცის, რა არის ალერსი და სიხარული.

ზ ი ნ ა პ ა რ ს ი

ე. ბრანდისი. ქემს გრინეული და მისი „პატარა მაწანწალა“..	
I დედინაცეალი	15
II ახალი გასაქირი. — გაქცევა	19
III საღამო სმიტფილდის ბაზარზე. — სერიოზული საფრთხე შემუქრება	23
IV „ყუფას“ ვსწავლობ. — ახალი ნაცნობები	29
V „თაღები“	33
VI ამხანაგობა: „რიპსტონი, მოულდი და მე“	41
VII მუშაობას ვიწყებ	47
VIII ფინია. — მე მიოვალთვალეზენ. — არასასიამოვნო ღამე	54
IX მე მუშათა სახლში მოვხვდი	61
X ცოცხალი გადავრჩი	67
XI ტერნშილის ქუჩაზე ერთხელ კიდევ მივდივარ	73
XII როგორ გავიცანი ორი ჭენტლშენი	80
XIII ქუჩის მომღერალი ვხდები. — ჩემი ძველი მეგობარი	87
XIV ძველი მეგობარი მიმასპინძლდება და ტანსაცმელს მაძლევს	93
XV ჩემი ახალი პატრონი	99
XVI ობობა და მისი ძალი. — საიდუმლოებით მოცული ჰეარტი	108
XVII ჩემი ოცნება სრულდება	116
XVIII საშინელი სენა, რომლის მსგავსიც არც ერთ თეატრს არ წარმოუდგენია	128
XIX პოლიციას გაეჩქეცი	129
XX სხვა გზას ვაღგები	134
XXI ჯორჯ ჰაქინსს ვეცნობი	137
XXII ძველ ამხანაგს ვხვდები	143
XXIII გამოსწორების სურვილი მალე მიქრება	150
XXIV მისის ჰაქინსის არასასიამოვნო ამბებს მიყვება	157
XXV ჯორჯ ჰაქინსს ვღალატობ. — ეშვება ფარდა.	163

ს. ბ. № 2012

რედაქტორი მიმოზა ახვლედიანი
მხატვარი არჩილ გვენეტაძე
მხატვრული რედაქტორი ჟიზო ყაველაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზაირა დონდუა
კონტრ.-კორექტორი მერი ლალაძე
კორექტორი ანა ჭიკინაძე

გადაეცა ისაწყობად 29.07.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად
21.03.88. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. გარნიტური ვენა.
ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 11. სა-
ღებავგატარება 11,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 9,4.
ტირაჟი 80.000. შეკვ. № 7264.

ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, შშვედობის გამზ. 28.
Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Мира 28

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა ხანელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება,
ქ. ქუთაისი, ა. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.
Кутаисское полиграфическое производственное
объединение Государственного комитета
по делам издательств, полиграфии
и книжной торговли Грузинской ССР.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.

Джеймс Гриввуд
«МАЛЕНЬКИЙ ОБОРВЫШ»
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадуля», Тбилиси, 1988

წიგნის გრინვული

გ. 843. პატარა მაწანწალა. თბ. „ნაკადული“,
1988 წ. გვ. 176, მეორე გამოცემა.

ფასი 85 კაპ.

წიგნი მოგეითხრობს ობოლ ბიჭუნაზე, რომელიც
სახლიდან გამოექცა ბოროტ ღვინაყვას და იძუ-
ლებულია, ქუჩაში ეძებოს პურის ლუკმა და თავშე-
საფარი.

70803—13 81—88
M—603(08)—88